

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტრო  
2009 ბერძნებიშვილის ინსტიტუტი

**შრომები**  
**VIII**

გათვალისწინებული კურსი – 2009

**MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF  
GEORGIA  
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

**TRANSACTIONS  
VIII**

**Publishing House  
„Shota Rustaveli State University”  
Batumi – 2009**

**МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ И НАУКИ  
ГРУЗИИ  
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

**ТРУДЫ  
VIII**

**Издательство  
«Государственный университет Шота Руставели»  
Батуми – 2009**

UDC (უაკ) 94 (479.22)+39 (=353. 1) + 811.353.1  
6-63

ნიგო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების მერვე ტომში განხილულია სამხ-  
რეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ლინგვის-  
ტიკის, ფოლკლორის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და ფინანსობრივის აქტუალური  
პრობლემები.

**რედაქტორი – გ. შამილაძე,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი  
**სარედაქციო კოლეგია – პროფესორი ვ. შამილაძე (რედაქტორი); აკადემიური  
დოქტორი რ. მალაქაძე (რედაქტორის მოადგილე); პროფესორი გ. ჩაგანავა  
(რედაქტორის მოადგილე); პროფესორები: ნ. ინაიშვილი, თ. შიოშვილი, ნ.  
კახიძე, ქ. მიქაშავიძე, მ. ქამადაძე, მ. სიორიძე, მ. პელკანს (ნიდანი),  
ლ. აბრამიანი (სომხეთი), ლ. სოლოვიოვა (რუსეთი), მ. აგლაროვი  
(რუსეთი), მ. რაგიმოვა (აზერბაიჯანი).**

In the eighth volume of the transactions of Niko BerdzeniShvili Institute are presented the different works discussing the actual problems of history, archeology, ethnology, linguistics, folklore, economics, sociology and psychology of the South-Western Georgia.

**Editor –** The corresponding member of the Georgian National Academy of Sciences, professor V. Shamiladze

**Editorial Board:** Professor V. Shamiladze (editor); Academic doctor R. Malakmadze (depute editor); Professor G. Chaganava; Professors: N. Inaishvili, T. Shioshvili, N. Kakhidze, Zh. Mikashavidze, M. Kamadadze, M. Sioridze, M. Pelkmans (Netherlands), L. Abramian (Armenia), L. Soloviova (Russia), M. Aglarov (Russia), M. Ragimova (Azerbaijan).

В восьмом томе трудов Института Нико Бердзенишвили рассматриваются актуальные вопросы истории, археологии, этнологии, лингвистики, фольклора, экономики, социологии и психологии Юго-Западной Грузии.

**Редактор –** член-корреспондент АН Грузии, профессор В. Шамиладзе

**Редакционная коллегия:** Профессор В. Шамиладзе (редактор); Академический доктор Р. Малакмадзе (заместитель редактора); Профессор Г. Чаганава (заместитель редактора); Профессора: Н. Инаишвили, Т. Шиошвили, Н. Каходзе, Ж. Микашавидзе, М. Камададзе, М. Сиоридзе, М. Пелканс (Голландия), В. Л. Абрамян (Армения), Л. Соловьева (Россия), М. Агларов (Россия), М. Рагимова (Азербайджан).

**რეცენზენტი**

**ჯემალ გარშალომიძე,**

ისტორიის აკადემიური დოქტორი

**Reviewer**

Academic Doctor of history

**Djemal Varshalomidze**

**Рецензент**

Академический доктор истории

**Джемал Варшаломидзе**

ISSN 1512-4991

© “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” – 2009

## შ ი ნ ა ბ ა რ ე ბ ი ს ი ნ ტ ი კ ა Content Содержание

### ლინგვისტიკა Linguistics Лингвистика

<b>მიხეილ ქამადაძე - ეტიმოლოგიური ძიებანი (I)</b>	9
<b>Mikheil Kamadadze - Etimological Searches (I)</b>	16
<b>Михаил Камададзе - Этимологические изыскания</b>	17
<b>ნანული ნოგაიდელი - დიალექტიზაციური ფრთის ხალვაშის გლობული</b>	19
<b>Nanuli Nogaideli - Dialecticisms in Creative Activity of Fridon Khalvashi</b>	25
<b>Нанули Ногайдели - Диалектизмы в творчестве Фридона Халваси</b>	25
<b>ელზა ფუტკარაძე - ი ნიშნიანი მედიოაქტიური ზმნები საჭუალ ქართულში</b>	26
<b>Elza Putkaradze - Medioactive verbs with -o suffix in the Middle Georgian</b>	33
<b>Ельза Путкарадзе - Медиоактивные глаголы с тематическим</b>	33
показателем о- в среднем грузинском	33
<b>ნარგის ახვლედიანი - სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ზანური</b>	36
<b>Nargis Akhvlediani - The Structural- Semantic Analysis of Zanian</b>	43
<b>Топонимия, сформированная с помощью словосложения</b>	43
<b>Наргиз Ахвледиани - Структурно-семантический анализ</b>	43
занских топонимов, образованных способом словосложения	43
<b>ციალა ნარაკიძე - მეფებურების ლექსიკიდან ლაზურში</b>	45
<b>Tsiala Narakidze - From Beekeeping Vocabulary In Laz Dialect</b>	54
<b>Циала Наракидзе - Из лексики пчеловодства в лазском диалекте</b>	54
<b>შუშანა ფუტკარაძე - ზმნური ფორმების წარმოებასთან დაკავშირებული</b>	55
თავისებურებანი იმერხევულში (მეორე ნაწილი)	55
<b>Shushana Putkaradze - Verb Formation Peculiarities in Imerkhevi Dialect (second part)</b>	64
<b>Шушана Футкарадзе - Особенности образования глагольных форм</b>	64
в имерхевском диалекте (вторая часть)	64

### ფოლკლორი და ლიტერატურა Folklore and literature Фольклор и литература

<b>თინა შიოშვილი - “ქართული დარჩა მისი სახელი”</b>	
(გიორგი კიპიანის პატრიოტული ლირიკა)	66
<b>Tina Shioshvili - His name remained Georgian one (On Giorgi Kipiani Patriotic Lyrics )</b>	73
<b>Тина Шиошвили - «Грузинским осталось его имя» (Патриотическая лирика</b>	73
Георгия Кипиани)	73

<b>ეთერ ზოიძე</b> – საგინგლაო-გამოსაჯავაგრებელი ლექს-სიმღერები აჭარის ფოლკლორში	74
<b>Eter Zoidze</b> - Children's stupidness in Georgian Folklore	80
<b>Этер Зойдзе</b> - Поддевни в детских стихах и песнях	81
<b>შუშანა ფუტკარაძე, მზია ხახუთაიშვილი</b> – მუჟაჯირთა ნადური სიმღერები	82
<b>Shushana Putkaradze, Mzia Khakhutaishvili</b> - Naduri songs of Muhajirs	87
<b>Шушана Футкарадзе, Мзия Хахутиашвили</b> - Песни «Надури» мухаджиров	88
<b>გიორგი მახარაშვილი</b> – რძის სიმბოლიკის საკითხი დიდი წარმოგნის ლეგენდის აჭარულ ვარიანტში	89
<b>Giorgi Makharashvili</b> - Question of the Symbol of Milk in Adjarian Variant of Big Flood	96
<b>Гиорги Махарашвили</b> - Вопрос символики молока в адjarском варианте большого потопа	96

### ეთნოლოგია Ethnology Этнология

<b>ნოდარ კახიძე</b> - ძველი საქართველოს ხელოსნობის მკვლევარი (პროცესორ შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავის გამო)	98
<b>Nodar Kakhidze</b> - Professor Shota Meskhia – an Investigator of Old Georgian Handicraft	103
<b>Нодар Кахидзе</b> - Профессор Шота Месхия - исследователь древнегрузинского ремесла	104
<b>თამილა ლომთათიძე</b> - საწესო სანახაობათა არქეტიპები აჭარაში	106
<b>Tamila Lomtadidze</b> - Archetypes of Religious Performances in Adjara	112
<b>Тамила Ломтатидзе</b> - Архетипы обрядовых зрелиц в Аджарии	112
<b>რუსლან ბარამიძე</b> - ისლამი აჭარაში 1878-1921 წლებში	114
<b>Ruslan Baramidze</b> - Islam in Adjara (1878-1921)	124
<b>Руслан Барамидзе</b> - Ислам в Аджарии в 1878-1921 годах	125

### ისტორია History История

<b>მალხაზ სიორიძე</b> - ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს სუვერენიტეტის საკითხი ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციებში XX საუკუნის დასაწყისში	127
<b>Malkhaz Sioridze</b> - Georgian Political Emigration and the Question of Sovereignty of Georgia at the European International Organizations in the Beginning of the XX-th Century	137
<b>Малхаз Сиоридзе</b> - Грузинская политическая эмиграция и вопрос суверенитета Грузии в европейских международных организациях в начале XX столетия	137
<b>ოლეგ ჯიბაშვილი, ხათუნა დიასამიძე</b> - ნიკო ბერძენიშვილის „გულუბრევილო“ პატრიოტი“ და ლაზეთის პრობლემა	139

<b>Oleg Djibashvili, Khatuna Diasamidze - "The Naïve Patriot" by Niko Berdzenishvili and the Problem of Lazeti</b>	147
<b>Олег Джибашвили, Хатуна Диасамидзе - Повесть Нико Бердзенишвили „Наивный патриот“ и проблема Лазети</b>	147
<b>უბა ოქროპირიძე - ჩაქვის საუფლისწყლო მამულის ისტორიიდან</b>	149
<b>Ucha Okropiridze - From the History of Chakvi Estate</b>	156
<b>Уча Окропиридзе - Из истории Чаквинского удельного имения</b>	156
<b>ხამინ გოგიძიძე - ქაშკის და მათი ეთნოგრაფიული კუთვნილება</b>	159
<b>Simon Gogtidze - Kashka and their Ethnic Origin</b>	167
<b>Симон Гогитидзе - Кашки и их этническая принадлежность</b>	167
<b>ოთარ თურმანიძე - აგრარული რეფორმა აჭარაში (1921-1928 წწ.)</b>	170
<b>Otar Turmanidze - Agricultural Reformation in Adjara (1921-1928)</b>	178
<b>Отар Турманидзе - Аграрная реформа в Аджарии (1921-1928гг.)</b>	178
 <b>ეკონომიკა      Economics      Экономика</b>	
<b>ვახტანგ მიქაშავიძე, ჟანი მიქაშავიძე - ტურიზმი და მცირე მეწარმეობის განვითარების პროცესში აჭარაში</b>	180
<b>Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze - Problems of Development of Tourism and Small Business</b>	191
<b>Вахтанг Микашавидзе, Жани Микашавидзе - Проблемы развития туризма и малого предпринимательства в Аджарии</b>	192
<b>ლამარა მიქელაიშვილი - სასურსათო დამოკიდებულების შემცირების და გეოლოგიური აგროწარმოების განვითარების პროცესში</b>	194
<b>Lamara Mikelaishvili - The Reduction of the Food Dependance and the Development of the Problems of the Ecological Aljarian Industry in Georgia</b>	204
<b>Ламара Микеланишвили - Уменьшение продовольственной зависимости и развитие проблем экологического агропроизводства в Грузии</b>	204
<b>ბესიქ ბოლკვაძე - ეკონომიკური რეფორმები და ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ვექტორი</b>	206
<b>Besik Bolkvadze - Economic Reforms and the Country's Taxation Direction</b>	215
<b>Бесик Болквадзе - Экономические реформы и вектор налоговой политики страны</b>	216
 <b>სოციოლოგია      Sociologia      Социология</b>	
<b>გონსტანტინ გლონტი - შრომის სოციოლოგიის წარმოშობისა და აქტუალობის საკითხები</b>	218
<b>Constantine Glonti - The Question of Origin and Relevance of the Sociology of the Labour</b>	223
<b>Константин Глонти - Вопрос происхождения и актуальности социологии труда</b>	224

**ფსიქოლოგია Psychology Психология**

<b>გურამ ჩაგანავა - დერეალიზაციის ფენომენოლოგია</b>	225
<b>Guram Chaganava - Phenomenology of Derealization</b>	236
<b>Гурам Чаганава - Феноменология дереализации</b>	237

**საიუბილეო მილოცვები**

<b>პროფესორი ნოდარ ქახიძე – 80</b>	
<b>როინ მალაჭმაძე, ვახტანგ შამილაძე, გურამ ჩაგანავა –</b>	
<b>თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნოდარ ქახიძე</b>	
<b>(დაბადების 80 წლისთავის გამო)</b>	<b>240</b>
<b>პროფესორი ოთარ თურმანიძე – 75</b>	
<b>როინ მალაჭმაძე, ვახტანგ შამილაძე, მალხაზ სიორიძე –</b>	
<b>დვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი</b>	<b>244</b>

## მიხეილ ქამადაძე

### ეთიმოლოგიური ძიებანი (I)

ეველას აინტერესებს გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობა, წარმომავლობა თუ სახელდების მიზეზი. ამიტომაც ტოპონიმების შესახებ არაერთი თქმულება გვაქვს, რომლებშიც მეტწილად სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგიაა მოცემული. ტოპონიმის მნიშვნელობის დადგჭნისას მათი გათვალისწინება მიზანშეწონილია, რადგან ეს გადმოცემები ზოგჯერ სინამდვილეს ასახავს. მაგრამ მეცნიერული ეტიმოლოგია სიტყვის თუ სახელის თავდაპირველი მნიშვნელობის გათვალისწინება, იმ წარმოდგენის ამოფესვაა, რომელიც ცხადყოფს სახელდების მიზეზს (ჩიქობავა, 1937:48).

წინამდებარე სტატიაში წარმოგადგენთ აჭარის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიას.

**კიბე** სოფელი (ხელვ. რ.). **კიბე** არაერთი სოფლის თუ ადგილის სახელში გვხვდება. მაგ., სოფ. მაჭახლისპირში ადგილს ჰქვია **ქვაკიბე**, ეს სახელწოდება დასტურდება, აგრეთვე, აჭარისაღმართის საკრებულოში, ზედა ჯოჭოში (აღნიშნული სოფლები ხელვაჩაურის რაიონშია), **კიბეთაძ** – ს. აქუცა (ქედის რ.) და ა.შ. ქუთაისთან ახლოს ერთ-ერთ სოფელს ჰქვია **კიბულა** (სიხარულიძე, 1958:144). კიბე სამეგრელოს ტოპონიმებშიცაა: ტკვაჯა (მეგრ. ტკვა „კიბე“), ტკვარჩელი და ა.შ. (ინგოროვა, 1954:172).

**კიბე**—აღსავალი ხარისხედი, აღნიშნავს საბა და იქვე მიუთითებს: ნახე აღსავალი, სადაც ამ სიტყვას დიდი ლექსიკოგრაფი უფრო სრულყოფილად განმარტავს: „**აღსავალი**—კიბე და ხარისხი და ყოველივე ზეთ სავალი აღსავალი არს. კიბე არს წვლილის ხით დანდალოანი აღსავალი, ხარისხი არს ქვითა და კირით შეკიბულივით სხვადასხვა აღსავალი; მექონოთი არს ტაბართა და კლესიათა კართა ხარისხელად აღსავალი; **სხუნი** არს ფიცართა და ძელთაგან ხარისხული აღსავალი, გინა გვერდობა ბაქან–ბაქანად ქმნილი”... (საბა, 1966). ჩვენთვის სწორედ ეს უკანასკნელი წინადაღებაა საინტერესო, რადგან სოფლისათვის **კიბე** სწორედ ამ ნიშნის მიხედვით („გვერდობა ბაქან–ბაქანად ქმნილი“) შეურქმევიათ.

**კიბე** ერთ-ერთი ძველი დასახლებული სოფელი უნდა იყოს. იგი მოხსენიებულია შუა საუკუნეების წერილობით ძეგლში „ტბეთის სულთა მატიანეში“, ოდონდ იგი მოცემულია სადაურობის აღმნიშვნელ სახელში: „სულსა ბასილი მორთულაყისასა და მეუღლისა მისისა

კიბელისასა”..., „სულსა კიბელისძესა”... („ტბეთის სულთა მატიანე”, 1977:80, 86).

**დანდალო** – ეს სახელი კონკრეტულად არც ერთ სოფელს არ ჰქვია. იგი საერთო სახელია რამდენიმე სოფლისა, როგორც ღორჯომი, სხალთა, უჩამბა და ჭვანა (ზემო აჭარაში). ადგილობრივ არძენა-ძეებს//არძენაშვილებს ეძახიან (სოფელში მეტწილად გვარად არძენაძეები ცხოვრობენ), მაგრამ ეს სახელი ოფიციალურ დოკუმენტებში არ გვხვდება და შესულია დანდალოს სახელით (საქ. ადმ. ტერ... 1987:120).

სოფ. დანდალო მდ. აჭარისწყლის მარცხენა მხარესაა და ტერი-ტორიულად ქვედის რაიონს (ქვემო აჭარა) მიეკუთვნება. მოცემული სახელწოდება გაფორმებულია თ სუფიქსით, საყრდენი სიტყვა კი არის **დანდალო**. საბას მიხედვით, დანდალი არის „კიბის თუ ურმის საჯიდარი” (საბა, 1966). საბასეულ განმარტებას იმეორებს დ.ჩუბინაშვილიც (სიხა-რულიძე, 1958:154). აღნიშნული სახელწოდების ეტიმოლოგიას შეეხო შენიშვარაძე. მკვლევრის თვალსაზრისით, სოფლის სახელი მისი გეოგ-რაფიული მდებარეობიდან წარმოსდგება. სახელდობრ, მას „საფეხუ-რებრივ შემაღლებული ტერასისებური მდებარეობა აქვს” (ნიუარაძე, 1957:141). მაგრამ სხვაგან შ. ნიუარაძე მოცემულ სახელს ასე განმარტავს: ამ ტოპონიმის ფუძედ სავარაუდებელია დანდალი. ეს სიტყვა კი აჭარულ ლექსიკაში აღარ გვხვდება. საბასთან მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. „ლაგამი თუ პირის მახე”, 2. „კიბისა თუ ურმის საჯიდარი”... (ნიუარაძე, 1971:54). როგორი ჩანს, ავტორი თავის პირველ ეტიმოლო-გიას აღარ იმეორებს და სხვაგვარ ახსნას გვთავაზობს. სიტყვას **დანდალი**, რომელსაც სავარაუდებელ ფუძედ მიიჩნევს ავტორი ზემოთ აღნიშნული ტოპონიმისა, ერთგან ასე განმარტავს: “სარძიეში სიგრძივ კედლების გასწვრივ გადებული ძელები რძის პროდუქტებისა და ჭურჭლების დასაწყობად (თაროსავით); დანდალს, ჩეკულებრივ, დადლებსა და ყიშლებში აკეთებენ”... (ნიუარაძე, 1971:163).

საბასეული განმარტებით, კიბე არის „წვლილის ხით დანდალოანი აღსავალი”, ე.ი. დანდალოანი აღსავალი—კიბისებური, დატერასებული ფერდობის სახელი უნდა იყოს. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ საბას მიხედვით, დანდალის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კიბისა და ურმის საჯიდარი”. შერ. კოფო.-იქვე მიუთითებს დიდი ლექსიკოგრაფი. აღსანიშნავია, რომ მდ. აჭარისწყალზე, სწორედ სოფ. დანდალოში არის XII საუკუნის ქვის თაღიანი ხიდი, რომელიც ერთ-ერთი თვალ-საჩინო კულტურის ძეგლია აჭარისწყლის ხეობაში. ამდენად, შესაძლე-ბელია ისიც ვივარაუდოთ, რომ დანდალო არის ადგილი სახიდარი.

დანდალო ერთ-ერთი ძველი დასახლებული სოფელი უნდა იყოს. იგი მოხსენიებულია სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავართა სიგელში, რომლის მიხედვითაც, „აჭარა დანდალოთ ზეითი” მტბევარის სამწყსო ყოფილა. „დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა“

(ბაქრაძე, 1987:77). ზ.ჭიჭინაძის აღწერის მიხედვით, XIX საუკუნის ბოლოს დანდალო 50-კომლიანი სოფელია (ჭიჭინაძე, 1913:101).

**აბუქეთა** სოფელია ამჟამად ქედის რაიონის ზგარეს საკრებულოში. ამ თიკონიმის საყრდენი სიტყვა უნდა იყოს აბუქ, –ეთ–ა–სუფიქსი. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ფორმანცით დაკავშირებით არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. იგი გეოგრაფიულ სახელთა საკუთარ მაწარმოებლადაა მიჩნეული (შანიძე, 1953:138). ერთვის საზოგადო სახელის ფუძეს, ტომობრივ და ეთნიკურ სახელებს, აწარმოებს ქვეყნის მხარეთა სახელებს, მიუთითებს რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს (ჩიქობავა, 1974:70). მოცემული სუფიქსის ფუნქციის საკითხს ეხებიან სხვა მკლევრებიც (ნ. მარი, ვ. დუნდუა, ი. იმნაიშვილი, კ. კეკელიძე...).

**–ეთ–** სუფიქსი ბევრი საინტერესო ფუნქციის მატარებელია. აჭარის ტოპონიმიაში იგი გავრცელების საქმაო სისტერით ხასიათდება. თუმცა აჭარისწყლის ხეობის სოფლების სახელები არც თუ ისე ხშირადაა გაფორმებული ამ ფორმანცით. **–ეთ–** სუფიქსიანი სახელები უფრო ნიშანდობლივია მაჭახლის ხეობის ტოპონიმიისათვის. აქ –ეთ– მეტწილად გვარსახელებიდან მომდინარე ტოპონიმებს დაერთვის, მაგ., ხინკილეთი, გვიანეთი, კახიეთი, პირპილეთი... სოფლების თუ უბნების სახელებია მაჭახლის ხეობაში. ამ უბნებში შესაბამისად ცხოვრობენ: ხინკილაძეები, გვიანიძეები, კახიძეები... ანალოგიური სემანტიკის ტოპონიმი უნდა იყოს **აბუქეთა**, რომელიც თავდაპირველად შეიძლება იყო ფორმით **აბუქეთი**. ამ სახელის ამოსავალი უნდა იყოს საკუთარი სახელი აბუქი, რომელიც ამჟამად აჭარაში არ დასტურდება. ამ მიმართებით საინტერესოა XVI საუკუნის ერთ–ერთი თურქული წყარო, რომელშიც აღწერილია მარითის ხეობის (შუახევის რ.) სოფლები – დღვანი და შუბანი. აღწერის მასალებში გვხვდება ამ სოფლებში მცხოვრებთა სახელები (გვარების გარეშე). სხვა სახელებს შორის აქ მოხსენიებულია ვინმე აბუქი (ფუტკარაძე, აბაშიძე, 1997). მაშასადამე, ამ დოკუმენტის მიხედვით, აბუქი პირის საკუთარი სახელი ყოფილა.

**მინდოდაური** ერთ–ერთი უბნის სახელია სხალთის საკრებულოში (ხულოს რ.). ეს ტოპონიმიც ანთროპონიმული წარმომავლობისაა, რომელიც გაფორმებულია **–ურ–** სუფიქსით. ეს ფორმანცი აჭარის ტოპონიმიაში საქმაოდ გავრცელებულია. იგი მიუთითებს კუთვნილებაზე. ე.ი. მინდოდაური არის ვინმე მინდოდას შთამომავლობის ადგილი.

დირსსაცნობია, რომ აჭარის ისტორიული ანთროპონიმის შესწავლისათვის ფრიად საყურადღებო მასალაა დაცული მხარის ტოპონიმიაში. ტოპონიმს შემოუნახავს იმ პიროვნების სახელი თუ გვარი, ვინც აქ ცხოვრობდა, ან ვინც პირველად გააკეთა აქ ბოსტანი, ყანა თუ ჭალა და ა.შ. მინდოდაური მინდოდას შთამომავლობა გვარია ხევსურეთში. მაგ., ვაჟა-

ფშაველას პოემის “გოგოთურ და აფშინა” (ვაჟა-ფშაველა, 1990:39) ერთ-ერთი გმირი აფშინა მინდოდაურის გვარისაა.

ე.ი. –ურ– სუფიქსი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გვარების მაწარმოებლადაც გვხვდება, ასეთი გაფორმების გვარი აჭარაში ძალზე იშვიათად დასტურდება. –ურ– სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები კი ხშირია. ერთი სიტყვით, საკუთარი სახელი მინდოდა, რომელიც ამჟამად იშვიათია, საფუძვლად უდევს აჭარაში ტოპონიმს **მინდოდაური**, ხოლო ხევსურეთში–გვარს.

**ზვანი** ადგილის სახელია ქობულეთის რ-ის სოფ. ჭახათში, მდ. კინტრიშის ნაპირას. სახელწოდებაში დაპარგული ჩანს თავებიდური თანხმოვანი ბ და სუფიქსისეული ხმოვანი თ. ე.ი. ზვანის ბზვანი<ბზოვანი. მაშასადამე, ტოპონიმის ამოსავალია მცენარის სახელი ბზა, რომელიც კინტრიშის ხეობაში მრავლადაა. ანალოგიური სახელწოდებაა ბზვანა (<ბზოვანა), რომელიც ტყის სახელია სოფ. მაჭახლისპირში (ხელვაჩაურის რ.). აქაც ბევრი ბზაა. ბზასთან უნდა იყოს დაკავშირებული ტოპონიმი **ბზიძირი** (ს. კირნათი).

**ბზვანი** სოფელია ვანის რ-ში. ამ შემთხვევაშიც გეოგრაფიული სახელის ამოსავალია მცენარის სახელი ბზა (ჭუმბურიძე, 1987:433).

**კიკნავრი** ტყის სახელია ქობულეთის რ-ში, კერძოდ, ზერაბოსელში (ნასოფლარია კინტრიშის ხეობაში). სახელწოდების თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს **კიკნაური**. ხმოვნის მომდევნო პოზიციაში აჭარულში სუფიქსისეული უ რედუცირდება და აურ>აურ>ავრ. მოცემული სახელწოდების ფუძე საკუთარი სახელი თუ გვარი კიკნა//კიკნაძე უნდა იყოს. ქართულში კიკინია დასტურდება საკუთარ სახელად, კიკნა–პატარა კაცის მეტსახელად (დლონტი, 1986:144). ისტორიულ საბუთებში გვხვდება, აგრეთვე გვარი კიკნაშვილი (პირთა ანოტ..., 1993:509).

აღსანიშნავია, რომ ზ. ჭიჭინაძე სოფ. კაპნისთავის (ხელვაჩაურის რ.) ადწერისას მიუთითებს: “ამ სოფლის მებატონენი ძველად კიკინაძენი ყოფილან (ჭიჭინაძე, 1913:125). ეს საინტერესო ფაქტია მოცემული გვარის თავდაპირველი ფორმის დასადგენად. აღნიშულ სახელწოდებაში **–ურ**– სუფიქსი ამ ტერიტორიის კიკნას თუ კიკნაძის კუთვნილებას გამოხატავს. ანალოგიური შინაარსის სახელებია **გოგმაჩაური** (გოგმაჩაძეებით დასახლებული სოფელი ქობულეთის რ-ში), **გარჯანული**, **გარჯანაული** (გარჯანას შთამომავალთა სოფელები ქობულეთისა და შუახევის რაიონებში), **მეხეშური** მეხეშიძეების უბანი (ხულოს რ. სოფ. ქედლები), **იაკობაური** (იაკობას შთამომავლობის სოფელი შუახევის რ-ში) და სხვ. მრ.

**კაკვანჭალა** სოფ. სხალთის უბანი (ხულოს რ.). ეს სახელწოდება კომპოზიტიური გაფორმებისაა. კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი (ჭალა) უცვლელადაა, ხოლო პირველ ნაწილში ფონეტიკური ცვლილება

მომხდარა, კერძოდ. დაკარგული ჩანს ფუძისეული თანხმოვანი და დასუფიქსისეული ო ხმოვანი. ე.ი. კაკვანჭალა<კაკლვანჭალა< კაკლოვანი ჭალა. მაშასადამე, კაკლოვანი ჭალა პქვია ადგილს, სადაც ბევრი კაკლის (ნიგვზის) ხეა. საერთოდ, აჭარის ტოპონიმიაში –ოვან– სუფიქსის თავკიდური ხმოვანი ხშირად იკარგება. მოცემულ სახელწოდებაში ფუძისეული და თანხმოვანიც დაკარგულა, ანალოგიური მაგალითი უნდა იყოს ცხემვანი<ცხემლვანი<ცხემლოვანი (სოფლის სახელია ქობულეთის რაიონში), ურთხვანი<ურთხლვანი<ურთხლოვანი (ტყე, ს.ქოქოლეთი, ხელ.რ.).

**ბუქაისოული** ტყის სახელია ქობულეთის რ-ის სოფ. აჭარის ინფორმაციონის თქმით, „ქარიანი ადგილია, ბუქი იცოდა და ამიტომ ეძახიან ამ სახელს”. სინამდვილეში ბუქა, რომელიც ამოსავალია მოცემული ტოპონიმისა, საკუთარი სახელი თუ მეტსახელი ჩანს. ბუქაი საკუთარ სახელად დასტურდება ისტორიულ წყაროში (დლონტი, 1986:95). სახელის მაწარმოებელია ოულ (<ეულ>, რომელიც ზემო აჭარაში გვხვდება –ეულ–ფორმით, ხოლო ქვემო აჭარაში მეტწილად –ოულ– ფორმით დასტურდება. –ეულ– სუფიქსი სხვადასხვა ფუნქციის მქონეა (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:153–156). აღნიშნულ სახელწოდებაში მოცემულია ადგილის პირველმფლობელის სახელი. ე.ი. ბუქაისოული (<ბუქაისეული>) ადგილია, რომლის მფლობელი ადრე იყო ვინმე ბუქა. ანალოგიური გაფორმებისა და შინაარსის ტოპონიმებია: ტაკისოული (<ტაკიძისეული>), სოფ. აჭის უბანი (ქობ. რ.), ზოისოული (<ზოიძისეული>), სოფ. ქაქუთის უბანი (ქობ. რ.), ჭანკურიძისოული, ვერულიძისოული (სოფ. ქობულეთი, ქობ. რ.). ამ ტიპის ტოპონიმები ზემო აჭარაში გვხვდება ფორმით: ბურპანასეულა, ტოპიასეულა, შუქრიასეულა, პოჭოლიკისეულა... რომლებშიც ბურპანა, შუქრია საკუთარი სახელებია, ტოპია, პოჭოლიკი შესაძლოა მეტსახელები იყოს (ქამადაძე, 1992:49–50).

საერთოდ, „ეულ აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათ. ბრუნვის ფორმას ერთვის: პატარძლიის–ეულ–ი, ერისთვის–ეულ–ი...” (შანიძე, 1973:129). ეს ფორმანტი აჭარაში უმეტესწილად ანთროპოტონიმების მაწარმოებლად გვხვდება. რა თქმა უნდა, გამოიყენება ცოცხალ მეტეველებაშიც.

**ნამირვეთავი** (სათიბი, სოფ. მირვეთი), **ნაკირნათევი**, **ნამლისევი** (დასახლებული უბნები).

**მირვეთი** და **კირნათი** ამჟამად სოფლებია ხელვაჩაურის რ-ში, **მილისექების** რ-ში. წინა ვითარების აფიქსებით გაფორმებული სახელები (ნამირვეთავი, ნაკირნათევი, ნამლისევი) აღასტურებს, რომ ამჟამინდელი სოფლები (მირვეთი, კირნათი, მილისი) სწორედ აქ იყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მოსახლეობა მეზობელ ტერიტორიებზე გადასულა საც-

ხოვრებლად და სახელებიც იგივე უწოდებიათ. შემდეგში ნაკირნათევსა და ნამლისევში კვლავ დასახლებულან და მოცემული სოფლების უბნებია ამჟამად, ხოლო ნამირვეთავი სოფ. მირვეთის სათიბ-საძოვრებია.

საერთოდ, წინავითარების აფიქსებით გაფორმებული სოფლების სახელები აჭარაში სულ რამდენიმეა (ნამონასტრევი-ქედისა და ხულოს რ-ები, ნადაბური-ხულოს რ., ნაცხავატევი-ქობ. რ., ნაღვარევი-შუახევის რ.).

**კოპენაგრი** ტყე (სოფ. კოლოტაური, ქედის რ.). ეს ტოპონიმი კოპინაურის სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს, რომელიც გაფორმებულია – **ურ** სუფიქსით. სახელწოდებაში მითითებულია ამ ადგილის კოპინასა თუ მისი შთამომავლობისადმი კუთვნილებაზე. მოცემული ტოპონიმის ფუძეა კოპენა (<კოპინა>), რომელიც შეიძლება იყოს საკუთარი სახელი ან მეტსახელი. იგი გვხვდება აჭარაში დადასტურებულ გვარში კოპინაძე. აქვე გვხვდება, აგრეთვე, გვარი კოპობინაძე. “ტბეთის სულთა მატიანეშია” კოპინა, კოპინასშვილი, კოპინი, კოპობისებუ „ტბეთის სულთა მატიანე”, 1977:148).

**ვერძაული** უბანი (სოფ. საღორეთი, ქედის რ.). ანთროპონიმული წარმომავლობის სახელია, –ულ (**ურ**) კი – სუფიქსი, რომელიც ამ ადგილის ვერძასა თუ მისი შთამომავლობისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს. ქართული გვარებია ვერძული, ვერძაული (მაისურაძე, 1990:66). აჭარაში ასეთი გაფორმების ტოპონიმია მხოლოდ, გვარი კი—ვერძაძე, რომელიც ერთ-ერთი ძელი საგვარეულო სახელი უნდა იყოს. იგი მოხსენიებულია (ფორმით ვერძასძე) შუა საუკუნეების წერილობით ძეგლში (“ტბეთის სულთა მატიანე”, 1977:145). აქვე გვხვდება ვერძაული, ოდონდ აღნიშნავს გათხოვილი ქალის წარმომავლობას. ე.ი. ის არის ვერძაძის ოჯახიდან გათხოვილი ქალი. ეს ტრადიცია იმერულს შემოუნახავს (ჯორბენაძე, 1989:485). აჭარაში კი ქალის მშობლიურ სოფელს დაერთვის –ურ– სუფიქსი და ქალის საკუთარი სახელის ფუნქციას ასრულებს. მაგ., სხალთურად-სოფ. სხალთიდან სხვა სოფელში გათხოვილი ქალის სახელია...

**კოლოტაური** (სოფელი, ქედის რ.). სახელწოდების ფუძეა კოლოტა, –ურ– მაწარმოებელი სუფიქსი. საბას განმარტებით, კოლოტი არის „სატყბილე ტიკი ზროხისა (საბა, 1966:379). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ძროხის ტყავის ტიკი რუმბზე მომცრო, ღვინისა და ტკბილისათვის... გადატ. უშნოდ ჩამრგვალებული, გაბერილი (ადამიანი)“ (ქეგლ, 1955). მაშასადამე, კოლოტი მეტსახელია (ღლონტი, 1986:146), რომელიც შემდეგ შეიძლება პირის სახელთა წყებაში გადავიდა. ყოველ შემთხვევაში, **კოლოტა** მეტსახელია თუ სახელი მისგანაა მიღებული საგვაროვნო სახელები: კოლოტაშვილი, კოლოტაური, კოლოტაძე (მაისურაძე, 1990:90). აჭარაში კი გვაქვს ტოპონიმი კოლო-

ტაური, რომელიც კოლოტას თუ მისი შთამომავლობის სოფელი უნდა იყოს.

**ჯაფარიძა** ციტრუსის ბაღი (სოფ. ჯოჭო, ხელ. რ.). ეს სახელწოდება გაფორმებულია ა სუფიქსით, რომელიც მიუთითებს, რომ ეს ნაკვეთი ჯაფარიძის კუთვნილებაა, ციტრუსის ბაღიც მისი გაშენებული ყოფილა. ე.ი. **ჯაფარიძა** ჯაფარიძის კუთვნილ მამულს ნიშნავს.

**ჭახავრი** სოფელი (ხელოს რ.). ამავე სახელწოდების ადგილია ს.ქოქოლეთში (ხელ.რ.). ჭახავრი <ჭახაური>. ეს ტოპონიმი უქვეველად –ურ-სუფიქსითაა გაფორმებული. საყრდენი სიტყვა კი არის ჭახა, რომელიც პირის საკუთარი სახელი, ან მეტსახელი უნდა იყოს. ჭახოლა, ჭახუნა აგხვდება მეტსახელად (ლლონტი, 1986:237). აჭარაში დადასტურებული გვაქვს, აგრეთვე მეტსახელი ჭახე. მაშასადამე, ჭახაური ანთროპოგრაფიული მინიმია. სახელწოდებაში გამოხატულია ამ ადგილის ჭახაძისადმი თუ მისი შთამომავლობისადმი კუთვნილება (შდრ. ჭახათი,–სოფელია ქობ. რ.). აჭარაში დასტურდება სათანადო გვარიც (ჭახაძე).

**კორკილელე** ღელვა, ხევი (ს.ხიხაძირი, ხელოს რ.). აჭარულში **კორკი** პატარას ნიშნავს. აქედანაა ნაწარმოები კორკიმელი,– იგივეა, რაც დამასხი–ქლიავის ჯიში, ჭანჭურის მსგავსი, ოდონდ მასზე უფრო წვრილი, მუქი ლურჯი ფერისა (ქეგლ, 1953). მაშასადამე, **კორკიმელი** ქლიავის ჯიშია, რომლის ნაყოფი ჭანჭურზე უფრო წვრილია და სწორედ ამიტომ უნდა ერქვას კორკიმელი. შესაბამისად, **კორკილელე** უნდა იყოს პატარა ღელვა. აჭარაში კორკილად პატარა კაცის მეტსახელადაც დასტურდება.

**კერჩხიანი** მთის საძოვარი (ს.ტუნაძეები, ხელოს რ.). სახელწოდების ფუძეა კერჩხი. -იან– მაწარმოებელი, რომელიც ყოლა–ქონების გამომხატველია. ტოპონიმებში კი რისამე კრებითობაზე, სიმრავლეზე უნდა მიუთითებდეს. აჭარაში ეს ფორმანტი ძირითადად მიკროტოპონიმებს აწარმოებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მცენარეთა სახელებისგან მომდინარეობს. მაგ., ანწლიანი, შექრიანი, ხახვიანი, დილმიანი, ჭკნავიანი და ა.შ. (ქამადაძე, 1992:22). ზემო აჭარაში კერჩხს ლობიოს ჩენჩს, ასევე გაურჩეველ (გამოუწურჩავ) ლობიოს ეძახიან (ნიუარაძე, 1971:224). მაგრამ **კერჩხი** სხვა მნიშვნელობითაც უნდა გვქონდეს. მაგ., **კერჩხიცოცხი**, რომელსაც უხრავის თუ არყის ხის ტოტებისაგან ამზადებენ ეზოს ან ბოსლის დასახვებად. მთაში არყის ხეებია ბევრი და ამ ადგილსაც კერჩხიანი სწორედ ამიტომ უნდა ერქვას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში კერჩხიანი ადგილია, სადაც ბევრი არყის ხეა.

**კოსტანეთი, მერკულეთი** სოფ. ჩხუტუნეთის უბნებია, **სიკალეთი** სოფ. ჩიქენეთის უბანია. ეს სახელწოდებები მაჭახლის ხეობაშია. როგორც ვხედავთ, ისინი –ეთ– სუფიქსითაა გაფორმებული, რომელიც მაჭახლის ხეობაში ერთობ გავრცელებული ტოპომაწარმოებელია. იგი მეტწილად

გვარსახელური წარმომავლობის ონიმებს დაერთვის. მაგ., მერკულეთი მერკულაძეების უბანია. ეს გვარი ამჟამადაც დასტურდება მაჭახლის ხეობაში. **სიკალეთიც** სიკალიძეების უბანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ გვარის ხალხი აქ აღარავინაა. ეს საგვარეულო შუა საუკუნეების ძეგლშია მოხსენიებული (სიკალაეთ, სიკალაური) („ტბეთის სულთა მატიანე”, 1977:154). ამ გვარსახელს ადასტურებს პროფ. შ.ფუტკარაძე თურქეთში, აერძოდ, ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონში ქართველებით დასახლებულ სოფელში. აქ ცხოვრობენ მაჭახლის ხეობიდან მუჭაჯირად წასული სიკალიძეები, რომელთაც ახალი საცხოვრებელი უბნისთვისაც სიკალეთი დაურქმევიათ (ფუტკარაძე, 1993:340, 346–347). **კოსტანეთიც** ანთროპონიმული წარმომავლობისა ჩანს. სათანადო გვარსახელი ამჟამად არ გვხვდება. ამ ტოპონიმის ამოსავალი შეიძლება იყოს მატიანისეული კოსტანტილე, კოსტანტისძე („ტბეთის სულთა მატიანე”, 1977:148).

ასეთია ის ძირითადი ცნობები, რომლებიც ამოიკითხება განხილულ ტოპონიმებში. შემდგომში გვექნება მსჯელობა სხვა სახელწოდებების შესახებ.

### Mikheil Kamadadze

#### Etimological Searches (I)

##### S u m m a r y

Interesting information is kept in Adjarian toponymy. Particularly, you may find there vocabulary, typical for the old Georgian language, and it's quite valuable for the language history. In geographical names there are often represented the names corresponding with the relief. e.g. the slope like a staircase was named Staircase, Dandalo... In toponyms there are given surnames and proper names, which are popular in Adjara and the part of them don't exist there any more, but it's interesting to study historical anthroponomy, e.g. Mindodauri, Verdzauli, Kopenavri, Kolotauri, Chakhavri... These names show that the places belong to the posterity of Mindoda, Verdza//Verdzadze, Kopena//Kopenadze, Ko;ota, Chakha//Chakhadze, but Merkuleti, Silaleti were regioas, populated with the Sikalidzes and the Merkuladzes on so on.

## Михаил Камададзе

### Этнологические изыскания

#### Резюме

В топонимии Аджарии хранится ценейшая для лингвокультурологии, этимологии и истории языка информация. В частности, здесь встречается древнегрузинская лексика, указывающая своей внутренней формой на рельеф именуемой местности. Таковы, например, топонимы: **Кибе**, **Дандало**... обозначающие местность по ступенчатому склону рельфа. Другая часть топонимов мотивирована антропонимами, уже не встречающихся сегодня, таковы: **Миндодаури**, **Вердзаули**, **Копенаури**, **Колотаури**, **Чахаури** и т.п... Следует предполагать, что владельцами этих местностей были некий Миндода, Вердза//Вердзадзе, Копена//Копенадзе, Колота, Чаха, Аналогичными следует считать топонимы: **Меркулети**, **Сикалети** и т.п. напоминающие, видимо, о том, что эти местности были населены потомками Меркуладзе, Сикалидзе и т.п.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. არნ. ჩიქობავა, „ზოგი”–ს ეტიმოლოგიისათვის. ენომვის მოამბე, I, თბ., 1937
2. ი.სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი, 1958
3. სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966
4. პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954
5. „ტბეთის სულთა მატიანე”, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977
6. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1987
7. შ. ნიუარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი. ბათუმი, 1957
8. შ. ნიუარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი, 1971
9. ზ. ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913
10. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1953
11. არნ. ჩიქობავა. აღგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში.–იკე, XIX, თბ., 1974
12. შ. ფუბქარაძე, შ. აბაშიძე. აჭარის ისტორიის ფურცლები.–გაზ. „აჭარა”, 31. X. 1997
13. ვაჟა ფშაველა. პოემები. თბ., 1990
14. ზ. ჭუმბურიძე. დედაენა ქართული, თბ., 1987
15. ალ. დლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბ., 1986
16. ა. შანიძე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973

17. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბ., **1988**
18. მ. ქამადაძე. ზემო აჭარის ტოპონიმია.-აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., **1992**
19. ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., **1990**
20. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ., **1955**
21. შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. ბათუმი, **1993**
22. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, **1987**
23. ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., **1989**
24. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.III, თბ., **1953**
25. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., **1993**

## ნანული ნოლაიდელი

### დიალექტიზმის ურიდონ ხალვაშის შემოქმედებაში

ენა ის თვალსაწიერია, რომლითაც სამყაროს შეცნობა იწყება. მასში დაუნჯებულია ყოველივე ის, რაც საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია ერს და მემკვიდრეობით თაობიდან თაობისათვის გადაუცია. ენის ამ უპირველესი მისის შესასრულებლად უდიდესი ძალისხმევა სჭირდება სიტყვაკაზმულ მწერლობას, რომელიც სალიტერატურო ენის - ეროვნული ენის უმაღლესი ფორმის - განვითარება-შენარჩუნებას ემსახურება. ქართული სალიტერატურო ენის სამსახურში დგას და თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში. ფრიდონ ხალვაშის ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალმხრივ შესასწავლია. მწერლის შემოქმედების განხილვისას ცალკე გამოყოფებ მისი წერის მანერას, მის ენას. ერთი სტატია არ იქნება საკმარისი ამ საკითხის სრულად წარმოსაჩენად. ამჟამად შევეცდებით წინ წამოვწიოთ ენის მხოლოდ ერთი მიმართულება - დიალექტიზმები ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში.

მხატვრული სახეების შექმნაში მთავარ როლს ენა ასრულებს. მწერალს სრული უფლება აქვს და ფრიდონ ხალვაშიც თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებს ცოცხალი - დიალექტური მეტყველების - ფორმებსა და ნიმუშებს, რაც კოლორიტულობას მატებს მის ნაწარმოებებს. ფ.ხალვაში ქართველი კაცი, ქართველი მწერალი, ქართველი საზოგადო მოღვაწეა, მაგრამ, პირველყოვლისა, მაინც თავისი მშობლიური კუთხის - აჭარის შვილია და მისი პოეტური თუ პროზაული ქმნილებები დიალექტური ფორმებითა და უხვი ლექსიკით ხასიათდება, რაც მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ენა თავისი დიალექტებით, რაოდენ უსაზღვრო და უკიდეგანო მისი შესაძლებლობები.

თავდაპირველად ცალკე გამოვყოფთ ფრიდონ ხალვაშის პროზას, რადგანაც მასში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ და ხელშესახებადაა წარმოდგენილი აჭარული დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმები თუ ლექსიკური ერთეულები.

ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით ფ.ხალვაშის პროზაულ ნაწარმოებებში (მოთხოვებში, რომანებში, პუბლიცისტურ ქმნილებებში...) შეიძლება გამოვყოთ ბევრი საგულისხმო მასალა, რომელიც საინტერესოა არა მარტო დიალექტოლოგიური, არამედ ფოლკლორული, ეთნოგრაფიული თუ ისტორიული თვალსაზრისითაც. ასეთ ცნობათაგან საინტერესოა მწერლის მშობლიური კუთხის ტოპონიმები: ღუბე, გორადუბის ღელე, კოჭორა, ბერთვენახი, შამბაური, გობავ, წილობანი,

ჭანჭახი, ხოხობად, ნაპურვალად, საძირულად, საქერქიად, ლედგათად, ნაასლევი, ნაბაკევი, გვიმბარი, ჭერულები, ზესოფელი, მალიკალო, ყორნალად, საქორიათი, გვანცა, საყდარი, ბეთლემი, ცვარიმინდორი... ადსანიშნავია, რომ თავის მშობლიურ ადგილებს შეუვარებულმა მწერალმა მშვენიერი ლექსიც უძღვნა ”ადგილთ სახელებს”:

ადგილთ სახელებს, ასე ტკბილს, ქართულს,  
გეგელიძეებს, ჩემსას რომ შეენის,  
უცქერ თუ უსმენ, გგონია ამ დროს,  
კითხულობ გაშლილ წიგნს დედაენის.  
ბერთვენახს, საყდარს, ნაბაკევს, გვანცას,  
ნამინდვრევს, ჭერულს, ჭანჭახს და გობას,  
ამ მთა-გორების სახელებს, რაც გვაქს,  
ჩემი ცხოვრების ამბავი მოაქვს.  
ვინ ჭუჭკა წყარო სათიბეს, ლიეს,  
მარანთს, წილობანს ვინ თესავს იებს?  
ან სოკო-ჭადობს, წეროსწვივს, მარქვალს,  
ეს სახელები ნეტა ვინ არქვა?  
გორა და ხევა, მადლი მათ, ძველად  
ვინც ისტორია ამ მთებზე წერა.

ბევრი რამის თქმა შეუძლიათ ამ ტოპონიმებს, თითოეულ აქ დასახელებულ ტოპონიმიკურ ტერმინს!

არანაკლებ საინტერესოა მწერლის ნაწარმოებებში დაფიქსირებული ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ადამიანთა გვარები და სა-აუთარი სახელები: ხეირიძე, ბალაძე, ნიუარაძე, დიასამიძე, კონცელიძე, სირაბიძე, სარავიძე, მაღლაძე, ჯაბნიძე, ჯორთმენაძე... აქ დასახელებულ ზოგიერთ გვართა მატარებლები აღარც კი ცხოვრობენ ახლა აჭარაში. ასევე, ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართ ცხოვრებაზე ბევრს გვამცნობს ის სახელებიც, რომლებიც ასე მრავლადაა დაფიქსირებული ფ.ხალვაშის პროზაში: აბდი, ალი, შუქრი, ასტამირა, გულა, ზიქრი, რიზალა, ფადიმე, ემსილე, სებილე, ისმეთა, ისკენდერი, აიშე, ფელული, მერიები, ზელიხე, ხენიფე, მეხფული, ალისულთანი და სხვა მრავალი.

არანაკლებ საინტერესოა ფ.ხალვაშის პროზაში არსებული სხვა სახის დარგობრივი ლექსიკური ერთეულებიც. მაგალითად, მიწის სახეთა სახელები: კოხი, ჭლე, გვერდი, ცარა, ტალაგანი... ჭიბონის დამზადებასთან დაკავშირებული ლექსიკა: გუდა, ჩასაბერი მასრა, ლერწმის კალამი, დედნები, რქა, ქარახსა, ბწყალი, კუნჭულო და ა.შ.

ფ.ხალვაშის პროზაში მრავლადაა მოცემული ჭარულ დიალექტში დაცული საერთოქართველური, ზანური თუ ძველი ქართული ლექსიკის ნიმუშები. მაგალითად: **ბწყალი** - შდრ. ბრწყალი - ანახეთქი ძვალთა და ხეთა, პწყალი (ნ.საბა); **გარგანი** - შდრ. არგანი - კვერთხი უგრძესი, საბჯენელად და დასაყრდნობად კაცთა უძლურთათვის (ნ.აბულაძე, საბა); **გლა** - მცირედ განაყვა (ნ.აბულაძე, საბა); საერთოქართველურ დონეზეა აღდგენილი **გალ** ზანური არქეტიპი, რაც ტეხვას, დანაყვა-

ჩეჩქვას ადნიშნავს (ნ.ჩუხუა); **ჯაპანი** - ქვა-ღოჯი (საბა), ქვა-ღორღიანი ფერდობი (შდრ. აბულაძე); **ჯუწუწო** - შდრ. კუწუწი - ოდოშის ნატუსის ღერო (ნ.საბა); **ლეშხი** - ახალამონაყარი, სწრაფად ნაზარდი მცენარე. შდრ. ლეშხი - უვავი (ნ.საბა); **მარქვალა** - კვერცხის ფორმის სოკოს სახელი; მარქვალი მეგრულ-ჭანურად კვერცხს ადნიშნავს (ნ.ჩიქობ.); **ტაბელა** - მცენარე (ნ.საბა); **ჭურცხი** - ეკალ-ბარდი. ჭურცხი საერთო-ქართველური ლექსიკური ერთეულია; **ჩქოლა** - ხეხილის ნერგი. აჭარულში იხმარება ფქრულა ფორმითაც. ჩქოლა, ფქრულა ზანიზმია აჭარულში (შდრ. ფქრულა - ახალგაზრდა თხმელა, ნ.ჩუხუა); **ცარა** - ფხვიერი მიწა. ცარ - საერთოქართველური ფუძეა - ფქვას, ცრას ადნიშნავს (ნ.ჩუხუა); **წველა** - 1. ნაწველი, რძე, რძის პროდუქტები; 2. მატყლის, კანაფის, სელის, თმის ბეწვი. 3. ერთი წვერი ნართი. 4. ჩალის გამხმარი ღერო, წვერი (წუკლ საერთოქართველური ფუძეა. ნ.აბულაძე, ჩუხუა, ფენრიხი, სარჯველაძე); **წირები** - თოკივით დაგრეხილი წნელი (შდრ. საერთოქართველური წირახ/წირიხ - გრეხა. ნ.ჩუხუა) და სხვ.

ვხვდებით საქუთრივ აჭარულისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებსაც: **აკაკანურების** - გალობს; **ასიარულება** - ამოძრავება, წასვლა-წამოსვლა; **ძენწევი** - ბუქი, ჩირგვი; **ძლაშტი** (აგდებით) - ბავშვი; **დაყრილი** - დაკეტილი; **მოფეშქა** - 1. მოფშვნა, 2. მიბეგვა; **პლაკე** - ფრიალო ადგილი, სალი კლდე; **საფხეცკლა** - ბრტყელპირა თოხი; **ტეხი** - ნედლი შეშა; **ტროფი** - დიდი ტანის, ზორბა; **ფანძაკი** - ურცხვი, უტიფარი; **ფოლო** - მსხვილი, ძირს დაშვებული ტუჩები; **ჩლატი** - დახეული ან საშინაო ფეხსაცმელი; **წაპიწვევა** - თოვლით თხლად დაფარვა; **წაჭიკარტული** - მოწკურული (თვალები) და სხვ.

ამ მრავალფეროვანი ლექსიკის გაცნობისას გვერდს ვერ ავუვლით იმ ხატოვან სიტყვა-თქმებსაც, რაც მწერლის ნაწარმოებებში მოხდენილადაა გამოყენებული. ასეთ ნიმუშთაგან შეიძლება დავასახელოთ: **ნაპირის გაწარბევა** - ხვნის დაწყება, პირველი კვალის გატანა; **სალაბანა ტყვია** - ბრმა ტყვია; **სიძერის საჩუქარი** - მოხუცებულობაში შემცნილი შვილი; **კუდის გამოკოჭვა** - გადაკარგვა, გადახვეწა; **ხრუჯის სუნი ასდის** - დარიბია; **ერთ დარჯაგ ში ჩამოსხმული** - ერთნაირები, ერთ ყალიბში მოქცეულები; **დახარჯვა** - გარდაცვალება; **საფქვავის დალევა** - სიცოცხლის დასარულის დადგომა - “დადგა წისქვილი, დაელია პატრონს საფქვავი”.

პროზაში ხშირად გვხვდება კომპოზიტები, ზოგი დიალექტში არსებული, ზოგიც ავტორისეული: **გამოიღანილ-გამოიღარებდა** - წვიმა გადაიღებდა; **ზაპაზუპი** - ცემა; **კარიდასამყრელო** - (ეთნ.) კარის დაკეტვის გასამრჯელო; **კვენდლებშემომძრალი** - წნელ შემომძრალი (ღობე); **მირიგ ზა** - გზატკეცილი; **სახლიმაბლი** - საჯიშედ დატოვებული მამალი; **ტაბლა-სუფრა** - მაგიდა; **ჭა-ჭორტე** - წყლით გაჟღენთილი ყორე; **ჭოროხ-ჭოროხ** - მდ. ჭოროხის გაყოლებით. **ხევუტკარა** - ხეზე დაბუ-

დებული ფუტკრის ოჯახი; **ხოზან-ხოზან** - ნაყანევის გაყოლებით და ა.შ.

ფრიდონ ხალვაშის ბელეტრისტიკა საინტერესოა გრამატიკული თვალსაზრისითაც. მის პროზაულ ნაწარმოებებში ხელშესახებადაა წარმოდგენილი აჭარული დიალექტური მეტყველებისათვის (განსაკუთრებით კი ქედური კილოკავისათვის) დამახასიათებელი გრამატიკული ფორმები თუ ლექსიკური ერთეულები. გრამატიკულ ფორმათაგან ნაწარმოებებში ხშირადაა ნახმარი ციი დაბოლოებული სიტყვები, თუმცა ცი ნაცვლად, რატომდაც, კველგან დაბეჭდილია ხმოვანი - ი. ნენგი ბაბაც დავითაც, გრეხილაც, მესხურაც ციცაც სესილეც ისმეთაც და სხვ. მრავალი. ხშირია ზეს ნაცვლად კ თანხმოვნის ხმარება: თვარა, ხიჭავრული, ჭკვა . . . ბევრგან გვხვდება, განსაკუთრებით, ქედური კილოკავისათვის დამახასიათებელი რ ბერადაკარგული ფორმები: შინ ააყოფილხარ (შინ არ ყოფილხარ), ააფერი (არაფერი), იმფეი (იმფერი), აამოვალ (არ მოვალ), ეგბინო (ავირბინო) . . . ხშირადაა ნახმარი სხვა ბევრადაკარგული ფორმებიც: შიერი (მშიერი), ჭლე (მჭლე), წუთხე (მწუთხე), წევდე (წავიდე), თვარე (თორემ), წამოვდე (წამოვიდე) . . . გეხვდება უნდა ნაწილაკიანი გამარტივებული ფორმებიც: დადგაუნა (დადგა უნდა), საქმეუნა (საქმე უნდა), აღარნა (აღარ უნდა), ვნახონა (ვნახო უნდა), შიერინა (მშიერი უნდა), ერთადნა (ერთად უნდა) და ა.შ. ხშირადაა ნახმარი წყვეტილში კ ბოლოსართიანი ზმნების I და II პირში კო დართული ფორმებიც: გამაძლევი, გვანახევი, დეიწევი, შემარგვევი და ა.შ.

დიალექტიზმთა გამოყენების თვალსაზრისით პროზაულ ნაწარმოებთაგან ცალკე შევეხებით ფ.ხალვაშის ავტობიოგრაფიულ რომანს “წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა”. უკვე დასახელებულ ლექსიკურ ნიმუშთა თუ გრამატიკულ ფორმათაგან მეტი წილი ამ რომანზე მოდის. თუ სხვა ნაწარმოებთა შესახებ შეგვიძლია ვთქათ, რომ მათში მოტივირებულია დიალექტიზმთა გამოყენება, ამას ვერ ვიტყვით რომანზე “წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა”, რადგანაც იგი ერთგვარ ლიტერატურულ-დიალექტურ ნაზავს წარმოადგენს. აქ არამარტო მოქმედ პირთა კოლორიტული სახეების შესაქმნელადაა გამოყენებული დიალექტიზმები, არამედ ავტორისეული თხრობაც ხშირად დიალექტურ ფონზეა გაშლილი. სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე ამონარიდს რომანიდან: “თავად ზექერია ზენჯირივით გრძელი და ქდარუნა სულაც არ იყო. სიკრიკადასავით პატარა და დამრგვალებული ჩანდა. მიდღემზი წვერი არ გაეპარსა, ალბათ. ბალნები დაწვებზე ბანჯარასავით ბუჩქად გაზრდოდა...”; “ჩალის ლერეტებში მიმავალი შედრენენ, ხოლო რომლებიც მირბოდენ, საბედისწეროდ აბლაცუნებულები იყვნენ, ამაიბას აყოლილები...”; “ტყეში კვენდლებზე მივალო, დაუბარა ნენეს. წალდი ქურცხებში დამალა და ხოზან-ხოზან მირიგზაზე ჩავარდა...”; “ასეთი ტეხი (წვრილი მორი) ასზე მეტი მაინც უნდა გავგზავნო დდეს თვედაღმა. მერე სადამპირზე დაბლა ჩავიდე, ერთად მოვჭუჭკო,

ერთმანეთზე დავახოხოლო, იბრეხათ შევგრა, რომ დამნახველებმა იცოდნენ, ეს პატრონიანია...”; “დაჭრილები სამხედროების მანქანაში ძაიფეს და კარიც მიატკლიცეს. უკან მეორე გურაძო იდგა...” და სხვ.

ავტორისეული თხრობის სტილზე რომ არაფერი ვთქვათ, დიალექტიზმი ძალიან ბევრია დიალოგებშიც. ავტორი თავადაც გრძნობს მათ სიმრავლეს, ზოგიერთ ტერმინთა თუ ფორმათა გაუგებრობას და ხშირად იქვე, ტექსტშივე, ფრჩხილებში განმარტავს მათ, მაგრამ ბევრი მაიც გაუგებარი და განუმარტავი რჩება. გაუგებარ სიტყვათა თუ გამოთქმათა სიმრავლეს ემარტება თურქულენოვანი, სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული თუ მუსლიმანობასთან ერთად შემოსული, მკითხველისათვის ათეულობით გაუგებარი სიტყვა: **დერბი** – გაპვეთილი; **ეზანი** - ხოჯის ლოცვა მინარეთიდან, მუსლიმანური ლოცვისათვის მოწოდება; **ზიანქარი** - ავი, მაგნე; **თერავი** - მუსლიმანური მარხვის - რამაზანის საჯარო ლოცვა; **იფთარი** - რამაზანის დროს მზის ჩასვლის შემდეგ ჭამა; **იქნედი** - მუსლიმანური მესამე ლოცვა; **მედრესე** - მამადიანური სასულიერო სასწავლებელი; **უჩრუმი** - ღრმა ხრამი, უფსკრული; **ყიბლე** - მუსლიმანური წმინდა ადგილის - ქაბის მხარე, სამხრეთი...

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა ფხალვაშის რომანს “წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა”, მაგრამ მეცნიერული თვალთახედვიდან, ალბათ ნაწილობრივ მაინც, ვერ დავეთანხმებით კრიტიკოს ჯუბერ თითმერიას, რომელიც წერს: “ფრიდონ ხალვაში ხვავრიელად, ბარაქიანად... იყენებს პირწმინდა აჭარული დიალექტის ფორმებს... ცნობისწადილს აცხოველებს... ბევრი ცნება, რომელთა მნიშვნელობაც არა მგრინია ყველამ ვიცოდეთ, მაგრამ სასურველია ვიცოდეთ. გავისარჯოთ, მეგობრებო, ჩავიხედოთ სპეციალურ ლექსიკონებში, გავიკითხ-გამოვიკითხოთ და გავიგოთ რას ნიშნავს...”

თუმცა, პროზისაგან განსხვავებით, სხვა ვითარებაა პოეზიაში. აქ იშვიათად გვხვდება აჭარული დიალექტისთვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმები. შედარებით მეტია ლექსიკის ნიმუშები, მაგრამ ისეა ჩაწერული სტრიქონებში, რომ მათ მნიშვნელობებს, განმარტებებს იშვიათად თუ მოძებნის მკითხველი. ისინი ლექსის ორგანულ ნაწილად ქცეულან:

- თავისუფლება ცეცხლია ხანდროს,
- არცა დირს თითქოს გულთა ოხვრადა.

- აიგიზგიზა ბიბილო და აბუჯგა ბურდდა,  
დიასახლისმა ფხალლობით აყორა ჯამი.

- ღობის წირეხზე ჩამოკიდული,  
რაზე ჭრიალებს ნეტავ ჭიშკარი? (“მოდის”)

- კაპჭანში ჩემთვის წელიდა დედა  
გაპიპინებულ ძუძუდან თხის რძეს.  
პაწა კარდალში რძე ისე მღერდა,  
სულგაკმენდილი უსმენდა სივრცე (“თხის რძე”)

- კვირხილს და ნეკერს ხოკერ ზურგზე რომ ვიკიდებდი,  
აღმართში, მთისკენ მოკაპვული რომ ვაბიჯებდი.

- რაფერიც ვარ, აგერ ვარ,  
მხარჯოს შენთვის მინდა,  
შენი ცქერით ნაკერმა  
დღემ და დამის ბინდმა. (“ქვითინით”)

- ცრემლით მონარწყავო მარცვალო,  
ოხვრით ნამცვრევი ხარ, ნაჭუჭკი.

- ხედავ, შენს მერხზე ნაფშვენი წელთა,  
აბლად ქცეულა, ისე ძველია.  
თავნიდან გაბმით წვეთი რომ წვეთავს,  
მარტო წგიმაა, ჩემი ცრემლია  
(“ჩემი სოფლის სკოლის ხვაშიადი”)

ამ სახის კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ერთ  
სტატიაში, ალბათ, შეუძლებელია ყველა ნიუანსის წარმოჩენა.  
მიუხედავად ჩვენი მცირე კრიტიკული შენიშვნისა, ფრიდონ ხალვაშს  
ნამდვილად ხმამაღლა შეუძლია თქვას:

მე ქართულმა სიტყვამ მზარდა მშობელივით,  
მე მისი ვარ, ის ჩემია სამუდამოდ,  
ჩემში მისი სხივი მიტომ მოფენილა,  
თავად მას რომ ბედისწერა გავუდარო. . .

რადგან დიალექტიზმები ასაზრდოებენ სალიტერატურო ენას,  
ფრიდონ ხალვაშის ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოყენებული  
აჭარულ დიალექტურ ლექსიკაში დაუნჯებული ბევრი ლექსიკური  
ერთეული, ალბათ, თავიდან დაიბადება, ბევრიც თავის დირსეულ  
ადგილს დაიმკვიდრებს ქართულ სალიტერატურო ენაში.

## Nanuli Nogaidelis

### Dialecticisms in Creative Activity of Fridon Khalvashi

#### Summary

Fridon Khalvashi is the Georgian writer and the public figure. In his literary activity he often uses grammatical forms and lexical units, distinctive for Adjarian dialect. Here, it is possible to meet Kartvelian and old Georgian lexical forms which has kept Adjaian dialect. Some units of this lexicon will find the place in the Georgian literary language.

## Нанули Ногаидели

### Диалектизмы в творчестве Фридона Халваси

#### Резюме

Фридон Халваси грузинский писатель и общественный деятель. Он в своих литературных произведениях часто употребляет грамматические формы и лексические единицы, характерные для Аджарского диалекта. Здесь, также встречаются картвельские и древнегрузинские лексические формы, которые сохранил Аджарский диалект. Некоторые единицы из этой лексики найдут своё место в грузинском литературном языке.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე - ძველი ქართული ენის ლექსიკა, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბ., 1973, 578 გვ.
2. შ. ნიუარაძე - ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1971, 462 გვ.
3. სულხან საბა ორბელიანი - ლექსიკონი ქართული, გამომცემლობა “ქართული წიგნი”, ტფ., 1928, 480 გვ.
4. პ. ფეხრიხი, ზ. სარჯველაძე - ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, თბ., 1990, 618 გვ.
5. არნ. ჩიქობავა - ჭანურ-მეგრულ-ქართულის შედარებითი ლექსიკონი, სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფ., 1938, 510 გვ.
6. მ. ჩუხუა - ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, გამომცემლობა “უნივერსალი”, თბ., 2000-2003, 518 გვ.

## ელზა ფუტკარაძე

### -ი ნიშნიანი მედიორაჟტიური ზმნები საშუალ ქართულში

მედიორაჟტიურ ზმნათა ფუძეების წარმოება საშუალ ქართულში ერთგვაროვანი არ არის. მედიორაჟტიური ზმნის აწმყოს ფუძე სხვადასხვაგვარად ფორმდება. საშუალ ქართულშიც მედიორაჟტიურ ზმნათა ფუძეის გაფორმების მიხედვით გამოიყოფა: 1. მარტივფუძიანი (უთემისნიშნო) მედიორაჟტიური ზმნები და 2. მედიორაჟტიური ზმნები, რომელთა ფუძე აწმყოში თემატური სუფიქსებით ფორმდება, ე.ი. თემისნიშანდართული ზმნები. თემატურ სუფიქსებად კი გვხვდება: -ობ; -ებ; -ავ; -ი. საინტერესოა –ი ნიშნიანი მედიორაჟტიური ზმნების ფორმათა წარმოება საშუალ ქართულში.

ცნობილია, რომ -ი სუფიქსიანი გარდაუგალი ზმნები უძველესი ფორმაციისაა და წარმოშობით ეს -ი იგივეა, რაც ხოლმეობითის მწერივის ნიშანი [ქავთარაძე, 1954: 12; ჩიქობავა, 1948: 106]. ფიქრობენ, რომ - „ი“ -ივ სუფიქსიდან უნდა მოდიოდეს, „გ“ ხმოვნებს შორის (მესამე სუბიექტური პირის ნიშნების ა||-ან დართვის შედეგად) უნდა დაკარგულიყო“ [ჭინჭარაული, 1960: 141].

ზოგიერთ მედიორაჟტიურ ზმნას -ი სუფიქსი მოეპოვება აწმყოში მწერივის ნიშანად: ხმა შემოესმა ცისა, მართ კვნესის, ვითა სნეული (შგ.მთ.533). ვისო, ნუ ჰეგნესი! (ვისრ.217). ასეთის საქმის მქნელი ხარ ... ხან კი ვსტირია (დავით.491). მუდამდღე ვფიქრობ და ასეთი ცრემლით ვტირი (ცხ.ანდ.252).

საინტერესოა ვტირი ზმნის ფორმა. ცნობილია, რომ ძველ ქართულში ეს ზმნა უთემისნიშნო იყო და გვხვდებოდა ტირს ფორმით: ამას ზედა მე ვტირ (გოდ.იერ.1, 15). ჩუენ თავთა ჩუენთა უფრო ვსწავლობთ და ვსტირთ (ბალავ. 95, 33). ნუ ჰეგნესი (ლ.7,13, OE). ნუ სტირთ ჩემ ზედა (ლ.23, 28, OE). თუმცა საშუალის ლიტერატურულ ძეგლებშიც სპორადულად ეს ზმნა გვხვდება მარტივი ფორმით: ნუ სტირ (ვისრ.245). არ იცი, ვით საბრალო ვტირ? (ვისრ.127). ძირითადად საშუალ ქართულში ეს ზმნა -ი სუფიქსიანია, ე.ი. შეინიშნება საწინააღმდეგო მოვლენაც ძველ ქართულთან მიმართებით, -ი სუფიქსი დაწნდება ძველი ქართულისათვის მარტივ ფორმაში: ტირ-ი-ს (ძველი ქართულის ტირს), მაგრამ -ი სუფიქსიანი ფორმა ივარაუდება ამოსავლად ძველი ქართულისათვისაც. ცნობილია, რომ „მარტივფუძიან ზმნათა ერთ ნაწილში შესაძლებლად მიაჩნიათ -ი სუფიქსის აღდგნა მასდარის საშუალებით“ [ჩიქობავა, 1948: 105]. ეს ზმნებია: დუმს, დუდ-ს, ტირ-ს, წუხ-ს (შდრ. დუმ-ი-ლ-ი, დუდ-ი-ლ-ი, ტირ-ი-ლ-ი,

წუხ-ი-ლ-ი), ამგვარად, საშუალი ქართულის ფაქტი ან ძველი ვითარების ნაშთია ან ინოვაცია.

ეოვლი მოყვარე შენგან ჩივის-ემაა თუ პერი (მე შენი მგ.291). ნუცა საწუთოსაგან სჩივი (ვისრ.118). მრავალი... უცხო უვავილნი ევავიან (სიბრძ.სიცრ.123). ვა, რამდენი უვავის ზაფხულს ახალნი, არ ვიცოდი ჯავრი დროთა, ავთხანი (დავ.477). მიჯნურნი ხმამაღლა ფივიან (ვისრ.212). ვთრთი, ვითა ტირიფი ნიავისაგან (ვისრ.229). მეფე ხლტის ვითო ყრმა პაწაწინა (დავით.443). უხანობისა ქარი ქრის ვითარ ერთისა წამისა (რუსთ.მიმბ.35). სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წინა მან! (ვეფხ.28). კაცი მიმყოლი სევდა-ფიქრისა სიკვდილისაკენ ქართებრ მიქრისა (დავით.559). მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია (ვეფხ.23). რასათვის დაგიტევებია მეფორბა და ცუდად რბი? (სიბრძ.სიცრ.44). ბობქარ სადა რბის? (თამარ.336). სადა ვერა რბის ცენტია (ვეფხ.23). შენნი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა (ბესიკი, 295). დაქა რაზედმე და მისთვის ხვივის (რუსულ.207). ნუ ჰყოვი აგრე ხმიანი (ვეფხ.230). ყივის ზმის კაუზატიურ ფორმაში ჩნდება - ნ: აყიფ-ნ-ებ-ს: რად აყიფებს? (ვეფხ.177). მოყვარესა აყივნებდეს (ვეფხ.79). ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გგალვასა ჩივიან (ვეფხ.90). წასასევლელი გზა არა აქვს და წივის (სიბრძ.სიცრ.127).

ჩამოთვლილ ზმნათაგან ი თემის ნიშანია მხოლოდ რბის ფორმაში, დანარჩენში ი მწერივის ნიშანია.

არნ.ჩიქობავას აზრით, წივის ზმის ფორმაში ძირი არის წ [ჩიქობავა, 1936: 394]. გ-კლიმოვი ქართულ-ზანურ ქრონოლოგიურ დონეზე წი ძირს აღადგენს [ქლიმოვი, 1964: 240].

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეს „ი არის მწერივის ნიშანი და არა თემისა, ისევე, როგორც ვნებითი გვარის ზმნებში (ვიწვ-ი, ვიმალებ-ი, ვბერდებ-ი). ის რომ თემის ნიშანი ყოფილიყო, მაშინ სხვა მწერივებშიც გადაჰყვებოდა“ [შანიძე, 1953: 492].

-ი მწერივის ნიშანიან და ი თემის ნიშანიან ზმნებს უწყვეტელში საფრცობად მოუდით -ოდ ფორმანტი: დიოდა მსგავსად ნილოსა მუნ ცრემლნი მონაღვარენი (რუსთ.მიმბ.40). სისხლისა რუ დიოდა (ახ.ქართ.ცხ.705). ავი ქარი ქროდა (მოგზ.ევრ.284). არ მონა იყო, ტჟუოდა, ჩვენ ესე შევიგენითა (ვეფხ.267). იგინებოდა, ჩიოდა (ვეფხ.65). იცოდა თურე ბუკმან მათი სიკვდილი, წინასვე მათ ზედა მით ტიროდა! (ვისრ.24). ვერძი და მოზვერი დაღრეჯით თრთოდა (ვისრ.37). რამინ ნება-ნებასა აგნესოდა (ვისრ.127). კლდესა შიგან ქოშისაებრ აღმა-ჩაღმა რბოდა (ვისრ.148) მეტის გაშმაგებისაგან ძრწოდა (სიბრძ.სიცრ.81).

ილუსტრირებულ ზმნათაგან დიოდა ზმნაში ი თემის ნიშანია, დანარჩენში – მწერივის.

ძრწის ზმის ფორმასთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს ფ-ერთელიშვილი. მისი გარაუდით, ძარძარ →ძარძალ → ძრძ → ძრწ. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ავტორის შეხე-

დულება, რომ უმარცვლო ზმნური ფუძეები არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის [ერთეულიშვილი, 1970: 247]. იგი ”ძარ-ძალ“-ში - ალ მარცვალს სუფიქსად მიიჩნევს და ზმნის პირიანი ფორმა ქარძ ფუძისაგან ნაწარმოებად მიაჩნია [ერთეულიშვილი, 1970: 279].

ფიქრობენ, რომ ”ქრ-ი-უ-ედ-ა →ქრიოდა“ ე.ი. ქრის ზმნაში უ ან ვ ელგმენტს აღადგენენ [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 275]. გ.მაჭავარიანი აღადგენს ზმნის ფორმას ქარავს, რომელიც მისი აზრით ამოსავალი უნდა იყოს მოქმედებითი გვარის ზმნისათვის ა-ქარვ-ებ-ს [მაჭავარიანი, 1959: 320]. ამაზე დაყრდნობით შენიშნულია, რომ ამ აღდგენილ ზმნას შესაძლებელია \*ქრევის \*ქრვის ფორმაც ჰქონოდა [ოსიძე, 1963: 13].

არის რამდენიმე მედიოაქტიური ზმნა, სადაც ვ ელგმენტის აღდგანისათვის არსებობს გარკვეული საფუძველი: კვნესის-კვნესოდა, ყვირის-ყვიროდა. ვფიქრობთ, ამ ზმნებში -ოდ სუფიქსი იმ გარდაუვალ ზმნათა ანალოგით არის ნახმარი, რომელთაც აწმყოს ”ი“ სუფიქსის წინ ”გ“ ან საერთოდ ბაგისმიერი ბგერა ახასიათებთ, ე.ი. რომელთაც აქვთ ფონეტიკური საფუძველი ”ო“-ს არსებობისათვის უწყვეტელში; კვნესის-კვნესოდა ტიპის ფორმებში ”ი“ ხმოვანი ბაგისმიერებთან მეზობლობაში ”ო“-ს არ გვაძლევს ქართულში, მაგრამ თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ უწყვეტლის მაწარმოებელი დ“ კი არ იყო, არამედ -ედ||-ად, როგორც ამას გ.მაჭავარიანი ვარაუდოს [მაჭავარიანი, 1959: 318] მაშინ საკითხი უფრო ადვილად გადაწყვდება. ”ო“ მიიღება ფუძისეული ”გ“-სა და უწყვეტლის - -ედ||-ად სუფიქსის ხმოვნითი ელგმენტის ”ე“-ს ან ”ა“-ს შერწყმით.

იმ მედიოაქტიურ ზმნებს, რომელთა ფუძე ”გ“ თანხმოვანზე ბოლოვდება, უღვლილების პარადიგმებში -ოდ სავრცობის წინ ფუძისეული ”გ“ ეპარგებათ: ყვა(გ)-ოდა, ჩხა(გ)-ოდა, ყი(გ)-ოდა: მიდამო ვარდი და ია ყვაოდა (ვისრ.174). იხილა ზურგით კერძო მჯდომარე და ამასთან კატა ერთი, რომელიცა საწყლად ჩხაოდა (კალმ.424). ზოგს ბოლო წამოებურა, ზოგი ხმამაღლა ყიოდა (გაბ.391).

საყურადღებოა ერთი მომენტიც. მაშინ, როდესაც აწმყოს ფუძის მაწარმოებელი ”ი“ ნიშანი შენარჩუნებული არის გარდამავალი ზმნების უწყვეტელში ”დ“ სუფიქსის წინ, - ”ოდ“-ის წინ გარდაუვალ ზმნებში ის არ ჩანს [ოსიძე, 1963: 15]. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში გამონაკლისს ქმნის მხოლოდ სამი ზმნა: დის-დიოდა, რბის-რბიოდა, ქრის-ქრიოდა: ძველ ქართულში გვქონდა: მირბიოდა, ქრიოდა.

საშუალი ქართულის ლიტერატურულ ძეგლებში აქა-იქ გვხვდება შემთხვევა, სადაც ”ი“ შენარჩუნებულია აღნიშნული ზმნის ფორმაში: მოსწრაფედ გრბიოდე ასპარეზსა მას ზედა ძლევისას (ახ.ქართ.ცხ.768). შეეშინდათ, დასამაღალად მორბიოდენ შამბთაყენა (დავით.362). ხელმწიფოსკე მირბიოდეს (რუსულ.33).

სხვა შემთხვევაში საშუალ ქართულში ”ი“ ყველგან დაკარგულია: ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს (ვეფხ.42). ლაშ-ქარნი რბოდეს მი და მო (ვეფხ.326). დაჭრილი პრბოდეს, ცხოველობა გაიმქისაროს (ბეს.291). ვინ ვის უსწრებდა, მორბოდეს, ვითა ვთქვა მათი მკობანი (ბეს.297). ყველაი შენთვის დაბრუნდა, თუ ვინ სად პრბოდა ქმენითა (ბეს.298). მთათა ზედა ქარი ქროდეს (ვისრ.193).

ეკოსიძე ამ ტიპის ფორმებში ”ოდ“-ის წინ ”ი“ სუფიქსის არსებობას იმით ხსნის, რომ ეს ”ი“ პირველადი კი არ არის, არამედ ”ევ“ სუფიქსის სახეცვლილებაა. ამდენად, მას ამ ზმნათა ფუძეშიც ვ (ევ) ელემენტის არსებობა დასაშვებად მიაჩნია: \*ქრევიდა→ ქრიოდა. მისი აზრით, ”რბის“ ზმნასაც შეიძლებოდა პქონოდა ვ (ვ) ელემენტიანი ვარიანტი. ამას კი აფიქტურინებს მიმღების ფორმა სარბიელ-ი. სა-რბიელ-სა-რბ-ევ-ელ. ეს ”ევ“ სუფიქსი გარდამავალ არბევს ზმნაშიც ჩანს.

ძველი ქართულისაგან განსხვავებით, საშუალ ქართულში რბის, ქრის... ტიპის ზმნებს სავრცობიან მწკრივებში ”ი“ დაკარგული აქვთ.

აწყობში – ”ი“ ნიშნიანი ზმნები მყოფადისა და ნამყო ძირითადის მწკრივს ”ი“- პრეფიქსით აწარმოებენ.

**მყოფადი:** ვიკენესებ, რომელ ქვა დაგაფშვნიტო (ვისრ. 227). შენ იყევე, მე ვიყივლებ და აშენდებაო (სიბრძ.სიცრ.29). შენი ტანი ღმერთ-სა წინაშე იჩივლებს (ვისრ.175).

**ნამყო ძირითადი:** გრიგალმან ქარმან იქროლა, შეპმუსრა სრულად მეფეო (ლექს.ამბ.8). დაიყვირა ვეშაპმან, აემართა ჩასანთქმელად (რუსულ. 57). ხანი გამოხდა და ცხენმა დაიხვივლა (რუსულ. 124). დიდი დაიძღავლა (სიბრძ.სიც.99). ხელმწიფება მრავალი იტირა (მეფ. სალ. 393). კიდევ იჩივლა და უური არ მიუგდო (მეფ.სალ.352). იწივლა მეორეცა, მესამეცა რომ იწივლა, მეტის შიშითა ხელმწიფისა შვილსა ასე ცნობა დაეკარგა (რუსულ.41). იყივლა ხმითა მაღლითა, ვით გული პქონდა სალისა (გაბ.500).

**ქრის, დის** ტიპის ზმნებთან მყოფადის წრესა და ნამყო-ძირითადში გამოჩნდება საწყისისეული სუფიქსები: ლ, ოლ, ენ, უნ, რადგან ნამყო ძირითადისა და მყოფადის წრის ფორმები ამავე ზმნის მას-დარის ფუძეს ემყარება, აწყობს წყებაში კი ზმნური ფუძეა გამოყენებული: ქრის-იქრ-ოლ-ებ-ს-იქრ-ოლ-ა; დის-იდ-ენ-ს-იდ-ინ-ა; წივის-იწივ-ლ-ებ-ს-იწივ-ლ-ა; ბდავის-იბდავ-ლ-ებ-ს-იბდავ-ლ-ა; ჩივის-იჩივ-ლ-ებ-ს-იჩივ-ლ-ა; ყივის-იყივ-ლ-ებ-ს-იყივ-ლ-ა; თრთის-ითრთ-ოლ-ებ-ს-ითრთ-ოლ-ა; ხტის-იხტ-უნ-ებ-ს-იხტ-უნ-ა; ჩხავის-იჩხავ-ლ-ებ-ს-იჩხავ-ლ-ა.

საწყისისეული სუფიქსები ლ, ენ, უნ, ოლ მედიოაქტიურ ფორმებში იმავე ფუძის მოქმედებითიდან მოდის. ა.შანიძე წერს: საწყისისეული სუფიქსები მოდის იმავე მოქმედებითიდან: აკივლებს, აქროლებს, ადენს, ახტუნებს. ამ ფორმების სავარაუდებელი სათავისო იქნება: \*იკივლებს, \*იქროლებს, \*იდენს, \*იხტუნებს, [შანიძე, 1953: 488].

ადსანიშნავია, რომ -ილ სუფიქსიანი საწყისის მოქმედებითისაგან მომდინარე ყველა მედიოაქტიური ფორმა არ ავლენს საწყისისეულ სუფიქსს. ”ლ“ არ ჩნდება - ”ილ“ საწყისიან იმ ზმნათა ფორმებში, რომდებიც აწმუოში უთემისნიშნო, მარტივფუძიანი არიან: დუღსიდუღებს (საწყისი: დუღილი); ქუხე-იქუხებს (საწყისი: ქუხილი); წუხე-იწუხებს (საწყისი: წუხილი). ესეც მედიოაქტიურ ზმნათა უდვლილების ერთ-ერთი თავისებურებაა.

ამრიგად, საშუალ ქართულ ში მედიოაქტიურ ზმნათა ”ი“ მწკრივის ნიშნიანი ფორმები არაა იმდენად გავრცელებული, როგორც -ობ სუფიქსიანი, თუმცა მაინც საკმაო რაოდენობის ფუძეები დასტურდება.

მედიოაქტიურ ზმნათა განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება აქცევა იმ ”ი“- თავსართს, რომელიც მყოფადისა და მეორე სერიის მწკრივის ფორმებში გამოვლინდება. ამასთან, ფორმათა წარმოების თვალსაზრისით მედიოაქტიური ზმნები ძველ ქართულ შივე არსებითად ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ. პირველი და მეორე სერიის ფორმათა დაპირისპირება ძველ ქართულ შიც ი- პრეფიქსის მიხედვით გვაქვს.

I სერია: **ჰგრძნობნ** ჭმასა ერისა მრავლისასა. კიმ. 1, 235, 12.

II სერია: **იგრძნის** გემოვ იგი მისი. უძვ. რედ. 73, 2.

I სერია: სამართლიანად **სდრტკნავ**. სწავ. 245, 21.

II სერია: **იდრტუინეს** დმრთისა. ფს. 77, 19.

I სერია: **გზრუნავ** დაგუმერილთა ზედა ნაშთობთაგან ხეთა მაღნარისა. გოდ. იქრ. 4, 9.

II სერია: რამთა მისებრივე იზრუნო. სწავ. 135, 7.

I სერია: ნუ სტირ ჩემთვეს. შუშ. 18, 10.

II სერია: **იტირა** ფრიად. ზარზმ. 116, 20.

ტირის-იტირა ტიპის დაპირისპირებაა საშუალსა და ახალ ქართულ სალიტერატურო ენაშიც. მედიოაქტიურ ზმნათა ”ი“- პრეფიქსიან წარმოებასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: ”შეიძლება ხმოვანი პრეფიქსი ი- თავიდანვე იყო ამ ზმნებში და დაიკარგა“ [ქავთარაძე, 1954: 274]. იმავეს იმეორებს ლ. ნოზაძეც. ის თვლის, რომ ქართული ენის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე, ძველისძველ ქართულ ში ი- პრეფიქსი საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამგვარ ზმნათა აწმუოს წრის ფორმებისათვისაც. უნდა გვქონოდა ერთგვარად ნაწარმოები ზმნური ფორმები დრო-კილოთა ორსავე ჯგუფში. განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს აწმუოსა და ნამყო მირითადის წევბაში მედიოაქტიურ ზმნებთან (დრტვინავს-იდრტვინა...) წარმოქმნილი უნდა იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე [ნოზაძე, 1974: 36]. უპრეფიქსო ფორმები აწმუოში შემდეგდროინდელია, მიღებულია პრეფიქსიანი ფორმებისაგან ხმოვნის დაკარგვის შემდეგ: ვაჭრობს ←ი-ვაჭრებს, ნამყო მირითადი: ი-ვაჭრა-ასკვნის მკვლევარი.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნიშანდობლივია სვანური ენის ლაშეური დიალექტის ჩვენება, სადაც დანარჩენ კილოთაგან რამდენადმე განსხვავებული ვთარებაა: როცა დანაკლისი ფორმების შევსება ხდება იმავე ფუძისაგან ნაწარმოები სათავისო ქცევის ფორმით, ლაშეურის მყოფად უსრულში ფუძეს წინ უძღვის ი-პრეფიქსი, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ან უნდა ყოფილიყო და დაიკარგა, ანდა ახლა ვთარდება სხვა კილოებთან ინტენსიური კონტაქტის შედეგად. მთქმელებს აქა-იქ წამოსცდებოდათ ხოლმე ი-პრეფიქსიანი ფორმაც [გაგუა, 1970: 227-228].

სხვა შეხედულებით, ქართველურ ენებში შეიძლება ი- ნიშანი გავრცელდეს სხვა გარდაუვალი ზმნების ფუძეებზედაც, განსაკუთრებით ახალ ქართულში. ახალ ქართულ ზმნებს იდგა, იჯდას შეესაბამება ძველი ქართულის დგა, ჯდა ფორმები. ი- აწმუოანი ზმნები, რომლებსაც ყოველთვის აქვს სათავისო ქცევის ნიშანი ”ი,” არ შეიძლება გაგებული იქნენ როგორც ისეთი უკუქვევითი ზმნები, რომლებიც გარდამავალი ზმნებიდან არიან წარმოშობილი (ვინანი, ვიღწვი, ვიცინი). მიჩნეულია, რომ ამ გარდაუვალი ზმნების სუბიექტური ხასიათი სრულიად აშკარაა და ამის საბუთია მედიალური ფლექსიების მქონე ინდოგერმანულის პარალელები. ის, რომ გარდაუვალი ზმნების ფუძეებზე ი- ნიშნის ფართო გავრცელება მხოლოდ მეორად პროცესს წარმოადგენს, უკვე იქიდან არის ცხადი, რომ ქართულ ენაში არც პირველად და არც -ენ-დ სუფიქსებით წარმოებულ პასივებს ი არა აქვთ [შმიდტი, 1972: 304-305].

რ.ენუქაშვილი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში რამდენიმე საშუალი გვარის ზმნაში ი- პრეფიქსი იშვიათად გამოვლინდება პირველი სერიის ფორმებშიც: ვიგალობდი, იგორვიდეს, ივაჭრობდენ... ეს ზმნები, ჩვეულებრივ, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში უპრეფიქსოდ იხმარებიან. ამგვარი მერყეობა სისტემის ჩამოყალიბების პროცესში არ უნდა იყოს გასაკვირი. იშვიათ შემთხვევაში ი- პრეფიქსის გამოვლენა ამ ზმნებში მედიოაქტიური სისტემის ჩამოყალიბების პროცესის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამ პროცესის დროს ი-პრეფიქსი იქაც იჩენს თავს, სადაც მას არაფერი ესაქმება. კერძოდ, I სერიაში. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შემდგომ, როცა ასპექტის გამოხატვის სისტემა შეიცვალა, ენაშ ამგვარი ფორმები მყოფადის წრეში გამოიყენა. ეს უნდა გვიჩვენებდეს, რომ მედიოაქტივის სისტემა ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემასთან ერთად ძველ ქართულში ყალიბდებოდა [ენუქაშვილი, 1973: 177-178].

ა.შანიძის აზრით, ნახესხები ფორმების ხმარება X საუკუნიდან დასტურდება [შანიძე, 1953: 498]. მედიოაქტივის სისტემის ჩამოყალიბებას რ. ენუქაშვილი ამავე პერიოდს უკავშირებს. მისი აზრით, მედიოაქტიური ფორმები წარმოშობით სათავისო ქცევის ფორმებია, რომელთაც არა აქვთ ობიექტი. ის იქვე აღნიშნავს, რომ ეს იმგვარად არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველა საშუალი გვარის ზმნის შესაბამის გარდამავალ ზმნას ჰქონდა სათავისო ქცევის ფორმები და ყველა მათ-

განმა დაკარგა, არამედ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სათავისო ქცევის ფორმები იშვიათად იხმარებოდა და როდესაც ასპექტის გამოხატვის სისტემაში ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა საშუალი გვარის ზმნათა მეორე სერიისა და შემდეგ მყოფადის წრის ფორმათა წარმოება, ენამ სწორედ ნაკლებად დასაქმებული ყალიბი გამოიყენა ამ მიზნით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მედიოაქტიური ზმნები მყოფადის წრეში ჩვეულებრივ -ებ თემის ნიშანს წარმოგვიდგენენ. იმ თემის ნიშანს, რომელიც გამოიყენება საშუალი გვარის ზმნათაგან მოქმედებითის წარმოებისას. თუ ეს დაშვება სწორია, მაშინ ადარ იქნება საჭირო ობიექტის დაკარგვის მიზეზთა ძებნა მედიოაქტიური ზმნის ფორმებში [ენუქაშვილი, 1973: 181].

ვფიქრობთ, რომ მედიოაქტიური ფორმები წარმოშობით ობიექტდა-კარგული სათავისო ქცევის ფორმებია. თუმცა ი-პრეფიქსის შესახებ მსჯელობა ინიანი ვნებითისა და სათავისო ქცევის ფორმათა გენე-ზისის საკითხესაც მოიცავს და ამდენად, სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს. ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ი-პრეფიქსი თავიდანვე არ უნდა ყოფილიყო მედიოაქტიურ ზმნათა აწმყოს ფორ-მებში. თუ ძველ ქართულში სპორადულად გამოვლინდება ის აწმყოს წებაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს მერყეობა თან სდევს სისტემის ჩამოყალიბებას. საშუალ ქართულში კი, ი-პრეფიქსი აწმყოს ფორ-მებში არა გვაქვს. თუ იყო და დაიკარგა, მაშინ არ არის ნათელი, რა ფონეტიკურ თუ გრამატიკულ პირობებს უნდა გამოეწვია მისი დაკარგვა. ძველ ქართულშივე ძირითადად ღრგვინავს-იდრტვინა წარმოებაა. ასეა საშუალსა და ახალ ქართულშიც.

სათანადო მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ საშუალ ქართულში მედიოაქტიურ ზმნათა უდვლილებაში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება არ დადასტურდა. ძირითადი განსხვავება სუფიქსებზე მოდის. საშუალი გვარის ზმნათა ფუნქსის გაფორმება ძველ ქართულში უფრო ნაირგვარი იყო: გვაქვს როგორც მარტივი ფუნქსი, ისე -ი; -ავ; -ევ; -ოვ; -ებ; -ობ; -ან; -ენ; -ამ სუფიქსებით გაფორმებული ზმნები [ენუქაშვილი, 1973: 139]. ძველი ქართულისაგან განსხვავებით საშუალ ქართულში მედიოაქტიურ ზმნათა ფუნქსები -ობ; -ებ; -ავ; -ი სუფიქსებით ფორმდება. ასევე გვაქვს მარტივფუნქსიანი ზმნებიც. თუმცა -ობ სუფიქსი უკვე მედიოაქტიურ ზმნათა ერთ-ერთი ძირითადი მაწარმოებელია. საშუალ ქართულში მარტივფუნქსიან და -ობ; -ებ; -ავ თემისნიშნიან მედიოაქტიურ ზმნებთან სავრცობიან მწკრივებში ”დ“ სუფიქსი გვხვდება: წვიმდა, წუხდა, ყეფდა, მეფოდა, ხელოვნობდა, მუტრი-ბობდა, მეზღაპრობდა, ღრიალებდა, რონინებდა, დაცანცარებდა, ბრუნევდა, ცურევდა. ხოლო - ”ოდ“ სავრცობი, მხოლოდ ი-სუფიქსიანებთანაა წარმოდგენილი: რბოდა, ქროდა, დიოდა.

## Elza Putkaradze

### Medioactive verbs with -o suffix in the Middle Georgian

#### Summary

The Middle Georgian is characterized with this respective mixed process. In transitive verbs with -o suffix are of the oldest formation and the etymology of the -o is the same as the marker of *Kholmeobiti* row (repetitious row). In regard of the Old Georgian a contradicting phenomenon is noticeable too. Suffix -o in the Middle Georgian occurs in the simple form of the Old Georgian: გირ-ო-ს (compare to the Old Georgian გირს). Although a form with suffix -o is supposed to be imperative for the Old Georgian. The Middle Georgian fact is supposed to be either a remainder of the old condition or an innovation.

In different with the Old Georgian რბის, ქრის types of verbs which belong to the Middle Georgian in the expansion row lost -o რბოდეს, ქროდეს (compare to the Old Georgian რბოდა, ქრიოდა, რბიოდეს, ქრიოდეს). Occasionally there are cases with the retained -o in the above mentioned verb form: ვრბიოდე, მორბიოდებ. We think that the lose of the suffix -o in the above mentioned expansion row rooted type of verbs should be secondary: ქრ-ო-ოდ-ა → ქრ-ოდ-ა; რბ-ო-ოდ-ა → რბ-ოდ-ა.

## Ельза Путкарадзе

### Медиоактивные глаголы с тематическим показателем о- в среднем грузинском

#### Резюме

Непереходные глаголы с суффиксом о- представляют старейшую формацию и по происхождению они являются показателем многократного ряда. Наблюдается и противоположное явление по отношению древнегрузинского. В среднем грузинском о- суффикс появляется в простых формах древнегрузинского: გირ-ო-ს (сравн. древний გირს). Хотя суффикс о- имелся в древнегрузинском. Этот факт среднего грузинского является или остатком прешествующей языковой формы или же инновацией.

В отличии от древнегрузинского, в среднем глаголы типа რბის, ქრის теряют о- რბოდეს, ქროდეს (ср. ст. რბოდა, ქროდა, რბიოდეს, ქრიოდეს). Кое-где встречаются случаи, где о- сохранен в отмеченной глагольной форме: ვრბიოდე, მორბიოდე... Думаем, что потеря суффикса о- в отмеченных глагольных типах должно быть вторичным: ქრ-ო-ოდ-ა, ქრ-ოდ-ა; რბ-ო-ოდ-ა, რბ-ოდ-ა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩილი, “გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული მწერლობა, ტ. VI, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1989, 879 გვ.
2. ი. ბაგრატიონი (ბატონიშვილი), “კალმასობა”, ქართული მწერლობა, ტ. VIII, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1990, 686 გვ.
3. ი. ბარათაშვილი, “ცხოვრება ანდერძი”, ქართული მწერლობა, ტ. VIII, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1990, 686 გვ.
4. ბერი ეგნატაშვილი, “ახალი ქართლის ცხოვრება”, ქართული მწერლობა, ტ. VI, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1989, 879 გვ.
5. ბ. გაბაშვილი, პოეზია, ქართული მწერლობა, ტ. VIII, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1990, 686 გვ.
6. პ. გაგუა, ერთი ტიპის დრონაკლი ზმნები სვანურში, იკე, XVII, “მეცნიერება”, თბ., 1970, 371 გვ.
7. თ. გამყრელიძე, გმაჭავარიანი, სონანტოა სისტემა და აბლაცტი ქართველურ ენებში, ”მეცნიერება”, თბ., 1965, 511 გვ.
8. დ. გურამიშვილი, “დავითიანი”, ქართული მწერლობა, ტ. VII, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 2989, 748 გვ.
9. რ. ენუქაშვილი, საშუალი გვარის საკითხისათვის ქართულში, ქვლს, თბ., 1973, №2. 235 გვ.
10. ფ. ერთეულიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1970, 359 გვ.
11. “ვირსამიანი”, ქართული მწერლობა, ტ. III, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1988, 492 გვ.
12. გ. მაჭავარიანი, უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში, ქესს, I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1959, 325 გვ.
13. ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, ”მეცნიერება”, თბ., 1974, 320 გვ.
14. ს.ს. ორბელიანი, “სიბრძნე—სიცრუისა”, ქართული მწერლობა, ტ. VII, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1989, 748 გვ.
15. ს.ს. ორბელიანი, ”მოგზაურობა ევროპაში”, ქართული მწერლობა, ტ. VII, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1989, 748 გვ.
16. გ. ოსიძე, ერთი ტიპის ზმნათა აწმოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში, ქესს, ტ. III, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963, 287 გვ.
17. შ. რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, გამომცემლობა “მერანი”, თბ., 1992, 413 გვ.
18. რუსთაველის მიმბამველნი, ქართული მწერლობა, ტ. V, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1988, 830 გვ.
19. უცნობი ავტორი, “რუსულანიანი”, ქართული მწერლობა, ტ. VI, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1989, 879 გვ.
20. უცნობი მთარგმნელი, ”მეფეთა სალარო”, ქართული მწერლობა, ტ. V, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1989, 830 გვ.
21. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1954, 356 გვ.
22. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1953, 672 გვ.

23. ქ. შმიდტი, ინდოგერმანულის მედიუმი და სათავსო ქვევა ქართულში, მიმომხილველი (სამეცნიერო ბიბლიოგრაფიული კრებული), 6–9, თბ., 1972.
24. ჩახრუხაძე, “თამარიანი”, ქართული მწერლობა, ტ. III, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1988, 492 გვ.
25. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ—კავკასიურ ენებში, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961, 169 გვ.
26. არნ. ჩიქობავა, ჭანურ—მეგრულ—ქართული შედარებითი დექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1936, 508 გვ.
27. ბ. ციციშვილი, “შვიდი მთიები”, ქართული მწერლობა, ტ. V, გამომცემლობა “ნაკადული”, თბ., 1988, 830 გვ.
28. ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 486 გვ.
29. Г. Климов, Этимологический словарь Картвельских языков, М., 1964, 306 стр.

## ნარგიზ ახვლედიანი

### სიტყვათშემორჩილი ნაწარმოები ზანური ჭოარნიშვილის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

თხზული სახელის შედგენა (კომპოზიცია) ქართულში უმთავრესად ხდება ერთი და იმავე ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით. გეოგრაფიულ სახელთა თხზვა ძირითადად ქმორჩილება ისეთივე წესს, როგორიც დამახასიათებელია საზოგადო სახელებისათვის. ჩვეულებრივი წარმოების სახელებთან შედარებით კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში, სადაც მთელი შესიტყვება გვაქვს, უკეთ ჩანს ამათუ იმ პუნქტის ტერიტორიული დახასიათება, დასახლებისა თუ წარმოშობის სიძელე-სიახლე. ასეთი ტიპის სახელებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ტოპონიმიაში.

თხზულ სახელს (კომპოზიტს) სხვანაირად რთულს უწოდებენ. სახელურფუძიანი თხზული (რთული) ტოპონიმები მიღებულია სიტყვათშეერთებით და შედგება მხოლოდ სახელური კომპონენტებისაგან, გამოხატავს საგანს, კუთვნილებას.

სიტყვათშეერთების ნაშრომში შემდეგი ძირითადი ჯგუფები გამოიყოფა:

#### I არსებითი სახელი + არსებითი სახელი

არსებობს შეთანხმება სახელსა და სახელს შორის ბრუნვაში. მათანხმებელი, ჩვეულებრივ, არსებითი სახელია (საზღვრული), შეთანხმებული კი ზედსართავი სახელი ან ზედსართავის მნიშვნელობით (მსაზღვრელად) გამოყენებული ნებისმიერი სახელი.

ა) მსაზღვრელ-საზღვრული ორივე სახელობით ბრუნვაშია:

**ქოჩი ღელე** – სოფ. ინწყირვეთი, შუახევის რ-ნი, ბსკიდა, 1959: 167)

**ჩამური ღელე** – ღელე (სოფ. კეჭიეთი, ქობულეთის რ-ნი)

ბ) ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი და ნომინატიური საზღვრული მხოლობით რიცხვში:

**ბუძგის მეჭელე** – უბანი (სოფ. აჭარისწყალი, ხელვაჩაურის რ-ნი)

**ოთოლთის ღელე** – ღელე (სოფ. ტაკიძეები, შუახევის რ-ნი)

**ონტოვოს ღელე** – ღელე უერთდება სიმონეთლელეს (ხელვაჩაურის რ-ნი).

**ოჭყვადურის წყარო** – წყარო (სოფ. ჩაისუბანი, ქობულეთის რ-ნი)

გ) გვაქვს სიტყვათა ისეთი დაქვემდებარებაც, როცა ერთი სიტყვა მეორისაგან მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც მას მოცემულ შემთხვევაში არა აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია:

**ოხორა (ოხორაშ) ღელვა – ღელვა (სოფ. კვატია, ხულოს რ-ნი)**

**პაპახო (პაპაშ ახო) – სიმინდი, საყანე ადგილი (ოლადაურის ს/ს, შუახევის რ-ნი.)**

**სინასგურა – ღელვა, ღელვას შენაკადი (სოფ. ბობოყვათი, ქობულეთის რ-ნი).**

### **II. არსებითი სახელი+ზედსართავის სახელი**

სახელობით ბრუნვაში ღასმული საზღვრული (ფუძეშეკვეცილი) და ასევე ნომინატიური მსაზღვრელი მხოლობით რიცხვში. წყობა პრეპოზიციურია:

**კორეჭი – საძოვარი (ოლადაურის ს/ს, შუახევის რ-ნი). შდრ.: რეჭიში გვალა- მთაა სამურზაყანოში (ჭარაია; 1997 : 116)**

### **III. ზედსართავი სახელი+არსებითი სახელი**

**ტრინკა სერი – ტყე (სოფ. ტბეთი, შუახევის რ-ნი),**

**დურჭა ღელვა – ღელვა (სოფ. ვაშლოვანი, ხულოს რ-ნი).**

ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმთა სემანტიკური კლასიფიკაციისას ანგარიში უნდა გაეწიოს სწორედ ტოპონიმის მნიშვნელობას – რას აღნიშნავს ტოპონიმი. ტოპონიმის მნიშვნელობა ობიექტზე მითითებაში მდგომარეობს. უმეტეს შემთხვევაში იმის ჩვენება, თუ რას აღნიშნავს ტოპონიმი, ნათელყოფს მოტივს, რომელმაც შეაპირობა ამა თუ იმ ტოპონიმის არჩევანი.

ქვემოთ წარმოგიდგენთ სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ზანური ტოპონიმების სემანტიკურ ანალიზს:

**ბუძის მეჭელვა – აჭარისწყალი (ს. მახო, ხელვაჩაურის რ-ნი).** „ბუძგა“, როგორც ჩანს, წარმოადგენს „ბარძგ“ ძირის მეგრულ ვარიანტს (ქართ. ბარძგ მეგრ. ბორძგ ბუძგ-), რომელიც გურულში და აჭარულშიც ზანიზმი უნდა იყოს. ბუძგი – ბუსუსი, გინგლი (ჯაგარი – ოქმა) (ყიფშიძე, 1994: 204). „ბაძგი“ (გურ.) – ეკლიანი მცენარე, შქერის მსგავსი ეკლისფოთლებიანი ხე (აჭარ.). „ბარძგ“ – (იმერ.) – ეკლიანი მცენარე (დლონტი, 1984: 60). ბუძგი – „პატარა ზღარბი“ (საბა) და „ბუძგურ“ – ეკლით დაბარდული (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 46). რაც შეეხება ამ ტოპონიმის ეტიოლოგიას, იგი ანთროპონიმულ ტოპონიმად გვესახება და ვინმე „ბუძგი“-ს კუთვნილი ტერიტორია, უბანი შეიძლება ყოფილიყო. შესაძლოა, „ბუძგი“, გადატანითი მნიშვნელობით, ვინმე ჯაგარ (ზღარბისმაგვარ) თმიანი პიროვნების მეტსახელი იყოს, ხოლო ტოპონიმის მეორე ნაწილი (მეჭელვა) – უბანს ნიშნავს (აქვს სოფლის მნიშვნელობაც). ლაზურში „მეჭელვა“ – თურქულიდან შემოსული ჩანს. მაშასადამე, ტოპონიმი „ბუძგის მეჭელვა“ ზანური ანთროპონიმული გეოგრაფიული სახელია.

**კორეჭი – საძოვარი (ოლადაურის ს/ს., შუახევის რ-ნი).** ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამად მას „გორ“-ს უწოდებს. თავდაპირვე-

ლი სახელწოდება თითქმის დავიწყებას ეძღვევა. ამ ტოპონიმს თუ კომპოზიტად მივიჩნევთ, მაშინ იგი შეიძლება ასე დაიშალოს: კო-რეჭი. „რეჭი“ – პ. ჭარაიას ასე აქვს განმარტებული: „რეჭი“ – რიც; ქუალონი ადგილი (ჭარაია, 1997: 116, შდრ.: „რეჭიში გვალა“ – მთაა სამურზაყანოში, რომელიც ქვითაა მოფენილი. ცხენის საბალახო თითქმის სულ არ არის ამ მთაზე, მხოლოდ თხა-ცხვარი შეიძლება მოაძოვონ. ამავე რაიონში ხშირია ქვასთან დაკავშირებული ტოპონიმები. ასე მაგალითად, „კენჭნარა“ – უბანი (მაწყვალთა), „კენჭიანი“ – მთაა ჩირუხეში. „კენჭნარი“ – ფერდობი (ტუნაძები), „კენჭიანი სერი“ – საძოვარი (ხიხაძირი, ხულოს რ-ნი). ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა თავდაპირელად გვქონოდა „გორა რეჭი“, სადაც მოხდა პაპლოლოგია, დაიკარგა ბერები: გორა რეჭი → გორეჭი. პაპლოლოგიის კვალი შესამჩნევია, როგორც ქართულ ში, ასევე მეგრულ ში. მაგალითად: მთავარანგელოზი → თარანგელოზი → თარანგელო, სუროვანდი → სურანდი, ხელეხო → ხეხო, პიჯიშ ოქოსალი → პიშქოსალი (პირსახოცი), ჯინჯი რეხ → ჯირეხ (უცუნა, იხ. ცხადაია, 1998: 105). შემდეგ კი მკვეთრმა „ჭ“-მ დაბერუა მეგრერი „გ“ (გ კ ასიმილაცია), რის შედეგადც მივიღეთ: გორეჭი → კორეჭი. რაც შეეხება ტოპონიმ „კორეჭი“-ს ეტიოლოგიას, საფიქრებელია, რომ აქ ყოფილა გორა ქვებით მოფენილი, ქვიანი მთა (გორი).

**ტრინკა სერი – ტყე.** ტრინკა" – წიხლია, საქონელი, რომელმაც წიხლვა, წიხლის ქნევა იცის. „ძროხა ტრინკვა, მწრიხლავი რომაა, რქეს დაგიქცევს" (ბსკიდა, საქმე №4, გვ. 92); „ხოგი ძროხა ტრინკად“ (ბსკიდა, საქმე №6, გვ. 145). „ტრინკვა“ – (ტრიკა)-ში გამოიყოფა „ტრინკ“ ფუძე, რომელიც ლაზური „ტრიკ“-ის ეკვივალენტური უნდა იყოს. ლაზურში „ტრიკი“ ნიშნავს წიხლს, ფეხს მენჯის სახსრამდე, ხოლო „ოტრიკუ“ (ო-ტრიკუ) – წიხლვას, წიხლის ქნევას, „მტრიკუა“ (მ-ტრიკ-უ-ა) – წიხლიას. წიხლის მნიშვნელობით „ტრიკ“ ფუძე მეგრულ ში არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს „ტიკუა“ || „ტირკუა“ – სიოთხეში ხელის ან ფეხის ჩაკვრა: „ხე (კითი) ქოტირკუ“ – ხელი (თითი) ჩაკრა (შდრ.: გურ. „ტიკუ“ – თავში ჩარტქმა, ეღენტი, 1936: 227). მეგრულ ში გვაქვს: „ტირკონუა“ – უკან მოუხედავად გაქცევა (ყიფშიძე, 1994: 328); „ტირკონი“ – სირბილი (თანდილავა, ნარაკიძე, 1986: 103-104). გადატანითი მნიშვნელობით, მუცლიან ადამიანს დაცინვით ეძახიან გატრენკილს, გაბენძლილს („უყრე ერთი გატრენკილს, ქალი მუჟუვანია“). ორსულ ქალზეც იციან თქმა აგდებით: „გატრენკილია, გაბენძლილია“. „ტრეგა“, „გატრენგა“ აღნიშნავს აგრევე საკვების უზომოდ მიცემას, მიძალებას: „არ უნდა ჭუჭულებს ტრენგა“ (ბსკიდა, 1981: 23). სალიტერატურო ქართულსა და მის სხვა დიალექტებში, გარდა აჭარულისა და გურულისა, ფუძე „ტრიკ“ არ ჩანს. ეს უკანასკნელი თავისი ფონეტიკური სახესხვაობით (ტრიკ, ტირკ) ზანური წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ. აჭარულ ში (ტრინკა) ფუძეში „ნ“ განვითარებულია. რაც შეეხება ტოპონიმ „ტრინკა სერ“-ის ეტიოლოგიას, შესაძლოა, ეს სერი (ფერდობი) მარ-

თლაც „გატრენკილი“ გამობურცული, ამობერილი, ამოზნექილი იყოს. თავად „სერი“-ც მიგვანიშნებს, რომ იგი ერთგვარ შეფერდებაზეა, ან იქნებ, იგი ანთროპონიმული სახელი „ტრიკა“-დან მომდინარეობდეს (შესაძლებელია თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობის გადაწევა), მაშინ ეს ადგილი ვინმე „ტრიკა“-ს კუთვნილი ტერიტორია უნდა ყოფილიყო (შდრ. გვარი ტრიკაბე).

**პაპახო** – სიმინდი, საყანე ადგილი (ოლადაურის ს.ს., შუახევის რ-ნი). ადგილობრივი ინფორმატორის მიხეილ ფუტკარაძის ცნობით, „ვიღაც ერთი მოხუცი იყო და სიმინდი მოყავდა“. ქართული „პაპ“ – პაპ-ი // „პაპა“, მეგრ „პაპ“ – „პაპ“-უ // „პაპა“, ლაზ. „პაპ“, „პაპული“ (კლიმოვი, 1964: 152; ფერიხი, სარჯველაძე, 1990: 246). მეგრულში პაპა მდღვდლის, ხუცესის მნიშვნელობით გვხვდება. „პაპა“ – მდვდელი, ხუცესი (ჭარაია, 1997: 122; ყიფშიძე, 1994: 501). უ-პაპური ქიყანა ანუ უმდვდლო ქვეყანა. პაპანწყური // პაპანწყუალა (დაქცევა;, დანგრევა) – ტბა ან ადგილი არის ხეთაში (ზუგდიდი რ-ნი). „პაპანწყუ“-„პანწყუ“ – ნამეწყრი ფერდობი ს. ციზეთსა და ს. საშურდაიოში (ცხადაია, 1998: 106). ლეგენდა მოგვითხრობს: ერთ მდვდელს გლეხები ნადში ეხმარებოდნენ (ნოდი უნდუ). მდვდელმა საღამოს, ჩვეულებისამებრ, უმასპინძლა გლეხებს, მაგრამ ცხვრის ნაცვლად მათ ძალლი შეუწვა. გლეხებმა ყოველგარი ეჭვის გარეშე შეჭამეს იგი, მაგრამ მდვდელი ასეთი უმსგავსი საქციელისათვის მწარედ დაისაჯა. გლეხების წასვლის შემდეგ მდვდელი მთელი თავისი კარ-მიდამოთი გადაიხეხა უფსერულში და იმ ადგილას წარმოიშვა ტბა. ამ შემთხვევის გამო ადგილმა მიიღო სახელწოდება პაპანწყვილი თუ პაპანწყური (მდვდელი დაქცეული) (ყიფშიძე, 1994: 501). აჭარაში (ორთაბათუმი) არის ტოპონიმი „პაპაშლავა“. ადგილობრივი ინფორმატორის ჟუჟუნა ქიქავას ცნობით, ამ ადგილას მორევია (საშიში ადგილია), ხშირი ყოფილა უბედური შემთხვევა (წყალმა იცის ჩახვევა, ჩათრევა). აქვე თამარის ციხის ნანგრევებია დღემდე შემორჩენილი". მსგავსი შინაარსისეული დატვირთვის ტოპონიმები ხშირია აჭარულში, რომელიც დაცევა, დანგრევა, გაწყდომასთანაა დაკავშირებული: „ოჭვადური“, „ვერნები“. „სოფლის ზემოთ მთაზე ყოფილა მოზრდილი ტბა, რომელიც „გამსკდარა“, მთაც მოხეთქილა და სოფელი „ტბილეული“ წაულებაგა. ამის შემდეგ ამ ადგილს „ვერნები“ (ე. ი. გავერანებული) დარქმევია (თანდილავა, 1978: 2). შუახევის რაიონში დადასტურებულია ტოპონიმები: პაპაჭალა – სახნავი (ტომაშეთი), პაპაყანა – საყანე (ფუშრუკაული, შუახევის რ-ნი, იხ. ქამადაძე, 1992: 126).

რაც შეეხება კომპოზიტის მეორე ნაწილს – ახო, დასავლეთ საქართველოში წარმოებულმა ეთნოგრაფიულმა კვლევამ გამოავლინა ახოობის (მიწათმოქმედების უძველესი სისტემის) არაერთი მეთოდი. თოხით მიწათმოქმედება (ახოობა) დასავლეთ საქართველოს მთაგორიან რაიონებს შემორჩათ. ამ რეგიონის მთის სოფლები გამოირჩევა არამარტო მაღალი მდებარეობით, არამედ მთის ფერდობების დიდი

დაქანებით, რელიეფის ძლიერი დასერილობით, მაღალი ტენიანობით. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში მცირებიშიანობის გამო გლეხები იძულებული იყვნენ სახნავ-სათეხად ტყის მიწები გამოეყენებინათ. ტყე გაეჩეხათ, მოეწვათ და ციცაბო ფერდობებზე ეთესათ. ეს იყო ახოს მიწათმოქმედება. 3-4 წლის შემდეგ როგორც კი მიწის ნაყოფიერება დაეცემოდა ძველ ადგილს მიატოვებდნენ და სხვა ადგილზე გაკაფავდნენ ტყეს. ძველ ნაყანებს კი 15-25 წლის შემდეგ მიუბრუნდებოდნენ (ჩიჯავაძე, 1976: 7-8-9). რაც შეეხება ტოპონიმ „პაპახო“-ს ეტიოლოგიას, იგი შეიძლება მდვდლის (სახნავ-სათესს) სამიწათმოქმედო ადგილს, ტერიტორიას აღნიშნავდა.

**ოთოლთის დელე | ოთოლთა დელე – დელე** (სოფ. ტაკიძეებსა და ცივაძეებს შორის). ადგილობრივი ინფორმატორების მიქაელ ბერიძისა და ალექსანდრე ცივაძის ზეპირი გადმოცემით, სოფელ ტაკიძეების ძველი სახელწოდება „ოთოლთა“ ყოფილა, რომელიც უკვე დავიწყებულია და ახლანდელ მოსახლეობას აღარც კი ახსოვს. ოთოლთი – მეგრულში (თოლუა) – სათლელ-ს ნიშანას (ჭარაია, 1997: 107). გომის მთაზე, შუახევის რაიონში ინფორმატორმა ენვერ ბერიძემ ასეთი ლეგენდაც გვიამბო: „ძველად, თამარის მეფობის დროს, დანდალოს ხიდს აშენებდნენ და ხიდის ასაშენებლად იმ არემარეში შესაფერისი ქვა ვერ იპოვეს და ბოლოს სოფ. ოთოლთადან (ახლ. სოფ. ტაკიძეები) ხელიდან ხელში გადაცემით ჩამოუზიდავთ ქვები, რომლებიც ბუნებრივად თლილი ყოფილა. ოთოლთის დელეს მიდამოებში დღესაც კი ხიდები ბუნებრივად გათლილი ქვებით არის აგებული.

**ონტოფოს დელე – დელე უერთდება** სიმონეთლელეს (ხელვაჩაურის რ-ნი). ო- ზანური მაწარმოებელია. „ტოფ“- ძირი ლაზურში უკავშირდება თევზის ქვირითობის პერიოდს: ტოფობა – „ქვირითის ყრა“ – ო-ნ-ტოფ-ო – „ადგილი, სადაც თევზი ქვირითს ყრის“. ონტოფო – სოფლის და მდინარის სახელწოდებაა აბაშის რაიონში (გ. ოფურია, 1998: 159-162).

**ოჭყვადურის წყარო – წყარო** ოჭყვადურში (სოფ. ჩაისუბანი, ქობულეთის რ-ნი). ამ ჰიდრონიმის პირველი ნაწილი განხილული გვაქვს ზემოთ (ზანური ტოპონიმების სტრუქტურაში).

**ოხორალელე – დელე** (სოფ. კვატია, ხულოს რ-ნი). ამ ჰიდრონიმის ფუძეა ჭანური „ოხორ“ – სახლი, სამოსახლო. სიტყვასიტყვით გვექნება „სახლის დელე“, „სამოსახლოს დელე“.

**სინასკურა – დელე, დეხვას შენაკადი** (სოფ. ბობოყვათი, ქობულეთის რ-ნი). სქური || სკური ზანური სიტყვაა, რომელიც, უმჭველია, არც თუ ისე შორეულ წარსულშიც კი ცოცხალ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ჯერ ერთი, სამეგრელოში სამ ათეულზე მეტ გუოგრაფიულ სახელში ჩანს იგი; მეორეც, არაიშვიათად დასტურდება სწორედ ზანურის უწინდელი გავრცელების არეალში – ქვ. იმერეთში, გურიაში, აჭარაში. პედაგოგ ომარ ხუხუას აზრით, სკური

იგივეა, რაც სკირი „ნაშობი, დაბადებული", ე. ი. წყარო, რომელიც მიწიდან იბადება, იშობა; სქუალი – შობა, კერცხის დადება (ცხადია, 1999: 100). სკურ || სქურ – აღნიშნავს რუს, წყაროს, პატარა მდინარეს. სკურ || სქურ ძირიანი ჰიდრონიმები უხვად გვხვდება სამეგრელოს ჰიდრონიმიაში: სკურდი – მდინარე (ლებაძამე), სკურდილა – დელე (ობუჯი), სკურდლალი – დელე გაჭედილი; სკურე – მდინარე (ნოსირი), სკური – წყარო (აბასთუმანი, ზუგდიდის რ-ნი); სკურჩა – მდინარე (ჩხოროწყუს რ-ნი), დელე (თაია, ლესიჭინე, ხამისკური) და ა. შ. (ცხადია, 1999: 101). სკურდიდი დასტურდება მაჭაბლის ხეობაში, მდინარე (კახიძე, 1966: 118). სკური || სკურის მდინარე – ყოროლის წყლის მარცხენა შენაკადი. ყოროლისწყლის ხეობაში სამ სხვადასხვა მდინარეს ჰქვია სკური (ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. წინსვლა, აგარა, ქვედა ყოროლისთვი), სკურდაის დელე – დელე, მდ. კინტრიშის მარცხენა შენაკადი (სოფ. ქობულეთი), სკურდიდა || სკურდიდაი – დელე (სოფ. ხალა, ქობულეთის რ-ნი); სკურქუბა || სკურიქუბა – მდინარე ბარცხანის დასახლებაში (კუკულაძე, 1981: 52).

სინასქური – მდ. ზ. მაზანდარაში იწყება და ჭანისწყალს ერთვის მარჯვნიდან. სკური || სქური აღნიშნავს ტყიან წყაროებიან (ან მდინარიან) ხეობას, ფართო ხევს და, მასაშადამე, გეოგრაფიული, კერძოდ კი – ლანდშაფტურ-ოროგრაფიული ჰიდროგრაფიული ტერმინია. ტოპონიმ სინასკურას პირველი ნაწილი „სინა" ანთროპონიმული წარმომავლობის უნდა იყოს.

**ქოჩი დელე** – სოფ. ინწკირვეთი, შუახევის რ-ნი, ბსკიდა, 1959: 167.

ქვირითობის დროს თევზები დიდ ჯგუფად ერთიანდებიან და მათი მოძრაობა წყალში განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება. თევზების ასეთ ჯგუფს ან ჯგუფურ მოძრაობას ქოჩი ეწოდება (მაჭაბლის ხეობა), ხოლო ამ პერიოდს – ქოჩობა. ინფორმატორთა ცნობით, „ქოჩი" მდინარის თევზის ერთ-ერთი სახეობაცაა. მდინარის თევზის აღმიშვნელად „ქოჩი" სამეცნიერო დასტურდება „ქოჩო"-ს სახით.

ქვირითობის პერიოდში თევზების ჯგუფის თუ ჯგუფური მოძრაობის მნიშვნელობით აჭარული „ქოჩი"-ს შესაბამისად მეგრულსა და გურულში გავაქვს ტობი || ტოფი, ხოლო ტობობა || ტობაობა || ტოფობა – ქვირითის დაყრას, ქვირითობის პერიოდს ნიშნავს (ქეგლ, 1960: 6).

ტობი || ტოფი დასავლეთ საქართველოს ზოგ კუთხეში, ისე როგორც აჭარულში „ქოჩი", მდინარის თევზის სახელწოდებადაც გვხვდება. იონა მეუნარგია პალიასტომის თევზებში ასახელებს ტოფს. ოჩამჩირესთან ერთ პატარა მდინარეს ჰქვია „ოტოფი", რაც ტოფით მდიდარ მდინარეს ნიშნავს.

**ღურჭა დელე** – დელე (სოფ. ვაშლოვანი, ხულოს რ-ნი). „ღურჭული" – სმა; „მაღირჭალი" – მყვირალა, შდრ.: ჭურჭკული, ღირთაფი – ღირთუა – ხმამაღალი ყვირილი (ყიფშიძე, 1994: 354-355), „ღურჭა" –

მეგრულში ხმაურით რისამე დალევას ნიშნავს, რ. შეროზიას ზეპირი ინფორმაციით. რაც შეეხება პიდრონიმ „ღურჭა ღელე“-ს ეტიოლოგიას, შესაძლოა, ზემოთ აღნიშნულ (ღელეში) მდინარეში წყალი ხმაურით (კვირილით) მიედინებოდა და ხმაურიანი ადგილი იყო. მთიანი რელიეფის მდინარეებისა და მათი მონაკვეთების სახელწოდებებში ჩვეულებრივია ლექსემები, რომლებიც გამოხატავენ წყლის მეტად ან ნაკლებად ჩქარ, ხმაურიან დინებას (გრიალი, გრვინვა, დგაფუნი, ჩქაფუნი, ჩქეფა, შხეფება, შხუილი, ხუილი, ჩხრიალი, ჩუხუხები, ჩანჩქარი, წკანწკარი, კარკარი, რიკრიკი, კურკური (ცხადაია, 1999:111).

**ჩამური ღელე – ღელე** (სოფ. კეჭიეთი, ქობულეთის რ-ნი). ამ პიდრონიმის შესახებ იხ. ზემოთ „ნაჩამურები“. **ნაჩამურები** – სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. ოლადაური, შუახევის რ-ნი). „ოჩამური“ – ღომის საცეხვი (მარი, 1910: 75; ჩიქობავა, 1938: 165-166; ჭარაია, 1997: 155; ელიავა, 1997: 345; ყიფშიძე, 1994: 566; ღლონტი, 1984: 644; ქლენტი, 1936: 253). ჩამური არ არის მითოებული არც პ. წერეთლის ზემოიმერულ ლექსიკონში, არც გ. შარაშიძის გურულ ლექსიკონსა და მ. ალავიძის ლექსუმურ ლექსიკონში, რომელიც 1938 წელსაა გამოქვეწებული. „უწინ ბევრს ქონდა ჩამური, ვცეხვავდით ღომს, ბრინჯა“ (თანდილავა, ნარაკიძე, 1986: 105). ჩამური გვხვდება ქვემოაჭარულ კილოკავში, ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის მკვიდრთა მეტყველებაში. შუახევის რაიონში ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ხისგან დამზადებული დიდი საცეხვები, რომლებშიც ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ღომს, ბრინჯა ცეხვავენ. მათ საცეხვებს უწლებენ და არა ჩამურს, მაგრამ ამავე რაიონში არის ტოპონიმი: „ნაჩამურები“. „ნა-ებ“ და „ნა-ევ“ ფორმანტით ნაწარმოები სახელწოდები სემანტიკურად ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან, კერძოდ, გამოხატავენ წინა ვითარებას.

სამეგრელოში დასტურდება შემდეგი ტოპონიმები: ქვაჩამური, ჩამურონი (ელიავა, 1977: 169-175). ზანური „ონჩამურე“ კანონზომიერი შესატყვისია ქართული „საცემარისა“ (ჩიქობავა, 1938: 166). „ჩამური“ აჭარულ დიალექტში გამოიყოფა შემდეგ ტოპონიმებშიც: სხალჩამურა“ (ჩაქვი, ჩაისუბანი, ბსკიდა, 1985: 49) და ღომიჩამური – სოფლის უბანი, სოფელ ჩაისუბანში, დაბლობი (ბსკიდა, 542: 28).

ანალოგიური წარმოების მაგალითების დასახელება შეიძლება საქართველოს სხვა რეგიონების ტოპონიმიდანაც, მაგ.: „ნა-ფარებ-ებ-ი“ (ლექსუმი), „ნა-ბოგირ-ებ-ი“, „ნა-მარნ-ებ-ი“, „ნა-სოფლ-ებ-ი“, „ნა-ლობი-ებ-ი“ (წყალტუბოს რ-ნი).

შენიშნულია, რომ წინა ვითარების სახელების საწარმოებელი -ევ სუფიქსის ნაცვლად გამოყენებული „ებ“ მიმღეობის ფორმებიდან მომდინარეობს. ამის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია ვნებითი გვარის ნამეო დროის „ნა“- პრეფიქსიანი მიმღეობებისა და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოებები (ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის, 1961, 151).

**Nargis Akhvlediani**

## **The Structural- Semantic Analysis of Zanian Toponymy, Formed by the Means of the Word-combination**

### **Summary**

In the article it is submitted the structural - semantic analysis of Zanian geographic names formed by the means of the word-combination. In the result of the structural analysis it was determined two events of the word-combination: the grammatical agreement and the adjoining. Concerning sementical analysis there are discussing some of the examples. For example – Budzgis mekhele (Budzgi plot), Trinkaseri, Papakho, Otolta gele (river Otolta ),Ontopo gele (river Ontopo), Ochkvaduris tskaro (the spring Ochkvaduri), Okhora gele, Kochi gele, Gurcha gele.

The part of the geographical names are formed by the means of the word-combination of the Zanian origin and the other part-Georgian origin: Kochi gele, Okhora gele, Gurcha gele and so on. There are toponimies of the hybrid formation: Budzgis mekhele, where the first part is of Zanian origin and the second part of Turkish origin( mekhele- district).

### **Наргиз ахвlediani**

## **Структурно – семантический анализ занских топонимов, Образованных способом словосложения**

### **Резюме**

В работе представлен структурно-семантический анализ занских географических имён, образованных способом словосложения. В результате структурного анализа зафиксировано два случая словосложения: согласование и примыкание. Что же касается семантического анализа, то рассматриваются только некоторые из них. Так, например: Будзгис мехеле (Будзгский участок), Тринкасери, Папахо, Отлта геле (речка Отлта), Онтопо геле (речка Онтопо), Очквадурис цкаро (родник Очквадури), Охора геле, Кохи геле, Гурча геле.

Одна часть географических имён, образованных способом словосложения, занского происхождения, другая же – грузинского: **Кочи геле, Охора геле, Гурча геле** и др.

Есть топоним гибридного образования: **Будзгис мехеле**, в котором первая часть занская, а вторая – турецкая («мехеле» - участок).

## დამოწმებული დიტერატურა

1. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი, ბათუმი, 1959, 1981, 1985.
2. გ. ელიავა, აბაშისა და გეგმჭერის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977.
3. გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), თბ., 1997.
4. თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, “ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები”, №2, თბ., 1961, გვ.127–159.
5. ზ. თანდილავა, ლეგენდა სოფელ ვერნებზე. საქართველოს მეცნიერებათა აპალემის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1978, თბილისი.
6. ზ. თანდილავა, ც. ნარაყიძე, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, №5, ბათ., 1986.
7. გ. თოფურია, ონტოფოს ეტიმოლოგიისათვის. “ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები”, №7, თბ., 1998, გვ. 159–163.
8. 6. კახიძე, მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე, ქ. “მაცნე”, №1, თბ., 1966, გვ. 96–119.
9. თ. კუპულაძე, დეხვას ხეობის ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათ., 1981, გვ. 47–55.
10. Mapp H.J., Грамматика чанского языка с хрестоматией и словарем. М., 1910.
11. პ. ფეხნიძე, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1990, თბილისი.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1,1990, თბილისი.
13. ალ-დლონგი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
14. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, 1994, თბილისი.
15. 6. ჩიჯავაძე, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ბათ., 1976 (111 გვ.).
16. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
17. პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985.
18. პ. ცხადაია, მიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, თბ., 1999.
19. პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

## ციალა ნარაკიძე

### მეფუტკრეობის ლექსიპიდან ლაზურში

მეფუტკრეობას ლაზთა სამეურნეო ყოფაში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი აღგილი ეჭირა. ამაზე მიუთითებენ როგორც უცხოური, ისე ქართული წერილობითი წყაროები.

ტრაპიზონის მიდამოებში ყოფნისას ქსენოფონტეს ყურადღება მიიქცია სკების დიდმა რაოდენობამ, რომელთა თაფლმა გრძნობა წაართვა მის მეომრებს (Ксенофонт, 1951:20).

მოგვეპოვება აგრეთვე პლინიუსის ცნობა ჭანების შესახებ (I ს. ჩ. ၅). ლაზები რომაელებს ხარქს ცვილის სახით უხდიდნენ, რადგანაც თაფლით ვაჭრობას არ აწარმოებდნენ მისი „დამღუპველი თვისებების გამო“ (Латишев, 1949:312).

მეფუტკრეობის ასეთ განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე, ხელი შეუწყო მეტად ხელსაყრელმა პირობებმა: თაფლოვან მცენარეთა სიუხვემ, ადგილობრივი ჯიშის ფუტკრის არაჩვეულებრივმა ნაყოფიურებამ და გამძლეობამ. ამ თვისებათა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფუტკრის ხორთუმის სიგრძეს.

„ჩქინი ველი ბუტკუჯის ღენჯგილი გინძე უღუნ, ღენჯგილი გინძე ბუტკუჯი კაი იშინენ. ად ღენჯგილი გინძე ბუტკუჯი მთელი გურჯისტანის ვენ“ – ჩვენს ადგილობრივ ფუტკარს ხორთუმი გრძელი აქვს, გრძელხორთუმიანი ფუტკარი საუკეთესოდ ითვლება, ეს გრძელხორთუმიანი ფუტკარი მთელ საქართველოში არის“. მთქმელის ეს გადმოცემა იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ლაზეთშიც გავრცელებული ყოფილა ცნობილი კავკასიური ნაცრისფერი ფუტკარი.

ლაზეთში მეფუტკრეობის სამი ფორმის არსებობა დასტურდება: მ ტ კ უ ი ბ უ ტ კ უ ჯ ი (ტყიური მეფუტკრეობა), რომელსაც მიეკუთვნება კ ა ა შ ი ბ უ ტ კ უ ჯ ი (კლდეზე ბინადარი ფუტკარი) და ნ ჯ ა შ ი კ ო უ დ ი ს ნ ა ს ქ ი დ უ ნ ბ უ ტ კ უ ჯ ი (ხის ფულუროში მცხოვრები ფუტკარი); გ ვ ე რ დ ა მ ტ კ უ ი ბ უ ტ კ უ ჯ ი (ნახევრად შინაური მეფუტკრეობა); ო ხ თ ი შ ი ბ უ ტ კ უ ჯ ი (სახლის ფუტკარი, შინაური მეფუტკრეობა).

ლაზეთში კლდის ფუტკრის არსებობაზე ცნობას იოსებ ყიფშიძე გვაწვდის (ყიფშიძე, 1937:173). ამ ფუტკრის ნაყოფის მომპოვებლობა ადეგილობრივი მოსახლეობისთვის ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენდა, თუმცა იქ მისვლა ძალიან რთული იყო.

თაფლისა და ცვილის მოპოვების მნიშვნელოვან წყაროს ნ ჯ ა შ ი ბ უ ტ კ უ ჯ ი || შ ი რ მ ა ბ უ ტ კ უ ჯ ი - ზე (ხეფუტკარზე) ნადირობა წარმოადგენდა. მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, ლაზეთში ხეფუტკარზე ნადირობა არ გულისხმობდა

ფუტკრის დახოცვას, სკის დაქრობა-დანელებას. ხის გამოფიტულ, გამომპალ ნაწილში, რასაც ლაზები ნ ჯ ა შ ი კ ო უ დ ი ს ეძახიან, დაიბუდებდა ფუტკარი და იქ აგროვებდა ნაყოფს. გამოჭრიან თაფლით სავსე ფიჭას სპეციალური მოკაუჭებული დანით, რასაც ლაზები კ ო კ ა ნ ც ი -ს ეძახიან, ცოტას დაუტოვებენ ფუტკრებს, რათა შიმშილით არ დაიხოცონ. თუ სურთ მოაშინაურონ ეს ხეფუტკარი, შეიპყრობენ. ხის ფულუროსთან ატეხდნენ ხმაურს, ხმაურით შეშინებული ფუტკრები გამოცვივდებოდნენ ნ ა ნ ა ბ უ ტ კ უ ჯ - თ ა ნ (დედა ფუტკართან) ერთად და ხის ტოტს შემოეხვეოდნენ. თუ შესაძლებელი იყო, ამ ხის ტოტს ფრთხილად მოჭრიდნენ და სადაც ცარიელი სკა ჰქონდათ, იქ ჩამოკიდებდნენ, ან ხის ტოტს მიასხამდნენ წყალს, ტოტის ქვეშ იდგა კალათი და შიგ ჩაცვივდებოდნენ ფუტკრები. თავდახურულ კალათს მიიტანდნენ სკის მახლობლად, თავზე მოაძრობდნენ, შემდეგ თანდათან შეეხვეოდნენ და დედა ფუტკრის თანხლებით სკაში დაბინავდებოდნენ.

ლაზეთში თავს იჩენს მეფუტკრეობის ისეთი ფორმა, რომელიც თავისი ხასიათით ტყიურ მეფუტკრეობას არ მიეკუთვნება და არც შინაურ მეფუტკრეობად შეიძლება ჩაითვალოს. ლაზებს ფუტკრის ბუკები შემოლაგებული აქვთ მაღალი წიფლის მწვერვალებზე. ლიტერატურული წყაროების მონაცემებით, მეფუტკრეობის ეს ფორმა დასტურდება გურიასა და აჭარაშიც. მრავალი მოგზაურის ცნობით, აჭარისა და ლაზეთის მოსახლეობა ფუტკარს ინახავდა ტყეში, მაღალ ხეზე თითქოს იმ მიზნით, რომ თავი დაეხსნა თურქების მიერ ფუტკარზე დადებული გადასახადისგან (რობაქიძე, 1960:75).

ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები იმაზეც მიუთითებენ, რომ ლაზეთში შინაური მეფუტკრეობა მძლავრად იყო განვითარებული (ყაუხეზე შვილი, 1936:265).

ფუტკარს აბინავებდნენ კ ა ვ ა ნ ი -ში. კ ა ვ ა ნ ი ॥ კ ა რ ვ ა ნ ი თავისი ფორმითა და აგებულებით იგივე გურულ-აჭარული ბუკია მთლიანი ხისგან გამონათალი.

კ ა რ ვ ა ნ ი კეთდება წაბლისა და ცაცხის ხით. შუა ნაწილს გაბურღავენ, ამოიღებენ გულს, ორივე მხარეს გაუკეთებენ თ ა ფ ა -ს. თ ა ფ ა მომრგვალო ფიცარია მორის ორივე მხარის დასაფარავად. წინა თ ა ფ ა -ს უკეთდება ხის სპეციალური საკეტი ხ ე ლ ა დ ი. იმ მხარეს, საიდანაც ფუტკარი უნდა შევიდეს, უკეთებენ სპეციალურ პატარა ხვრელებს.

ს კ ა ॥ მ - ც ქ ა (მარი, 1910:215) თავის ფორმითა და აგებულებით ძალიან ემსგავსება დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ორნაწილად გ ე ჯ ა -ს (რობაქიძე, 960:87).

სკა კეთდება ჭ უ ბ უ ი შ ი რ ო კ ი დ ა ნ (წაბლის ხმელი მორიდან). შუაზე გაყოფილ მორს გულს ამოუღებენ, მორის შუაზე გაყოფა ხდება სპეციალური რკინის საჭრელით, რასაც ლაზები ა ნ ც ქ ი - ს ეძახიან. წინა მხარეს უკეთდება ხვრელი და იქედან შევა სკაში ფუტკარი. სკას შიგნით აქვს გამყოფი საზღვარი კ ე რ ო ნ ი.

საზღვარს იქით, სადაც ფუტკარია მოკალათებული, თაფლის ამოღება არ შეიძლება. სკას ტყეში ტოვებენ მაღალ უტოტო ხეზე, რათა ნადირი ვერ მიწვდეს.

ტერმინი ბ უ ტ კ უ ჯ ი ს კანონზომიერი შესატყვისია ქართული ფუტკარი. ძირეული -ტკ- საერთოა ქართულისა და ლაზურისათვის. ლაზურში -უჯ- დეტერმინანტი სუფიქსია, მას შეესატყვისება ქართულში -არ-; ლაზური -ბუ- თავსართი ქართულში -ფუ- თავსართს უნდა წარმოადგენდეს; საფიქრებია, რომ ეს არის ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართულში დადასტურებული კლას-კატეგორიის ნიშანი და მთის კავკასიური ენებიდან შეთვისებული ჩანს (ჩიქობავა, 1938:115).

მეგრულში ფუტკრის აღსანიშნავად სულ სხვა ძირი – ს კ ა ॥ ფ ს ქ ა გვევლინება. სკა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლაზურსა და ქართულში ფუტკრის საცხოვრებელ გეჯას აღნიშნავს.

აკად. არნ. ჩიქობავა შესაძლებლად ოვლის ლაზური ბ უ ტ კ უ ჯ-ი ს მეგრულ შესატყვისობად ტ უ ტ კ ა რ ი იყოს მიჩნეული, მაგრამ ტუტკარი მეგრულში სხვა მნიშვნელობით იხმარება (ჩიქობავა, 1938:115). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში სიტყვა ბუტეურა გვხვდება ვაზის ერთ-ერთ სახეობად, ხოლო ლეჩეუმში გვხვდება ტოპონიმი ბ უ ტ კ უ-რ ი ჯ ი (Климонов, 1964:56).

ფუტკრის აღმნიშვნელ ტერმინად სვანურში ორი სიტყვა იხმარება: ბ უ ზ უ ლ და მ ე რ. საინტერესოა სვანური მ ე რ, რადგანაც ლაზურში მ უ რ ი არის მამალი ფუტკარი. მამალი ფუტკარი წყალს ეზიდება. როცა ფიჭის კეთება დასრულდება და მოვა დრო თაფლით ფიჭის გავსებისა, მამალ ფუტკარს მოკლავენ, რათა თაფლი არ შეჭამოს.

ფუტკრის ერთი ნაწილი ყვავილის ნექტარს ეზიდება, ნაწილი კი მ ჩ ა ლ ი შ ა ნ ე ბ უ ტ კ უ ჯ ი ა (მუშა ფუტკარია), რომელიც შიგნით სკაში მუშაობს.

ფუტკრის ნამრავლს მ თ თ ა - ს ეძახიან. მ თ თ ა ლაზურში შვილიშვილსაც ნიშნავს, დათვის ბელსაც და ჩიტის ბარტესაც.

თ თ ფ უ ი (თაფლი) კარგია მაისის. კ უ თ ე ი (აღომილი) თაფლი კარგია, შაქრიანობა-სიტებო მეტი აქვს.

სკიდან თაფლის ამოღების პროცესს ლაზურში თ თ ფ უ ი შ ი თ წ თ ნ უ ეწოდება.

მთლიანად თაფლის ამოღება სკიდან არ შეიძლება, ფუტკარს ზამთარში საპვები აღარ რჩება და იღუპება. ამ პროცესს ბ უ ტ კ უ -ჯ ი მ ე ს ქ ი უ ს ეძახიან. ქართულში ეს პროცესი სკის დაქრობა-დანელების სახელწოდებითაა ცნობილი.

თაფლიან ფიჭას ჩაყრიან ტომარაში, დაწურავენ. მარლით ხელმეორედ გაწურავენ. სუფთა თაფლს ინახავდნენ თიხის ჭურჭელში - დერგში.

დარჩენილ ცვილს დაასხამენ ხელმეორედ წყალს, დაფშვნიან და გაწურავენ. ეს ნაწური, თ თ ფ უ ი შ ი წ კ ა ი (თაფლის წყალი) გამოიყენება ნამცხვარში.

მათრობელი თაფლს დ ე ლ ი თ თ ფ უ ი ს ეძახიან. ამ მათრობელის ხარშავენ და ისე ხმარობენ.

დაფშვნილ სანთელს ხელმეორედ დიდ ქვაბში მოხარშავენ და იქვე გაცივდება.

თაფლი, როგორც კვების ერთ-ერთი არსებითი საშუალება, ლაზთა ყოფაში ფართოდ გამოიყენება.

თაფლს, ლ უ ქ უ ნ ა ს თ ა ნ (სანთელთან) ერთად, სამკურნალო მნიშვნელობაც აქვს.

სანთელს ხმარობდნენ ძაფის გასასანთლავად, გაბზარული თიხის ჭურჭლის შესაკეთებლად.

სანთლიდან ამზადებდნენ ჟ ა მ ა ს და ხმარობდნენ სახლის გასანათებლად.

თაფლის სანთელს იყენებდნენ ხეხილის მყნობისას.

ყურის ტკივილის გამაყუჩებელ საშუალებას წარმოადგენს თაფლის სანთელი. გამდნარ თაფლის სანთელში ამოავლებდნენ ჩვარს, გააკეთებდნენ ძაღლსავით, რომლის ვიწრო ბოლოს დაავადებულ ყურში მოათავსებდნენ, ხოლო ფართო ბოლოს ცეცხლს წაუყიდებდნენ. ყურის მკურნალობის ეს ხალხური საშუალება, ლაზეთის მხგავსად, საქართველოს სხვა კუთხებშიც ფართოდ არის გავრცელებული. იმერეთში წ უ წ უ პ ა -ს სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო სამეგრელოში – ჟ ე რ ჟ ი -ს სახელწოდებით (რობაქიძე, 1960:120).

ლაზური დ უ ნ დ გ ა || დ ი ნ დ გ უ -ს ქართულ შესატყვისობას წარმოადგენს ქართული დინდგელი || დინდგილა, (ქეგლ; 1986:213). ხოლო მეგრულში შესატყვისება დ ვ ი ნ დ გ ი . ფუძე საერთო ქართველურია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურში, დუნდგას პარალელურად დინდგილას აღსანიშნავად ტერმინი ა ყ ვ ა -ც იხმარება.

ბ უ ტ პ უ ჯ ი

1. ბუტკუჯიქ მთელი ფუქიი კობუფს, ჰამა ჰენკაი შინაფან ცაცხვიში ფუქიი.

2. იელი ბუტკუჯი მჭიდე იენ.

3. იელი ბუტკუჯის დენჯგილი გინძე უდუნ.

4. დენჯგილითენ გდაკიბინს.

5. გეკიბინუშეულე ხოცქუნ.

6. ბუტკუჯი ოხორიშითი იყვენ დო დაღიშითი.

7. კაას ბუტკუჯითი იენ.

8. კაას გამახვევი, ხუტონეი იეფეს მოლახედუნან ბუტკუჯეფა დო ექ ბინა ქოდოდუმელან, გააისთევი იხმარს ბუტკუჯიქ ექ ნოხვენე თოვჭი, ემუშენი-ქი, ექ მეხომუ კოჩიშენი ჩეთინი რენ.

9. ჰამა მითხანის უნტუ, უურ-სუმ კოჩი უკუიბდებეს დო ნიტეს, ექონი თოვჭი ნოხონეი იყვეტუ.

10. ნჯას-ნა სქიდუნ ბუტკუჯის შირმა ბუტკუჯი უწუმელან.

11. დაღის ბურგუჯი ნჯაში კოუდის დოხედუნ დო ექ იქიფს თოფუი ვეინა ვა აძიას.
12. ქომეცადანში, ხეხითენ კოუდი ქაგამაჭკიუფან, ქაგამიმელან თოფუი, მუს მციქა ნუშქუმელან, გამაჭკიელი ვეის თექრა ქონუოუ-მელან.
13. გალე ნჯაში ნამ ვასთინა გოკინს ბურგუჯი ია ყა ქამეჭკიუფან, კალათის ქოდოლოდუმელან, ჟინ ქომოკიაფან.
14. ჩეთინი ვეის, ყა ვა ნიჭკიეტაში, კალათი ქოგოწოკიდაფან, ქოხოფათხუფან, ნანამუთეფეში ქაგეხთაში მთელი ბურგუჯეფე ნოუფან.
15. შერბეთი ილა კალათის უსგაგინონ.
16. მამული დო დადული ბურგუჯი იყვენ.
17. დადული ბურგუჯიქ თოფუი იქიფს, მამულის წკაი თოიაფაფან.
18. ბურგუჯიქ თოფრი იქუმს,  
მურიქ წკარი მოიღამს,  
ბურგუჯიქ უბეჯლაში  
მურიქ თო ქოდილიდამს.
19. მამული ბურგუჯის მური უწუმელან.
20. ჰამა არქავეკელე მამული ბურგუჯის „თუთი ბურგუჯი“ უწუმელან.
21. მური თოფუი იქიფტაშაქ შინასეფან.
22. თოფუი დიქვაში, თოფუი ვა ჭკომასია დო მური ნოჭკიაფან.
23. ბურგუჯიქ მოთა გამაწილუფს დო ნაშქუმეს.
24. ნანა-ნა ნოხედას ემ ვეის ქოგვაკიენან მოთალეფა.
25. წკაი ნობაფან.
26. ეგერ მეჭკიუ იყვენ-ნა, ტოტი მეჭკიუფან, ნიმელან დო სკაკალა ქოდოდუმელან.
27. ნანა ბურგუჯი ქაგამიყონინა ჩქვა ექ მოთალეფე ვა ნულვან.
28. დიდო-ნა მჭიმას დო გონთა-ნას, მთელი ბირდემ ოკობდევ გამულვან ბურგუჯეფე დო ემვახთის ენთეფეში ოძიუ კოლაი რენ.
29. ნანა ქოჭოუფან, აღნე სკას ქოდოლოხუნაფან, სუმ დღას აშო იყვენ დო ჩქვა ქოგვაგენან, მოთალეფეთი სოთი ვა ულვან.
30. ბურგუჯი ოკორთეი ვენ.
31. გალენა იჩალიშეფს აი რენ.
32. გალენი მჩალიშანე ბურგუჯი ვენ, ფუქიი მუქ თიუფს.
33. დოლოხენიქ ფიჭა დო თოფუი იქიფს.
34. ილა ტუცას ყოოფს ბურგუჯიქ.
35. დაა ჰენ წოხლე ფალადა ნცახუფს ბურგუჯიქ მოდევ ფუქიეფეთენ, ოკულე დოლობუფს თოფუი.
36. ნანა ბურგუჯი მოსაოჯე. მჩეუ ბურგუჯი ვენ.
37. მურითი დადული ბურგუჯიშენ მორდელი ვენ.
38. იუზგალი ვეის ბურგუჯი ვა დოხედუნ.
39. სკა ჭუბუიში როკითენ იქიფტეს.
40. როკი ჭუბუიში ხომულა ქიუთუდი ვენ.

41. როკი დაა ქამეხერხუფან სკა-ში ბოიში დო ორთას ოკულგ თკოტკომეტეს.
42. გუი ანცქოთენ ქეშომელან, ჟურ-სუმ ივის ქოდულუდაგუფან ღორმა დო ექოლენ მიშულუნ ბუტკუჯი.
43. ეპულენა ოკოდგან, სუმ კითი მეგაზომეი ბუტკუჯიში სემთი ნაშქუმელან, ბიგათენ პერონი დუხვენუფან.
44. პერონის ექოლე ნაქნა ბუტკუჯი იენ, თოფუი ოწონუ ვა იყვენ, ია ბუტკუჯის გაიიშენი ნუშქვაგინონ, ვა ნუშქვინა კიშიკელე უგდაელი ბუტკუჯი მესქიუ.
45. ბუტკუჯი კავანისთი მოლოხუნაფტეს.
46. კარვანის არხავეს ღურნე-თი უწუმელან, ჰამა ვიწელევეგ ბოგინა.
47. კავანი მურგვალი უოკოტკოჩუ ნჯაში მორი იენ.
48. ორთა ქაგოშახუფან, ოკულე გუი კაი მსქვაშა ქიშიმელან.
49. ჟურ აქლეთი თაფა დუხვენუფან (ექოლე-აქოლე ნეკნასთეი ბურგვალი).
50. წოხლენის ხელადა დუხვენუფან დო ქოგულუმენან.
51. ნამუთხანიკელე ბუტკუჯი გოხთასინონ მჭიდე ხუტულაფე დუხვენუფან ბურდითენ.
52. ნამ წანას-ნა კაი ტაონი, კაი ფუქირი ტას დიდო კაი თოფუი იყვენ.
53. თოფუი დელითი იყვენ ეგერ იელიში ფუქიი ჭკომუნა ბუტკუჯიქ.
54. პატი მჩხოფაფე-ნა ტას წანასთი ბაზი სკაში თოფუი დელი ბამულუნ.
55. მაისიში თოფუი ხე იყვენ დო ჰემ კაითი იშინენ, ემუშენი-ქი მაისის კავალიში ფუქიი იმხორს ბუტკუჯიქ.
56. მაჟვანი თუთაფეში თოფუი უჩასთეი იყვენ, ჭუბუიში ფუქიინა კორბუფშენი.
57. თოფუი დოკუთუდა ითქვენ შექეისთეინა იყვას.
58. მენდაწენან სკას დო კარვანის ფიჭა მუში იოფშა იენნა, დოხაზიუფან კომა.
59. ლაზუტიში კუკუტის ნონწაფან დაჩხიი დო ემუში კომა ნიმელან სკაშა ია კავანიშა სონა თოფუი წონასინონან.
60. ბუტკუჯი ფუტიშენ ნიმეენ.
61. ქოდოსქიდუნ ფალადა მეიდანის.
62. ულუნან კოკანცი - მოკანგულეი ხამი მეხცეს თოფუი ოწონუ-შენი.
63. ფალადა ჭკიუფან დო გამიმელან, ჭკიუფან პერონიშა კადარ, ემუშენი-ქი ფაზლა ქაგუწუდინა, დოწონინა ბუტკუჯი კიშის უგდაელი ქოდოსქიდუნ დო დოხოცქენ.
64. კარდალას დოლობლაფან ფიჭა დო ოხოიშა ქომუმელან.
65. დოჭინახუფან, ქაგამოჩქუმელან ფალადაშენ თოფუი.
66. ემუს ოხვაქთენ აყვა.
67. აყვა ია მაჟვალი იენდა, ზოპონან მოთა გამაწილუშენი.

68. የጉሬንድ ደምጽልኝ, ውስጥ ክፍያዎችን ደመኑዋል.
  69. ታደሰና በመግለጫ ውስጥ የሚገኘውን ስርዓት የሚያሳይ ነው.
  70. የመግለጫ እና የሚከተሉት የሚከተሉት የሚያሳይ ነው.
  71. እና የመግለጫ ውስጥ የሚገኘውን ስርዓት የሚያሳይ ነው.
  72. የሚከተሉት የሚያሳይ ነው.
  73. የሚከተሉት የሚያሳይ ነው.
  74. የሚከተሉት የሚያሳይ ነው.
  75. የሚከተሉት የሚያሳይ ነው.
  76. የሚከተሉት የሚያሳይ ነው.
  77. የሚከተሉት የሚያሳይ ነው.

ଓ জ ঘ ঙ স র ন

1. ფუტკარი ყველა ყვავილს აგროვებს, მაგრამ ყველაზე კარგი ცაცხვის ყვავილია.
  2. ადგილობრივი ფუტკარი წვრილია.
  3. ადგილობრივ ფუტკარს ხორთუმი გრძელი აქვს.
  4. ხორთუმით იკბინება.
  5. ქბენის შემდეგ აკვება.
  6. ფუტკარი სახლისაც იქნებოდა და ტყისაც.
  7. კლდის ფუტკარიც არის.
  8. კლდეზე ნახვრეტიან ადგილებში იბჟდებენ ფუტქრები და იქ ბინას იდებენ, საკვებად ხმარობენ ფუტკრები იქ გაკეთებულ თაფლს, იმიტომ რომ იქ მისვლა კაცს უძნელდებოდა.
  9. მაგრამ, ვისაც უნდოდა ორი-სამი კაცი შეიკრიბებოდა და წავიდოდნენ, იქაური თაფლი გემრიელი იყო.
  10. ხეზე რომ ცხოვრობს ფუტკარს, შირმა ფუტკარს ეძახიან.
  11. ტყის ფუტკარი ხის ფუღუროში დაიბუდებს და იქ აკეთებს თაფლს, ადგილს როცა ვერ პოულობს.
  12. როცა შეამჩნევენ, ხერხით გამოჭრიან იმ ადგილს, გამოიტანენ თაფლს, მას ცოტას დაუტოვებენ, გამოჭრილ ადგილს ისევ მიაფარებენ.
  13. გარეთ, ხის რომელ ტოტსაც ახვევია ფუტკარი, იმ ტოტს მოჭრიან, კალათში ჩადებენ, ზემოდან მოახვევენ.
  14. ძნელ ადგილას, ტოტი როცა არ მოიჭრება, გოდორს ჩამოკიდებენ, დაფერთხავენ, მათი დედა როცა ჩამოვა, ყველა ფუტკარი თან გაყვება.
  15. აუცილებლად უნდა წაუსვა გოდორს შაქრიანი წყალი.
  16. მამალი და დედალი ფუტკარი იქნება.
  17. დედალი ფუტკარი თაფლს აკეთებს, მამალს წყალს აზიდინებენ.
  18. ფუტკარი თაფლს აკეთებს,  
მამალი ფუტკარი წყალს ზიდავს,
  - დედა ფუტკარის გვირილზე

- მამალი (ფუტკარი) თავს ჩადუნავს.
19. მამალ ფუტკარს მური -ს ეძახიან.
  20. მაგრამ არხავეში მამალ ფუტკარს „თუთი ბუტკუჯი“ ჰქვია.
  21. მამალ ფუტკარს თაფლის გაკეთებამდე ინახავენ.
  22. თაფლი როცა გაკეთდება, თაფლი არ შეჭამოსო და დაკლავენ.
  23. ფუტკარი ბარტყებს გამოჩეკავს და გაუშვებს.
  24. დედა რომ დაჯდება, იმ ადგილას შემოეხვევიან ბარტყები.
  25. წეალს მიასხამენ.
  26. თუ მოჭრა შესაძლებელი იქნება, ტოტს მოჭრიან, მიიტანებენ და სკასთან დადებენ.
  27. დედა ფუტკარს თუ გამოიყვან, მეტი იქ ბარტყები აღარ მივლენ.
  28. დიდხანს რომ იწვიმოს და გადაიღოს, ყველა ერთად თავმოყრილი ფუტკრები გამოვლენ და იმ დროს იმათო პოვნა ადვილია.
  29. დედას დაიჭერენ, ახალ სკაში ჩასვამენ, სამ დღეს ასე იქნება და მიეჩვევიან, ბარტყებიც საღმე აღარ წავლენ.
  30. ფუტკარი გაყოფილია.
  31. გარეთ რომ მუშაობს ცალკეა, შიდა არის ცალკე.
  32. გარეთა, მუშა ფუტკარი არის, ყვავილს თვითონ ეზიდება.
  33. შიდა ფიჭასა და თაფლს აკეთებს.
  34. აუცილებლად სითბო უყვარს ფუტკარს.
  35. ჯერ, პირველად, ფიჭას აკეთებს ფუტკარი მოტანილი ყვავილებით, მერე ასხამს თაფლს.
  36. დედა ფუტკარი მოყვითალო, მსხვილი ფუტკარია.
  37. მამალი დედალ ფუტკარზე უფრო მოზრდილია.
  38. ქარიან ადგილას ფუტკარი არ ბინადრობს.
  39. სკას წაბლის მორისგან აკეთებდნენ.
  40. როკი წაბლის ხმელი მორი არის.
  41. სკის სიმაღლის მორს ჯერ მოხერხავდნენ და შუაზე შემდეგ გააპობდნენ.
  42. გულს სპეციალური დანით ამოიდებენ, ორ-სამ ადგილას გაუკეთებენ ნახვრებს და იქნებან შედის ფუტკარი.
  43. შემდეგ რომ მიადგამენ, ფუტკრის მხარეს სამი თითის სიფართის გადაზომილ ადგილს დატოვებენ, ჯოხით საზღვარს გაუკეთებენ.
  44. საზღვრის იქით, სადაც ფუტკარია, თაფლის მოპოვება არ შეიძლება, ის ფუტკარს საკვებისათვის უნდა დაუტოვო, თუ არ დაუტოვებ ზამთრისკენ ფუტკარი გაქრება.
  45. ფუტკარს კარგანი-შიც აბინავებენ.
  46. კარგანი-ს არხავეში ღურნესაც ეძახიან, ხოლო ვიწელები ბოგინა -ს.
  47. კარგანი მრგვალი, გაუპობები ხის მორია.
  48. შუა ნაწილს გახვრებენ, შემდეგ გულს კარგად, ლამაზად ამოიღებენ.
  49. ორივე მხარეს კარივით მრგვალ ფიცარს გაუკეთებენ.

50. წინას ხის საკეტს გაუკეთებენ და ჩაკეტავენ.
51. რომელი მხრიდანაც ფუტკარმა უნდა იაროს, წერილ ხერელებს გაუკეთებენ („გამობურდავენ“).
52. რომელ წელსაც პარგი ყვავილი, კარგი დარი იქნება, თაფლიც კარგი იქნება.
53. თაფლი მაწყენარიც იქნება, თუ ფუტკარმა იელის ყვავილი მიირთვა.
54. ცუდი სიცხვები თუ წავიდა, იმ წელს ზოგიერთი სკის თაფლი მაწყენარი გამოდის.
55. მაისის თაფლი თეთრი იქნება და თანაც კარგ თაფლად ითვლება, იმიტომ, რომ მაისში ცაცხვის ყვავილით იკვებება ფუტკარი.
56. მომდევნო თვეების თაფლი მოშავო იქნება, წაბლის ყვავილს რომ აგროვებს, იმიტომ.
57. თაფლი აღომდაო ითქმევა, შაქარივით როცა გახდება.
58. შეხედავენ სკასა და ბუქს, თუ მათი ფიჭა სავსე არის, გაამზადებენ კვამლს.
59. სიმინდის ნაგულას წაუკიდებენ ცეცხლს და მის კვამლს მიიჩნებენ სკასთან ან ბუქთან, სადაც თაფლი უნდა ამოიღონ.
60. ფუტკარი კვამლიდან გარბის.
61. დარჩება ფიჭა მოედანზე.
62. აქვთ მოკაკული დანა სპეციალურად თაფლის ამოსაღებად.
63. ფიჭას ჭრიან და გამოაქვთ, ჭრიან საზღვრამდე, იმიტომ რომ თუ ზედმეტი გამოართვი, ამოიღე, ფუტკარი ზამთარში მშიერი დარჩება და დაიღუპება.
64. ქვაბში ჩაყრიან ფიჭას და სახლში მოიტანებენ.
65. დაწურავენ, გამოაღენენ ფიჭიდან თაფლს.
66. იმას შეერევა აყვა.
67. აყვა ის კვერცხიათ ამბობენ, საიდანაც ბარტყი ფუტკრისა გამოიჩეკება.
68. შემდეგ თაფლს ტომრით, ან მარლით გაწურავენ.
69. ძველად თაფლი ბევრი იყო და ჭურებში ინახავდნენ.
70. თაფლგამოწურულ სანთელს ხელმეორედ მოხარშავენ, ცალკე ტომრით გაწურავენ.
71. გამოწურულ თაფლიან ტკბილ წყალს, შარბათივით, როცა ტკბილეულს გამოაცხობდნენ, ხმარობდნენ.
72. მოხარშულ სანთელს ცალკე ქვაბში გადმოაპირქვავებდნენ.
73. როცა გაცივდებოდა, ამოაძრობდნენ.
74. სანთელსა და თაფლს წამლად ხმარობდნენ.
75. სანთლიდან „შამა“ -ს გააკეთებდნენ და ლამპის სანაცვლოდ ხმარობდნენ.
76. კარგი სუნიც იქნებოდა.
77. სანთელს მაფებსაც გამოუსვამდნენ, მაგარი იყოსო და იმიტომ.

## Tsiala narakidze

### From beekeeping vocabulary in laz dialect

#### Summary

Beekeeping vocabulary of Laz dialect is presented in this work. Expressions are given in context and examined on the basis of comparable research.

Expressions of beekeeping are reflected in this material.

## Циала Наракидзе

### Из лексики пчеловодства в лазском диалекте

#### Резюме

В труде изучена пчеловодческая лексика в лазском диалекте. Термины даны и разъяснены при описании различных процессов отрасли.

Представлены материалы, связанные с пчеловодством.

## გ ა მ თ ყ ე ნ ე ბ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, მეცნიერება, თბ., 1960.
2. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტვ., 1938, 509 გვ.
3. Клинов, Г.А. Этимологический словарь Картвельских языков М., 1964.
4. Ксенофонт, Анабасис, М-Л., 1951.
5. Латишев, Известия, Вок, 1949.
6. Марр, Н. Грамматика чанского (лазского) языка, С-П, 1910, 240 с.
7. მ. ვანილიშვილი, ა. თანდილავა, ლაზეთი, მეცნიერება, თბ., 1964, 169 გვ.
8. ს. ყაუხებიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიული მწერლების (ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტვ., 1936.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, 591 გვ.
10. იოს. ყიფშიძე, ჭანური მოგზაურობა, „მოამბე“, ტ. I, ტვ., 1937.

## შუშანა ფუტკარაძე

### ზმნური ფორმების წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებანი იმპრეზულში (II ნაზილი)

იმერხევის ქართულის ზმნაზე საუბრისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიშველიოთ დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლადა გასაკვირველი ფორმები... დიდი დირსება უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფერობა ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ჰქონდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას ბევრ-გვარი გარემოება გამოთქვას სხვა სიტყვების დაუხმარებლად. არ ვიცით, სხვა რას იტყვის და ჩვენ-კი გვჯერა, რომ ... მრავალ შემთხვევაში გამოყენება ზმნებისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას... მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის... ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით პმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. მაგალითად, მოვიყვანო რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოადგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედა-ძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავლა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უდალატა“ (ჭავჭავაძე, 1927-1929:93-94).

გაბატონებული ენის (ოსმალურ-თურქულის) ოთხას ორმოცდაათწლიანმა ზემოქმედებამ იმერხევის ქართულში ვერ დაასუსტა „ენის წარმატებულობის მომასწავებელი“, „სული და გული, ღონე და ძლიერება, დედა-ძარღვი ჩვენის მეტყველებისა, დიდი დირსება ენისა“ – ჩვენი ზმნები. მეტყველების სხვა ნაწილებით შედარებით, ზმნამ ყველაზე უკეთ შეინარჩუნა თავისთავადობა და დედაენის იერი. იმერხევის ქართული ამიტომაც გვესახება სიცოცხლისუნარიანად და გვჯერა ამ დიალექტის უკვდავებისა.

საუკუნეთა მანძილზე იმერხეველთა ქართულში ზმნური ფორმების წარმოება მშობლიურ ენაში ისტორიულად შემუშავებული, უწყვეტად მიმდინარე, წესებისა და კანონების შესაბამისად ხორციელდებოდა. ამ კილიში თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულ სურათს დიალექტიზმებისა და არქაიზმების არსებობა განაპირიბებს. მსგავსი თავისებურებანი შეინიშნება ზმნური ფუძეების წარმოებასთან დაკავშირებითაც, რაც გამოიხატება საუდლებელი ზმნების ფორმათა ნაირსახეობაში.

ძველი ქართულის იერი შენარჩუნებული აქვთ საილუსტრაციოდ მოხმობილი ზმნების პირველი სერიის ფორმებს. კერძოდ:

როგორც ცნობილია, „ვნებითი გვარის ზმნების გარკვეულ ჯგუფს IX-XI საუკუნეებში –ებ თემის ნიშანი უწიდება პირველი სერიის ფორმებში: იყოფის >იყოფების, აღირაცხვის>აღირაცხების, კრთის>კრთების, დაიწუვის>დაიწვების და მისთ“... (სარჯველაძე, 1984:422). ამ მხრივ ვნებითი გვარის ზმნა დაუახლოვდა მოქმედებითისას (რომელსაც –ებ დაერთვის თემის ნიშნად). „აათანაბრების პროცესი უკვე XII საუკუნეში ჩანს დამთავრებული... სამაგიეროდ, ვნებითი გვარის ზმნამ ერთი თავისებურება განივითარა, რომელიც ძველად უცნობი იყო: აწმყოსა და მყოფადის მწკრივში –ის დაბოლოება (რომელიც ერთად ორ ნიშანს შეიცავს – მწკრივისას და მესამე სუბ. პირისას: ი–ს) ადგადაიკეთა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა... მწკრივის ნიშანი –ი მე-3 პირში თითო-ოროლა ზმნაშია შემონახული, სახელდობრ ისეთებში, რომლებიც –ებ-ს არ დაირთავენ: იწვის, ისმის, ითქმის, ერწყმის, იძგრის, ელის, მერჩის... (შანიძე, 1973:443).

იმერხეულში თავსართიანი (ი, ე) ვნებითი აწყოსა და მყოფადში სუბიექტის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში წარმოგვიდგებიან ძეველი ქართულის ფორმით, –ი მწკრივისა და –ს პირის ნიშნით, ამასთანავე, არ დაირთავენ –ებ თემატურ ნიშანს, ე.ი. გვიჩვენებენ ამ მოვლენის ადრინდელ, IX-XI საუკუნეების ვითარებას:

**ინიანი ვნებითის ფორმები აწმყოს მწკრივისა:** იბნიდვის, თვალ-წაკრულია დალიბა (ალბათ); თხილის წკნელი ადვილაი იგრიხვის; გაქიბრდა ასლანაი და **იბრიქის;** ყველამფერი არც **იჭმის** და არც **ითქმის;** დაღიანი (ცხიმიანი) ხამური (ცომი) ყოლაი (ადვილად) **იზიდვის;** სხალსა იმდენი ასხია, რომე ტანები **იზნიქის;** ქალის ასაკი, კაცის მააში (ხელფასი) არ **იგითხვის,** სირცხვილია; ამ ჭალაში კაი ქირმანი **ითიბგის;** ჩუენი ხილი კარგი **იყიდვის;** ამ იერზე (ადგილზე) ერთი არაბა ანჯახს (ძლიერს) **იდგმის;** დედვის ტანები ყოლაი (ადვილად) **იხლიჩგის;** მუხის ფიცარი ზორ **იხრიტვის;** არაბაში ხალხი **იჭყლიტვის;** კიბილები ვერ დოუმალია სიხარულით, სულა **იკრიჭვის...**

**ენიანი ვნებითის ფორმები აწმყოს მწკრივისა:** ბაქალასი ცოდვა იმას ეკითხვის; თვალები ზველებურათ აღარ **მეხილვის;** შენ ნენეს თავზე ეხურვის ხომ?; ბევრი ფარა გვეხარჯვის; ჰკუა აღარ **მეკითხვის;** ჩუენა გურჯისტანი გვებრალვის; პაწა დარჭესა ენა **ებმის;** დედამთილის დანახვა გულზე არ ეხატვის; აჭარას გათხვებული ბაქალა სიზმარში **ეზმანვის;** გზა-შარაში ეკარგვის ფარა; ეჭვი **ეპარგვის** ამაში; ამას სხვასოდ (სხვანაირი) სახელი არ **ერქმის;** პუქუმათსა (მთავრობას) ჩუენზე გონჯი რამე არ **ეთქმის;** ქოთანსა სარქველი არ **ეხურვის;** ბათუმ თქუენი თავი ხისიმათ **მეგულვის;** ბაქალა (ქალიშვილი) ქორწილამდი **ემალვის** დანიშნულსა...

**მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმები:** დაშლი (მოხუცი) ბებრები **იხოცვიან;** მომკითხავი არვინ **ეყოლვიან;** გონჯი რამები არ

**ეთქმიან;** ომრი (სიცოცხლე) **ეგარგვიან;** იმდონი სული ერთ სახლში იჭყლიტვიან...

**მყოფადის ფორმები:** მედგები (ხეხილი) თველზე **მეიკრიფვის;** დადლა (საზაფხულო ქოხი მთაში) ყავრით **გედეიხურვის;** დო ჩახვში **გეიწურვის;** ხამური (ცომი) გობში **ეიბერვის;** ზამთარში დურმაალ (შეუწყვეტლივ, შეუწერებლივ) მოსაფირი (სტუმარი) **გეეყოლვის;** შენა ზმიები (ძმები) დალიბა (ალბათ, მგონია) **გეყოლვის;** ერთ კაც **ეყოლვის** შუიდი ჰური (ფერია); ერთ რაცხას **დეგეპითხვიან;** ემეგი ჩუენთან არ დეგეპარქვიან; ბათუმიდამ **მოელიან** ხისიმებსა (ნათესავებს); **დეიწვიან** სიცხეში...

იმერხეულში თავსართიანი ვნებითები **–ებ** თემის ნიშნის გარეშე, ძგელი ქართულის (იმალვოდა, დაიმალვოდა, **ირწყვოდა, ირწყვოდეს...** (სარჯველაძე, 1984:423; ბარამიძე, 1976:84) მსგავსად, შეიძლება შეგვხვდეს **სავრცობიან მწრივებშიც:** ავადევლი სიცხისკან **იწვოდა;** იმსოდ (იმნაირი) უურალი (გვალვა) იუო, რომე ქვაზე კვერცხიც **შეიწვოდა;** რაცადას იკრიჭოდა ის ღარჯი (ბიჭი); ნეტავი მალ **შეიწვოდეს;** დილდილაი იძნიდოდა; **საქონელი ეკარგოდა** დარჭსა; მოთამაშე სადმე **დეიმალოდა;** ქალი კაცსა **ემალოდა;** ეს ჭალა წინწინ **ირწყვოდა;** აქა ბალახი კარქა **ითიბოდა;** თივის ზვინები **იდგმოდა;** ბაირამებზე (დღესასწაულებზე) შერბეთი ბევრი **ისმოდა;** ძველათ ზაფი (ძაფი) ჭახრაკებზე **იძახვოდა;** ტკიფილისკან **დეიგრიხოდა** აგადევლი; იმასა ენა ზორ (ძალიან) **ებმოდა...**

„ძველ ქართულში ამგარი ფორმების არსებობა შენიშნა და საინტერესო მასალები მოიხმო ლაბარამიძემ. გასაზიარებელია ლ.ბარამიძის მოსახრება, რომლის თანახმადაც, **–ებ** თემისნიშნიანი ფორმების გავრცელება ანალოგიით უნდა ავხსნათ (ბარამიძე, 1976:86). ირკვევა, რომ **–ებ** თემატური სუფიქსით ზოგი ვნებითი გვარის ზმის ფუძის გართულება საქმაოდ ძველი პროცესია“ (სარჯველაძე, 1984:422), –აღნიშნავდა ენათმეცნიერი ზ.სარჯველაძე. ძველი ქართულის ასეთნაირი ფორმები (**ებ** თემატური ნიშნის გარეშე) დღემდე შემონახულია იმერხეულში. მათი არსებობა შენიშნულია ზემოაჭარულშიც (ნიუარაძე, 1961:93). ეს ბუნებრივიცაა, რადგან ზემო აჭარის სოფლები უშუალოდ ემეზობლება იმერხევს და, ამასთანავე, ზემოაჭარულსაც ბევრი ძველქართული მოვლენა აქვს დღემდე შენარჩუნებული.

ზოგიერთი ზმის პრეფიქსიანი ვნებითის ფორმა პირველი და მეორე სერიის მწრივებში შეცვლილია სუფიქსიანით: **დაგწონდა** ჩუენი თავი? (მოგეწინა); თუ **დაგწონდება,** დარჩი! (მოგეწონება); ნეტაი **დაწონდა** აქევრობა? (მოეწონა)...“

ხდება პირიქითაც: სუფიქსიანი ვნებითის მაგივრად, გვხვდება პრეფიქსიანი (კერძოდ, ენიანი): ჩემი დაი **ეთხუება** (თხოვდება); ქრივი ქალები მალე **გეეთხუებიან** (გათხოვდებიან); აქევრი ბაქლები ადრე

**ეთნუგბიან** (თხოვდებიან); ჩუქი ნენეი ბაბას მემრე გეეთხუა (გათხოვდა)...

**ჰშია** ზმნა თანამედროვე ქართულში აწარმოებს **დონ-იან** ფორმებს. იმერხეულში კი გავრცელებულია **ენ-იანი** ფორმები: მაღმალე გვემშეგა (გვშივდება); მოსულებსა მეემშიენ (მოშივდათ); მემემშია გზაში (მომშივდა)... ამ ზმნის **დონიანი** ფორმები იმერხეულმა არ იცის.

ძველი ქართულის ფორმებითაა წარმოდგენილი მედიოპასიური ზმნა **სურს** აწმყოს მწკრივში: ჩუქინა გვსურია(ნ) თქუენი ნახვა; მე მსურია ბათუმ ჩამოსლა; იმათაც ისე ჸსურია(ნ) ... ასევეა ზოგიერთი გარდაუგალი ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმებიც: რატომ არ სცხვნიან ნეტავი?!; ლარჭებსა დამეში მარტივი დარჩომა ეშინიან; ზროხებსა სწყურიან წყალი; ცხვრებსა შიან; ნეტავი რა სწადიან?!; ძალუან უხარიან შენი მოსლა...

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ძველი ქართული ენის ნორმა-მიხარის, მრცხულენის, მეშინის... თანდათანობით შეცვალა **იან** დაბოლოებიანმა ფორმებმა აწმყოში. ე.ი. გარდაუგალ ზმნათა ერთმა ჯგუფმა აწმყოს ფორმებში **იან** დაბოლოება მიიღო... „**იან** დაბოლოება ზოგ გარდაუგალ ზმნასთან პირველად სანმეტ მრავალთავში იჩენს თავს... საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული X-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში“ (სარჯველაძე, 1984:410). „**ენიანი** დაბოლოება პქონდა ზემოთ დასახელებულ ზმნებს XII-XIX საუკუნების ქართულ სალიტერატურო ენაში, ამასთან რაც უფრო ადრეული ხანის ტექსტებს განვიხილავთ, მით უფრო მყარი აღმოჩნდება – 6 დაბოლოება ამ ზმნებში“ (შინჯიაშვილი, 1972:178).

როგორც ვხედავთ, **იან** დაბოლოება აღნიშნულ გარდაუგალ ზმნებთან საკმაოდ ადრე იჩენს თავს და სწორედ ასეთი წარმოებაა ცოცხალი დღევანდები იმერხეულში. თანამედროვე ქართულში კი -ნ-ს მაგივრად გვხვდება მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ ბოლოსართი (უხარიან-უხარიათ)... ვრცლად იხილეთ თემის პირველ ნაწილში ინგერსიულ ზმნებთან დაკავშირებით.

თავისებურად იწარმოება **ჯდომა||ჯდუმა** საწყისზე აღმოცენებული მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმები—**იჯდუმლეფს**, **შეიჯდუმლეფს**, **შეიჯდუმლა**... ჩემი ცხენი გონჯ ინსანს (ადამიანს) არ **შეიჯდუმლეფს** (შეისვამს): ეს ცხენი ფთხალია (გაუხედნავი), ვინმეს არ **იჯდუმლიეფს**; დარჭი (ბიჭი) **შეიჯდუმლა** (შეისვა) კისერში და წეიყვანა; ბაჯალა მიიყვანეს და **დუჯდუმლეს** (დუსვებს) იმ ბიჭსა; ნენეი **დუჯდუმლებია** სუფრის თავში... ასეთი მაგალითები დადასტურებული აქვს 6.მარს, რომლებსაც იმოწმებს ენათმეცნიერი ბ.ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1989:584).

თავისებურებას იჩენს **არს** მეშველი ზმნა აწმყოში, პირველსა და მეორე პირში. არქაიზმებით მდიდარ მაღალმთიანი სოფლების (კოვლევი, ივეთი, აგარა, იფხეული, მანატბა...) მეტყველებაში იგი წარმოჩნდება

**ვარი, ხარი** ფორმებით: მე შენი ხისიმი (ნათესავი) **ვარი;** მე მეზურნე ნეჯიბი **ვარი;** შენა ვინა **ხარი,** სადოური **ხარი?** სიდამ მოხუელ?; მეაც (მეც) წრეულ მემთეური **ვარი;** მაძღარი **ხარით,** ღოხსა (თუ) კიდგენ **გშიან?;** ჩუქნა მაისის ბოლოს დადლაში **ვარით...**

**ვარი, ხარი** ძველი ქართულის ფორმებია. „**ვარი, ხარი** ფორმები IX-XI საუკუნეთა ძველებში გამოვლინდება: შავ **ვარი** მე. სინ. მრავალ.; დავრდომილ **ხარი** ჩემ თანა... (სარჯველაძე, 1984:409).

-ი ხმოვნის ფუნქციისა და წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956:47). მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „**ვარი, ხარი** ზმნებში მოცემული -ი იმავე წარმოშობისა და ფუნქციისაა, რაც **ქრისტიანობისა და დუმის** და რიგ სხვა ზმნებში“ (ქავთარაძე, 1954:47) ე.ი. -ი არის პერმანენციის (ხოლმეობითის) ფუძის სუფიქსი. პერმანენციი ანუ ხოლმეობითის ფუძე კი ქართული ზმნის უძველესი ფორმაციისა უნდა იყოს (ქავთარაძე, 1964:13; ჩიქობავა, 1943:59,92).

მაშასადამე, -ი ფუძის საწარმოებული უძველესი სუფიქსია, რომელიც შემონახულია ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში -**არი-ი-ან॥არი-ი-ედ** და ამ ზმნის I და II პირის იშვიათად ხმარებულ ფორმებში, როგორიცაა **ვარი, ხარი.** ენათმეცნიერთა აზრით, ისიც ცხადია, რომ **არი-ი-ან** საზოგადოდ უფრო ძველი ფორაციისა, ვიდრე ამ ზმნის ძველქართული ფორმა **არ-ს.** ამ მოსაზრების თანახმად, მესამე პირის ნიშანი -**არ** ფუძეს მაშინ დართვია (**არ-ს**), როცა ენაში (ან მის რომელსამე კილოში) -ი სუფიქსი დაკარგული იყო მახვილის ძალით (ქავთარაძე, 1954:60; ჭირჭარაული, 1960:16).

ამრიგად, იმერხეულს არქაიზმებით მდიდარი ქართული დიალექტების – ფერეიდნულის, თუშურის, ხევსურულის (ქავთარაძე, 1954:48) – მსგავსად, დღემდე აქვს დაცული ეს უძველესი ზმნური ფორმები. ადსანიშნავია ისიც, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული **ვარი, ხარი, არის** (არის გამოვლენილია IX-XI საუკუნეთა ხელნაწერებში) ფორმები მიგვანიშნებენ, რომ ცოცხალ ხალხურ მეტყველებაში აწყოს წარმოება იმთავითვე არ იყო ერთფეროვანი. როგორც ივარაუდება, დიალექტთა ერთ რიგში გვქონდა – **ვარ, ხარ, არს, ვართ, ხართ, არიან;** მეორე რიგის დიალექტები კი წარმოაჩნდნენ ასეთ წარმოებას – **ვარი, ხარი, არის, ვარით, ხარით, არიან.** იმერხეული, სწორედ, ამ რიგს მიჰყვება. ცხადია, ამ ორ დიალექტურ წრეს თავთავისი ფორმები შემოჰქონდა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში. ამ ორი სისტემის შერწყმამ მოგვცა თანამედროვე ქართულისათვის დამახასიათებელი ნარევი უღლება: –ი გაბატონდა III პირში, I და II პირების ფორმებში კი –ი არ გვაქვს“ (სარჯველაძე, 1984:410).

-ი ბოლოსართის კანონზომიერ შესატყვისად ზანურში მიჩნეულია ხმოვანი -გ: ვ-ორ-ე, ორ-ე, ორ-ე(ნ).

მწკრივში მონაცელე ზმნა ქმნა (ზმ(ნ)ა||შრომა) იმერხეულში ყველა მწკრივში უცვლელი ფორმითაა წარმოდგენილი: ქალი მაღლსა იქმოდა (იზამდა); რომ არ მიეხმარებოდი, ნეტაი რას იქმოდა (იზამდა)?; ამას რომე იქმოდეს, დავლოცავთ (იზამდეს); ჩემი ხისიმები ასე არ იქმებ (იზამენ); გონჯ საქმესა არ ვიქ (ვიქმევიზამ)... იქმენ, იქმოდა და იქმოდენ ფორმები იხმარება ქართლურ კილოში. გახვდებოდა ძველ ქართულშიაც (შანიძე, 1973:545; ქავთარაძე, 1954:36, 55).

ვშვრები ფორმა არ იცის იმერხეულმა. აწმყოს მწკრივებში იყენებს სხვა ფუქსა, კერძოდ, გარჯა→რჯას: რას იჯები ამდენ ხანს? (რას შვრები); ამას იჯები თელი დღეა? (ირჯები→იჯები); ამ საქმეს ვიჯებით გამოსულში (ვშვრებით); შარშან ზამთარში ვიჯებოდით ნადსა მატყლის სართავში; რა იქნება არ იჯებოდეს მაგსო (მაგნაირ) გონჯ საქმესა; თქუენაც ამსო (ამნაირად) იჯებით მემთვევრობასა?...

იმერხეულში გახვდება ე.წ. მიმღეობითი ზმნები, როგორიცაა: ტკ-ნულობს, წყენულობს, დონულობს, ნატრულობს, ცნობილობს... ასეთი ზმნების გაჩენა სალიტერატურო ენაში ისტორიულად ასპექტის წარმოების ახალი სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდება (შანიძე, 1973:270, 498; მარტიროსოვი, 1954:336; კალანდაძე, 1972:165).

როგორც ცნობილია, „ზმნისწინმა ზმნას მისცა ასპექტი ახალ საფუქველზე... ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო მველ ქართულსა და ახალს შორის“ (შანიძე, 1973:271). ენაში მომხდარი დიდი ცვლილების საფუქველზე, ზმნათა ერთმა ნაწილმა, წარმოშობით აწმყოს ფორმამ, სრულასპექტიანობის გამო, მომავლის გაგება შეიძინა. ასეთმა ზმნებმა აწმყოს წრიდან მყოფადის წრეში გადაინაცვლა. ამის გამო ამ ზმნების აწმყოს ადგილი უდვლილების სისტემაში ცარიელი დარჩა. საჭირო გახდა ზმნის უდვლილების სისტემაში არსებული ცარიელი ადგილის შევსება. ენამ ამისათვის სხვადასხვა საშუალებას მიმართა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად ითვლება მიმღეობითი ზმნების ჩამოყალიბება. ამ ფორმების საწარმოებლად ენამ გამოიყენა მოცემული ზმნის -ილ, -ულ სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობა, რომელზედაც -ობ თემის ნიშნის დართვით შექმნა ახალი ზმნური ფორმა აწმყოს მწკრივებისათვის. მაგ., ნახა -ნახავს-ნახულ-ობ-ს; ილოცა- ილოცავს- ლოცულ-ობ-ს, იცნო-იცნობს -ცნობილ-ობ-ს...

იმერხეულშიც დასტერდება მსგავსი წარმოების ფორმები, რომელთაც ხშირად უჩვეულო ელფერი დაკრავს. მაგ., ჩვენი ხანუმები ამასა წონულობენ; ჩუქი ბებერი ფუშა (მუცელსა) ტკენულობს; რამეს ვედარ ხტენულობს (მი-ხვდენა→მი-ხდენა→მი-ხტენა (ვ იკარგება. ხდ→ხტ: პროგრესული ასიმილაცია) →ხტენულობს-ხვდება, იგებს); ის აღარ დონულობს (ინდომებს) წამოსლას; დედამთილი არვის არ გვხათრულობს; ჩემ ნათქვამ აღარ ჯერულობენ; ზალი (რძალი) ვეღარ

**ქვტანულოფს** (გვტანულობს→ქვტანულოფს (რეგრესული ასიმილაციით)→გვიტანს); **დაყრუდა** (დაყრუდა), კერაფერს გონილოფს; ამ შაფათ ქორწილში ქპაიჯულობ (გპატიუები→ქპატიუებ (რეგრესული ასიმილაცია) →ქპაიჯებ (ტ იკარგება)→ქპაიჯებ (ჟ→ჰ)→ქპაიჯ-ულ-ობ: **ებ-ს** ენაცვლება ობ, დაერთვის ულ) (ახვლედიანი, 1949:228; მარტიროსოვი, 112-113); ჩუენ ხისიმებსა, ნათესავებსა ვნატრულობთ; ყანაში საქმეში მაღიმალ ვსვენულობდით; ალი ჩაუში ჩემ დედესა (ბაბუას) ცნობილობდა; ავადევლი უკანიხან (ბოლოს) ტკივილებსა ველარ ტყობილობდა; ის წყალი ზიმეა (მძმეა) და წყენულობდა მილლეთსა (ხალხსა); გურჯიჯეს (ქართულს) კარქა ხტომილობდებ (ხვდებოდნენ); აღარ დონულობდენ ჩუენ ნაქვამსა; თავის სიტყვას ჩემულობდა, ჩუენსას არ ჯერულობდა; წინწინ ამ ქილისაში ვლოცვილობდით (ვლოცულობდით)...

მიმღეობითი ზმნები დღეს ფართოდაა გავრცელებული დიალექტებში ანალოგიისა და უნიფიკაციის წყალობით. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ „ეს ფორმები თანამედროვე ქართულში ვერ დამკვიდრდა (რაც სალიტერატურო ენის როლის ზრდას უნდა მიეწეროს). დღეს მათ არავინ ხმარობს. იშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს ცნობილობს, ნატრულობს ფორმები, ისიც უპირატესად სასაუბრო ან მხატვრული ლიტერატურის ენაში“ (კალანდაძე, 1972:177).

—ავ და —ამ თემისნიშნიანი ზმნები უწყვეტლის სამივე პირში წარმოდგენილნი არიან —ევ, —ემ ნიშნით. როგორც ცნობილია, „—ავ-იან და —ამ-იან ზმნებში ქველად —ა-ს —ე ცვლიდა პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში, მესამეში კი დონის წინ — ჩნდებოდა, რომელიც წინმავალ ხმოვანს ამოიღებდა. ახალმა ქართულმა —ავ და —ამ სუფიქსთა ხმარება განაზოგადა, აწმუოდან უწყვეტელშიც გადაიტანა და საყოველთაოდ გაატარა“ (შანიძე, 1973:42).

ქართული დიალექტების ერთ ნაწილში კი (მესხურ-ჯავახური, ქართლური, კახური, ხემოიმერული, აჭარული, ხევსურული, მთარაჭული, ფერეიდნული)... უწყვეტლის სამივე პირში —ევდ, —ემდ წარმოება გვაქს (ძიძიგური, 1970:140-141; იმნაიშვილი, 1974:205; ძოწენიძე, 1973:261; ნიუარაძე, 1961:96; მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956:87; ჩიქობავა, 1927:211; ბერიძე, 1988:112; თოფურია, 1925:142).

იმერხეულშიც ასეთი ვითარებაა. მაგ., უწყვეტელი: ქერის წუენსა გსუემდი; აქევრელებ იჭირევდა; ყანას კარგა რწყევდა; ჩაქუჩით ნაყევდენ კობერსა; თქვენებურები თიბევდენ იმ ჭალებსა; ისინი ხვეწევდენ გობებსა; ნეჯიბაი ჭიბონ უძრევდა; შალსა წენგოშიც ღებევდენ; წელიან ღერებზე ფირინჯ თესევდენ; ბლის ტყავიდამ ხოკერსა გემრევდით; ფეხზე ქალაქნებ იცტემდი, დაგვიწყდა?; ჭბოსა ჭალაში ვაბემდით; სუფრას აღრე ღებემდა; ნადირსა ქოცევდენ; ცხუარსა გაზაფხულზე გვარსევდით; სულსა ყოლად (ადვილად) ვეღარ ითქუემდა... ასევეა, საერთოდ, ყველა სავრცობიან მწკრივში. კერძოდ:

**მყოფადის ხოლმეობითი:** სირსევილი (კანის დაავადება) რომ ამოიღოდა სადმე, იმას ულოცევდენ; თესპაზე (კრიალოსანზე) ავაცვემდი სიმღერებ და გამოგიგზავნიდი; ახალ წელწადზე სიმინდ მოვხარშევდით; საბელით შევგოჭევდით ბარგსა; შექერსა შავშეთ ვიყიდევდით (ვყიდავ—ვიყიდავ—ვიყიდევდი); ჩულსა გადავახურევდით ზემოდამ; დილუს (მცენარეა) დიღვან ფურცლებ შემსიერ (ქოლგად) დევხურევდით; ქითაბში ჩახედევდა; ყართოვ მოქაარევდა; ზაფსა შედებევდენ წერნაქით; შალსა საფიოქროში დაქსელევდენ; ჯამებ წიფელადამ მოხვეწევდენ; მორებსა გაჩილდევდენ (ფიცრებად გამოხომავდნენ); ჭალაში ბულულებსა (პატარა ზეინებს) დავდგემდით; თქუნა პურის კაკალსა ჩამურში დანაყევდით, ბანაყალირსა (როგორც მახსოვს); ამ წვანილსა უზემდეს, გაგემრიელდება...

აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ ქართულშივე თავს იჩენს უწყვეტლის სამივე პირში ერთნაირი, -ევდ, -ემდ ნიშნიანი, წარმოების მაგალითები. „X-XV საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გამოვლინდება ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ძველქართულისებური წარმოება უკვე იშლება... -ევ და -ემ სუფიქსების გავრცელება ხდება უწყვეტლის მესამე პირში, აგრეთვე, I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მესამე პირში. ამდენად ხდება პარადიგმის გასწორება (სარჯველადე, 1984:447; ბარამიძე, 1999:71).

ენათმეცნიერ ზ.სარჯველაძის მოსახრება უსათუოდ გასაზიარებელია: „ვფიქრობთ, ზოგ დიალექტში X-XI სს-ში -ავ თემისნიშნიანი ზმნა ასე იუღლებოდა: უწყვეტლი - გ-ი-ლოც-ევ-დ-ი, ი-ლოც-ევ-დ-ი, ი-ლოც-ევ-დ-ა, გ-ი-ლოც-ევ-დ-ი-თ, ი-ლოც-ევ-დ-ი-თ, ი-ლოც-ევ-დ-ეს...“ (სარჯველაძე, 1984:448).

მაშასადამე, დღევანდელ იმერხეულში შემონახულია X-XI საუკუნეების ქართული ენისათვის დამახასიათებელი კითარება, როცა -ავ თემისნიშნიანი ზმნები სავრცობიან მწკრივებში სუბიექტის სამივე პირში -ევდ წარმოებას წარმოაჩენენ.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ -ემ თემისნიშნიანი ფორმები სალიტერატურო ენაში მოგვიანებით აისახა, მაგრამ, საფიქრებელია ცოცხალ მეტყველებაში მათ -ევ-იანი ფორმების პარალელურად ეჩინათ თავი.

სავრცობიან მწკრივებში ზმნათა -ევ და -ემ ვარიანტიანი ფორმები ბატონობს საშუალ ქართულში. ეს წარმოება არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტშიც. შდრ. თანამედროვე ქართულის ბარავდა, სვამდა; ბარავდეს, სვამდეს ტიპის წარმოებაც პარადიგმის გასწორების შედეგს წარმოადგენს. -ავ და -ამ ნიშნები გავრცელდა I სერიის ყველა სავრცობიან მწკრივში“ (სარჯველაძე, 1984:449; კიძნაძე, 1961:317-344).

-ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების ძველი ქართულის უწყვეტლის ფორმების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსახ-

რება არსებობს (ჩიქობავა, 1964:133; ჩიქობავა, 1948-99; კიგნაძე, 1947:318-343). კერძოდ: პირველ-მეორე პირისა და მესამე პირის ფორმებს შორის არსებული განსხვავებული ვითარება მიჩნეულია ან ერთი და იმავე წარმოების სხვადასხვა სახედ და ფონეტიკური ფაქტორის მოქმედებითაა ახსნილი (ლ.კიგნაძე), ან კვალიფიცირებულია როგორც ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად განსხვავებული ორი წარმოება (არნ.ჩიქობავა): „აქ ორი განსხვავებული წარმოება უნდა გვქონდეს: ერთი – ევ სუფიქსიანი, მეორე – ავ სუფიქსიანი. ორივე ეს სუფიქსი აწმყოსია, ოდონდ პირველს არაფერი დაერთვის, მეორეს კი – ი დაერთვოდა... ნამყო უსრულის საწარმოებელი სუფიქსია – დ. ამ სუფიქსის დართვით მივიღებდით ორგვარ ნამყო უსრულს: 1. კ-კითხ-ევ-დ 2. გ-კითხ-გ-ი-დ“ (ჩიქობავა, 1948:99).

უფრო მოგვიანებით ენათმეცნიერმა არნ.ჩიქობავამ გააკეთა ასეთი დასკვნა: „აწმყოს ფუძეში – ავ და – ამ სუფიქსები მეორეულია; მათ ნაცვლად ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში – ევ და – ემ სუფიქსები უნდა გვქონოდა: – ავ და – ამ (ა ხმოვნიანი) სუფიქსები ძველ ქართულში მეორეულია“ (ჩიქობავა, 1964:133). ჩვენთვის ეს ოვალსაზრისი უფრო სარწმუნოა.

მაშასადამე, იმერხეული ამ მხრივ ძველი ქართულის სურათს წარმოაჩენს. საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ – ავ, – ამ და – ევ, – ემ სუფიქსიანი ფორმები ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში სხვადასხვა დიალექტური წრიდან შემოსულ ენობრივ მასალას უნდა წარმოადგენდეს. იმერხევის ძველ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში – ბერთის, ოპიზის, შატბერდის, ხანძთის ტაძრებში – შექმნილ ძველ წერილობით ძეგლებს საუკუნეთა განმავლობაში ცხადია, – ევდ, – ემდ სუფიქსიანი წარმოების ზმნური ფორმები შეჰქონდათ ხოლმე ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში. ამრიგად, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობდა ტაოკლარჯული ქართულენობრივი სამყარო, რადგან IX-XII საუკენეებში ძირითადად აქ იქმნებოდა ძველი ქართული მწერლობის შედევრები.

**Shushana Putkaradze**

**Verb Formation Peculiarities in Imerkhevi Dialect  
(Part two)**

If we observe the language of Imerkhevi from the point of language peculiarities, we could see Georgian language belongs to the language families which are very long lasting and bearable. It should be mentioned that the close relation between Georgian and Turkish languages in Imerkhevi during four centuries, did nothing to change verbal system of Georgian Language. There are no non-Georgian elements in Imerkhevi Georgian language. So, we can conclude that Imerkhevi Georgian Language remained its Georgian natural peculiarities.

The forms of verbs are mostly archaic and most of them are included in the first group of verb categories, which is called “series” in Georgian grammar.

**Шушана Путкарадзе**

**ОСОБЕННОСТИ ОБРАЗОВАНИЯ ГЛАГОЛЬНЫХ ФОРМ  
В ИМЕРХЕВСКОМ ДИАЛЕКТЕ  
(часть вторая)**

Наблюдения над имерхевской грузинской речью (Турецкая Республика, Артвинский вилайет) показывают, что грузинский язык относится к той группе языков мира, которая известна своей устойчивостью.

Более чем четырёхвековые каждодневные контакты с турецким языком не смогли создать чужеродной (негрузинской) лингвистической картины в глагольной системе имерхевской речи.

По сравнению с находящимися в сходных условиях ингилойскими (Азербайджан) и ферейданскими (Иран) диалектами, имерхевская грузинская речь лучше сохранила свою независимость и национальную самобытность.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, სრული კრებული ათ ტომად, ტომი V, გამოცემული პავლე ინგოროვას და აღ. აბაშელის რედაქციით, თბილისი, 1927-1929 წწ.
2. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984;
3. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძლები, I, თბ., 1973;

4. ბარამიძე ლ., ვნებითი გვარის ზმნათა აწმუოს დაბოლოებისათვის ქართულში: თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბ., 1976;
5. ნიუარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათ., 1975;
6. შინჯიაშვილი მ., ეშინიან თუ ეშინია? ურჩევნიან თუ ურჩევნია? ჰქვიან თუ ჰქვია?: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბ., 1972;
7. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989;
8. მარტიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956;
9. ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატაგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954;
10. ჩიქობავა არნ., პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უდვლილების სისტემაში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, თბ., 1943;
11. ჭინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960;
12. მარტიროსოვი არ., საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იკე, VI, თბ., 1954;
13. კალანდაძე გ., გებულობს, ლებულობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბ., 1972;
14. ახვლევიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძლები, I, 1949;
15. ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970;
16. იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, თბ., 1974;
17. ძორწენიძე ჯ., ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973;
18. ჩიქობავა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ, ტ.7, ტ.ვ., 1927;
19. ბერიძე გრ., ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988;
20. თოფურია გ., ქართლური „არილი“, ტფ., 1925;
21. ბარამიძე მ., ზოსიძეს სწავლად ქართული თარგმანები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო მაია ბარამიძემ, I, თბ., 1999;
22. კიკნაძე ლ., უწყვეტლის ხოლმეობითის მწერივი ძველ ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ.7, 1961;
23. ჩიქობავა არნ., აწმუოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის: 1. „ავ“, „აბ“ და „ებ“, „ევ“ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა, იკე, ტ.14, თბ., 1964;
24. ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იძერიულ კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948;
25. კიკნაძე ლ., პირველი სერიის მწერივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თსუ შრომები, 30-31, თბ., 1947;

# უოლკლორი და ლიტერატურა FOLKLORE AND LITERATURE ФОЛЬКЛОР И ЛИТЕРАТУРА

## თინა შიო შვილი

### “ქართული დარჩა მისი სახელი”

(გ. ყიფიანის პატრიოტული ლირიკა)

1951 წელს პარიზში დაისტამბა ქართველი ემიგრანტი პოეტის – გიორგი ყიფიანის ლექსების წიგნი “გიორგი ყიფიანი, რჩეული შაირების კრებული, გრ. რობაქიძის წინასიტყვაობით”<sup>1</sup>. კრებულში შემავალი ლექსები თემატურ ციკლებშია განაწილებული: “პორტრეტები უცხოეთის ჩარჩოებიდან”, “შაირები პოეზიის დღიურიდან”, “სურათები საქართველოს დამეჯებიდან” და ა. შ. 164 გვერდიანი კრებულის ყოველი სტრიქონი სამშობლოს სიყვარულითა და მასზე ოცნებით სუნთქავს, მისი უმთავრესი პათოსი ემიგრაციაში მყოფი ქართული გენის გაუსაძლისი ტკიფილი და მშობელი მიწისადმი ტრფიალებაა.

ქართული სიტყვის უბადლო ოსტატი გრიგოლ რობაქიძე კრებულის წინასიტყვაობაში ხაზგასმით მიანიშნებდა გიორგი ყიფიანის პოეზიის ლაიტმოტივზე: “თითქმის ყოველი შაირი გიორგი ყიფიანისა ამოძრავებულია ტკიფილით სამშობლოს მოწყვეტილისა. ავტორი დაშორებულია მშობელ მიწას ყმაწვილობისას. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მის ტკიფილს და თანაც კიდევ უფრო აღრმავებს მის სიყვარულს სამშობლოსადმი. კითხულობ მის შაირებს და გგონია, თითქოს იგი “აქედან” წვდებოდეს მშობელ წიაღს “იქ”, რომ შეავსოს გემება მადლით სავსე ნაყოფთა დედულისა და მამულისა. წვდება კიდეც, ნატვრით წარმოსახული მას ხორცებმულ სინამდვილედ უვლინება. ასეთია მმქმედი ძალა სიყვარულის, საკუთრივ ღრმა ტკიფილით აღვივებულის”.

უდიდესი სულიერი ტკიფილებით გაჯერებულ ლექსში “ლოცვა უცხოეთიდან” პოეტი ღვთისმშობელს შეასენებს მისი წილხვედრი ქვეყნის სისხლისფერ წარსულს, ლანგ-თემურების, შაჰ-აბასებისა თუ

<sup>1</sup> აღნიშნულ კრებულს 1996 წელს მივაკვლიე თურქეთის რესპუბლიკაში, სტამბულში, ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბიბლიოთეკაში. ჩემთვის ცნობილი იყო 1991 წელს გამომცემლობა “მეცნიერების” მიერ რუბრიკით “ქართული ემიგრანტული ლიტერატურა” გამოცემული I ტომის (“დაბრუნება”) ბოლოს დართული ცნობა, რომლის თანხმადაც, ამ რუბრიკით გამოისაცემ ავტორთა სიაში მეცხრე ნომრად მოიაზრებოდა გიორგი ყიფიანი. სამწუხაროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გ. ყიფიანის ლექსები ჩვენში დღემდე არ დასტამბულა. 1998 წელს ქ. “ლიტერატურულ აჭარაში” (ნდ, გვ. 39-41) გამოვაქვეჭნე რამდენიმე ლექსი პარიზული კრებულიდან გრიგოლ რობაქიძის წინასიტყვაობით. ქართული ემიგრანტული პოეზიის ამ საინტერესო წარმომადგენლის წიგნს კი, ბუნებრივია, ქართველი მკითხველი კვლავაც დიდი ინტერესით ელის.

სხვა დაუძინებელ მტერთა სისახტიკეს და, ამასთანავე, თანდაროულ წითელ ჭირს და ევედრება, კალავაც მოხედოს, რათა არ მოესწროს საქართველოს უქართველებოდ; თავად კი მზად არის, უდრტვინველად შეხვდეს ყველაზე დიდ სასჯელს – აღესრულოს უცხოეთში:

შენ გინახავს ეს ქვეყანა  
სისხლისფერი მრავალ წლიდან  
გრიგალებში ბედისწერა,  
უხსოვარი პირველ ხნიდან.  
შენ გინახავს ლანგ-თემური,  
შაჰაბასის ბასრი ხმალი,  
სელჯუქები და სკვითები,  
მიწა, სისხლზე გადამხმარი.

.....

დე, აქ მოვკვდე უცხო ლეში,  
გევედრები, მეუფეო,  
ნუ მომასწრებ სიცოცხლეში  
საქართველოს უქართველოდ!

სიყრმიდან სამშობლოს წიადს მოწყვეტილი შემოქმედის ნოსტალგიითა და ტკივილით გაჯერებულ ლექსთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ლექსი “ზამთარი”. პოეტს ენატრება მშობელი ქვეყანა, მისი ტყეები, მთები, ველები, მდინარეები... ეს მონატრება ძლიერი და გაუსაძლისია და კულმინაციას აღწევს ქართული ყინვის მონატრებაშიც; პოეტს აგონდება ქათქათა თოვლში მინაბული ქართული სოფელი, თეთრფარაჯიანი მთები რომ ამოსდგომია ერთგულ დარაჯად, და დიდებულად ხატავს მის ვერბალურ პეიზაჟს:

დაგუნდულ-გუნდების დადლილი მკლავები,  
ყინვების ნალესი, დაკიდულ ხანჯლებად,  
სოფლისა დარაჯად მთები თეთრფარაჯა,  
ფორაჯა ფერებით ქოხები გაჯრილი...

ლექსებს “ზამთარი” და “გივი ყიფიანს” მაღალი შეფასება მისცა გრიგოლ რობაქიძემ და გამოთქა რწმენა, მოგა დრო და ეს ორი ლექსი ქართული პოეზიის ანთოლოგიას დაამშვენებს: “ავტორს უფრო ემარჯვება ის, რასაც ფრანგნი “image Visuele“-ს უწოდებენ. სამაგალითოა ამ მხრით შაირი “ზამთარი”. მარტოდ მარტო ეს სახე რად დირს: “მხერებთეთრა არწივი, კლდეების ნაწილი”. “ზამთარი”, “გივი ყიფიანთან” ერთად, სანიმუშოდ შევა ოდესმე ქართული პოეზიის ანტოლოგიაში”.

შშობელი ქვეყნისადმი უნაზესი სიყვარული და მოძალებული ნოსტალგია გიორგი ყიფიანის ლირიკულ გმირს ბოლომდე შეურიგებელს ხდის ბოლშევიკური ანექსიისადმი; მის შემოქმედებაში ძალზე ხშირად არის გამოთქმული სიძულვილი წითელი ქვეყნისადმი; ვერც შემოქმედის აღმაფრენას აპურებს წითელი ფერი, რადგანაც პოეტის სამშობლოს დამპყრობი კომუნისტური რუსეთის სიმბოლოდ აღიქმება. უცხოეთიდან კი ეს განცდა უფრო ძალუმი ყოფილა; ლექსში “ლოცვა

“უცხოეთიდან” გიორგი ყიფიანი საუბრობს ახალი დროის წითელ შაპ-აბაზე, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნას რომ ემუქრება წალეკვით:

ბედმა ისიც არ იკმარა.

დაამსხვრია ჯვარი ვაზის.

ღვთისმშობლის ხვედრს ემუქრება

წითელი ქვეყნის შაპ-აბაზი.

უცხოეთის ცის ქვეშ მყოფი გულანთებული პატრიოტი პოეტისათვის რუსეთი “წითელი ჯოჯოხეთია”, ავბედითი თებერვლის დამის ტრაგედია კი – “ჯოჯოხეთის პირველი დრამა”, უდვოლ დაჭრილსა და დაჩეხილ ქართულ მიწაზე რომ გათამაშდა:

წითელ ჯოჯოხეთს მოაქვს ზღვა და მიაქვს ხმელეთი,

მონების გლოვა ამდელვარებს დადლილ სამყაროს,

თებერვლის დამე, ტკივილებით ამონახეთქი,

დაჩეხილ მიწის ჭრილობებში დაეძებს ნაყოფს.

წითელი ფერი ამოღებულია გ. ყიფიანის მსოფლგაგების სპექტრიდან; მშვენიერ ლირიკულ ლექსში “გიუს მეძახიან” იგი წერს:

გიუს მეძახიან, რომ მეშინია,

წითელი ფერის გარეთ და შიგნით...

წითელი ჯოჯოხეთისადმი ბოლომდე შეურიგებელი დარჩა ჩვენი ემიგრანტული მწერლობა და მისი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი – გიორგი ყიფიანი. აგბედითი თებერვლის ტკივილიანი თემა მისი პატრიოტული ლირიკის მუდმივი თანამდევია. უსათაურო ლექსში (“...შენი სახელით დავიბადეთ...”) პოეტი უდიდესი სიფაქიზით იხსენებს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ხანძოკლე დღეებს, როცა “წინ მიგვიძლოდა მზე და მთვარე ბავშვის დიმილით” და “მწვანე ფერები მიწის მკერდში იშლიდა ფეხებში”, მაგრამ, სამწუხაროდ, მწვავე და სახტიკმა რეალობამ მკაცრი განახენი გამოუტანა ქართულ სულს, “ყინვის კაცის” მსახვრალმა ხელმა დააზრო ყოველივე და თებერვლის ყვავილებიც უდვოლ გადაგვითელა. სამშობლოს სახელით დაბადებულთა და წითელი ჯოჯოხეთით ფრთებშეკვეცილთა ამბოხია ეს მშვენიერი ლექსიც:

შენი სახელით დავიბადეთ ჩვენ ამა ქვეყნად,

წინ მიგვიძლოდა მზე და მთვარე ბავშვის დიმილით.

ალბათ შენ იყავ ჩვენი მოდგმის პირველი დედა,

სულს რომ ამბოხებს უხილავი გულისტკივილი.

იისფერ დილას, მთის მწვერვალებს და მის სიცელქეს

ათამაშებდა ნაძვის ტყეთა ფოთოლთ შრიალი.

მწვანე ფერები მიწის მკერდში იშლიდა ფეხებში

და გაზაფხული, ყვავილებში პირმომცინარი.

სუყველას გვერქვა მშვენიერი შენი სახელი,

სუყველას გვერგო ტკივილების მწარე იარა,

სიცოცხლის გზაზე ყინვის კაცმა შეგვავლო ხელი

და ყვავილებზე თებერვალმა გადაიარა.

ყინვის კაცი – წითელი ჯოჯოხეთის ერთ-ერთი შემოქმედი და შემდეგ, სამი ათეული წლის მანძილზე, მის ბელადად აღიარებული იოსებ სტალინი ემიგრანტი პოეტის ლექსის ადრესატიც გახდა. ლექსში “სტალინი” (ციკლიდან - “პორტრეტები უცხოეთის ჩარჩოები-დან”) გიორგი ყიფიანი სტალინს უწოდებს წითელი ქვეყნის ულმობელსა და მრისხანე დმერთს, რომელიც, სამწუხაროდ, ქართული გვარისა იყო; რომელმაც საკუთარ მშობელს ხელ-ფეხი შეუბორება და მთელ პლანეტას ემუქრება “წითელი მეხით”. ლექსში კობა-სტალინი მოხსენიებულია ეპითეტებით: “ლეგენდა”, “ფოლადი”, “გაუხრელი”, “რკინა და რგალი”, სხეულში ბოროტი ჯინი რომ ჩასახდებია, რომლის შეუპოვრობა და მიზანმიმართულობა სამშობლოს კეთილდღეობას არ მოხმარებია. ჯერ კიდევ “დიდი ბელადის” სიცოცხლეში დაწერილ ამ ლექსში ავტორი მას “რომანოვების შთამომავლად” მოიხსენიებს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, სტალინის, როგორც კრემლის სიმბოლოს, რუსული სულისკვეთების მმართველის წარმოსაჩენად დასჭირდა. სხვა მხრივ გაუგებარი რჩება მისი აღქმა რომანოვების შთამომავლად, რადგანაც წითელმა ურჩხულებმა არც რომანოვთა დინასტიას დააყარეს სიკეთე. ვფიქრობთ, გიორგი ყიფიანის ლექსი “სტალინი” და მასში გადმოცემული პათოსი სრული გამოძახილია არამარტო ქართული ემიგრაციის სულისკვეთებისა, არამედ – “წითელ ზონაში” დარჩენილი ქართველობისაც, რომელთაც, სამწუხაროდ, პირში წყალი ჰქონდათ დაგუბებული, რადგანაც თავის დროზე ვინც ხმა ამოიღო, “შეუბორებეს ხელი და ფეხი”; გიორგი ყიფიანმა კი მიგნებულად გაახმოვანა პატრიოტ ქართველ ემიგრანტთა ოუ შორს მყოფ თავჩაქინდრულ თანამე-მამულეთა სათქმელი და შექმა “წითელი ჯოჯოხეთის” შემოქმედის სრულყოფილი პორტრეტი, რომელმაც კრემლის “ტაძარში” ერთა ყმობა გამოჭედა და დააკანონა, ხოლო კოჯრის მთაზე თამარის ჯვარი გადამსხვრია:

შენ ლეგენდა ხარ, გრიგალებში გაუგონარი,  
პოლიუხებზე დაბჯენილი მაგარი ჩექმით,  
მსოფლიო ტახტზე აყანილი ქართული გვარი,  
წითელი ქვეყნის ულმობელი, მრისხანე ღმერთი!  
შემოგვევია სურვილები, სისხლით ნაზარდი,  
დაჭრილ სამყაროს აბარბაცებ რკინის მახვილით,  
ნგრევას დაპყურებს ყუმბარებით ცა განაპხარი  
და დგას დროშები, მეგლელებივით თავებდახრილი.  
საკუთარ მშობელს შეუბორებე ხელი და ფეხი,  
კრემლის ტაძარში გამოკვეთ შენ ერთა ყმობა.  
დაღლილ პლანეტას ემუქრები წითელი მეხით,  
რომ სისხლისდენით წააწერო სახელი – “კობა”.  
ჯიუტი ჯინი მკერდით მოგაქს როგორც აბჯარი,  
დარჩი ფოლადი, გაუხრელი, რკინა და რვალი.  
კოჯორის მთაზე გადატეხე თამარის ჯვარი,  
რომ რომანოვთა ყოფილიყავ შთამომავალი.

მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე მის დაჭრილ-დაჩეხილ ქვეყანაში წითელი ქარიშხალი რომ მძვინვარებდა, ორმაგ სიფხიზლესა და პასუხისმგებლობას აკისრებდა დღემუდამ სამშობლო ქვეყანაზე მოფიქრად ქართულ ემიგრაციას; ერთ მუშტად შეკრულები, ერთმანეთს ამხნევებდნენ, რადგან იცოდნენ, “ბოროტი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია”. ამიტომაც მოძღვრავდნენ შვილებსა და შვილიშვილებს, მუდამ ნედლი და გაუხუნარი ყოფილიყო მათთვის იდეა სამშობლო ქვეყნისა. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა გიორგი ყიფიანის ლექსი “გივი ყიფიანს”, რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ უწოდა “ანდერძი მამისა შვილისადმი” და, როგორც აღვნიშეთ, ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შესატან ნიმუშადაც მიიჩნია. თავად სამშობლოს სიშორის ულრმესი ტკიფილებით გარემოცულმა, შენიშნა, რომ გიორგი ყიფიანის პოეზიაში დიდი ტკიფილია გადამალული: “ერთი ტკიფილი სუნთქავს კიდევ მის შაირებში: ტკიფილი მალული, რადგან ინტიმური. ეს ტკიფილიც იმგვარადვეა შესრულუბული, როგორც – პირველი, თუმცა მეტი სინაზით. გასაგებია, თუ რად. ორ ტკიფილთა ერთი-მეორეში ჩაქსოვას წარმოუშვია ნამდვილი ლირიული შედევრი “გივი ყიფიანი, ანდერძი მამისა შვილისადმი”.

სამშობლო ქვეყანას დანატრებული პოეტი უცხოეთში დაბადებულ ვაჟს უბარებს:

თუ ჩემს სიცოცხლეს, დარდზე ანაგებს  
ელის სამარე უცხო მხარეში,  
ასე უამბე მეგობარ ფრანგებს  
ბედის იდუმალ სიმწუხარეში –  
შენ მამა გყავდა გზადაკარგული,  
მხოლოდ სიყვარულს ეძებდა ქვეყნად,  
შემოაღამდა უცხო მხარეში,  
როგორც ფოთოლი, წაიღო სეტყვამ.  
უსიყვარულოდ ის გარდიცვალა,  
დედის წერილი ჩაყვა უბეში.  
უცხო ბინაში დიდხანს იცადა,  
მისოვის სამშობლო იყო ნუგეში.  
ქართველი დარჩა მისი სახელი  
და ყიფიანი გერქვა შენ გვარად,  
ბევრი ვაების იყო მნახველი,  
ამიტომ არვინ არ შეიყვარა.

.....  
შვილო, ეგ თხოვნა ისე შეგერგოს,  
როგორც სიცოცხლე, ვარდზე რხეული.  
ქართული ძუძუ არ გიწოვია,  
მაინც სისხლი ხარ ჩვენი სხეულის.

გიორგი ყიფიანის პატრიოტული ლირიკის გამორჩეული ადრესატია 1918-1922 წლების ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულის-ჩამდგმელი, უბადლო მამულიშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვი-

ლი. ლექსში “ქაიხოსრო ჩოლოვაშვილი” პოეტი უდიდესი სიყვარულით მიმართავს ქართველ ვაჟაცს და “პატარა ქვეყნის დიდ რაინდებ” უწოდებს; გ. ყიფიანი გახაზავს, რომ საქართველოს არ უდგას ბედნიერი დღეები, ქართულ სიწმინდეს ვეშაპი დაპატრონებია და თამარის უწმინდეს ბაღში ტაძარი იწვის, მაგრამ ქაქუცას სახელი მარადიულია ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, სიტყვა ქაქუცა განთიადის თანამდევია:

თამარის ბაღში ტაძარი იწვის,  
ვეშაპს წმინდანი დაუძლევია.  
შენი სახელი სამშობლო მიწის  
გაუტეხელი ოქროს ხმალია!

მიდის დღეები, ბრძოლით ნარხევი,  
ცეცხლის ქარები ქალაქს ჩაუცვამს,  
კავკასიონზე შენი სახელი  
სისხლით ნაქსოვი სიტყვა “ქაქუცა”.

დღეს სინამდვილე სინჯავს იარაღს  
და განთიადი შენს სახელს ელის.

გიორგი ყიფიანმა მშვენიერი სტრიქონები უძღვნა ქართული სიტყვის აღიარებულ დიდოსტატებს, მასავით ემიგრაციაში მყოფ უბადლო პატრიოტებს გრიგოლ რობაქიძეს. ლექსში “გრიგოლ რობაქიძეს” პოეტი თავისი ლექსის ადრესატს “პარნასის ელჩს”, ქართველთათვის ევროპის კარების გამხსნელს უწოდებს; აქვე ამხნევებს კიდეც, შეახსენებს, რომ მის სათაყვანებელ ერს უყვარს იგი. ამ გამხნევება-შეძახილს მაშინ, ალბათ, დიდი ადამიანური მისია ენიჭებოდა, რადგან საყოველთაოდ იყო ცნობილი, როგორ შერისხეს გასაბჭოებულ-გაწითლებულ საქართველოში თხემით ტერფამდე ქართველი და მშობელი მიწის ტრფიალი გრიგოლ რობაქიძე:

ვინა თქვა, ბედკრულს ერი არ გწყალობს,  
შაირებს შეკრულს მაგარ თქმებიდან.  
როს ფიროსმანის ფესვებით შემგულს  
ვაჟა გიღიმის მაღალ მთებიდან.

როგორც კრებულს წამძღვარებული გრიგოლ რობაქიძის წინა-სიტყვაობიდან ირკვევა, გრიგოლ ყიფიანს ეს ლექსი თავდაპირველად დაუბეჭდავს ჟურნალში “ბედი ქართლისა”. ამ ფაქტის გამო გრიგოლ რობაქიძეს დაუწერია პატარა წერილი გიორგი ყიფიანის პოეზიაზე და ჟურნალის რედაქტორისათვის – კალისტრატე სალიასთვის გაუგზავნია. “ჩემი აზრი გიორგი ყიფიანის პოეზიის შესახებ მე უკვე გამოთქმული მქონდა მოკლედ ბარათში “ბედი ქართლისა”-ს რედაქტორის, კალე სალიას მიმართ, როცა ამ კრებულში ჩემდამი მიძღვნილი შაირი წაგიკითხე”, – წერს გრიგოლ რობაქიძე.

სამშობლოს მონაცემებით პირთამდეა სავსე გიორგი ყიფიანის ლექსების ციკლი “სურათები საქართველოს დამეციდან”. აი, ერთ-

ერთი, მართლაც, შედევრი ამ ციკლიდან – ლექსი “სურათი”, რომლის პოეტური ლირსების შესამკობად გრიგოლ რობაქიძემ ბრძანა: “ქალ-წულური სიწრფეებე გზნებისა და ნაგზნების ჩვილის გულის ფეთქვით აცხოველება.. აი, სახასიათო გიორგი ყიფიანისა, როგორც ლირიკოსის. აქედან: ნარნარი მოქროლვით განფენა აღქმულის”:

ათოვს და ათრობს  
იისფერ დამეს  
თეთრი პეპლების  
უსულო ფრენა,  
სიჩუმის ზღაპარს  
უურს უგდებს მთვარე,  
მთვარე პირბადე  
და ალმაცერა.  
რომელი მზეა  
თვით პოეზია,  
არ უნდა გრძნობა,  
არ უნდა სიტყვა.  
მთის მწვერვალებზე  
ღრუბლები ზიან  
როგორც იდუმალ  
სიჩუმის კითხვა.

გიორგი ყიფიანის პატრიოტული ლირიკა ქართული ეროვნული პოეზიის სისხლხორცეული ნაწილია. სამშობლოსაგან შორს ყოფნა პოეტისათვის, ისე როგორც მისი დიდი წინაპრის – დავით გურამიშვილისათვის, სრულებითაც არ ნიშნავს მშობლიური წიაღიძან მოწყვეტას; იგი ერთგულია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ტრადიციებისა და, ამავე დროს, აქტიურად ეხმაურება თანადროულ ქართულ სინამდვილეს. ამ თვალსაზრისითაც გ. ყიფიანის პოეზია ქართული მწერლობის ორგანული ნაწილია, ხოლო პატრიოტული ხასიათის ლექსები – ჩვენი გმირი წინაპრების სულიერებით გაქდენთოლი და ტიპივილიანი აწმყოთი გაჯერებული პოეტის სულის ამოახილია, ავტედითი თებერვლის სუსხით მოცელილი ყვავილების ექოა.

1986 წელს პარიზული ჟურნალი “ჩვენი დროშა” (ავტორი “ლ. ფ.”, გვ. 98) გიორგი ყიფიანის გარდაცვალების მწეხარე ამბავს რომ ამცნობდა ქართულ ემიგრაციას, საგანგებოდ მიუთითებდა მის გამორჩეულ პატრიოტიზმზე: “ტუნის” (ასე ეძახდნენ გ. ყიფიანს შინაურობაში – თ. შ.) ლირიკული პოეტური ფერადოვანი შემოქმედება ჩვენი ხალხის უდიდეს გმირობას და პატრიოტიზმს უმდეროდა და გამოხატავდა ჩვენი ტანჯული ერის ამაღლებულ მამულიშვილობას და გვაგრძნობინებდა სამშობლოს სანუკვარი სიყვარულის ფასს. ის ღრმად ჩასწვდა ჩვენი ერის ტრადედიას და თვითეულ თავის ლექსით ხორცს ასხამდა ქართველი ერის პატრიოტულ მამა-პაპათა სისხლით მოწყულ ფესვებს, მას უვლიდა და ანედლებდა...”

დღეს ჩვენს ქვეყანას კვლავაც სტკივა წითელი რუსეთის მემკვიდრეობა მიენებული ჭრილობები, მაგრამ, გვჯერა, რომ დაგვიდგება ნათელი დღეები, “ტყის შრიალით შემკრთალი ბარტყი” (“ორი ობოლი”) აუცილებლად მოეთბობა დედის უძეს და გოორგი ყიფიანის შემოქმედება კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაში, რადგანაც, როგორც თავად ბრძანა, “ქართული დარჩა მისი სახელი”.

**Tina Shioshvili**

**His name remained Georgian one  
On Giorgi Kipiani Patriotic Lyrics**

**Resume**

Each line of Giorgi Kipiani's (Georgian poet-emigrant) creative work is full of love to Georgia and hate of the “Red Hell”.

Giorgi Kipiani's poetry is full of the native motives in the book of selected poems, published in Paris in 1951, being the indivisible part of centuries-old Georgian heritage.

**Тина Шиошвили**

**□Грузинским осталось его имя□  
(Патриотическая лирика Георгия Кипиани)**

**РЕЗЮМЕ**

Каждая строка творчества грузинского поэта-эммигранта Георгия Кипиани наполнена любовью к Грузии и непримиримостью к «красному аду».

Родной тематикой пропитана поэзия Г. Кипиани в книге избранных стихотворений изданной в Париже, в 1951 году и она неотъемлемая часть многовековой грузинской письменности.

**გამოყენებული წყარო:**

1. გოორგი ყიფიანი, რჩეული შაირების კრებული, გრ რობაქიძის წინახიზე, ვარიზი, 1951.

## საგინგლაო-გამოსაჯაგრებელი ლექს-სიმღერები აჭარის ფოლკლორში

საბავშვო ფოლკლორმა განვითარების მეტად გრძელი გზა განვლო, სანამ იგი ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა. ბავშვებს ყველაფერი არ აინტერესებთ და უინტერესო ნიმუშებს არც იმასსოვრებენ. მათში ცოცხლობს ის, რაც მათ ინტერესებს, გემოვნებას შეეფერება.

ქართული საბავშვო პოეზია ქვეუანრებად იყოფა. თვითული ქანრი ტერმინების მიხედვითაც იყოფა. ამის შესახებ იხილეთ ჩვენი ნაშრომი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, XIII, 2008, 3–9).

ამჯერად განვითილავთ საგინგლაო და გამოსაჯავრებელ ლექსებს, რომელიც „ბავშვების ფიქრისა და განცდის პირდაპირი გამოხატულებაა“ (ფ.ზანდუკელი, 1977:18). იგი მოზრდილთა რეპერტუარიდან მომდინარეობს, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები იმდენად ბავშვურია, რომ ჭირს მათი მოზრდილთა მსოფლმხედველობასთან, ინტერესებთან დაკავშირება. „პატარებმა აქცენტი რითმებზე გადაიტანეს და მათთვის ნაცნობი და მიზანში ამოღებული სახელების გარითმვით ქართული ხალხური საბავშვო შემოქმედების საინტერესო რეპერტუარი შეადგინეს“ (ფ.ზანდუკელი, 1977:19). საგინგლაო-გამოსაჯავრებელი ლექსებისათვის დამახასიათებელია სხარტი, მსუბუქი რითმა, რითმისადმი ბავშვების განსაკუთრებული სიყვარული და მიღრეკილება საყველთაოდ არის ცნობილი.

როგორც საბავშვო ხალხური პოეზიის ამ ქვეუანრის ნიმუშთა სახელწოდებიდან ჩანს, მათი ძირითადი ფუნქცია მოწინააღმდეგის გამოწვევა, გაღიზიანება, დაცინვა—გამოჯავრება. გამოსაჯავრებელი ლექსების აღნიშნულ ფუნქციაზე, თვით ბავშვებიც მიუთითებენ: „როცა ძალიან გვინდა გავაჯავროთ ვინმე ბავშვი, თამაშის დროს ასე ვეუბნებით ხოლმე:

- აბა?
- ასი კილო ბამბა”.

აღნიშნული ნიმუშის შესრულების წინა პირობაა, რომ მოწინააღმდეგებს როგორმე ათქმევინოს სიტყვა „აბა”, რომელსაც შემდეგ გარითმული ტექსტი „ასი კილო ბამბა“ (ან სხვა ტექსტი) მოხდევს პასუხად.

საგინგლაო-გამოსაჯავრებელი ნიმუშებისათვის დამახასიათებელია კუმულაციური სახის ლექსების ციკლი, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ამგვარი ფოლკლორული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია სიტყვის რიტმული, ჯაჭვისებური განვითარება. კუმულაციური ლექსები მოზარდთა ფოლკლორული რეპერტუარის აქტიური ნაწილია. აჭარელი ბავშვებისაგან შეკრებილი ნიმუშები შედარებით ნაკლებად არის ცნობილი:

- ამაღამ ჩემი ნადი ხარ,
  - სად დამაწვენ?
  - ღობითა.
  - რას მაჭმევ?
  - ღორითა.
  - ამედამ ჩემი ნადი ხარ.
  - სად დამაწვენ?
  - თავნითა.
  - რას მაჭმევ?
  - თაგვითა.
  - ამედამ ჩემი ნადი ხარ,
  - სად დამაწვენ?
  - ხიდი თავ,
  - რას მაჭმევ?
  - ვირითავ.
  - ამედამ ჩემი ნადი ხარ,
  - სა დამაწვენ?
  - ყავრი თავ,
  - რას მაჭმევ?
  - ყავი თავს.
- ან: – ჩემი ყველი—ჭადი პა წევდა?
- კატამ შეჭამა.
  - კატა პა წევდა?
  - ხიდზე გედარა.
  - ხიდი პა წევდა?
  - წყალმა შეიღო.
  - წყალი პა წევდა?
  - მზემ დააშრო.
  - მზე პა წევდა?
  - გორას ამიეფარა.
  - გორა პა წევდა?
  - ხარმა დახრა.
  - ხარი პა წევდა?
  - დანამ დაკლა.
  - დანა პა წევდა?
  - უსტას აქ.
  - უსტა პა წევდა?
  - სახში.

სიუჟეტის ამგვარი განვითარება ბაგშვისაგან მოითხოვს გონებრივ სისხარტესა და მოქნილობას, სწრაფი რეაგირების უნარს, ლოგიკურ

აზროვნებას. ლექსების ფორმა დიალოგიურია, „მსგავსი ნიმუშები კი ითვლება უძველესი პოეზიის მიერ ნაანდერძევ ამებეურ ფორმად“ (სიხარულიძე, 1938:12)

საგინგლაო—გამოსაჯავრებელი კუმულაციური ნაწარმოებებისათვის იუმორისტული ტონია დამახასიათებელი. ამის ნათელი დადასტურებაა ზემოთ მოტანილი პირველი ნიმუში: მოქმედება სტუმარ—მასპინძელს შორის მიმდინარეობს... მასპინძელი სასაცილოდ იგდებს სტუმარს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ანალოგიური ხასიათის ლექსები საბაგშვილი ფოლკლორის კუთვნილებად ითვლება, საფიქრებელია, რომ „საგინგლაო და გამოსაჯავრებელი ლექს—სიმღერები სათავეებს მოზრდილთა შემოქმედებაში პოულობს“ (ზანდუკელი, 1977:18). ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ აჭარაში მსგავსი ნიმუშები უფროსი ასაკის მოქმედთა რეპერტუარისთვისაცაა დამახასიათებელი.

გამოსაჯავრებელი ნიმუშების ერთ ნაწილს აშკარად ეტყობა, რომ ისინი ბავშვების შექმნილია, ამის დასტურია ერთი ლექსი:

მეტიც ხარ და ბრეტიც ხარ,

გაწურული ყველიც ხარ (ბსკიფა, საქმე 134:99).

ზოგიერთ ლექსში დაცინვა—გამოჯავრების კონკრეტული ადრესაც წარმოჩნდება:

ტირრი, ლაალეო,

საქათმეში შეპარულა,

ჩვენი ცელქი ლეო,

წითელ მამალს ეფერება!

შენ გენაცვალეო,

ტირრი, ლაალეო! (ბსკიფა, საქმე 134:99).

ანალოგიური ხასიათის ნიმუშებში ხშირად ვხვდებით ფიზიკური ნაკლის, ხასიათისა და ქცევის მხილებას:

გავაგორვე ლეგენი,

რა ყოფილხარ, რეგვენი!

ან იქვე: გავაგორვე ფახრაჯად

რა ყოფილხარ, ყარაჯად (ბსკიფა, საქმე 142:35).

გამოსაჯავრებლად ზოგჯერ ფიზიკური ნაკლიც ფიგურირებს:

ის პაწად დარჩენილა,

ომეროდლის ატატად ,

ოზოვ, რა მაგრათ ყვირი,

ჩაგაყარე ვატატად (ბსკიფა, საქმე 134:115).

ზოგჯერ გაღიზიანებული მოწინააღმდეგა გარდა სიტყვიერი გამოჯავრებისა, ცდილობს პრაქტიკულადაც დაჯაბნოს მოპირდაპირე მხარე:

პე მოლი, პე მოლი,

დასცხეთ ოოხი,

პე მოლი, პე მოლი,

შიგიწვავთ კრუხი,

პე მოლი, პე მოლი (ბსკიფა, საქმე 203:32).

საგინგლაო—გამოსაჯავრებელი ლექსები ზოგჯერ სცილდება მსუბუქ დაცინგას და უსიამოვნო, შეურაცხმუფელი ტონით გადიზიანებაში გადადის:

თედო პაპას ასე უთხარ:

გადივარცხნოს ქოჩორი,

ვირის ძებნა რაღათ უნდა,

მაგერ ეზრდება ჩოჩორი (ბსკიფა, საქმე 203:32).

საგინგლაო ლექსებში ხშირად ხაზგასმულია საყოფიერო დეტალები, ისეთი რომელიც სამარცხვინოა და დაცინგის ობიექტად ხდის მოზარდს:

თაროზე მაქ კილოიანი.

რა ყოფილხარ—ტილიანი! (ბსკიფა, საქმე 146:77).

გაკილვისა და დაცინგის ობიექტი ხდება მოზარდი, რომელიც არ იცავს პირად პიგიენას:

თაროზე მაქ ქინძური,

რა ყოფილხარ ბინძური (ბსკიფა, საქმე 146:79).

ბავშვების ყურადღების თემა ხდება სიზარმაცე, გონებაჩლუნგობა, ისეთი გასაკიცხი და დასაგმობი თვისებები, როგორიცაა ქურდობა, უსაქციელობა და სხვ.

გავაგორვე ლეგენი,

რატომ გამოვ რეგვენი (ბსკიფა, საქმე 146:72).

ან: გავაგორვე ქუდი

რატომ გამოვ ქურდი (ბსკიფა, საქმე 146:72).

ან: გავაგორვე კეცი,

რატომ გამოვ ხეცი(ბსკიფა, საქმე 146:72).

როგორც მკვლევარი ფ.ზანდუკელი აღნიშნავს, მსგავსი გამოჯავრება ხშირად ერთმანეთს უსიამოვნო ლანბლვა—შელახვით მთავრდება. ამის გამო ანალოგიური ტიპის ნაწარმოებები არაერთხედ გამხდარა კრიტიკის საგანი. მართლაც, ზოგიერთი გამოსაჯავრებელი ტექსტი აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც საჩოთიროა და მთლად მისაღები არ არის, მაგრამ მსგავს ნიმუშებში ხომ უარყოფითი თვისებებია გაკიცხული, რომელთა მინიშნება და აღიარება ერთ—ერთი აღმზრდელობითი საშუალებაა.

ამიტომაც დღესაც განაგრძობს არსებობას ხალხური შემოქმედების აღნიშნული ნაწილი. ამასთან, დღესაც იქმნება ახალ—ახალი ნაწარმოებები, რომლებიც სწრაფად უქცევიან ფოლკლორული ბრუნვაში და თავის ადგილს იმკვიდრებენ მოზარდთა რეპერტუარში.

საბავშვო ნაწარმოებების ერთი ნაწილი თვით იძლევა უსიამოვნო მოვლენისა თუ ფაქტის პასუხს, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც გააჩნია. მოზარდები ეცნობიან უსიამოვნების მიზეზებსა და სავარაუდებელია, რომ ისინი ეცდებიან აღარ გაიმეორონ მსგავსი საქციელი. მაგალითად:

–ანავ, წელი,

მოვდა თველი,

–რატომ ჭამე გუთოდელი? (ბსკიფა, საქმე 146:84).

უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა შემოქმედებაში გადმოინაცვლა სხვადასხვა უანრებიდან ნაწარმოებებმა, რომელთაც სხვა გააზრება და ფუნქცია პქონდა, ამჟამად კი მხოლოდ საგინგლაო–გამოსაჯავრებელი ლექსებია. მაგალითად:

ასკილ კუპუ ჟინელილა,

მე ყანაში მემინა.

ქურთის გოგომ გამეარა.

ჟინელის ქუდი ეხურა.

– აი ქუდი ვისია?

– ჩემ და ჩემი ძმისია.

– შენი ძმად სად არის?

– ვაერ მივა ჭალაში.

ჭალა ეკლიანია,

მუხა ცეცხლიანია (ბსკიფა, საქმე 142:69).

მოტანილი ნიმუშის სხვა ვარიანტია:

ასკინელა, კინელა.

მე ყანაში მემინა.

ჩამეარა ქურთის გოგომ,

თავზე ქუდი ეხურა.

– მაი ქუდი ვისია?

ჩემ და ჩემი ძმისია.

– შენი ძმები სად არიან

– იგერ მიღმა ჭალაში

ჭალა არი ეკლიანი,

ბუხარია ძეწევიანი (ბსკიფა, საქმე 146:82).

ხალხური მელექსე ყურადღებას აქცევს ბავშვის ხასიათს. ზოგი ბავშვი თავიდანვე მიღრეცილია უმიზეზო ტირილისაპენ, რაც ირგვლივ მყოფთავის მომაბეზრებელია, ასეთი და მის მიმართ ასეთ გამოსაჯავრებელ ლექსეს იყენებს:

მტირალასა ბანი,

ასი ჯამი ფხალი,

შეაგდეს საღორეში,

დაუკამდეს კარი,

ისიც დორმა შეუჭამა,

დარჩა ხახამშრალი (ბსკიფა, საქმე 142:5).

ნაწარმოები მეტად პოპულარულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

მელექსეებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ბავშვებისათვის ეგზომ დამახასიათებელი ბუტიაობა ეს თვისებაც გაკილულია:

ბუტია, ბუტია, ბუტანტუქა,

ჩოხა ფრეწია ფაანდრუკა (ბსკიფა, საქმე 142:5).

„საგინგლაო და გამოსაჯავრებელი ლექსების ერთი ნაწილი სიტყვათა თამაშზეა აგებული. მათი დანიშნულებაა ბავშვის შეპარვით მოტყუება და სასაცილოდ აგდება” (ფ.ზანდუკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 20).

ასეთი ნაწარმოებები დიალოგური ფორმისაა და აუცილებლად პასუხს მოითხოვს. პასუხის გაცემისას უნდა მოტყუედეს მოწინააღმდეგება.

ბავშვებს შორის საკმაოდ პოპულარულია ქალის რომელიმე სახელის მოწინააღმდეგისათვის მოტყუებით თქმევინება:

- ქალის სახელს ვერ გათქმევინებ?
- ვერა.
- ვერა ქალის სახელია (ბსკიფა, საქმე 146:50).
- ასევე სიტყვათა თამაშით შექმნილია ნაწარმოებები, რომელშიც ცხოველები ფიგურირებენ:
  - ცხენის სახელს ვერ გათქმევინებ?
  - ვერა.
  - იმაშია...
  - რაში (ბსკიფა, საქმე 146:50).

მსგავსი ნიმუშების შესრულებისას ორნი მონაწილეობენ და ხშირ შემთხვევაში მათ მსმენელნიც ჰყავთ, რომლებიც გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს მოპატრეთ. როდესაც დამწყები მიაღწევს მიზანს და სასურველ პასუხს მიიღებს, სწყვეტს სიტყვაობას და ყველანი სასაცილო მდგომარეობაში მყოფს დასცინიან.

განხილული ჯგუფის ნაწარმოებების მსგავსია იმ ლექსების ციკლი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიუკეტის ჯაჭვისებური განვითარება კითხვა-მიგების ფორმით. საილუსტრაციოდ საკმაო საქართველოს საბავშვო ფოლკლორში ძალზე პოპულარული „ყიყლიყო მამალო”.

- ყიყლიყო, მამალო.  
ოქროს ბიბილოვანო,  
  - რა გაცვია?
  - წაღა-წუღა,
  - ვინ გიგრავს?
  - ხარაზი მყავს.
  - რომ მოგიკვდეს?
  - კი შეგერავ მე (ბსკიფა, საქმე 146:78).

თანამედროვე პერიოდში შექმნილი გამოსაჯავრებელი ნაწარმოები ზოგჯერ ორგნოვანია, რაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარებითაც არის გამოწვეული. ორგნოვნება, რა თქმა უნდა, ღირსებას უკარგავს ლექსეს, სამაგიეროდ ბავშვებს საკმაოდ ამხიარულებს და ახალისებს.

ახორი კარი გაგაღებ.

გამოვარდა ბურვაკი,  
მამაშენსაც ბევრი ყავს  
შენითანად დურაკი (ბსკიფა, საქმე 146:78).

ერთი შეხედვით, ზოგიერთი გამოსაჯავრებელი ლექსი შაირს ემსგავსება და თითქოს გაშაირების უანრს მეტად განეკუთვნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა შესრულების ფორმასა და ტრადიციას გააჩნია. განხილული ნიმუშები სწორედ გამოსაჯავრებლის ფორმით სრულდება, არ მოითხოვს მოპაექრეთა არსებობასა და პასუხებს.

საბავშვო პოეზიის განხილული უანრის ლექსების ნაწილი არ გამოირჩევა მაღალი მხატვრულობით, მწირია მხატვრული ხერხების სახეობანი, მცირე რაოდენობით გვხვდება ეპითეტები, შედარებით მეტია მხატვრული შედარებები.

ხალხურ ნაწარმოებთა რითმულობას ხელს უწყობს რეფრენთა და მისამდერების ოსტატურად გამოყენება. რეფრენებად გვხვდება „ლალე”, „ტირრი-ტირრი”, „ჟე მოლი, მოლი” და სხვ

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოლკლორული უანრები გადამუშავების პროცესებს განიცდიან. ერთნი ქრებიან ან რომელიმე უანრს შეერწყმიან, მეორენი დროის შესაბამისად წარმოიშობიან; იცვლება ბავშვთა ინტერესები ცალკეულ უანრთა მიმართ. მოზარდებს, რაოდენ სასიხარულო არ უნდა იყოს, გააჩნიათ უდიდესი ფოლკლორული მარაგი.

სიტყვების ასენა:

ახორი – ბოსელი  
თავანი – სახლის ჭერი  
ლეგენი – ტაშტი  
უსტა – ხის მოხელე  
ფახრაჯა – საოჯახო ჭურჭელი (თუჯის ქვაბი)  
ყარაჯა – ძალიან შავი

## Eter Zoidze

### Children ‘s stupidness in Georgian Folklore

#### Summary

One sub-group of Georgian Folklore written for children is mocking poems and songs.

The main function of this sub-group is to provoke, irritate and mock opponent. For this certain work is typical cycle of culminational poetry.

We can see the part of this kind of mocking poetry in the juvenile piece of work as well as in the poetry written for the younger people.

Rhymer pays attention to the negative qualities such as laziness; stupidness; thieving and criticizes them.

For this kind of mocking poems and songs is typical comparatively few stylistic devices.

### Этер Зондзе

#### Поддевни в детских стихах и песнях

##### Резюме

Одна из частей детского жанра-это стихи и песни.

Главная функция детского жанра-это раздражение, насмешки и издевки над противником, для данных произведений характерна кульляция цикла стихотворений, частушки и др.

Стихи и песни такого стиля берут начало во взрослой поэзии, часть из них встречается в юношеской. Поэты высмеивали лень, глупость, воровство и другие отрицательные пороки.

Такого типа стихи и песни бедны художественными приемами.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ზანდუკელი ფიქრია, ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები, თბილისი, 1977; ზოიძე ეთერ, აჭარული საბავშვო პოეზიის საკითხები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, XIII, ბათუმი, 2008.

2. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი (ბეჭიფა), საქმე 134, 142, 146, 203.

3. სიხარულიძე ქს., ქართული საბავშვო ფოლკლორი, თბილისი, 1938.

## შუშანა ფუტკარაძე მზია ხახუტაიშვილი

### გუპაჯირთა ნადური სიმღერები

აჭარულ შრომის სიმღერებს შორის განსაკუთრებული ადგილი ნადურ სიმღერებს უჭირავს, რომლებიც ძირითადად სიმინდის თოხნის სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. მიწათმოქმედებაში დაწინაურებულ ჩვენს წინაპრებს მატერიალური კულტურიდან კოლხური თოხი, ცული და უძველესი ქართული სახვნელი იარაღი გააჩნდა, ხოლო სულიერ კულტურას ოთხემიანი ნადური ამშვენებდა, როგორც შრომის სიმღერების მსოფლიო მნიშვნელობის შედევრი (ხალხური, 1969: 11).

საქართველოში შრომაში კოლექტიური დახმარება, ნადი, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული. ნადი – მუშავნი შეერთების მატერიალური ფორმა, მას კი შეთანხმებული მუშაობა სჭირდებოდა. ძნელად თუ გაუგებს ვინმე იმ შინაგან კონტაქტსა და ჰარმონიას, რომელიც არსებობს სიმღერასა და შრომის პროცესს შორის.

ნადური ლექს-სიმღერები ქანრობრივ მრავალფეროვნებასთან ერთად გამოირჩევიან არქაულობითა და მრავალხმიანობით (ოთხემიანობით). ნადური სიმღერები აჭარაში თითქმის ყველგან ყოფილა გავრცელებული (ინაიშვილი, 1961: 8).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნადური ლექს-სიმღერები წარმოშობის თვალსაზრისით ერთ-ერთი უაღრესია შრომის ლექს-სიმღერების სხვა ციკლებს შორის (ჩიქოვანი, 1956: 225-228; ოქროშიძე, 1956: 10).

აჭარული ნადური სიმღერები უძველეს ქართულ სიმღერათა ჯგუფს მიეკუთვნება. ეს სიმღერები საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იხვეწებოდა, მუსიკალურად მდიდრდებოდა, ყალიბდებოდა გარკვეულ ციკლად და თითოეულ სიმღერას შესაბამისი სატექსტო მასალა უწიდებოდა (ხალხური, 1969: 11).

ნადური სიმღერების სიმრავლე და მისი ციკლური ხასიათი ქობულეთის რაიონის კინტრიშსა და ხოლოქს შორის სოფლებშია დაცული. მეცნიერები ნადური სიმღერების არსებობას ამ მონაკვეთში ძირძღვები მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას უკავშირებენ. ქობულეთური ნადური სიმღერების კვლევა დაკავშირებულია ტრადიციული “მუსიკალური ოჯახის” წევრის, ამავე დროს ამ სიმღერების საუკეთესო შემსრულებლის, ჯემალ ნოღაიდელის სახელთან. ნადური სიმღერების შესრულებით ქობულეთის რაიონის სოფლებიდან გურიის მოსაზღვრე სოფლები გამოირჩევა, სადაც, ხალხის გადმოცემით, 32 სიმღერა შესრულდებოდა ნადზე და თითოეულს თავისი ლექსი პქონდა (ნოღაიდელი, 1971: 70).

ქობულეთში ნადური, ყანური სიმღერების მეტი წილი ოთხ ხმაზე სრულდება, რაც ჯერჯერობით საქართველოს სხვა კუთხეებში და-დასტურებული არ ყოფილა. ეს კი ქართველი ხალხის უძველეს მაღალ მუსიკალურ კულტურაზე მეტყველებს (ნოდაიდელი, 1971: 67). ნადური სიმღერების მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი შეუმუშავებიათ ქობულეთის მხარეში. მასპინძელი დაინტერესებული იყო – კარგი მომღერლების მოწვევით წაეხალისებინა ნადის შრომა და მეტი ეფექტი მიეღო. ადსანიშნავია, რომ ნადური სიმღერების ტექსტები და ამ სიმღერების ხიბლი დღესაც შემორჩენილია “თურქეთის საქართველოში,” მუჭაჯირებთან. დრომ, მუსულმანურმა გარემოცვამ, ნადური ლექსებისა და სიმღერების ხასიათი ვერ შეცვალა.

რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წ.წ.) ომის შემდეგ გამუსლიმანებული ქართული მოსახლეობა, ჩვენი მიწის დვიძლი შვილები, აიძულეს აყრილიყვნენ და სრულიად უცხო გარემოში, თურქეთის ტერიტორიაზე სამუდამოდ დაედოთ ბინა. ეს იყო “დიდი გადასახლება,” მუჭაჯირობა - ეროვნული ტრაგედია ქართველთა ისტორიაში. მუჭაჯირობის გამო ძირდებული ქართული მხარეები დაცარიელდა, მათ შორის “ქობულეთის ქვეყანაც.” 1879 წლის გასახლების შემდეგ ქობულეთში ორი ათასი მცხოვრებიდან ხუთასამდე დარჩა, ხოლო მახლობელი სოფლები სრულიად გავერანდა და გაპარტახდა. თურქეთში მუჭაჯირად წასულები მაღალ ნოსტალგიამ შეიძერო. ენატრებოდათ თავისიანები, მშობლიური მიწა-წყალი: “დიდნენედ იტყოდა: ფახირები ჩუუმარხიან, გევალო და ვნახავთო... იგი ჩამეიტირებდა: იქ რუმე ჩევდეო, ჩემს ნასახლებს უვალას მიაგნეფო”... მაგრამ ვაი, რომ არ აუხდათ ოცნება. უცხო მიწაზე სამუდამოდ დაიდეს ბინა: გოგიტიძეებმა, კაკალაძეებმა, ცეცხლაძეებმა, გოხიძეებმა, ჯინჯარაძეებმა, ხახუტაიშვილებმა, ტაკიძეებმა, ხინიკაძეებმა, ინაიშვილებმა, შავიშვილებმა, ნოღაიდელებმა და ა.შ. მათ “წყავი და წყალი უძებნიან. აქანამ მოვდენ და დაუდენ... გამორიგებულათ გააკეთეს პატად საქართველო.” ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ: გირესუნში, ფაცაში, ორდუში, ფერშემბეში, უნიეში, სამსუნსა და სინოპში. სწორედ მათთან შეხვედრის ბედნიერება და ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალების მოპოვების საშუალება მოგვეცა ჩვენ, მე და პროფესორ შუშანა ფუტკარაძეს, გასული წლის ზაფხულში. ქალაქ ფაცის მიმდებარე სოფლებში ექვსი დღე დაგუავით. ასე გვეგონა ქობულეთის სოფლებში ვიყავით. მოსახლეობის დიდი ნაწილი კარგად ფლობს ქართულ ენას - მათთვის უძვირფასეს საუნჯეს. ძირითადად, ქართულია მათი ტრადიციულ-ყოფითი კულტურა. ქართველ მუჭაჯირებს სამშობლოდან თან წაუღიათ ტრადიციები, მეტყველება, ფოლკლორი. უცხო მიწაზე შექმნილ “პატარა საქართველოში” კი დღესაც ცდილობენ შეინარჩუნონ საერთოქართული ზნე-ჩვეულება. სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესასწავლად დამატებით მნიშვნელოვანი წყაროა მუჭაჯირთა ტრადიციების, ყოფის გამოწვლილვით შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთულ მუპაჯირთა შთამომავლებს ჯერ კიდევ ახსოვთ ის ტრადიცია, რასაც ნადში ურთიერთდახმარება ჰქვია, ახსოვთ ნადური სიმღერებიც, რის გარეშეც ეს ურთიერთდახმარება ვერ წარმოედგინათ. ეს ხსოვნა აკავშირებს მათ შორეულ სამშობლოსთან, მემლექეთთან. 89 წლის ფაცელი საბაკათინ გოქსუ (გოგიტიძე) სიამოვნებით მოგვიყვა ნადის მრავალრიცხოვნებასა და თოხნასთან ხმაშეწყობილ მუშაობაზე, მოგვიყვა და ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა საუკუნის წინანდელი ქობულეთური ნადური: “ნადზე წევდოდით, ნადური სიმღერები იყო სიმინდის მარგლაზე, ახმედა ბაუქაძე იყო, იუნუს ცეხლაძე იყივლებდა. “ჩემ ბაბუაის გაყივლებას არ მოვსწრივარ. სოფელში პირველი კაცი იყო. სამ ხმაში იყო სიმღერა. ასი - ასორმოზდათი კაცი იქნებოდა. მარგლიან თუ კონცერტს აკეთებენ ვერ მიხოები.” თუმცა ბატონ საბაკათინს ძალიან სწყდება გული, რომ: “ახლა აღარც ნადია და აღარც ნადური სიმღერა.”

როგორც ცნობილია (ქართული, 1960: 205), ნადურში შედის არქაული ლექსიკისა და მელოდიის ტექსტები, ნადურის სახით ჩვენამდე მოუღწევია ფორმის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უსიტყვო გაბმულ შეძახილების. ამ შეძახილების სიძველეზე თავადაც მსჯელობენ მუპაჯირთა შთამომავლები: “უ ლილი ლალო, უ ლილი უულალო... გაყივლება ძველისძველია”(საბაკათინ გოგიტიძე, ფაცა, 89 წლის).

დადგენილია ცნობილი მითოლოგიური ლექსის “ზეცას ეველ” განსაკუთრებული ადგილი და დანიშნულება ნადურში. იგი გამოიყენებოდა სიმღერის დასკვნით ნაწილში. რადგან ლექსი მითოლოგიური ხასიათისაა, მისი ნადურში გამოყენება ამ სიმღერების არქაულობაზე უნდა მიუთიოთებდეს. როგორც შ. ძიძიგური ვარაუდობს, თავდაპირველად ნადურებს გააჩნდა მითოლოგიური, საპულტო სიტყვები ან გამოთქმები, რომლებიც დროთა ვითარებაში დაიკარგა და მხოლოდ მისამღერ პანგებში ჩანს (ძიძიგური, 1960: 200). მთვარის კულტი აჭარაში, მსგავსად საქართველოს სხვა კუთხებისა, ფრიად გავრცელებული ყოფილა. აჭარელთა რწმენაში დაცული იყო მთვარისადმი პატივისცემის რიტუალი – “კოცნის გაგზავნა” ახალი მთვარის პირველი დანახვისას, “რის შემდეგ მკერდზე დაიხედავდნენ და მთვარეს სიკეთეს და ბედნიერებას გამოსთხოვდნენ.” მუპაჯირების მეხსიერებას ამ ლექსის მხოლოდ ფრაგმენტი შემორჩა, რომელიც ბატონმა საბაკათინმა სიმღერით შეგვისრულა:

ზეცას ევდოთ, ზეცა ვნახოთ,  
მარსკლავებსაც დევენახვოთ,  
ბზემა კაცი მომიგზავნა,  
მაქ თუ იყავ რატმარ მოდი, რატმარ მნახე,  
აწე მუალ აწე გნახავ,  
ნანინაი ნაა...

როგორც ცნობილია, ნადურ, ყანურ სიმღერებში ოთხი ხმა მონაწილეობს: მთქმელი (იგივე მომღერალი, დამწყები ან ამყვანი), გამყივანე (წვრილის მთქმელი ან მოკრიმანჭულე), შემხმობარი და ბანი. ყურად-

დების დირსია ის ფაქტი, რომ “შეხმობა,” როგორც ხმა, მხოლოდ ნადურ სიმღერებში გამოიყენება, სხვაგან არსად ცნობილი არაა (ნოდაიდელი, 1971: 67). ფაცელი ჯემალ ცეცხლაძე იხსენებს: “ჩემი ბაბუაი გუუყივლებდა ნადში, სიმღერა იყო გაყივლება:

ეგერ მიღმა ეწრის ფაცხა,  
ნეტაი კიყო შენი რაცხა...”

78 წლის უმიან შავიშვილი იხსენებს: “ნადი მოსთქმიდა, შეხმობილი იყო, შუუხმობდენ. ერი სოფელი ერკენ, მიერვ-მიერეკენ. იმ ნადში მეც ვიყავი. რაამეთლი (თურქ. ცხონებული) მემედ ბუძიაი იყო ცეხლაძე, ერთქვანებს ეტყოდენ, სიტყვას შააგდებდენ ერთქვანებს. ბაუჯოდლი ახმედ ბუძიაი მოსთქმიდა, ლექსი იცოდა”.

სიმღერას იწყებდა მთქმელი, მას შეუერთდებოდა გამყივანი ანუ გადამძახებელი და მაღალი, ომახიანი ხმით უყიოდა, უძახოდა, უხმობდა სხვებს, მოუწოდებდა ამხანაგებს. სხვები ბანს ეუბნებოდნენ. ბანს შემხმობარსაც ეძახიან. შემხმობი- შემხმედებელს, ცეცხლში ხმელი საწვავის შექვეთებელს ნიშნავს, ცეცხლის ამგზნებელს (ნოდაიდელი, 1971: 77). ფაცაში მცხოვრებ ქობულეთელ მუჭაჯირებს ნადური სიმღერის ტექსტების მხოლოდ ფრაგმენტები ახსოვთ. როგორც ჯემალ ნოდაიდელი ვარაუდობს, ნადური “გორდელა” საკუთარ სახელს გორდელას ან გურიაში ცნობილ გვარ გორდელაძეს შეიძლება უკავშირდებოდეს, ან შეიძლება გეოგრაფიული სახელი იყოს (ნოდაიდელი, 1971: 92). ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში ეს სიტყვა მხოლოდ მისამღერში ჩანს:

ნადირაძეს ნადი უნდა,  
გადიარა სადილობა,  
გორდელა, გორდელააა...  
...

ჩიტი ჩიტსა მაბზაკუნსა,  
შემოვჰკარი ხელკოდალი,  
მიამტრიე თავ-ბარკალი,  
მისი გვერდის დაჩქხაზე,  
ორი ცული შემომაკლდა,  
ორვე იგი ოთურაიო,  
ნანინაი ნაი დაა...

ცნობილია, რომ შრომის პოეზიაში ხაზგასმულია სოციალური ამბები, ურთიერთობა მაღალ და დაბალ კლასებს შორის. ნადურ სიმღერაში “ვიყავ ქალი აზნაური” დაპირისპირებულია გლეხებაცი და აზნაური, მაგრამ ქალი უარზეა, არ სურს გლეხზე გათხოვება. გლეხი მას გაიტაცებს. გზაში გაიმართება მათ შორის დიალოგი. გლეხი ქალს ცხრა მთას გადაატარებს ზურგით, მეათეზე დასვამს. კაცი ვერაფრით ითანხმებს ქალს. ბოლოს ჩააგდებს მდინარეში და დაახრჩობს... ფაცაში ამ სიმღერის მხოლოდ ფრაგმენტი ჩავიწერეთ:

ვიყავ ქალი აზნაური,  
გლეხმა კაცმა მითხუა,

დღეს მითხუა, ხვალ მივყავარ,  
ნანინაა, ნანაა და...

ნადურ სიმღერაში მისამდერ ტექსტს - ლექსეს მხოლოდ მომღერალი დამწევები - მოქმედი ამბობს. არც გამყივანე, არც შემხმბარი, არც ბანი სიტყვებით არ მდერიან. მომღერალიც პირველ მუხლს აგრეთვე უსიტყვოდ მდერის, მას მარტო ჩაყოლის დროს უხდება ლექსის მიმღერება. ნადურში მომღერალი და გამყივანე ერთსა და იმავე დროს მდერიან. ხმის შეწყობა უტექსტოა (ნოდაიდელი, 1971: 74). ნადისა და ნადში სიმღერის ამ საუცხოო პროცესს აღწერს ფაცელი ჯემალ ცეცხლაძე: “ნადში ერ თავში მყივარი იყო დანარჩენი ხმას მისცემდენ. ფუტათ წეიღებდენ ყანას. იმფრათ სიმღერები იქნებოდა, დეისვენებდი. ჩემი იუსუფ დედე ხმას მისცემდა. არ შიეშლებოდა არვის”.

ნადური ლექსების დიდი უმრავლესობა საყოფაცხოვრებო მოტივებს შეიცავს. “ასე დაამღერებდენ ყანაში:

არაბაჯი ბაში არის,  
ორი ბიჭი ჩვენში არის, იმას ქება რაღათ უნდა,  
ყოფილა ახალ მოზდაში,  
ვო ვო და ჰო ჰო და, აბა დელა, ჰო ჰო და...  
მისმა წითელმა ხარმა უდალატბა ნიქსარ გზაში,  
ძალიან კაი დამართა, ჩამეიყანა სახში,  
ვო ვო და ჰო ჰო და, აბა დელა, ჰო ჰო და...  
ორშაფათ დილა გათენდა, წეიყვანა ქალაქში,  
არიკაცმა არ შეხედა, ხორცი არ ხონდა ფხარში.  
სამშაფათსა დილასა მე ქი მივდოდი ყანაში,  
ხორცები რუმ დეგნახე, ჭკუა დემებნია თავში,  
ცხრაი წონა ბაყვის ხორცი მე კი გავაგზანე სახში.  
ვო ვო და ჰო ჰო და, აბა დელა, ჰო ჰო და...  
ცხრაი ჭვირთი შეშა უნდოდა მის ერ კაპჭანს მოხარჩვაში,  
რაციხანს რუმ მეიხარჩა, ზეიდან დავამღერე რაში:  
ვო ვო და ჰო ჰო და, აბა დელა, ჰო ჰო და... (ავნი მესხიძე,  
სოფელი კაბახტარი, 67 წლის)”.

ნადურ ლექს-სიმღერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატრუიალო ლირიკას. ყანის ოოხნაში სამღერალ ბევრ ლექსში შრომა და ტრფიალება ორგანულადაა ერთმანეთთან შერწყმული. სოფელ დუაიერში მცხოვრები სამი მეგრელიშვილი სიამოგნებით მოგვიყვა ურთიერთდახმარების უსასყიდლო პრინციპზე დამყარებული კოლექტივის შესახებ და შეეცადა აღედგინა ნადური სიმღერის ტექსტი, რომელსაც “ნადში იმღერებდეს.” მან გვიმღერა და დროდადრო შემხმბარის როლიც შეასრულა:

ჰე, ჰე დაა, ჰო ჰო დაა,  
მივყვეთ მოვყვეთ,  
ჰო, ჰო, ჰო და,  
გედეეხედე ფენჯერზე,  
ძროხა იყო ბახჩაშიო...

ჰე, ჰე დაა, ჰოო ჰო დაა,  
 მივყვეთ მოვყვეთ,  
 ჰე, ჰე დაა, ჰოო ჰო დაა,  
 ენდო მენდო,  
 ჰე, ჰე დაა, ჰოო ჰო დაა,  
 რაფერ გენდო.  
 ჰაი ჰაი და ნინა ნინაი,  
 ჩაბრაშტო რანწკი-რუნწკი,  
 გოგგბო, რაფერ დამწვი,  
 ო, ო და, მივყვეთ, მოვყვეთ...  
 ვარელის კოთხოვ, დატუალდი, იქით, აქეთ მოტუალდი,  
 შუუხტი და ხენიფევ ნინანაი ნაი,  
 ნინანაი იავრუმ ნინანაი, ნაი.  
 შუუხტი და ხენიფევ შეგშვენდება,  
 ლამაზი კაბა დაგშვენდება (სამი მეგრელიშვილი, სოფ. დუაიერი, 56  
 წლის).

როგორც ვხედავთ, ოსმალობამ ვერ შესძლო სრულად წარეხოცა  
 ქართული სული. ჩვენ მიერ “თურქეთის საქართველოში” ჩაწერილი  
 მასალა მნიშვნელოვანია მრავალმხრივ. მისი გაცნობა გვაფიქრებინებს,  
 რომ ძიება ამ მიმართულებით მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. მასა-  
 ლების შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ საქართ-  
 ველოს დაუბრუნდეს ავტენტიური კულტურული ძეგლების უნიკალური მნიშვნელობა.

**Shushana Putkaradze**  
**Mzia Khakhutaishvili**

### Naduri songs of Muhajirs

#### Summary

Among Adjarian Naduri songs, the special place takes Adjarian labour songs, which mainly, was connected to hoeing the corn.

Naduri songs with the diversity of genre is distinguished for its poliphonic (many voiced).

Research work of “Kobuleturi Naduri” songs is connected to the name of Jemal Noghaideli. In Kobuleti, the most share of Naduri, cornfield songs, are fulfilled in four voice, which has not been confirmed yet in other parts of Georgia.

Texts of Naduri songs are reserved and can be find with the Muhajirs from Kobuleti living in the Republic of Turkey.

**Шушана Футкарадзе  
Мзия Хахутиашвили**

**Песни «Надури» мухаджиров**

**Резюме**

Среди аджарских трудовых песен особое место занимают песни «Надури», которые в основном пели при полевых кукурузных работах. Народные песни вместе жанровыми разнообразиями отличаются древностью и многоголосием.

Самый богатый и разнообразный репертуар песни «Надури» созданы в Кобулети. Исследование кобулетской «Надури» связано с именем Джемала Ногайдели.

Большая часть песен «Надури» исполняется в четыре голоса, что пока в других регионах Грузии не намечаются.

Тексты песни «Надури» и сегодня помнят мухаджиры в республике Турция.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. სულხან-საბა თრბედიანი, ლექსიკონი ქართული. თბ., 1966
2. აჭარის ხალხური პოზია, ტ. I, თბ., 1969
3. გ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956
4. თ. ოქროშიძე, ნადური ლექს-სიმღერები, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 10, თბ., 1956
5. ჯ. ნოდაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათ., 1971
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკალური ისტორიის ძირითადი საქითხები, თბ., 1938
7. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960
8. შ. ფუტგარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993 ინაიშვილი, ჯ. ნოდაიდელი, გრ. ჩხიკვაძე, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ., 1961
9. ჯ. ნოდაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1935
10. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, თბ., 1960

## გიორგი მახარაშვილი

### რძის სიმბოლიკის საპითხი დიდი ჭარჩვის ლეგენდის აჭარულ გარიანტზი

დიდი წარდვნის ლეგენდის ყველა აჭარული ვარიანტის თანახმად, დედაბერი კაცობრიობის გადამრჩენი გემის ოსტატებს რძით აპურებს: „ეს დედაბერი პატივს სცემდა ოსტატებს: ყოველ დღე, ძროხას რომ მოწველიდა, რძეს მიუტანდა“, – გვაუწყებს ზენითური ლეგენდა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, 1990, 96). სხვა ვარიანტებითაც კეთილი დედაბერი ერთგულად ემსახურება გემის მშენებელ ოსტატებს (უსტიურებს), უზიდავს ერთადერთი მარჩენალი ძროხის რძეს.

რძე, თავისი თეთრი ფერისა და გემოს წყალობით, ხშირად სიმბოლიზდება დმერთების საკვებთან და „უმწიკვლო მსხვერპლთან“. მას ხშირად უკავშირებენ მთვარესაც. ძველინდური კოსმოგონიური მითით, სამყარო წარმოიდგინებოდა რძის ოკანედ (Бидерманн, 1996: 171). ძველებისა და მსხვერპლის მთვარებით ქალღმერთი ისიდა ფარაონს თავისი რძით კვებავს, რაც ზოგიერთი უძველესი ხალხის (და მათ შორის ქართველების) რწმენა-წარმოდგენებით შეიძლობილობის (შვილად აყვანის) რიტუალს განასახიერებს.

„ბიბლიის“ მიხედვით, „აღთქმული მიწა“, ანუ ქანაანი, იმითაც იყო დირსშესანიშნავი, რომ იქ „...დვარად მოედინება თაფლი და რძე...“ (გამოსვლა, 3, 8).

ცნობილია, რომ უძველესი დროიდან რძეს საკრალური დანიშნულება ჰქონდა და გამწმენდ რიტუალებში გამოიყენებოდა. (Бидерманн, 1996: 171)

შუამდინარული მითოლოგიის თანახმად, მეფეთა არჩევის ტექსტებში ხასგასმით არის მინიშნებული „წმინდა რძით გამოკვების“ აუცილებლობაზე.

ნინეურსანგა, იგივე „მთის დედოფალი“ – შუმერთა დიდი დედა („მრავალთა შვილთა დედა“) – თავისი წმინდა რძით კვებავს ეანათუმას (კიკნაძე, 1979:196-197). როგორც პროფ. ზურაბ კიკნაძემ მიუთითა, ლუგალად, ანუ მეფედ კურთხევის რიტუალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „საფეხურია ქალღმერთის მიერ ძუძუს წოვება... ამ აქტს მითოსური სინამდვილისაკენ მივყავართ. ლუგალი დვთაებრივ ბოსელში იბადება – ეს არის მისი მეორედ შობა... და აქ ფური ნინეურსანგა აწოვებს მას დვთაებრივ რძეს, რისი წყალობითაც ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებული მადლი ჩაიღვრება“, რაც „ბედის დასაზღვრაშიც“ გამოიხატება... ამგვარი რძის სმა უფლისწულების პრივილეგიაა. სამეფო ოჯახის მემკვიდრე ქალღმერთთა რძეს ეწავება;

ეს ქალღმერთები კი ფურის სახით არიან წარმოდგენილნი; ისინი არ შობენ, მაგრამ მათი ძუძუს წოვა კი აუცილებელია:

ცოლს მოიყვან, ო, ქერეთ,  
ცოლს მოიყვან შენს სახლში,  
ქალწულს შემოიყვან შენს დარბაზში,  
შვიდ ვაჟიშვილს დაგიბადებს...  
გიშობს ყრმაწულს, ვაცაბს,  
შესვამს რძეს ქალღმერთ აშერათისას,  
მოსწოვს ძუძუს ქალღმერთ ანათისას

(კიკნაძე, 1979: 196-197)

ადსანიშნავია, რომ ქართული ფოლკლორული ტრადიციის მიხედვით, მეფე ერეპლეც ირმის ძუძუთია გაზრდილი:

ბატონიშვილ ერეპლესა  
ირმის ძუძუ უწოვნია,  
წყალი უსვამს ალგეთისა,  
თრიალეთზე უძოვნია,  
დაკარგულა საჩალეში,  
მონადირეს უპოვნია.

(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1970:248)

როგორც თავის დროზე პროფ. ქსენია სიხარულიძემ მიანიშნა (სიხარულიძე ქს., 1949, 199), ეს მოტივი ლაშა გიორგის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება და იგი უკავშირდება თამარ მეფის ციკლის ლეგენდებს, რომელთა მიხედვითაც თამარის მიტოვებულ პირმშოს ტყეში ირემი აწოვებს ძუძუს (ხალხური სიბრძნე, 1964: 98-99; ხახანაშვილი, 1895: 285); ამგვარი მოტივი გვხვდება ქართულ ხალხურ საზღაპრო ეპოსშიც („ირმისა“, „უშვილო ხელმწიფის ზღაპარი“, „ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი“ და სხვა). როგორც ადვინიშნეთ, ეს მოტივი უმეტესად სამეფო დინასტიასთან არის დაკავშირებული, რასაც ჯონ ფრეზერი ხაზგასმით მიუთითებდა (Фрезер, 1931:253). მკვლევარი თინა შიომშვილი, განიხილავს რა თამარის ციკლის ლეგენდებში ირმის რძით უფლისტულის გამოკვების მოტივის გენეზისს, მიანიშნებს, რომ ამგვარი მოტივის შემოტანას თამარის ციკლის ზეპირსიტყვიერებაში „უაღრესად მყარი ზნეობრივი საფუძველიც აქვს. ხალხს სურდა, ბოლომდე დაეჯერებინა თავისი სათაყვანებელი მეფის უბიწოვება და ღმერთობა წილნაყარობა“ (შიომშვილი, 2004: 339). აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ცნობილმა რუსმა ფოლკლორისტმა ალ. კასელოვსკიმ გამოოქავა მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს მზისაგან თამარის განაყოფიერების მოტივი მექანიკურად იყოს შესული თამარ მეფის პოეტურ სახეში (Веселовский, 1898: 6). პროფ. ქს. სიხარულიძემ თავის დროზე გააკრიტიკა ალ. კესელოვსკის ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ „საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების მიერ ამ მოტივის გამოყენების საბაბი თამარის მემკვიდრის სახელწოდებაც (ლაშა – ბრწყინვალე) იქნებოდა.“ ლეგენ-

დაში „ლაშა-გიორგის დაბადება“ ტყეში მიტოვებულ თამარის პირმშოს „დმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ყმაწვილს ძუძუს აწოვებდა და ზრდიდა“. ხალხის გადმოცემით, ამაზეა გამოთქმული ლექსი:

ბაგრატიონთ გვარის კაცსა  
ირმის ძუძუ უწოვნია,  
ჭალაში გადაგდებული  
მონადირეს უპოვნია.

ამიტომაც არის, რომ, ხალხის რწმენით, ბაგრატიონები ირმის ხორცს არ ჭამენ (შიომვილი, 2004: 341).

მზის სხივისაგან თამარ მეფის განაყოფიერების მოტივი რომ მთქმელთა მიერ შემთხვევით არ არის შეტანილი თამარის ციკლის ლეგენდებში და მარტოდენ ლაშა-გიორგის სახელით არ აიხსნება, ისიც ადასტურებს, რომ მზე და რძე მეგრულში ერთი და იმავე სახელებითაა წარმოდგენილი („ბჟა“, ხევსურები კი რძეს „მზის ცვარს“ უწოდებენ. ამდენად, მზის, როგორც უზენაესი ღვთავების ერთ-ერთი მითოსური არქეტიპია რძე, „რომელიც ქალური ბუნების არსებათა შვილიერება-ნაყოფიერების ატრიბუტია“ (ბარდაველიძე, 1941: 21). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მოტივი ნიშანდობლივია ქართული ხალხური საზღაპრო ეპოსისთვისაც: მზის ნიშნით აღბეჭდილი (ოქროს-ქოჩრიანი) გმირები თხის ან ირმის რძით იზრდებიან და, როგორც მკვლევარმა ბელა მოსიამ აღნიშნა, „მზის ნაწილი მზისავე სახით, რძით ივსება და იზრდება“ (მოსია, 2006: 124).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ერთ ძველებგიპტურ ბარელიეფზე გამოსახულია ღვთაებრივი ფურის ცურს დაწაფებული ფარაონი (კიკნაძე, 1979:187).

რძის სიმბოლიკასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართული ხალხური ბალადა „ია მთაზედა“. მთაში სანადიროდ მყოფი სიძე, რომელმაც ირემი მოკლა, სიმამრს შემოაკვდება. ქალიშვილი, რომელსაც მამამ შეატყობინა ეს ტრაგიკური ამბავი, წყევლის მოხუცებულს. ბალადის კახურ ვარიანტში ნათქვამია:

შენ, მამაჩემოვო, დარბაისელოვო,  
ასემც მომკვდარხარო, ვერ მაისვენოვო.  
მამე ცულ-წალდიო, გზა გავიკაფოვო;  
მამე სანთელიო, გზა გავინათლოვო;  
მამე საქმელიო, გზა გავირკვიგოვო;  
ეგებ მოვნახო სისხლის წვეთიო,  
ეგებ გავრეცხო ირმის რძითა...

(ქართული ხალხური პოეზია, 1978: 343)

თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილ ვარიანტში კი მიცვალებულის პერანგის რძეში გარეცხვაზეა საუბარი:

... უნდა მივიდე ღვეჭა-გლეჯითა,  
უნდა დავრეცხო ტანისამოსი  
ირმისა რძითა (ქართული ხალხური პოეზია, 1978: 343).

ბალადის მთიულურ ვარიანტში ქალს სურს, მიცვალებულის პერანგი ირმის რძეში გარეცხოს:

... მომე სანთელი – გზა გავინათო.  
გავხადო სისხლიანი პერანგი,  
გავრეცხო ირმის რძეშია,  
გაგვინო ოქროს ღობეზე,  
გაგაშრო ნიაგ-წვრილითა,  
ჩავაცვა ხვევნა-კოცნითა.

(ქართული ხალხური პოეზია, 1978: 343)

ბალადის მრავალრიცხოვან ვარიანტებში ყველგან ხაზგასმით არის მინიშნებული, რომ სისხლის წვეთი თუ სისხლიანი ტანსაცმელი ირმის რძით უნდა გაირეცხოს. რატომ მაინცდამანიც რძით (ამ შემთხვევაში-ირმის რძით)? ამ პრობლემით თავის ღროზე დაინტერესდა პროფ. ელენე ვირსალაძე. ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული სამონადირო ეპოსი“ მან დაწვრილებით განიხილა ეს არქაული ბალადა და თავისი მოსაზრებაც გამოთქვა (ვირსალაძე, 1964: 103-110). სისხლიანი ატრიბუტიკისა თუ სისხლის წვეთის რძით ჩამობანვის მოტივზე მსჯელობისას ელ. ვირსალაძე განიხილავს მკვლევარ გიორგი კალანდაძის ვარაუდს, რომელიც მან გამოთქვა თავის მონოგრაფიაში „ქართული ხალხური ბალადა“, რაც შემდეგში მდგომარეობს: გ. კალანდაძე სვამს საკითხს: „სისხლიანი პერანგის ირმის რძეში გარეცხვა ან სისხლის წვეთის ირმის რძით გადარეცხვა ხომ არ ნიშნავს ნადირობის ღვთაების წინაშე სასიმოს მიერ ჩადენილი ცოდვისაგან განწმენდას? თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ბალადა „ია მთაზედა“ თავისი წარმოშობითა და საწესო-რიტუალური დანიშნულებით უმველეს ქართულ ხალხურ სიმღერებსაც უკავშირდება“ (კალანდაძე, 1957: 97-98).

ბალადის აღნიშნული ნაწილის ამგვარი ინტერპრეტაციის თაობაზე პროფ. ელ. ვირსალაძემ აღნიშნა, რომ გ. კალანდაძის „ვარაუდი ამ ბალადის („ია მთაზედა“ – გ.მ.) საერთო ხასიათზე უდაოდ სწორია, მხოლოდ ირმის რძეში პერანგის გარეცხვას სხვა ახსნა უნდა ჰქონდეს, ვიდრე ვაჟის ჩადენილი ცოდვებისაგან განწმენდა (ვირსალაძე, 1964: 106). ამ „სხვა“ ახსნისათვის მას მოაქვს მაგალითი ერთ-ერთი სვანური თქმულებიდან, რომლის მიხედვითაც მონადირის ღედამ დამით მის შეილთან მწოლიარე დალის თმები ირმის რძეში გაბანა, რის შემდეგაც დალის ჯაღოსნური ძალა დაეკარგა და მონადირის დედის მსახური გახდა. აქვე მითითებული სამეგრელოში „ტყაში მაფას“ შესახებ გავრცელებული თქმულება-გადმოცემებიც, რომელთა თანახმადაც მონადირის დედა ასევე ძროხის (შავი ძროხის) რძით გაბანს მის შეილთან ბეღელში მწოლიარე ტყაში-მაფას თმებს, რაც მონადირეს მის ოჯახს დაუბრუნებს. ამ საერთო – ქართული მაგალითების გახსენებით ელ. ვირსალაძე სვამს კითხვას: „ხომ არ არის ის იდუმალი ძალა, რომელიც იწვევს ამ უბედურებას, ღუპავს მონადირეს და მის სხეულსაც არ ანებებს მოკვდავ სატრფოს, იგივე ნადირთ ან წყლის პატრონი“? (ვირსალაძე, 1964: 106)

ჩვენი აზრით, სავსებით სწორი ბრძანდებოდა ქალბატონი ელენე ვირსალაძე, როცა მონადირის ტრაგიკულ სიკვდილში ნადირთპატრონის ხელი დაინახა. ვფიქრობთ, იმავეს ამტკიცებდა უფრო ადრე მკვლევარი გ. კალანდაძეც, რომელიც მიუთითებდა, რომ ამ ბალადაში მონადირის მიერ მოკლული ირემი „ჩვეულებრივი ირემი არ არის“, ისევე როგორც ოქროსრქიანი ირემი ბალადაში „ამირან და ძმანი მისნი“, როგორც ორფრთიანი თხა ბალადაში „დალი კლდეში მშობიარობს“ (კალანდაძე, 1957: 97-98). ის ფაქტი, რომ სასიძო სწორედ იმიტომ ისჯება, რომ მან მოკლა საღმრთო ცხოველი (ამ შემთხვევაში ირემი), გ. კალანდაძისეული გაგებითაც ასეა: სასიძოს სჯის ნადირთპატრონი. ოდონდაც ელ. ვირსალაძე ფიქრობს, რომ აქ ნადირთ ბატონის შეურისძიება გამოწეულია იმით, რომ მონადირემ დალთან „წოლა“ არ ისურგა. პატივცემულ მკვლევარს მაგალითად მოაქვს სვანებითში, სოფ. მუხალში, დაფიქსირებული დიალოგური ლექსის „დალი“ ბოლო ნაწილი:

– შენთან წოლას მე ვერ გაპადრებ,  
ცხრა ცალი ჯიხვი მომეცი! –  
გამოუყვანა ცხრა ცალი ჯიხვი,  
ერთი ოქროს რქიანი გაურია.  
მონადირემ თქროს რქიანს დაუმიზნა,  
იმან ტყვია არ მიიკარა,  
მონადირეს შეუბრუნა შებლში,  
მონადირე მეფისა გააგორა (ვირსალაძე, 1964: 107).

ამ ნაწყვეტიდანაც ჩანს, რომ მონადირე მოკრძალებულია ქალდემერთის მიმართ და ბუნებრივ არჩევანს აკეთებს; არჩევანის უფლება კი მას თვით ნადირთ გამრიგემ მიანიჭა. სრული ტექსტის ანალიზით ირკვევა, რომ მეფის მონადირემ დალს დიდი სამსახური გაუწია – მოკლა მგელი, რომელმაც დალის ახალშობილი ბავშვი მოიტაცა და ჩვილი დედას დაუბრუნა. შვილის გადამრჩენს დალი სამ არჩევანს აძლევს: ყოველდღიურად თითო შუნი, სექტემბრის თვეში ცხრა ჯიხვი ან მასთან წოლა:

სამ არჩევანს ამას მივცემთ:  
ერჩიოს და ყოველდღე  
შუნს მივსცემთ,  
ის თუ არა და სექტემბერში  
ცხრა ცალ ჯიხვს მივსცემთ,  
ის თუ არა და – ჩემთან წოლა (ვირსალაძე, 1964: 210).

დალთან წოლაზე, ანუ მის მიჯნურობაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფის მონადირემ მოკრძალებული უარი განაცხადა („...ვერ გაპადრებო“) და არჩევანი ჯიხვზე გააკეთა, რისი უფლებაც, როგორც ბალადა გვაუწეუბს, მას დალმა მიანიჭა. მაშ, რატომ იღუპება მონადირე? ჩვენი დრმა რწმენით, მხოლოდ იმიტომ, რომ მან სამიზნედ აირჩია ოქროსრქიანი ირემი, იგივე დალის ჰიპოსტასი, გამოიჩინა სიხარბე და, ალბათ, ტაბუც დაარღვია: მას ხომ წელიწადის გარკვეულ

დროს (სექტემბერში) ეძლეოდა ნადირთა პატრონისაგან ცხრა ჯიხვი! ამდენად, ვფიქრობთ, მონადირის დასჯის საბაბი არ უნდა ყოფილიყო დალთან „წოლაზე“ უარის თქმა, როგორც ეს პროფ. ელენე ვირსალაძემ მიიჩნია; მეფის მონადირის დაღუპვის მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, მის მიერ დვთაებრივი ირმის მოკელაა, რაც საანალიზო ბალადაშიც გაცხადდა („სტყორცნა სასიძომ, მოკლა ირემი“), რაზედაც მიანიშნებდა მკელევარი გ. კალანდაძე. ჩვენი აზრით, ვერც პროფ. ელ. ვირსალაძის მიერ მოხმობილი სვანური ლექსი („დალი“) გამოდგება იმის დასტურად, რომ მონადირე დალის სიყვარულის გამო ისჯება და ვერც დანიური საგმირო ბალადა, რომელიც იმავე მოტივს შეიცავს, რადგანაც სხვა ქართული ხალხური ბალადებითა თუ მითოლოგიური თქმულება-გადმოცემებითაც იგივე დასტურდება (ცანავა, 1970: 15-17; შიომშვილი, 1987: 93); სხვათა შორის, გ. კალანდაძე ანალოგიური მაგალითების მოხმობისას („დალი“, იგივე „დალი კლდეში მშობიარობს“) ოქროსრქიანი ჯიხვის მოკვლაზეც მიუთითებდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბალადაში „ია მთაზედა“ რძის (რძით სისხლის წევთისა და სისხლიანი სამოსის გარეცხვა) სიმბოლიკას ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორიც ყველა სხვა უძველესი ხალხების რწმენა-წარმოდგენებშია დადასტურებული: იგი დამერთების საკვებია, წმინდა სითხეა, რომელსაც ცოდვებისაგან განწმენდა ევალება და, ამავე დროს, „უმწიკვლო მსხვერპლია“, რომელიც ჯადოსნურ ძალას ხსნის. ვფიქრობთ, ამ დვთაებრივი სითხის ბოლო ფუნქციაზეა მინიშნება, როცა ბალადაში „ია მთაზედა“ გამწარებული საპატარძლო მამას წევლის და თხოულობს რქეს, რათა საქმროს ჭრილობა ჩამობანოს და მისი სისხლიანი ტანსაცმელიც გარეცხოს.

ჩვენი აზრით, სავსებით სწორად მიანიშნებს პროფ. ელენე ვირსალაძე, რომ, ბალადის მიხედვით, მონადირის გვამს სახლში ვერ მიიტანენ, რომ იგი „ეგუთვნოდა არა დალუპულის მოკვდავ სატრუქს, არამედ – დალს“ (ვირსალაძე, 1964: 108). სწორედ ამიტომაც ესაჭიროება „მოკვდავ სატრფოს“ რქე, რათა ეს „უმწიკვლო მსხვერპლი“ გამოიყენოს დალუპული მონადირის ცოდვების ჩამოსაბანად და მისი ცხედრის „დასახსნელად.“ აკი თავად პროფ. ელ. ვირსალაძეც მიუთითებს, რომ „ირმის რქე, ერთის მხრივ, დალის ძალის საწინააღმდეგო საშუალებაა.“ ამდენად, ირმის რძით მობანვა, როგორც თავის დროზე მკვლევარმა გ. კალანდაძემ მიანიშნა, ჩვენი აზრითაც უნდა ნიშნავდეს სასიძოს მიერ ჩადენილი ცოდვების გაუსნებოვნებას.

ამ პრობლემასთან, და, ამავე დროს, მზისა და რძის იდენტურ არქეტიპულ – სიცოცხლის მიმნიჭებელ – ფუნქციასთან დაპავშირებით ძალზე საინტერესოა ქართული ხალხური ზღაპრები: სვანური საზღაპრო ეპოსის გმირი სოსლანი კლავს გრძნეულ ასულებს და შემდეგ მათსავე სისხლში ამოავლებს მათ ცხვირსახოცებს, ჩარეცხავს რქეში და ამ სითხეს დახოცილ გრძნეულებს ასმევს, რითაც მათ სიციცხლე უბრუნდებათ (სვანური ზღაპრები, 1991: 211). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსგავს რწმენა-წარმოდგენასთან გვაქვს საქმე ქართულ

ხალხურ ბალადაში „სიძე სიმამრი“, რომლის თანახმადაც, სიმამრის ისრით განგმირული ქმრის შეელას ბალადის გმირი ქალი აპირებს სისხლის წვეთითა და ორმის რძით:

— ეგებ მოვნახოვო  
სისხლის წვეთიო,  
ეგებ გავრეცხოვო  
ირმის რძითაო,  
ეგებ გავაშროვო  
ნიავქარითაო (უმიკაშვილი პ., 1964: 211).

შუამდინარული მითოსის თანახმად, „მწყემსი გარდუვალად იღუპება არა შემთხვევით და არც ხანდაზმული ასაკის გამო... მისი სიცოცხლე ხანმოკლეა, რადგან ხანმოკლეა თავად პირუტყვის ნაყოფიერების პერიოდი.“ დუმუზი — შინაური საქონლის მწყემსი — იღუპება იმიტომაც, რომ წყდება „რძის ცხოველმყოფელი ძალა“ (კიკნაძე ზ., 1979: 228). ბედი დუმუზის ურუქში მიიყვანს და თავშესაფრის ნაცვლად აღსასრულს პპოვებს. მიზეზი მისი სიკვდილისა ასეა მოტივირებული:

ნაღები, რომელიც (მსხვერპლად) იღვრებოდა,  
აღარ არის,  
რძე, რომელიც ისმებოდა,  
აღარ არის,  
ფარები, რომელიც აშენდა,  
აღარ არის,  
გარეპილია ცხვარი,  
აღარ არის (კიკნაძე ზ., 1979: 246).

როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე ასკვნის, ფარები, ანუ ბოსელი ის ადგილია, სადაც იბადება როგორც მითოსური, ისე ყოფითი არსება; ბოსელი იგივე საშოა, რომლის წიაღიდანაც გამოდიოდა ჯოგი და იბადებოდნენ ადამიანები, მათ შორის — მეფეები, რომლებიც იქვე წოვდნენ ღვთაებრივი ფურის ციქნებს, საიდანაც მათში „ჭეშმარიტი რძის“ მადლი იღვრებოდა. ე.ი. ბოსელი კოსმოსური საშოს სიმბოლურ ხატად წარმოიდგინება. ეს ის საკრალური წიაღია, სადაც ხდება „ლუგალის ფორმაცია, ანუ კაცის ლუგალად შობა (მეორედ დაბადება კაცისა)“ (კიკნაძე, 1979: 184).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი წარდვნის ლეგენდის ყველა აჭარული ვარიანტი ერთხმად მიუთითებს, რომ დედაბერი ძროხის რძით აპურებს გემის მშენებლებს. ჩვენი აზრით, ეს აქტიც საკრალური დანიშნულებისაა; ძროხის რძით გემის მშენებელთა დაპურება, შესაძლებელია, მითოსური ეპოქისდროინდელი ინიციაციის ჩვენამდე მკრთალად მოღწეული დეტალი იყოს; გემი, რომელსაც ეს ოსტატები აშენებენ, იგივე საშოა, რომლისგანაც ხელახლა უნდა იშვას კაცობრიობა და ამიტომაც ღვთაებრივი რძით უნდა განიწინდოს; (კიკნაძე, 1989: 23)

სწორედ ამგვარი დანიშნულებისაა ლეგენდისეული დედაბრის ძროხის რძე, რომელსაც, ჩვენი აზრით, გემის მშენებელი (შემქმნელი)

ოსტატების ცოდვებისაგან განწმენდა ევალებოდა, რათა მათ მიერ აგებული ხომალდი დედის საშოსავით შეუბილწავი ყოფილიყო, განთავისუფლებულიყო ყლველგვარი მიწიერი ცოდვებისაგან; რათა წარდგნის შემდგომი სოციუმი, რომელიც ფაქტობრივად კაცობრიობის ხელახალ შობას განასახიერებს, წმინდა და უბიწო დაბადებულიყო ამ ახალი საკრალური წიაღიძან.

**Giorgi Makharashvili**

### **Question of the symbol of milk in adjarian variant big flood**

#### **Summary**

The Known that with oldest time beside milk was sacred importance, and it was used in ritual of the defogging. Not accidentally that on adjarian variant big flood, old woman feeds the milk of the builders of the ark-rescuer. On our opinion, the milk of the cow of the storied old woman must clean the builders (the creators) of the ark from sin that nave, built by them, was immaculate, as bosom full-grown, was dispensed from all terrestrial sin; solum formed after flood, which actual has signified the regeneration a mankind, it was revived clean and immaculate, from its new sacred of the base.

**Гиорги Махарашвили**

### **Вопрос символики молока в адjarском варианте большого потопа**

#### **Резюме**

Известно, что с древнейших времен у молока было сакральное значение, и оно использовалось в ритуале очищения. Не случайно, что по адjarскому варианту большого потопа, старушка кормит молоком строителей ковчега-спасителя. По нашему мнению, молоко коровы легендарной старушки должно очистить строителей (создателей) ковчега от грехов, чтобы корабль, построенный ими, был непорочным, как лоно матери, освободилось от всех земных грехов; т.е. социум, образовавшийся после потопа, который фактический ознаменовал перерождение человечества, оно возродилось чистым и непорочным, из своей новой сакральной основы.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, საქართველოს საპატიოარქო, თბ., 1989.
2. გ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, (დვორაქი ბარბალ-ბარბარ), თბ., 1941.
3. ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოხი, თბ., 1964.
4. თსუფა №11 211, 12 085.
5. გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1957.
6. ზ. კიგნაძე, საუბრები ბიბლიაზე, თბ., 1989.
7. ზ. კიგნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979.
8. ბ. მოსია, ქართული ფოლკლორის სახისმეტყველება, თბ., 2006.
9. სამხრეთ-დასაგლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. X, ბათ., 1990.
10. სვანური ზღაპრები, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო უჩა ცინდელიანმა, თბ., 1991.
11. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
12. პ. უმიგაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1964.
13. ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს. სიხარულიძემ, თბ., 1970.
14. ქართული ხალხური პოეზია, ტ. VI, თბ., 1978.
15. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, თბ., 1961.
16. თ. შიოშვილი, თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების ზნეობრივი მრამსი, - ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წიგნი II, ბთ., 2004.
17. თ. შიოშვილი, თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობა, ბათ., 1987.
18. აპ. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საპიოხები, თბ., 1970.
19. ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964.
20. **Бидерманн Ганс**, Энциклопедия символов, М., 1996.
21. А. Н. Веселовский, Царица Тамара в народной легенде и у Лермонтова, - «Кавказ», 1898.
22. Дж. Фрэзер, Фолклор в ветхом завете, 1931.
23. Ал. Хаханашвили, Очерки по истории грузинской словесности, II, М., 1895.

ნოდარ კახიძე

**პგელი საქართველოს ხელოსნობის მკვლევარი  
(პროფესორ შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავის გამო)\***

პროფესორ შოთა მესხიას მეცნიერული კვლევა-ძიების ძირითადი სფერო იყო ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ისტორიისა და სხვა პრობლემები. ეკონომიკური პრობლემებიდან მან საფუძვლიანად შეისწავლა V-XII საუკუნეების საქართველოს ხელოსნობა, ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციები, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ხელოსნობის ადგილისა და როლის შესახებ ფეოდალური საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში. კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას „ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს)“, რომელიც დაიცვა 1942 წლის 15 დეკემბერს პროფესორების – სიმონ ყაუხეჩიშვილისა და ვარლამ დონდუას ოპონენტობით. საკანდიდატო ნაშრომს მაღალი შეფასება მიეცა. დისერტაციის საკითხები ამავე სახელწოდებით შესულია მისი შრომების სამტომეულის პირველ ტომში, რომელიც 1982 წელს თბილისში გამოიცა.

წინამდებარე სტატიაში პროფესორ შოთა მესხიას ღვაწლზე ძველი საქართველოს ხელოსნობის შესწავლაში დასახელებული ნაშრომის მიხედვით გვექნება საუბარი.

შ.მესხია V-XII საუკუნეების საქართველოს ხელოსნობის დახასიათებისას მოკლედ მიმოიხილავს წინამორბედ ისტორიკოსთა დამსახურებას ფეოდალური ხანის საქართველოს ხელოსნობის შესწავლაში და ხახს უსვამს იმ გარემოებას, რომ მათ ნაშრომებში სათანადოდ ვერ აისახა ძველი საქართველოს ხელოსნობის საკითხები. მას მხედველობაში პყავდა ის ავტორები (ა.გიაზარივი, შ.ჩეტია, ალ-ფირცხალიშვილი, გ.გამყრელიძე და სხვ.), რომლებიც ძირითადად XVIII-XIX საუკუნეების საქართველო-კავკასიის ხელოსნობის შესწავლით იფარგლებოდნენ და წინა საუკუნეების საქართველოს ხელოსნობის საკითხების მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით კმაყოფილდებოდნენ. შ.მესხია განსაკუთრებით მიანიშნებს ივჯავახიშვილის ღვაწლზე, რომელმაც პირველმა მოგვცა ძველი საქართველოს ხელოსნობის დახასიათება

\* ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს და მსოფლიო ისტორიის დეპარტამენტის სამეცნიერო სესიაზე (2006 წლის 28 აპრილი) წაჟითხული მოხსენების შინაარსი.

ძველი ქართული წერილობითი წაყროებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე, რომლებიც პირველად მისი „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ პირველ (1907) და ნაშილობრივ „ქართული სამართლის ისტორიის“ მესამე წიგნში (1928) დაიბეჭდა. საკითხის სისრულით შესწავლა კი მას არ დასცალდა. აქვე შ.მესხია ყურადღებას ამახვილებდა ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილის მოსაზრებათა მნიშვნელობაზე ძველი საქართველოს ხელოსნობის საკითხების შესწავლაში (მესხია, 1982: 11).

ერთი სიტყვით, ძველი საქართველოს ხელოსნობის ისტორიის საკითხები შედარებით სრულყოფილი შესწავლის საგანი შ.მესხიამდე არ ყოფილა. მისი დასახელებული ნაშრომიც ამ დიდი მეცნიერული ხარვეზის შევსებასა და გამოსწორებას ისახავდა მიზნად. იგი წერდა: „ძველ საქართველოში ხელოსნობის დარგებისა და ხელოსანთა შესახებ პირდაპირი მასალების უქონლობისა და აგრეთვე ამ საკითხის საგვებით შეუსწავლელობის გამო, იძულებული ვიყავი პირდაპირი წყაროებით მესარგებლა და როგორც ქართული ორიგინალური, ასევე ნათარგმნი მარტიროლოგიური ძეგლები ამ თვალსაზრისით დამტუშ-შავებინა“ (მესხია, 1982: 11). ამ ნაშრომში მკვლევარმა ნათელი მოჰყინა ძველი ქართული ხელოსნობის ისტორიის ბევრ, მანამდე ნაკლებად ან სრულიად ახალ საკითხს.

შ.მესხიამ ძველი ქართული წყაროებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე შედარებით სრულყოფილად შეისწავლა V-XII საუკუნეების საქართველოში გავრცელებული ხელოსნობის ყველა ის დარგი, რომლებიც საერთოდ იყო ცნობილი შუა საუკუნეებში. ამით მან აჩვენა, რომ შუა საუკუნეების საქართველო ხელოსნობის სფეროშიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სხვა ქვეყნებს.

ხელოსნობის დარგების შესწავლას მკვლევარი იწყებს ხელოსნობისა და ხელობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის დახასიათებით. შემდეგ იგი მიმოიხილავს ხელოსნობის სხვა დარგებს, რომლებიც მის მიერ შემდეგნაირადაა სახელდებული: მაშენებელნი და ავეჯის მკეთებელნი, ჭურჭელთა მოქმედნი, მქსოველნი და მკერვალნი, მჭედლენი (რკინისა და რვალისა, ძირფას ლითონთა), მწიგნობრიობასთან, ხაბაზობასთან, მენეჯსაცხებლობასთან ანუ ნელსურნელოვან ნივთიერებათა დამზადებასთან დაკავშირებული ხელობანი, ხელოსანთა სოციალური მდგომარეობისა და ამქრული ხელოსნობის საკითხები. ამ უკანასკნელს მკვლევარმა ცალკე ნაშრომი მიუძღვნა.

ხელოსნობისა და ხელობის ყველა ჩამოთვლილი დარგების დახასიათებისას მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შესაბამისი ტერმინების განხილვა-გაშიფრას. მან გაარკვია, რომ ხელობისა და ხელოსნობის აღმნიშვნელი ტერმინები შედარებით გვიან გვხვდება. ამასთან, ეს ტერმინები ძველ ქართულ წერილობით წყაროებში სხვანაირად იყო გააზრებული და თვით ხელოსნობის აღმნიშვნელად უფრო სხვა ტერმინი იხმარებოდა. აქედან გამომდინარე, შ.მესხია დაადგენს, რომ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ხელოსანი თავდაპირველად „ხუროდ“ იწოდებოდა, შემდეგ „ჟელოვნად“ და „ჟელოსნად“,

რომელსაც მოგვიანებით ზოგჯერ ენაცვლება ირანული წარმოშობის „ოსტატი“ (მესხია, 1982: 22-23). ჩამოთვლილ ტერმინთაგან მკვლევარი ფართოდ მიმოიხილავს „ხუროს“ და აქედან მიღებულ „ხითხუროს“, „ქვითხუროს“, „რკინით ხუროს“, „კირითხუროს“, „ხუროთმოძვარს“. ძველი ქართული წყაროები იმის გარკვევის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ „ხურო“ თუ „ხურონი“ თავდაპირველად ხითხურობას, ხის სამშენებლო ხელოსნობას ანუ „ძელთხურობას“ უკავშირდება და შემდეგ იქცა იგი სხვა დარგების (ქვითხურობა, რკინითხურობა, კირითხურობა) ხელოსნური საქმიანობის აღმნიშვნელად. ამასთან ერთად, მკვლევარი შენიშვნას, რომ ხუროს მნიშვნელობა მოგვიანებით შეიზღუდა და მხოლოდ მაშენებელ ხელოსანთა აღმნიშვნელად იქცა. VIII საუკუნიდან კი „ქვითხუროს“ პარალელურად სომხური წარმომავლობის „გალატოზი“ (იგივე „კალატოზი“) მკვიდრდება, რომელიც X საუკუნიდან სხვადასხვა წერილობით წყაროებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში ხშირად მოიხსენიება (მესხია 1982: 31). ივჯავახიშვილის აზრით კი, „გალატოზი“ აგურის მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინია და IX საუკუნის ძეგლებში გვხვდება (ჯავახიშვილი ივ. 1946, 138). მიუხედავად ამისა, „ქვითხუროს“, ისევე როგორც „ხუროს“ და სხვა ტერმინებს, თავდაპირველი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ და ისინი დღევანდლამდე შემორჩა ხის თუ ქვის ოსტატის აღმნიშვნელ ტერმინებად. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ არაქართული ტერმინები დამკვიდრების შემთხვევაში საბოლოოდ ვერ დევნის ადგილობრივ ქართულ ნიადაგზე შექმნილ ტერმინებს (კახიძე, 1988:35).

სხვადასხვა ქართულ წერილობით წყაროში დაცული მონაცემების მიხედვით, შ. მესხია სამშენებლო ხელოსნობის პროცესის აღმნიშვნელი ბევრი სხვა ტერმინისა და ცალკეულ ხელოსანთა საქმიანობის დახასიათებასაც იძლევა. ყველაზე მრავალფეროვნად გამოიყურება ქვის საეკლესიო-სამონასტრო და საერო ნაგებობათა ტერმინოლოგია („ქვის კავვა“, „ქვის აღმოხდა“, „ქვის გათლა“, „ქვის მოლელი“, „ქვის შეკაზმვა“, „ქვიშისა და ღორდის შთასხმა“, „შთასხმა კირისა“, „ქვის ქაზე დასხმა“, „აღშენებაი“, „მაშენებელნი“, „მუშაკნი“, „შენების განხრულება“ და ა.შ.).

შ.მესხიამ საფუძვლიანად შეისწავლა ძველი სამშენებლო-სახელოსნო და საბრძოლო იარაღები და მათი ძველი სახელწოდებანი, სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და ტრანსპორტის სახეობები. როგორც ირკვევა, ძველ ქართულში და შესაბამისად, მაშინდელ სალაპარაკო ლექსიკაში, სამშენებლო იარაღების აღმნიშვნელად იხმარებოდა „ჭურჭელი“, საბრძოლო იარაღების გამოსახატავად კი - „საჭურველი“. მაგალითად, „ჭურჭელთან“ დაკავშირებით მას მოაქვს ტერმინი XIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლისა და მაზროვნის აბუსერისძე ტბელის (იგი წარმოშობით ზემო აჭარის სოფელ თხილვანადან იყო) საისტორიო თხზულებიდან, სადაც დახასიათებულია „ჭურჭელი ქვის სათლელი“, რომელიც „ხურო-გალატოზის“ ბასილის სამშენებლო საქმიანობას უკავშირდება.

ასეთ ქვის სათლელ ჭურჭელს თვით ბასილი ამზადებდა, მაგრამ ამისათვის მას რეინა ოპიზიდან (კლარჯეთი) „უნდა მოეტანა და თავისი ხელით გამოეჭედა „რკინისა ჭურჭელი ქვის სათლელი“ (მესხია, 1982: 47). ეს სხვა მხრივაც საინტერესო ფაქტია - ქვითხურო ბასილი „რკინის ხუროობასაც“ ყოფილა დაუფლებული, ანუ მას სხვა ხელოსნური ცოდნაც გააჩნდა, რაც ნიშანდობდივი მოვლენა ჩანს პროფესიონალი ხელოსნისათვის. ეს ცოდნა მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას (გახიძე, 1980: 39; 1980: 49). ასეთი პროფესიონალი ხელოსნები კი მრავლად იყვნენ ძველ საქართველოში, რისი მაგალითებიც მოტანილია შ.მესხიას ნაშრომში.

შ.მესხია ვრცლად მიმოიხილავს საერთოდ მჯედლობასთან, და კერძოდ - რკინისა და ოქრომჯედლობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, ხელოსნობის ამ დარგების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მჯედლს ძველ ქართულში „კვერით ხურო“ ეწოდებოდა და ამ ტერმინის ქვეშ ადრევე მოიაზრებოდა როგორც რეინის, ასევე რვალისა და ოქროს მჯედლი (მესხია, 1982: 47). ამ უკანასკნელში კი იგულისხმებიან არა მარტო ოქროს ნივთების, არამედ ვერცხლისა და ძვირფასი ქვების დამმუშავებლებიც. ისინი მო-ოქროვილ, ანუ „ოქროცურვებულ“, „ოქროს ცვრით“ შემქობილ ნივთებს აკვთებდნენ. ოქრომჯედლები იყვნენ არა მარტო ერისგაცები, არამედ სასულიერო პირებიც. ამასთან, ოქრომჯედლები უმთავრესად დაკვეთით მომუშავე ხელოსნები იყვნენ. მათ შეირ დამზადებული ნაკეთობანი თავისი სიმშვენიერით არაფრით ჩამოუვარდებოდა ბიზანტიურს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი მსოფლიო ხელოვნების საგანძურში მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს. შ.მესხია აქვე იმოწმებს შ.ამირანაშვილის ნაშრომს „ბექა ოპიზარი“, რომლის მიხედვით XII საუკუნის საქართველოში ქართული ოქრომჯედლობის სამი სკოლა არსებობდა - ოპიზის, ტბეთის და გელათის (მესხია, 1982: 118). ქართული ოქრომჯედლობის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

ხელოსნობის დასახელებული დარგების პარალელურად შ.მესხიამ საგანგებოდ შეისწავლა ხელოსანთა სოციალური მდგრმარეობისა და ამქრული წყობის საკითხები ძველ საქართველოში და საგულისხმო მოსაზრებებიც წამოაყენა.

მან დაადგინა, რომ V-XII საუკუნეებში ხელოსანთა უმრავლესობა საპატრონებო ურთიერთობაში, ანუ არათავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდა როგორც ყმა, ნაწილსაც თავისუფალი ხელოსნის სტატუსი გააჩნდა. მკვლევარი ორივე შემთხვევაში თავის მოსაზრებებს კონკრეტული მაგალითებით ადასტურებს. ყმა ხელოსნები, რომლებიც „საფასის გარეშე“ შრომობდნენ, ჰყავდათ მთავრებსა და აზნაურებს, მონასტრებს. ისინი მრავლად იყვნენ სამეფო კარზეც. ეკლესია-მონასტრებს მსახური თუ შეწირული ხელოსნებიც ჰყავდა (მესხია, 1949).

თავისუფალ ხელოსანთა სტატუსის დახასიათებისას შ.მესხია ეყრდნობა იჯავახიშვილის მოსაზრებებს, რომლის მიხედვით XII საუკუნეზე ადრეც იყვნენ ისეთი ხელოსნები, რომლებიც თავიანთი

ხელობით და პირადი შრომით ირჩენდნენ თავს. ეს ხელოსანთა ის კატეგორია იყო, რომელთა წარმომადგენლები საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში დადიოდნენ სამუშაოს საძებნელად, რასაც აბუსერისძე ტბელის საისტორიო თხზულების მიხედვით „უცხოობაში მუშაკობა“ ანუ „მოსარეწლად სიარული“ ერქვა. შ.მესხია ასეთ თავისუფალ ანუ მოგზაურ ხელოსანთა რიგებში სხვებთან ერთად ასახელებს შეუ საუკუნეების ცნობილ ხელოსანს ბასილს (მესხია, 1982: 175), რომელიც აბუსერისძე ტბელის ცნობით, მოსარეწლად დადიოდა ანუ „უცხოობაში მუშაკობას“ ეწერდა ისეთ შორეულ ქვეყანაში, როგორიც იყო სომხეთი. ბასილი ეკლესიებს აშენებდა. მას სამი ეკლესია აუშენებია - წმინდა გიორგის სახელობის ორი ეკლესია აჭარაში და ერთი მის ფარგლებს გარეთ (ტბელ აბუსერისძე, 1981:27). შ.მესხიას აზრით, ბასილი რომ თავისუფალი ხელოსანი არ ყოფილიყო, იგი სარჩის საშოგნელად უცხოეთში სიარულს ვერ შეძლებდა. ასეთი ხელოსნები უცხოეთში სამუშაოდ წლობით რჩებოდნენ. საწინააღმდეგო აზრისა იყო აბუსერისძე ტბელის საისტორიო თხზულების პირველი გამომცემელი და კომენტატორი ლ.მუსხელიშვილი. მას ბასილი, როგორც დარიბი აჭარელი გლეხი-ხელოსანი, აბუსერისძეთა ყმად მიაჩნდა (ტბელ აბუსერისძე, 1941: 12). მკვლევართა ერთი ნაწილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და ისინი შ.მესხიას მსგავსად, ბასილს თავისუფალ ხელოსნად მიიჩნევენ (მელიქიშვილი 1973: 75-76; რატიანი, 1979:35; კახიძე, 1986:58).

შ.მესხია თავისუფალ ხელოსნად მოიაზრებდა აგრეთვე მიქელ გალატოზეს, რომელიც ოპიზიდან, ანუ კლარჯეთიდან იყო. იგი მარტვილში წასულა და აქაური ეკლესიის ეკვდერი აუშენებია, რაც ეკლესიის წარწერიდან ჩანს (მკვლევარი იმოწმებს ე.თაყაიშვილის ცნობას). თუმცა შ.მესხია უფრო ვარაუდს გამოთქამდა, როდესაც წერდა: „საფიქრებელია, რომ გალატოზი მიქელიც ბასილის მსგავსად ოპიზიდან მარტვილს წასულიყოს „მოსარეწლად რაისამე“ (მესხია, 1982: 117).

როგორც ხელოსანთა, ისე სხვა პროფესიის წარმომადგენელთა საშოგარზე ანუ „მოსარეწლად“ წასვლა შეუ საუკუნეებში ერთობ გავრცელებული მოვლენა იყო და მას, როგორც ნ.ბერძენიშვილი წერდა, თავისუფალი მწარმოებელი ფენიდან ანუ „მდაბიო მოლაშქრეთა“ წრიდან გამოსული მიმართავდნენ. ესენი იყვნენ ხუროები, გალატოზები, მევნეახეები და სხვა დარგის მუშები, რომლებიც ეძებდნენ სამუშაოს „მოსარეწლად რაისამე დონედ სიგლახაკისა თვისისა“ (ბერძენიშვილი, 1969:56).

ამგვარად, ძველ საქართველოში ზოგი ხელოსანი სათანადო უფლებებით სარგებლობდა და ისინი გლეხთა წოდებასთან შედარებით უფლებრივად მაღლა მაღლა იდგნენ.

პროფ. შ.მესხია ამქრული ხელოსნობის საკითხსაც შექმო და თავისი მოსაზრებებიც წამოაყენა. იგი უარყოფს საისტორიო ლიტერატურაში (აჭექსტაუზენი, ევეიდენბაუმი, ნ.დუნკელ-ველინგი და სხვ.) გამოთქმულ შეხედულებას, რომლის მიხედვით საქართველოში ამქრუ-

ლი ხელოსნობისა და ამქრული ორგანიზაციების გაჩენა არაბებისა და ირანელების გავლენას უკავშირდება. დასახელებული მკვლევრები თავიანთ მოსაზრებებს იმით ხსნიდნენ, რომ საქართველოშიც იყო დამკვიდრებული ირანულიდან და არაბულიდან შემოსული ტერმინები „ამქარი“ და „ასნაფი“. თუმცა, როგორც შ.მესხია წერდა, „ამქარიც“ ძველი არ არის და საქართველოში მანამდე ხელოსანთა გაერთიანების აღმნიშვნელად სხვა ტერმინი უნდა არსებულიყო (მესხია, 1982: 117). ასეთ ტერმინად მას მიაჩნდა „ორტალი“, რომელიც პირველად XIII საუკუნიდან იხსენიება რკონის ცნობილ სიგელში. მართალია, ეს ტერმინიც „თაორული სიტყვა“ და სავაჭრო ამხანაგობის მონაწილეს ნიშნავს (იჯავახიშვილის განმარტება), მაგრამ ორტალებში ვაჟრებთან ერთად ხელოსნებიც ერთიანდებოდნენ (მესხია, 1982: 197-198). ამასთან ერთად, შ.მესხია დასძენდა, რომ ამქრობის წარმოშობის მიზეზები თვით საქართველოს შინაგან წყობაში უნდა არსებულიყო. ამის შესახებ მიუთითებდნენ ადრე ივაზავახიშვილი და ს.ჯანაშია. ისინი წერდნენ, რომ მართალია, X-XII საუკუნეების საქართველოში ამქრობის არსებობაზე პირდაპირი მითითებები არ მოგვეპოვება, მაგრამ მათი არსებობა საფიქრებელია. დასასრულ, შ.მესხიას დასკვნა ასეთია: „საქალაქო ცხოვრების წინსვლა, თავისუფალ ხელოსანთა თავმოყრა ქალაქში და თავისუფალი ხელოსნური შრომის კონკურენცია, ხელოსნური წარმოების ზრდა და ამდენად მისწრაფება ასოციაციისაკენ, ქმნიდნენ იმ პირობებს. რომლებიც ხელს უწყობდნენ ამქრული წყობის წარმოშობას საქართველოში“ (მესხია, 1982: 196).

პროფესიურმა შ.მესხიამ თავისი გამოკვლევებით მნიშვნელოვნად გაამდიდრა V-XII საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლა იმ ნაწილში, რომელსაც ხელოსნობა ეწოდება.

## Nodar Kakhidze

### Professor Shota Meskhia – an investigator of old Georgian handicraft

#### Summary

The well-known Georgian historian professor Shota Meskhia (1916-1972) was the first to study in details the Georgian handicraft of the V-VII centuries on the base of old Georgian sources. He investigated all branches of handicraft of Georgia in the above mentioned period. These branches became generally known in the medieval world. Sh. Meskhia demonstrated that Georgia was not behind the leading countries of the medieval Europe. The scientist paid a great attention to the issues of making and sale of handicraft articles, social status of tradesmen, trade terminology, together with the questions of handicraft origin.

The historian greatly participated in studying the economical history of Georgia of the V-VII centuries.

## **Нодар Кахидзе**

### **Профессор Шота Месхия - исследователь древнегрузинского ремесла**

#### **Резюме**

Известный грузинский историк проф. Шота Месхия (1916-1972) был первым, который на основе древнегрузинских источников детально изучил грузинское ремесло V-XII веков. Он исследовал все отрасли ремесла Грузии указанного периода, которые вообще были известны в средневековом мире. Он доказал, что Грузия ни чем не отставала в сфере ремесла от других тогдашних передовых стран в средневековой Европе. Ученый, наряду с вопросами происхождение ремесла, большое внимание уделял вопросам изготовления и сбыта ремесленных изделий, социального статуса ремесленников, ремесленной терминологии.

Историк внес большой вклад в изучении экономической истории Грузии V-XII веков.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. **აბუსერისძე ტბელი.** ბოლოქ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე (1233 წლის ტექსტი). გამოსაცემად მოამზადა ლ.მუსხელიშვილმა. თბილისი, 1941, გვ. 12.
2. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები. VI, თბილისი, 1969 , გვ. 56.
3. **გახიძე ნ.** ქვის დამუშავება დასავლეთ საქართველოში ძველი წერილობითი წყაროების შუქჩე. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და პულტურა. VIII. თბილისი, 1980, გვ. 49.
4. **გახიძე ნ.** მოგზაური ხელოსნები. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. XII. თბილისი, 1986, გვ. 58.
5. **გახიძე ნ.** შუა საუკუნეების ხელოსნობის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და პულტურა. XV. თბილისი, 1988, გვ. 35.
6. **გახიძე ნ.** ქვითხური ბასილი -შუა საუკუნეების ოსტატი. - „საისტორიო მაცნე“. №7, ბათუმი, 1998.
7. **მელიქიშვილი გ.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1973, გვ. 75-76.
8. **მესხია შ.** ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII საუკუნეების ქართულ მონასტრებში. - „მიმომხილველი“, I, თბილისი, 1949.
9. **მესხია შ.** ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს). - საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბილისი, 1982, გვ. 9-10.

10. **მესხია შ. ხელოსნური** და სავაჭრო ორგანიზაციები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში. - საისტორიო ძიებანი. ტ. II, თბილისი, 1983.
11. **რატიანი პ. ძველი ქართული დიტერატურის ძეგლები.** აბუსერისძე ტბელის მოთხოვნა როგორც საისტორიო წყარო. — ქურნ. „მნათობი“, №11, თბილისი, 1979, გვ. 35.
12. **ტბელ აბუსერისძე.** ცხოვრება ქვითხუროისა ბახილისა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.სიხარულიძემ. ბათუმი, 1981, გვ. 27.
13. **ჯაფარიშვილი ივ.** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება საქართველოში. თბილისი, 1946, გვ. 138.

## თამილა ლომთათიძე

### საჭარ სანახაობათა არქეტიკის აზრი

საწევო სანახაობათა არქეტიკები საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში საწესჩვეულებო მაგიური დრამის სახითაა შემორჩენილი. ესაა სანახაობითი პლასტებით დატვირთული მაგიურ-სამეურნეო ხასიათის ცერემონიალი, რომელიც გარკვეულ რწმენებს ეფუძნება. იგი, ძირითადად, რომელიმე ღვთაებას ეძღვნება და ეს ღვთაება, როგორც პერსონაჟი, ხშირად მონაწილეობს მისტერიებში. საკულტო-საწესჩვეულებო ქმედებები დრამატულ-თეატრალურ სანახაობათა წინა საფეხურს წარმოადგენს. დღეს ისინი განთავისუფლებული არიან საკულტო შინაარსისაგან და გართობა-თამაშობების სახით არიან შემორჩენილი. ასეთი მაგიური ხელოვნების ნიმუშებს მიეკუთვნება “მიბაძვითი თამაშობანი, მითოლოგიური შინაარსის განსახიერება, ყოფითი სცენების განსახიერება და სხვ.” (კოტეტიშვილი, 1967:365-366).

აჭარაში შემორჩენილია ხალხურ რწმენებზე აღმოცენებული გასართობი სანახაობა დათვობია. “დათვობია” ბაირამის ან სხვა დღესასწაულის დროს სრულდებოდა. იგი თამაშის სახითაა შემორჩენილი და წარმოდგენილია სიტყვიერი და ფიზიკური პაექტობის სახით დათვსა და თამაშის სხვა მონაწილეებს (მთავარი, მსაჯული ან მეფე, თხები) შორის (ნოდაიდელი, 1971:143).

დათვობია რამდენიმე ნიშნით (პერსონაჟთა იდენტურობა, მოთამაშეთა გუნდებად დაყოფა, პერსონაჟების ქამრით ცემა) მსგავსებას ავლენს ბუნების ძალთა გამოღვიძებისადმი მიძღვნილ ბერიკაობა-ყენობის ტიპის დღესასწაულებთან. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს დღესასწაულის სახელწოდება. ზოგან ბერიკაობა-ყენობა დათობის ან დათვბერიკულის სახელითაც მოიხსენება, რადგან ზოგჯერ ბერიკას “დათოს” “დათუნას” ეძახდნენ. იგი მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებაა (სურგულაძე, 1980:42). დათვს იგივე ფუნქციები აკისრია, რაც ბერიკას. ზოგჯერ დათვის ნიღბით წარმოსახავდნენ თავბერიკას ერწო-თიანეთში. ხევსურულ ქორწილში თამაში სცოდნიათ, რომელსაც “დათუნბას” ეძახდნენ (რუხაძე, 1981:38). დათვობია დიდ მსგავსებას ავლენს “შელია ტულეფიასთანაც”, რომლის სიუჟეტური ქარგა დათვობიას ანალოგიურია (ჯავახიშვილი, 1951:70).

დათვობიას მთავარი პერსონაჟებია დათვი და თხა. დათვი, გაზაფხულზე ზამთრის ღრმა ძილიდან გამოღვიძებული ცხოველი, გადვიდებული, გაცოცხლებული ბუნების, ნაყოფიერების ძალების სიმბოლოდ გვევლინება და მისი ჩართვა ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილ რიტუალში ჩვეულებრივი მოვლენაა. დათვი, რომელიც განასახიერებს გამოღვიძებულ ბუნებას, ხშირად მონაწილეობს „საქართველოს სხვა კუთხეებისა და მსოფლიოს სხვა ხალხების ანალოგიურ

საგაზაფხულო კარნავალებში. რაც შეეხება თხას ან თხის ტყავში გადაცმულ პერსონაჟებს, ისინი ბერიკაობის ერთ-ერთი მთავარი მონაწილენი არიან და განიხილებიან, როგორც ბუნების აღორძინებისა და ნაყოფიერების ძალის მატარებელი ზოომორფული სიმბოლოები“ (რუხაძე, 1955:181).

XIX საუკუნის 50-იან წლებში ყველიერობას თბილისში იმართებოდა საფერხულო სანახაობა “დათო”. დათვად შენიდბული ბერიკა ქალთა ფერხულში ჩადგებოდა და წარმოდგენდა პანტომიმურ სანახაობას, რომელიც მისნური საწესო ქმედების გადმონაშთი უნდა ყოფილიყო (ჯანელიძე, 1983:26). დათვობია საწესხვეულებო დრამის საწყის საფერხურს შეიძლება მივაკუთხოვთ. ამ ეტაზე დრამაში წარმოდგენა მიჰყავთ ცხოველებისა და ფრინველების ნიღბებით აღჭურვილ ან მათ განმასახიერებელ ადამიანებს (ჭელიძე, 1987:278).

“ცხოველთა ოქატრის”, “მხეცოდა სანახობის”, “ცხოველთა ნიღბების” ქართული ტრადიციების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ცნობები შემოინახა მე-17 საუკუნის ძეგლმა “სიბილიაინი”, რომელშიც, როგორც პაკელიძე მიიჩნევს, მოცემულია უძველეს კულტებთან დაკავშირებული სანახობები. მათ შორის გაწვრთნილი ცხოველების წარმოდგენა - “დათვთა კომედია” და ცხოველთა ნიღბებით სცენაზე გამოსული ადამიანების სახიობა, რომელთაგან ერთ-ერთი ”დათვშიდა ზის“ (კეკელიძე, 1945:155-157). დათვობიაში აშკარად იკვეთება ხალხური საკულტო დრამის ნიშნები: სინკრეტული თავისებურებანი, დიალოგი, სათქმელის გასცენიურების ტექნიკია (ჩიქოვანი, 1946:355).

აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა ხალხური დრამის მეორე შესანიშნავი ნიმუში “აქლემის შეკაზმვა”, რომელიც აჭარაში “აქლემის მოკაზმის” სახელითაც იყო ცნობილი. ეს გართობა-თამაშობა შეამოთობის დღესასწაულის შემადგენელ ნაწილს წარმოდგენდა და ყველზე უპერ სხალთის ხეობის სოფლების მცხოვრებთა მეხსიერებამ შემოინახა (თანდილავა, 1980:37). “აქლემის შეკაზმვა” კარდაკარ ჩამოვლით სრულდებოდა. ხისგან გამოთლილი “აქლემის” თავსა და ტანს მხრებზე დაიდებდა ოთხი კაცი, რომლებიც “აქლემის ფეხებს” წარმოადგენდნენ. მათ ისე შენიდბავდნენ ტყავებით, რომ ეს მოწყობილობა აქლემს დამსგავსებოდა. ამ “აქლემზე” შესვამდნენ ძველმანებში გამოწყობილ მხედარს, რომელსაც იაილებში კარდაკარ დაატარებდნენ. “აქლემს” თან დაყვებოდა დამკვრელებისა და მოცვეავების მთელი ამაღა. მხედარი ოხუნჯობდა, ხალხს ამხიარულებდა. მემოვრის ეზოში მისულები “აქლემს აცეკვებდნენ” და ძღვენს ითხოვდნენ. მემოვარს გამოჰქონდა პური, ყველი, სხვა საკვები აქლემის საჩუქრად. მხედარი აქლემს ჯოხის მეშვეობით “პირს დააღებინებდა”. მემოვარი ძღვენს პირში ჩაუდებდა აქლემს, რომელიც კმაყოფილების ნიშნად “აცეკვდებოდა”. მხლებლებიც აჲყვბოდნენ აქლემის ცეკვას. ასე დადიოდნენ ეზო-ეზო და აგროვებდნენ სანოვაგეს, რომელსაც ბოლოს ერთად შეექცეოდნენ. (თანდილავა, 1980:36).

“აქლემის შეკაზმვის” ანალოგიური თამაშობების - “აქლემკაცობისა” და “ცხენკაცობის” არსებობას ქართველთა ტრადიციულ ყოფაში ადასტურებს წერილობითი წყაროებიც. იოანე ბაგრატიონი ასე აღწერს “აქლემკაცობას”: ფარდაგებს შეკრავდნენ და ქვეშ ორი კაცი შეუდგებოდა. მათი თავები აქლემის ორ კუზს გამოხატავდა. “ესენი ზურნადაფსა ზედა უცხოდ თამაშობდნენ და გაქცევაში ემსგავსებოდნენ აქლემსა”. მისივე ცნობით აქლემკაცობას “ასნაფის ხალხი” ანუ ხელოსანთა ამქარი აწყობდა (იოანე ბატონიშვილი, 1936:213).

აქლემკაცობა იყო ბერიკაობის შემადგენელი თამაშობა მესხეთში. ადიგენის რაონის სოფელ უდეში ჩაწერილი მასალით იგი ბერობანას დროს სრულდებოდა. მსგავსი ჩვეულება დაფიქსირებულია რაჭაშიც ცხენკაცობის თამაშის სახით. აქ კარდაკარ დაატარებენ ხისგან გაკეთებულ ცხენს. მისი თანმხლები ოჯახის პატრონებისგან საციქველად (გასამრჯელოდ) იღებდნენ ყველსა და კვერცხს (ჯანელიძე, 1983:50-51).

“აქლემის შეკაზმვაც” წარმოადგენდა გარკვეულ პანტომიმურ სანახაობას, რომელიც მისნური საწესო ქმედების გადმონაშთი უნდა ყოფილიყო (ჯანელიძე, 1983:26). “აქლემის შეკაზმვა” ორგანულ კავშირს ავლენს ბუნების ძალთა აღორძინების უძველეს ხალხურ დღესასწაულთან ბერიკაობა-ყევნობასთან, რომლისთვისაც, ასევე, დამახასიათებელია ნიღბოსანი ბერიკების სიარული კარდაკარ, ოჯახის დალოცვა, ბარაქიანობა-მოსავლიანობის სურვილების გამომხატველი საწესო სიმღერების შესრულება, სურსათის შეგროვება (რუხაძე, 1999). შინაარსობრივი და ფუნქციონალური მსგავსების მიხადვით, ვფიქრობთ, ბერიკაობა-ყევნობის არსებობის კვალი აჭარაში, გარდა სხვა რიტუალებისა, “აქლემის შეკაზმვაშიცა” შემონახული და იგი უნდა იყოს აჭარაში ბუნების ძალთა აღორძინების უძველესი მისტერიის გადმონაშთი.

როგორც აღწერილი გართობა-თამაშობებიდან ჩანს, ისინი წარმოადგენდნენ საწესო ქმედებათა არქეტიპებს, რომლებიც მაგიური რიტუალის იმ საფეხურს განეკუთვნება, როცა რიტუალის მონაწილენი დათავისურივ ცხოველებს განასახიერებდნენ ან ამ ცხოველთა ნიღბებით იყაზმებოდნენ. რწმენა-წარმოდგენათა განვითარების ეს საფეხური ასახულია მატერიალური კულტურის ძეგლებშიც - თრიალეთის ვერცხლის თასის ცხოველის ნიღბიან პერსონაჟთა კომპოზიცია უძველეს საკულტო მისტერიას გამოხატავს (ამირანაშვილი, 1944:189).

აჭარაში შემორჩენილი ხალხური დრამის ნიმუშებიდან აღსანიშნავია საწესო ფერხული “ოპო ნანო”, რომელიც ნაყოფიერების დვთავების კულტთან დაკავშირებული რიტუალის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს (ინაიშვილი, ნოდაიდელი, ჩხიკვაძე, 1961:5). ა.მსხალაძე, მას სავსებით კანონზომიერად მიიჩნევს სვანური “შელია ტულეფიას” აჭარულ ნაირსახეობად (მსხალაძე, 1964:93).

“ოპო ნანო” ფერხულის სახით შესრულებული სახუმარო ცეკვაა. მას ამ ეტაპზე დაკარგული აქვს თავისი თავდაპირველი ფუნქციონალური დანიშნულება და ქორწილსა და ნადში “უკვე დადლილი ხალ-

ხის მოსაფეხლებლად და გასამნიარულებლად სრულდება” (ახვლედიანი, 1970:14). მაგრამ მისი ჩაღრმავებული კვლევა საშუალებას იძლევა იგი მივიჩნიოთ უძველესი წარმოშობის ფერხულად, რომელიც სტრუქტურულად გუნდისა და კორიფეს დიალოგზეა აგებული. ხიხაძირული “ოპო ნანო” შემდეგნაირად სრულდება: კორიფე შეძახილით “გავადგიძოთ!” რიგრიგობით ურტყამს ჯოხს და ადგიძებს რიტუალის ფერხულის მონაწილე 9-11 კაცს. ჯოხის დარტყმას თითოეული მონაწილე ხვდება შეძახილით “ოპო”, რასაც მოჰყვება კორიფეს პასუხი - “ნანო”. გაღვიძებული მონაწილეები ჩააბამენ ფერხულს და კორიფეს გარშემო კრავენ წრეს. კორიფე წრის შიგნით ექცევა და ჯოხს ურტყამს მოფერხულებს. მათ შორის იმართება დიალოგი. ფერხულის მხელელობისას გუნდი ჯერ მიჰყვება წინამდლოლს, მელის კუდივით იგრიხება, მიუხვ-მოუხვევს, წრეს კრავს, შემდეგ წრე იშლება და კორიფე ჯოხით მიერექება მეფერხულებს (მაკარაძე, 2002:304-305).

ძეგლის არქიტექტონიკაზე დაკარივებით პროფ. ე.მაკარაძე მიიჩნევს, რომ “ოპო ნანო” სინკრეტული ხასიათის უძველესი საწესებელებო რიტუალური მოქმედებაა, რომელშიც ხელოვნების დარგების დიფერენციაცია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და იგი წარმოადგენს ქორეოგრაფიული დრამის ნიმუშს (მაკარაძე, 2002:305), რადგან მასში “სიმღერასთან და სიტყვებთან რიტუალი მოძრაობა-გარდასახვების შეთანხმობით ხდება სიუჟეტიანი ამბის გრძნობადი გასაგნება” (ჭელიძე, 1987:236-237).

ე.მაკარაძე ვერბალური ტექსტისა და რიტუალური რეკვიზიტის (ჯოხი) ანალიზის საფუძველზე “ოპო ნანო”-ს ნადირობის ტრადიციასთან დაკავშირებულ საწესო ქმედებად მიიჩნევს და ოვლის რომ, მოთოლოგიური ჯოხი (წერძლა), რომელსაც კორიფე რიტუალში იყენებს, წარმოადგენს ნადირთდვთაების კუთვნილი საკრალური საგნის - მათრახის ვარიანტულ სახესხვაობას, რომლის მეშვეობითაც, ქართულ მითოლოგიაში არსებული სიუჟეტების თანახმად (ცირსალაძე, 1964:33), ნადირთდვთაება აცოცხლებს შექმული ნადირის ძვლებს. ე.მაკარაძე ასკგნის, რომ “ოპო ნანოში” ჯოხი, რომელიც ხელთ უპყრია კორიფეს, სწორედ ამ მაგიური ძალის მატარებელი უნდა იყოს: კორიფე ჯოხის დარტყმით აღვიძებს//აცოცხლებს მოფერხულებებს. ამის საფუძველზე იგი ვარაუდობს, რომ საანალიზო ძეგლს საფუძვლად უდევს ნადირობასთან დაკავშირებული მითოსური საფანელი (მაკარაძე, 2002:309). შესაძლოა, “ოპო ნანო”-ს გარკვეულ პარალელები მოეძებნება ნადირობის საწესო ქმედებებთან, მაგრამ იგი თავისი არსით, შესრულების წესებით, რიტუალური ატრიბუტიებით (წერძლა, ჯოხი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ ითიფალურ ელემენტად, ნაყოფიერების დათაების ფალიკურ ნიშნად განიხილება) უფრო მეტად სემანტიკურ ერთობას ავლენს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში საკმაოდ კარგად ცნობილ ისეთ რიტუალებთან, როგორიცაა “შელია ტულეფია”, “ბერიკაობა-ყენობა” და სხვა ნაყოფიერების აულტოან დაკავშირებული უძველესი საწესო დრამები (ჯავახიშვილი,

1951:70; ჯანელიძე, 1983:397; რუხაძე, 1999:9; ბრეგაძე, 1980:48; სურგულაძე, 1989:32; ონიანი, 1969:70 და სხვ).

ზემოთაღწერილი ფერცულის - “ოპო ნანო”-ს მსგავსად, აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოგვინახა საწესჩვეულებო ხასიათის ცეკვა “ფადიქო”, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სხვა კუთხეებში “ბერიკაობასთან” დაკავშირებულ იმ უძველესი ხასიათის ცეკვის ერთერთ სახეს, რომელიც დიონისესა და დემეტრეს კულტთან დაკავშირებულ თამაშობებსაც წააგავს (გვარამაძე, 1957:54).

აჭარაში ფართოდ გავრცელებული ცეკვა “ფადიქო” ბერიკაობის აჭარულ ნაირსახეობას წარმოადგენს. რიტუალის მუსიკალურ თანხლებად ზემოაჭარაში იყენებდნენ ყოლსამას ნაირსახეობას - “ქოჩგურს”, ამიტომაც აჭარის ზოგიერთ სოფელში (სხალთა, მარითი, დიონისი, რიყეთი) რიტუალსაც “ფადიკო-ქოჩგურს” უწოდებდნენ.

“ფადიკო” ერთგვარი ცეკვა-თამაშია, რომელშიც ექვსი კაცი და ერთი ქალი მონაწილეობს. ქალის როლს კაცი ასრულებს. მას ქალის სამოსს ჩააცმევენ და ცალკე ოთახში გაიყვანებ. ეს პერსონაჟია სწორედ ფადიკო. “ფადიკოს” შესრულების სხვადასხვა ვარიანტია ცნობილი აჭარაში, მაგრამ მისი სიუჟეტური ქარგა და აზრობრივი დატვირთვა ყველგან ერთნაირია (ნოდაიდელი, 1971:53; ჩხაიძე, 1961:68; მსხალაძე, 1964:48) და მასში თავს იჩენს საკულტო დრამის არაერთი მომენტი (პერსონაჟები, როლებიანი თამაში, მოქმედებათა ინსცენირება, სიუჟეტის განვითარება). გადმოცემით, ამ თამაშს აწყობენ ქორწილში, დამის თორმეტ საათზე. მაგრამ “ფადიკო”, გარდა ქორწილისა, სრულდებოდა შუამთობაზეც, რომელიც თავდაპირველად სამეურნეო დოკლატის, ნაყოფიერების, სიუხვის, შვილიერება-გამრავლებისათვის გამართული რელიგიურ-საკულტო ხასიათის დღესასწაული იყო (თანდილავა, 1980:39). ფადიკოსათვის დამახასიათებელია გარკვეული ფალიკური მოქმედებები და უწმაწური სიტყვებით დატვირთული დიალოგები, რასაც წმინდა მაგიური დანიშნულება ჰქონდა და ნაყოფიერების დვთაების გულის მოგებას და ნაყოფიერების გამომწვევ ძალთა გაძლიერებას ისახავდა მიზნად. დ.ჯანელიძის მოსაზრებით “ფადიკო”-ს ელემენტებს უშეაღლო პარალელები მოეძებნება სვანურ “მურყვამობა-კვირიაობასთან” და ისიც შვილიერების მფარველი დვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთია (ჯანელიძე, 1983:109-110).

“ფადიკო” დღეისათვის აჭარაში ცეკვის სახეობადაა შემორჩენილი და განხილული. როგორც მოქმედები აღნიშნავენ, იგი “სამასხარო ცეკვაა, სამობაა”. ტერმინი “სამა” (აქედან ზმა: სამობს, ისამა, ისამებს), აჭარულ დიალექტში ცეკვის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია. ამდენად, აჭარული “ფადიკო” დღეს ქორწილსა და ლხინში შესარულებელ ცეკვად, გასართობ სანახაობად ქცეულა, მაგრამ მასში ნაყოფიერების დვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულების (ბერიკაობა-ყევნობა, მურყვამობა-კვირიაობა) იდენტური ელემენტების არსებობა (ფუნქციონალურად მსგავსი პერსონაჟები, საკრალური ქორწინებისა და სქესთა ურთიერთობის იმიტაცია, პრედენტენტოა ორთაბრძოლა, ფადი-

კოს გატაცება, “შეფის” მიძინება-გაღვიძება და სხვ.) ადასტურებს, რომ “ფალიქო” აჭარაში გადმონაშთული სახით შემორჩენილი საწესო დრამის, უძველესი მისტერიის გადმონაშთი უნდა იყოს, რომელიც ქართველი ხალხის წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს.

საწესო სანახაობათა არქეტიპების გართობა-თამაშობების სახით შემორჩენა განპირობებულია როგორც ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციით, ასევე ქართველი ხალხის რელიგიური რწმენის განვითარებით. ქრისტიანული ეკლესია კრძალავდა ხალხურ საკულტო სანახაობებს. ექვთიმე მთაწმინდელმა მეათე საუკუნის დასასრულს გადმოაქართულა იოანე მმარხველის “კანონი შეცოდებულთანი” და მცირე სჯულის კანონი მეექვსე კრებისა”, რომლებშიც განქიქბულია წარმართული დღესასწაულები, ხოლო “დათვთა მემღერნზე” ნათქვამია “როკვანი დედათანი ნუდარმცა იქნებიან და რომელნი იგი დათვთა მემღერნი ვლენ საგრძნებლად მრავლთა” (რუხაძე, 1949:31).

ეკლესიის მიერ მსგავს “სახიობათა” აკრძალვის შესახებ ცნობა დაცულია გიორგი ამარტოლის “ხრონოგრაფის” ქართულ თარგმანში “ქართლის ცხოვრებაში” (ყუქხიშვილი, 1920:13-14). დავითის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოში გავრცელებული ყოფილა სახიობანი და ღმრთის განმარისხებელი “საეშმაკონი”, რომელთაც მეფე კრძალავდა. აღნიშნული წეს-ჩვეულება აკრძალული იყო რუის-ურბნისის “ძეგლის წერითაც” (“ქართლის ცხოვრება”, 1942:226).

ამგვარად, აჭარაში თამაშებისა და გართობა-სანახაობების სახით შემონახული “დათვობია”, “აქლემის შეკაზმვა”, “ოჟო ნანო” და “ფალიქო” საწესო ქმედებათა არქეტიპებს წარმოადგენს. მათში რელიეფურადაა გამოკვეთილი საწესხვეულებო მაგიური დრამის ძირითადი შტრიხები: სამოქმედო არეალი - შესრულების ადგილი (სცენა), დრამის მოქმედი პირები, რომლებიც ახორციელებენ გარდასახვას, ე.წ. “სხვად-ქვევას”, დიალოგური ფორმით ტექსტის შესრულება, მოქმედების თან-მიმდევრობა გარკვეული სურათების სახით, ცალკეული კომპოზიციური მომენტები (დასაწყისი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, ფინალი). ამ ელემენტების არსებობა აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ გართობა-თამაშობებსა და ფერხულებში მიუთითებს, რომ ისინი განეკუთვნებიან ბუნების ძალთა აღორძინების, შვილიერებისა და ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ “ქართულ წარმართულ დღესასწაულებს”, რომლებიც დღეს უკვე გასართობ სანახაობად არის გადაქცეული” (ამირანაშვილი, 1944:189-190).

**Tamila Lomtavidze**

**Archetypes of Religious Performances in Adjara**

**Summary**

The habitual performances, based on the folk beliefs, are still preserved in Adjara. At first they seemed to be the examples of cult drama. The miming games, scenes of mythological character, different common performances, and others may be considered as the samples of magic art. The ethnographic life of Adjara has kept such archetypes of habitual performances as "Camel Saddling", "Datvobia", "Padiko", and "Ohio Nano".

Cult and habitual activities perform the first stage of dramatically-theatrical performances. Nowadays they are free from the meaning of cult rituals and have the entertaining character. In spite of great transformation, you can obviously notice the religious nature and the connection with certain cults.

**Тамила Ломтатидзе**

**Архетипы обрядовых зрелиц в Аджарии**

**Резюме**

Этнографический быт Аджарии сохранил в себе архетипы обрядовых зрелиц - «Датвобиа», «Аклемис шеказмва», обрядовых танцев «Фадико» и «Огой нано». Они основаны на народном веровании и являются действиями обрядово-ритуального характера олицетворяющими собой разные сцены мифологического содержания.

Культиво-обрядовое и ритуальное действие - это пример изначальной культовой драмы, нижняя ступень театрального зрелица. Сегодня они свободны от магической нагрузки и сохранились лишь в развлекательно-игровом виде. Однако, несмотря на сильную трансформацию, в них явно прослеживается обрядовое назначение и связь с некоторыми культурами.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. შ. ამირანაშვილი, წარმართული მისტერიები და ანტიკური თეატრი საქართველოში, მნათობი, №1, “ლიტერატურა და ხელოვნება”, თბ., 1944, გვ. 187-192.
2. ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, “საბჭოთა აჭარა”, 1970.
3. 6. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, მაცნე, №1, “შეცნიერება”, თბ., 1980, გვ. 47-65.

4. ლ. გვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, “განათლება”, თბ., 1957.
5. ელ. ვირსალაძე, ქართული ხალხური სამონადირეო ეპოსი, “მეცნიერება”, თბ., 1964.
6. ზ. თანდილავა, შეამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, “მეცნიერება”, თბ., 1980.
7. ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გრ. ჩხილაძე, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961.
8. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, სახელგამი, თბ., 1936.
9. პ. კეგელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, სახელგამი, თბ., 1945.
10. ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, II, “მეცნიერება”, თბ., 1967.
11. ე. მაკარაძე, ხიხიაძირული “ოპონ ნანო”, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კრებული, II, “ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2002.
- 12.** ალ. მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესხევულებო პოეზია, “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1964.
13. ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1971.
14. ჯ. ონიანი, სვანური მურყვამობა-კვირიაობა, მაცნე, №3, “მეცნიერება”, თბ., 1969 გვ. 63-79.
15. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, “ლიტერატურები და ხელოვნება”, თბ., 1949.
16. ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, “მეცნიერება”, თბ., 1999.
17. ჯ. რუხაძე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწევო ნიდები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, “მეცნიერება”, თბ., 1955, გვ. 181-198.
18. ჯ. რუხაძე, მემინდვრეობისა და აგრარული კულტების ზოგიერთი საკითხის შესახებ ერწო-თიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XX, “მეცნიერება”, თბ., 1981, გვ. 31-40.
19. ირ. სურგულაძე, ერთი საქორწინო წესის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის, მაცნე, №1, “მეცნიერება”, თბ., 1980, გვ. 30-49.
- 20.** “ქართლის ცხოვრება”, ანა დედოფლისეული ნუსხა, საკუთრივი შვილის რედაქციით, სახელგამი, თბ., 1942.
21. ს. ყაუხესიშვილი, ხრონიკარფი გიორგი მონაზონისაი, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, ტფ., 1920.
22. ჯ. ჩხაიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირ-სიტყვიერებაში, “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1961.
23. გ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1946.
24. გ. ჭელიძე, ქართული ხალხური დრამა, “მეცნიერება”, თბ., 1987.
25. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, “მეცნიერება”, თბ., 1951.
26. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის სათავეებთან, “განათლება”, თბ., 1983.

## რუსლან ბარამიძე

### 0სლამი აჟარაში 1878-1921 ფლეგში<sup>1</sup>

ნაშრომში ასახულია რუსეთის იმპერიის პერიოდში აჭარაში ისლამის მდგომარეობა და რელიგიური მმართველობის თავისებურებანი, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები ახდენდნენ.

რუსეთის მმართველობის პერიოდი აჭარაში იწყება 1878 წლიდან სან-სტეფანოს ხელშეკრულების საფუძველზე. 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ყოფილი ბათუმის ოლქი, მისი პორტი და მიმდებარე ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა (სურგულაძე... 1996). ბერლინის კონგრესის შეთანხმებითა და 1879 წლის კონსტანტინოპოლის ტრაქტატით დადგინდა ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციის პირობებიც, რასაც მოჰყვა მუპაჯირობა. მისი ოფიციალური ვადები 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლიდამდე განისაზღვრა. არაოფიციალურად გადასახლება XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა, ფაქტობრივად 1886 წლამდე, როცა რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი თურქეთთან (მეგრელიძე 1964; სიჭინავა 1958: 100-102; ბარამიძე 1999: 41-77; ჯანიაშვილი...). მუპაჯირობის რამდენიმე მიზეზთა შორის ერთ-ერთი მოსახლეობისათვის რელიგიურ-კულტურული ფასეულობების შეზღუდვის საშიშროება იყო. როგორც მკვლევრები მიუთითებენ (მეგრელიძე 1964; ბარამიძე 1999: 41-77 და სხვა), მუპაჯირობის გამომწვევ მიზეზებს შორის დიდ როლს თამაშობდა სხვადასხვა ჯგუფის მიერ წარმოებული ანტირუსული აგიტაცია, მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ახალი ხელისუფლება პირდაპირ და დაუფარავად შეზღუდვაგდა მოსახლეობის რელიგიურ უფლებებს, შეურაცხყოფდა მათ გრძნობებს, დაუწესებდა სხვადასხვა შეზღუდვას და ა.შ. რა თქმა უნდა, ამგვარი აგიტაციის ერთ-ერთი მიზანი რეგიონის დესტაბილიზაციაც იყო, რაც საბოლოო ჯამში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სახის პრობლემებს წარმოქმნიდა. თუმცა ასევე არ გამოირიცხება რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციის შეგნებული ხელშეწყობა, რაც შედიოდა როგორც ოსმალური, ისე რუსული მხარის ინტერესებში. ოსმალური მხარე დაინტერესებული

<sup>1</sup> სტატია მომზადებულია პროექტის „საქართველოს მუსლიმური თემი თანამედროვეობის კონტექსტში (ისტორიული, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული, სოციო-ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური და სტატისტიკური ანალიზი)“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სხივ – ქართველობის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი № 07-614-1-140). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს სხივ – ქართველოლოგის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.

იყო მიეზიდა ერთმორწმუნებული და შრომისმოყვარე მოსახლეობა, რაც მათით დასახლებული რეგიონების სამეურნეო გაჯანსაღებას შეუწყობდა ხელს და დადებითად აისახებოდა ოსმალეთის შიდა მდგომარეობაზე. რუსეთის იმპერია, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო მოსაზღვრე რეგიონებში შედარებით უფრო ლოიალური და იმპერიის ერთგული ხალხის მომრავლებისათვის შეეწყო ხელი, რაც იმპერიის სასაზღვრო თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. მეორეს მხრივ, მოსახლეობის უკმაყოფილებას და მის შედეგად გამოიწვევულ მიგრაციას ხელს უწყობდა ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან უცმაყოფილებას იწვევდა (მესხი 2000: 161-175; მეგრელიძე 1964: 9-40; ბარამიძე 1999: 100-102 და სხვები). საყურადღებო რუსი სამხედრო ისტორიკოსი ვ. ლისოვგვარის აზრი. იგი აჭარის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ მუქაჯირობა-გადასახლების შემდეგ მოსახლეობამ ერთგვარად ამოისუნთქა, რადგან დაიცალა და განთავისუფლდა ტერიტორიები, მაშინ როცა მანამდე მცირემიწინაობის გამო ისინი ვერ პოულობდნენ საქმეს და ყაჩაღობით იყვნენ დაკავებულნი, რაც რუსული იმპერიული პოლიტიკის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ (Лисовский 1887: 88). უმიგრაციის ასეთი ახსნა ადგილობრივი სპეციფიკის არასრულყოფილი ცოდნით იყო გამოწვეული, თუმცა ასევე არ უნდა გამოვრიცხოთ ავტორზე იმპერიული პოლიტიკის ზეგავლენაც (სიორიძე 2002: 151-158). მოსახლეობა იმის შიშით, რომ შემდგომში მსგავსი ინციდენტები და შეზღუდვები სარწმუნოებასაც შეეხებოდა, შეუდგა საკუთარი ქონების სასწრაფოდ გაყიდვას და გადასახლდა ოსმალეთში.

საინტერესოა ამ პერიოდის დემოგრაფიულ მონაცემები. 1892 წლის აღწერით, აჭარაში აღრიცხული იყო 154 სოფელი (ქვემო აჭარაში 72, ზემო აჭარაში 82 სოფელი). ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმი იყო (სანიკიძე 1999: 12). ამ აღწერის მიხედვით ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 50.000 აღწევდა, მაგრამ მუქაჯირობის გავლენით ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, და ზოგიერთი მონაცემით 10.000-მდე დაიწია. 1872 წელს ჯ. პალგრევი გვაწვდის ბუნდოვან მონაცემებს ბათუმში მცხოვრები მოსახლეობის შესახებ. მისი ცნობებით ქალაქში 4.500 მუსლიმი, 120 სომები, 350 ბერძენი ცხოვრობდა. ასევე იყვნენ ქართველები, ჩერქეზები, აფხაზები, თურქები, ზანგები (Палъгрев 1882: 115-116). 1878 წელს ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა 3.000-მდე შემცირდა. მაგრამ მოგვიანებით, ახალმოსახლეთა ხარჯზე იგი გაიზარდა და 1880 წელს 3.500 სულ შეადგენდა. 1882 წლის 19 მარტის ერთდღიანი აღწერის მიხედვით ქალაქ ბათუმის მოსახლეობა აღწევდა 8.671 მცხოვრებს. სარწმუნოების მიხედვით ეს რაოდენობა ასე ნაწილდებოდა: მართმადიდებელი - 3.158, სომებ-გრიგორიანელი - 436, სომებ-კათოლიკე - 316, კათოლიკე - 176, მუსლიმი - 1.281, იუდეველი - 179 (სიჭინავა 1958: 115). 1897 წლის 28 იანვრის რუსეთის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ბა-

თუმში ცხოვრობდა 28.508 მცხოვრები. მათგან სარწმუნოების მიხედვით იყო: მართლმადიდებელი - 15.495, სომებ-გრიგორიანელი - 6.150, სომებ-კათოლიკი - 662, მუსლიმი - 3.156, იუდეველი - 1.179 (სიჭინავა 1958: 115). 6. დერჯავინის ცნობით, 1903 წლისათვის ბათუმის ოლქში სულ 144.322 მცხოვრები იყო (Батумъ... 1906: 16). ბათუმის მოსახლეობა 1882 წლის აღწერით იყო 8.671 მოსახლე, 1889 - 12.000, ხოლო 1890 წლის აღრიცხვით - 18.123, 1897 წელს - 28.512 მოსახლე (Батумъ... 1906: 24). სარწმუნოების მიხედვით მოსახლეობის შემადგენლობა შემდეგი იყო: მართმადიდებლები - 20.475; სტარობრიადცები - 172; კათოლიკები - 1.610; პოტესტანტები - 472; სხვა ქრისტიანები - 15.182; სომებ-გრიგორიანელები - 14.085; მუსლიმები - 105.278; იუდეველები - 1.182 (Батумъ... 1906: 17). სტატისტიკური მონაცემებით ჩანს, რომ მოსახლეობის მატება ძირითადად შემოსული, არამუსლიმი მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. ამის წინაპირობას რეგიონის ეკონომიკური დაწინაურების კარგი პერსპექტივები, წარმოების განვითარება განაპირობებდა. მაგრამ მეორეს მხრივ მუსლიმი მოსახლეობის წილი თანდათან მცირდებოდა.

1878 წელს ბათუმში სამი ჯამე ფუნქციონირებდა - აზიზიე, მუფ-თიე და ორთაჯამე. ოსმალეთა ბატონობის პერიოდში აჭარის თითქმის ყველა სოფელში იყო მეჩეთი და უმრავლესობასთან მოქმედებდა მედრესე, ხოლო პატარა სოფლებში მარტო მედრესეები არსებოდა. 1861 წელს სულთანმა აბდულ აზიზმა (1861-1876 წლები) ბათუმში მეჩეთის ასაშენებლად სავაყუფო მიწა გამოყო და აქ არსებულ მეჩეთსაც აზიზიეს მეჩეთი ეწოდა. ეს მეჩეთი ძირითადად თურქი მუსლიმებისათვის იყო გათვლილი, ხოლო დანარჩენი 2 მეჩეთი ქართველ მუსლიმებს ემსახურებოდა (სანიქიდე 1999: 15). აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდისათვის ბათუმში 4 დასახლებული უბანი იყო: აზიზიე, ახმედიე, ნურიე და მუფტიე, რომელთა დასახელებაც, როგორც ვხედავთ, მეჩეთებს უკავშირდებოდა (სიჭინავა 1958: 106). რელიგია რესული ადმინისტრაციისათვის საყურადღებო თემა იყო. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ ცნობას: 1879 წელს ქალაქ ბათუმის უფროსმა მიმართ მიწათმოწყობის სამართველოს ქალაქარეთ ქრისტიანული, ებრაული და მუსლიმური სასაფლაოს მოწყობაზე. მიმართვა არ დაგმაყოფილებულა (Батумъ... 1906: 544). 1881 წელს ეს პრობლემა ისევ დადგა დღის წესრიგში. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არ გადაწყდა, ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაცია ყურადღებით ეკიდებოდა რელიგიურ თავისებურებას.

ადმინისტრაციული ოვალსაზრისით, რეგიონის მართვაში რესეთმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ტ. სტეფანოვის ცნობით, პორტფრანგოსთან დაკავშირებით ბათუმის მართვაში ჯერ შემოღებული იყო სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა, რომელსაც ართვინის მხარეც აქვემდებარებოდა. 1883 წლის 12 ივნისიდან სამხედრო გუბერნატორობა გაუქმდა და ბათუმის ოლქი გაიყო ორ - ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად. 1903 წლის 1 ივნისამდე ბათუმს ხელმძღვანელობდა

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწევ. 1886 წლის 5 ივლისიდან დაიხურა პორტო-ფრნაკო და დაიწყო რეფორმები. 1888 წლიდან ბათუმის მმართველობას დაემატა ქალაქის დუმა (Батумъ... 1906: 487). 1903 წლის 1 ივლისიდან ბათუმი გამოეყო ქუთაისის გუბერნიას და ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქი საგანგებო სამხედრო გუბერნატორის ხელმძღვანელობით (Батумъ... 1906: 105, 108-109). თ. სახოკიას ცნობით, შეერთების შემდეგ აჭარა გაიყო ზემო და ქვემო საბოქაულოებად, ცენტრებით ხულოსა და ქედაში. აქ უფროსებად პირველ ხანებში ადგილობრივი პირები იყვნენ: ხულოში ალ. ბერიძე, ქედაში თუფალ-ბეგ შერვაშიძე. 1896 წლისათვის მათ ეს თანამდებობები დატოვეს. ადმინისტრაციაში თითო თანაშემწევ-საქმისმწარმოებელი და თარჯიმან-მწერალი ჰყავდათ. ადგილზე უფროსებად ძირითადად სამხედრო გავლილი პირები ინიშნებოდნენ. მათ დაქვემდებარებაში იყო ადგილობრივი პირებისაგან შემდგარი 12 ჩაფარი (სახოკო 1950: 158).

რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში აჭარის შესვლის შემდეგ შარიათისა და ადათზე დაფუძნებული სასამართლო სისტემა რუსეთის იმპერიამ ერთხანს უცვლელად დატოვა და მხოლოდ უმაღლესი, ანუ სახელმწიფო ინტერესების სფეროში შემავალი საქმეები გადასცა სახელმწიფო სასამართლოებს. ვ. ლისოვსკი მიუთითებდა, რომ ზოგადი სამართალწარმოებით აჭარა ექვემდებარებოდა ბათუმის ოლქის მოსამართლეს, რომელიც თავის მხრივ ემორჩილებოდა ქუთაისის ოკრუგის მოსამართლეს. სოფლის დონეზე სასამართლოს წარმაოდგენდა სოფლის უხუცესთა საბჭო – იმამი და მეჯლისის წევრები. აქ არჩევდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. შემდგომ დონეს უბნის სახალხო სასამართლო ქმნიდა, რომლის სათავეში იდგა ყადი (სასულიერო მოსამართლე). მას გუბერნატორი ნიშნავდა (ეს განისაზღვრებოდა სასულიერო სამმართველოს დებულებით) მას ემსახურებოდა 3 პირი, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევდა. უბნის სახალხო სასამართლოები ექვემდებარებოდნენ ოკრუგის სახალხო სასამართლოს, რომელიც ასეთივე შემაღებელობისა იყო. ამ სასამართლოებში ასამართლებრივი მხიშვნელოვანი სისხლის სამართლის დანაშაულის (ძარცვა, ყაჩაღობა, მკვდელობა, ხელისუფების საწინააღმდეგო მოქმედება, ფოსტაზე თვდასხმა, ტელეგრაფის გაფუჭება) შემთხვევაში. დანარჩენი საქმეები სახალხო სასამართლოს კომპეტენცია იყო. საქმის გარჩევა ხდებოა სიტყვიერად. ამასთან, ისეთი საკითხები, როგორიცაა მუსლიმთა ქონება, ქორწინება, საოჯახო სამართალი წყდებოდა ყადის მიერ შარიათისა და იმპერიის კანონების შესაბამისად. მას ადასტურებდა სასამართლოს თავმჯდომარე. ადათთან და ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებულ საქმეებს არჩევდნენ ადგილობრივ სასამართლოში მისი მოვლი შემაღებელობით. დადგენილებას ხმათა უმრავლესობით დებულობდნენ. საკითხის განხილვაში არ მონაწილეობდა სასამართლოს თავმჯდომარე, თუმცა აკონტროლებდა სასჯელის აღსრულებას (Лисовский 1887: 48-49; სახოკია 1950: 158-160;

Батумъ... 1906: 465).

Шვեціїїлло діархіа წინანდელი გადასახადები, მაგრამ ისინი რუსული მმართველობის სპეციფიკას მიესადაგა. მნიშვნელოვანი სარგებელი ამ გადასახადებით მოსახლეობას არ მიუღია (Лисовский 1887: 49). სოფლის იერსახესა და სტრუქტურასც პრინციპული ცვლილება არ განუცდია. სოფელი ისევ დასახლებების ერთიანობას წარმოადგენდა, რომელსაც ცენტრში აუცილებლად მეჩეთი ჰქონდა (Лисовский 1887: 79, 82).

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მუსლიმების მდგომარეობა და ორგანიზაცია მკაფიოდ იყო განსაზღვრული. იმპერატორის მიერ 1872 წელს ხელმოწერილი დებულების („Положение об управлении Закавказского мусульманского духовенства“) მიხედვით სამუსლიმანო გაერთიანების სტრუქტურა და მუშაობის პრინციპები ამიერკავკასიის რეგიონში სრულად იყო განსაზღვრული. ამ დოკუმენტით, ცალკეული იქმნებოდა შიიტებისა და სუნიტების სამმართველოები, განისაზღვრებოდა იმპერიის პოლიტიკა ახლადშემოერთებული ამიერკავკასიის მუსლიმების მიმართ. ფაქტიურად რუსეთის იმპერია ამ პერიოდისათვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსლიმურ სამყაროსთან. მის ტერიორიაზე მრავლად სახლობდნენ მუსლიმები. მათი მრავალრიცხოვნებისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის აუცილებლობის შედეგად ეკატერინე მეორემ 1788 წლის 22 სექტემბერს შექმნა „უფის სასულიერო მაჰმადიანური კანონის გაერთიანება“ ("Уфимское Духовное Магометанского закона Собрание"; 1796 წლიდან უფას ორენბურგი ეწოდა) სამუსლიმანო სამმართველო ცენტრი იყო უფაში. იმპერიისათვის მუსლიმებთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე საჭირო იყო მათი საფუძლიანი შესწავლა (Смирнов 1954: 28-54). XVIII საუკუნის ბოლოდან რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო კონკრეტული ინეტერესების განსახორციელებლად, კერძოდ, ამ პოლიტიკის მიზანი იყო საკუთარ ტერიტორიაზე მუსლიმთა კეთილგანწყობის მოპოვება, სახელმწიფო ინტერესების გავრცელება აღმოსავლეთში. ამ მიზნით შემუშავებული ორგანიზაციული სტრუქტურა შემდგომშიც აქტიურად გამოიყენებოდა, მათ შორის, ამიერკავკასიის სამუსლიმანო გაერთიანების შექმნისას (აქ და ქვემოთ - В память... 1892). ამირკავკასიის სამუსლიმანო გაერთიანების დებულების მიხედვით სუნიტი სასულიერო (უმაღლესი და ადგილობრივი) პირები ახორციელებდნენ, როგორც სასულიერო საქმიანობას, ასევე ადმინისტრაციული წესით ასრულებდნენ მთავრობის კანონებსა და განკარგულებებს. ამაზე კონტროლს, სასწავლო დაწესებულებებთან ერთად, ახორციელებდნენ გუბერნატორები და ადგილობრივი ხელმძღვანელები. უმაღლეს კონტროლს ახორციელებდა კავკასიის მთავარმართებელი.

სუნიტური სასულიერო სამმართველო მდებარეობდა თბილისში. სტრუქტურულად მუფთსა და სასულიერო სამმართველოს ექვემდებარებოდნენ ყადები და საგუბერნიო სამმართველოები, რომლებიც თავის

მხრივ აკონტროლებდნენ ადგილობრივ სასამართლოებს, სამმართველოებს, სამლოცველოებსა და სასწავლებლებს. ამასთან, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე შემუშავებული იყო საქმის-წარმოების წესები (მორწმუნების აღრიცხვა, ქორწინებისა და გარდაცვალების აქტები, საგანმანათლებლო საკითხები და ა.შ.). ამ მხრივ საყურადღებო დემოგრაფიული ცნობებია დაცული ო. სახოჭიას ნაშრომში. ის შეეხება დაბადებას, ქორწინებას და გარდაცვალებას. 1894 წლისათვის ზემო აჭარაში დაიბადა 299, დაქორწინდა 36, ხოლო გარდაიცვალა 144, ქვემო აჭარაში 1895 წლისათვის დაიბადა 266, ჯვარი დაიწერა 28 კაცმა, გარდაიცვალა 111. ეს ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ამ პერიოდში აღრიცხვები დებულების შესაბამისად ხდებოდა (მანამდე ასეთი სტატისტიკა ფაქტიურად უცნობი იყო) (სახოჭია 1950: 161-163). დებულებით განსაზღვრული სტრუქტურა კურირებდა რელიგიური რიტუალებისა და წესების შესრულებას, ნებადართული რელიგიური სწავლების გავრცელებას, სახელმწიფო დადგენილებებისა და განცარგულებების განხორციელებას, რასაც იმპერატორი იმპერიის წინაშე დადებული ფიციო ადასტურებდა. დებულება მოიცავდა სამეურნეო და ფინანსურ მხარეებსაც, რითაც განსაზღვრული იყო ყველა თანამდევი ხარჯის დაფარვა. დებულება სასულიერო პირის თანამდებობის დასაკავებლად ითვალისწინებდა სპეციალური პირობების არსებობასაც (განათლება, მოქალაქეობა და ა.შ.). იმავდროულად მოსამსახურები თჯახის წევრებთან ერთად თავისუფლებოდნენ გადასახადებისაგან, ვალდებულებებისაგან, სასჯელის ცალკეული ფორმებისაგან, ფინანსდებოდა მივლინებები. 20 წლის ნამსახურების ან ფიზიკური დაზიანების მიღების შემთხვევაში პირი თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან, ცალკეული ვალდებულებისაგან და სასჯელის სხვადასხვა ფორმიდან. უმაღლესი რანგის სასულიერო პირების შვილებს ენიჭებოდათ აზნაურის ან საპატიო მოქალაქის უფლებები (Положение... 1872). მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობის პოლიტიკის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა წესდება მაჰმადიანური მეჩეთების მშენებლობის შესახებ. იგი ითვალისწინებდა სამლოცველოს გახსნას ყველა დასახლებულ პუნქტში, სადაც 200 მუსლიმი ცხოვრობდა (Саидбаев 1984: 121-122). ამ გარემოებითაც უნდა აისხნას აჭარაში სამლოცველოების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა 1878 წლიდან.

ამასთან ერთად ისიც აღსანიშნავია, რომ სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვნად ზღუდავდა მუსლიმთა თავისუფლებას, რაც ვაჟუფების რაოდენობის შემცირებაში გამოიხატა. ეს შეეხო, როგორც აზიზიეს საგაყეფო მიწებს, ისე სხვებსაც. ამ პერიოდში აზიზიეს მეჩეთის მიწები (268 ნაკვეთი, ანუ 9 დესეტინა და 2034 საქენი) გადაეცა კერძო პირებს მეჩეთისათვის გარკვეული გადასახადის გადახდის პირობით (აცხა, ფ. ი-81, ან.1 ს.1. ფ. 73-87).

რესეთის ხელისუფლება მიწის შესყიდვის ან ჩამორთმევის მიზნით

შეეცადა გაერკვია სავაუფეო მიწის კუთვნილება მეჩეთის მიმართ. მმართველობის საერთო პრინციპების შესაბამისად ხელისუფლება ვაყუფებს, როგორც მიწათსარგებლობის კატეგორიას, განსხვავებულად უყურებდა. ამ მხრივ საყურადღებოა მიწათმოწყობასთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი. პირველი შეეხებოდა 1888 წლის ქალაქ ბათუმსა და ქუთაისის გუბერნიაში ართვინისა და ბათუმის ოკრუგებში მიწის-მფლობელობის საკითხს (სცსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1297, ფ. 2-8) განსაზღვრა ბათუმის, ერგეს და ხულოს მეჩეთების ვაყუფების საკითხს. ამ პროექტით ბათუმის აზიზიეს მეჩეთის ვაყუფები უნდა გადასულიყო ქალაქ ბათუმის ხაზინის სარგებლობაში, ხოლო მეჩეთისა და სასულიერო პირების ხარჯი ქალაქის შემოსავლებიდან ანაზღაურდებოდა. ერგეს და ხულოს მეჩეთების ვაყუფებიც ხაზინაზე უნდა გადაცემულიყო, რომელთა შემოსავლებიდან ხაზინას ოსმალეთის პერიოდში არსებული შემოსავლის ოდენობის თანხა უნდა გადაეხადა მეჩეთებისათვის. დანარჩენი მეჩეთების ვაყუფები კი რჩებოდა ძველ მდგომარეობაში, ხოლო ლალა-ფაშას მეჩეთის ვაყუფები, როგორც სხვა სახელმწიფოში არსებული მეჩეთის – უქმდებოდა ხაზინის სასარგებლოდ. მეორე დოკუმენტია 1889 წლის დებულება, რომელიც ყარსის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის, ართვინისა და ბათუმის ოკრუგების საზოგადოებრივ მმართველობასა და მიწათმოწყობის საკითხებს არეგულირებდა (სცსა, ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფ. 1-11), მეჩეთებისა და სასწავლებლების განკარგულებაში რჩებოდა ვაყუფების ის ნაწილი, რომელშიც შენობები იყო აგებული. ხოლო დანარჩენი ვაყუფი მათ უნდა გამოეხყიდათ.

აღნიშნული დოკუმენტების გარდა, მეჩეთებისა და სავაუფი კაპიტალის მმართველობა დგინდებოდა ამიერკავკასიის სუნიტური სასულიერო სამმართველოს დებულების საფუძველზეც. ეს საკითხი ბათუმში საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში იყო განხილვის საგანი, ცალკეული შემთხვევებში კი მას დუმაც განიხილავდა. კერძოდ, 1900 წლის 11-14 თებერვლის სხოდმაზე აღინიშნა, რომ აზიზიეს უბანში სავაუფო მიწების განკარგვისა და დატვირთვის უფლებას არ გასცემდნენ. თუმცა გადაწყვეტილება ვერ მიიღეს (აცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 338, ფ. 8-9). ეს საკითხი იმდენად საყურადღებო იყო თვით თურქეთისათვისაც, რომ მისი გარკვევა და მოწესრგება პეტერბურგში თურქეთის ელჩმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილით მოითხოვა (აცსა, ფ. 0-6, ან. 1, ს. 238, ფ. 38). ამ მიზნით, ბათუმის ადგილობრივმა ორგანოებმა საჭიროდ ჩათვალეს საკითხის სრული შესწავლა რაც აისახა შესაბამის დოკუმენტში სავაუფო მიწების შესახებ (აცსა, ფ. 0-6, ან. 1, ს. 238, ფ. 38). ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა 1879 წლის დადგენილებით საჭიროდ მიიჩნია ვაყუფების ქალაქის ქონებად გამოცხადება თუმცა, ეს საკითხიც ვერ გადაწყდა. მოგვიანებით, როგორც აღვნიშნეთ, მათგან პოლიციამ მცირე ნაკვეთები გამოუყო ცალკეულ პირებს. ქონება დაიბეგრა ქალაქის სასარგებლოდ.

პოლიცია მეჩეთს 1888 წლამდე უხდიდა 612 მანეთს, როცა ეს საკითხი ბათუმის საქალაქო საზოგადოებრივ მმართველობას გადაეცა, 1891 წელს მან შემოსავალ-გასავლის სხვაობის გამო თვითნებურად შეწყვიტა გადახდა. ფინანსური და ტექნიკური საკითხების გარკვევის შემდეგ, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თაოსნობით შექმნილმა კომისიამ 1912 წელს დაადგინა აზიზიეს მეჩეთის გაუქმება და მისი ქონების გადაცემა სახელმწიფოსათვის და ყველა პრობლემის შესაბამისად დარეგულირდება (ბარამიძე 2004: 40-43).

მეჩეთს ჩამოერთვა ასევე ბათუმის მედრესე და მასთან დაკავშირებული მიწები, რომელზეც შემდეგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით ბათუმის პირველი ქართული სკოლა აშენდა (ნიორაძე 1958: 83-90). ამასთან დაკავშირებით საინეტერნებო ისტავლებოდა თუ არა სკოლაში ისლამი. გ. ნიორაძე მიუთითებდა, რომ რადგანაც სკოლაში ადგილობრივი მუსლიმები სწავლობდნენ, სკოლაში უნდა დაქმატებინათ მუსლიმანური სარწმუნოების შესწავლაც, რომლის მასწავლებლად ადგილობრივი მოლა ანუ მასწავლებელი უნდა ყოფილიყო მიწვეული. სკოლაში ასევე ისტავლებოდა „თათრული“ ენა და მაჰმადის რჯული“ (ნიორაძე 1958: 13, 42-43). ამ პერიოდში საგანმანათლებლო სისტემამ მთელი რიგი ცვლილებები განიცადა, თუმცა სასწავლებლის რაოდენობით ძირითადად მუსლიმური სკოლები ჭარბობდნენ. ნ. დერჯავინის ცნობით 1906 წლისათვის 119 მეჩეთთან არსებობდა სასწავლებლი, სადაც 4000 ბავშვი სწავლობდა. სოფლად მათ გარდა მოქმედებდა 6 საერო სასწავლებელი, სადაც 273 პირი სწავლობდა. ამას გარდა ბათუმის ოლქში სულ მოქმედებდა 28 სასწავლებელი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აგებული იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ (Батумъ... 1906: 17). ამიერკავკასიაში ისლამური საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზაციის მიზნით რუსეთის იმპერიამ თბილისში სუნიტებისათვის და შიიტებისათვის სპეციალური მოსამსახურებელი სასულიერო სასწავლებელიც გაიხსნა (ანდრიაშვილი 1984: 41; ბაინდურაშვილი 2008: 50).

იმპერიული ხელისუფლება საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს მის ინტერესებში შედიოდა, ადმინისტრაციული ხასიათის სასჯელით ითხოვდა მუსლიმურ წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესრულებას (Саидбаев 1984: 121-122). მეჩეთების მშენებლობის შესახებ წესდების მიღებით იმპერიული ხელისუფლება ერთის მხრივ ხელს უწყობდა მუსლიმური თემების საქმიანობას, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო ზრდიდა გავლენას მათზე. გ. სანიკიძის ცნობით აჭარაში ამ დროს 400-მდე მეჩეთი აიგო (სანიკიძე 1999: 15). ამ პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა ყაზანში არსებული სპეციალური მუსლიმური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა შესაბამისი ლიტერატურა; ამ კონტექსტში წარიმართა შესაბამისი საქმიანობაც, მათ შორის სამეცნიერო, რომლის მიზანი იყო როგორც ძირითადი ინფორმაციული ბაზის შექმნა, ისე ყურანის თარგმნა და გამოცემა, ასევე სხვა სასულიერო წიგნების

გამოცემა (სუნის ცალკეული ვარიანტები, შარიათის სხვადასხვა გამოცემა და ა.შ.) (Климонович 1962: 94-95). რუსეთის იმპერიაში, რ. ანდრიაშვილის ცნობებზე დაყრდნობით, რელიგიური პოლიტიკა განხორციელდა სასულიერო სამმართველოს შექმნით, სასულიერო პირების ადგილზე მომზადების ორგანიზაციით და მუსლიმურ ქვეყნებში სასულიერო წოდების მისაღებად წასვლის ადაკვეთით (ანდრიაშვილი 1984: 40).

ამ ცვლილებების ფონზე 1887 წლისათვის ვ. ლისოვსკი მხარის პოლიტიკურ სიტუაციას შემდეგნაირად აღწერდა: „მხარის მართვისათვის ჩვენს მიერ შერჩეული პოლიტიკური სისტემა გამოირჩევა სირბილით: ისლამი, რომელზეც ჩვენი თავდასხმის ასე ეშინოდათ ადგილობრივებს, ხელუხლებელი დარჩა; მოსახლეობის განიარაღებაში განსაკუთრებული გადახრები არ შეინიშნება. პირიქით ამას მოსახლეობა ნდობით ეკიდება. ბათუმის ოკრუგის ცალკეული ნაწილის ხელმძღვანელებად ადგილობრივები არიან არჩეული; საერთო სამხედრო სამსახური, რომელიც ვლისოვსკის სიტყვებით რელიგიურ პრობლემებზე მეტად აშინებდათ, მათ ჯერ კიდევ არ შეხებიათ; ადგილობრივებს მიეცათ განსაკუთრებული სახალხო სასამართლო, რომელშიც ისინი სამართალწარმოებას საკუთარი კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად აწარმოებდნენ თანატომელებთან და ერთმორწმუნებთან ერთად. გადასახადებზე შემოღებულია შეზღუდვები, რომელიც არაა მძიმე“ (Лисовский 1887: 70). მაგრამ, ამავდროულად რუსეთის იმპერიის მიმართ, გარდა იმისა, რომ ვლინდებოდა მისი „მზრუნველობა“ რელიგიისადმი, ადგილი ჰქონდა ანტირუსული შეხედულებების განვითარებას, მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი განაპირობებდა. იმპერიული ხელისუფლების მმართველობამ გამოიწვია ტრადიციული ყოფისა და საგაჭრო-ეკონომიკური პრინციპების რღვევა და ცვლა. ახალი ადმინისტრაცია აშკარა ანტიქართული განტეობით ხასიათდებოდა, რომლის მიზანიც ადგილობრივი მოსახლეობის სხვა ეთნიკური ჯგუფებით ჩანაცვლება იყო. ამ პროცესს თან ხდევდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ შეზღუდვები. 1878 წელს აჭარაში ჩამოყალიბდა „შურისმაძიებელთა“ სახელით ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელსაც თურქები და ინგლისელები აფინანსებდნენ. მათი მიზანი რუსული ხელისუფლების დისკრედიტაცია, დაშინება და განადგურება იყო (მეგრელიძე 1964: 16-17). ამას დაერთო 1885 წელს რუსული ეკლესიის აგება ბათუმში. 1889 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიასთან დაარსდა „სამისიონერო განყოფილება“, რომელსაც სათავეში „განსაკუთრებული კომიტეტი“ ჩაუქენეს. განყოფილების მიზანი ქრისტიანობის პროპაგანდა იყო. კომიტეტმა გაატარა რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის ხულოში ეკლესიის აგებაზეც იზრუნა, თუმცა მისი საქმიანობა წარუმატებელი დარჩა (Оნიშო... 1910: 37-42, 145-148).

გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობის შედეგად, აჭარაში გააქტიურდა რელიგიური ნიშნით მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაცია (ოსმალოფილური, პანისლამური და სხვა). შექმნილ სიტუა-

ციაში პროქართული ძალების ინიციატივით 1917 წლის თებერვალში ბათუმის მეჩეთში მოქადაგი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა კრება და დაფუძნდა „ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი”. კომიტეტმა მიზნად დაისახა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და ერთიანობის იდეის განმტკიცება (მესხია 1997: 8-9). იმავე წლის აგვისტოში კომიტეტმა მოიწვია ბათუმის ოლქის ყრილობა. ყრილობის სხდომები მიმდინარეობდა აზიზიეს მეჩეთში. ბათუმის მოწინავე საზოგადოება ამ ღონისძიებას დიდი ინტერესით შეხვდა. ბევრმა მოისურვა სხდომებზე დასწრება. ამიტომ შემდგომში სხდომები გადატანილი იქნა ბათუმის თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში (მესხია 1997: 10). როგორც ვხედავთ, მეჩეთს ამ პერიოდში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია ეკისრებოდა. 1917 წლის შემოდგომაზე თრგანიზაციამ შექმნა „ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება”, რომლის მიზანი ეთნო-რელიგიური ხასიათის სირთულეების მოგვარება იყო. საზოგადოებაში შედიოდნენ სასულიერო პირებიც. მოგვიანებით, როცა ეს ოლქი ოსმალეთმა დაიკავა (ოლქის ქვეშეგრდომობის საკითხი 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტვოვსკის ხელშეკრულების IV მუხლის მიხედვით რევერენდუმით უნდა გადაწყვეტილიყო) კომიტეტმა დაიწყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც დაპატიმრებები მოჰყვა. კომიტეტი იძულებით გადადის თბილისში, სადაც 1918 წლის 15 მაისს შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი” (მესხია 1997: 18). გაზეთ “სამუსლიმანო საქართველოს” (დაარსდა 1919 წლის 11 იანვარს) მეშვეობით კომიტეტმა დიდი როლი შეასრულა აჭარაში ეროვნულობისა და რელიგიურობის ცნებების გამიჯნვაში, პატრიოტული სულისკვეთების გადვივებასა და ეროვნული ინტერესების დაცვაში.

1918 წლის მუდროსის ზავით ოსმალეთმა დატოვა სამხრეთ-დასავლეთ კავკასია, თუმცა იმავე წლის 22 დეკემბრიდან ბათუმი ინგლისის ჯარებმა დაიკავეს (მესხია 1997: 40-48). 1918 წლიდან ბათუმის ოლქში მანამდე მოქმედი „ისლამის კომიტეტის“ ბაზაზე შეიქმნა პროთურქული ორიენტაციის პარტია „სედაი მილეთი“ (ხალხის ხმა), რომელიც აერთიანებდა საშუალო ფენას, მათ შორის სასულიერო პირებსაც. მისი მიზანი რელიგიის საფუძველზე ანტიქართული ძალების გაძლიერება და შესაბამისი პროცესების განვითარება იყო. ამ მიზნით ის პოლიტიკურ-ტერორისტულ ღონისძიებებსაც მიმართავდა. პარტია განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა მთის სოფლებში. მისი ბეჭდვითი ორგანო იყო „სედაი მილეთი“ (მესხია 1997: 90).

ამრიგად, რუსეთის მმართველობის პერიოდში აჭარის ისლამურ რელიგიურ ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებებით აისახა. იმპერიული ხელისუფლება ერთის მხრივ მნიშვნელოვანწილად ზრუნავდა მუსლიმებზე, რისი ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა, მორწმუნეთა და მათ ხელმძღვანელთა კეთილგანწყობის მოპოვება იყო, მეორეს მხრივ, ხელისუფლებას ამ საკმაოდ მრავალრიცხოვან და გავლენიან მუსლიმური ორგანიზაციაზე გავლენა და კონტროლი სურდა. ეს კიდევაც გან-

ხორციელდა სასულიერო სამმართველოს შექმნით, სასულიერო პირების ადგილზე მომზადების ორგანიზაციით და მუსლიმურ ქვეყნებში სასულიერო წოდების მისაღებად წასვლის აღკვეთით. რუსეთის მმართველობას ხეგატიური პროცესებიც მოყვა. კერძოდ, ამ პერიოდს უკავშირდება მუჰაჯირობის მეტად მძიმე და მტკიცნეული პროცესი. მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად მოსახლეობისადმი უყურადღებო დამკიდებულება და ამის კვალობაზე რელიგიური შეხედულებების შეურაცხოფის საფრთხე იყო, რასაც, თავის მხრივ, აქტიური ანტირუსულ აგიტაციაც უწყობდა ხელს. რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ისტორიული პროვინციის – აჭარის შესვლას მოჰყვა ოპოზიციურად განწყობილი ძალების გამოსვლები და ცალკეული მებრძოლი ჯგუფების წარმოქმნა.

### Ruslan Baramidze

#### **Islam in Adjara (1878-1921)**

##### **Summary**

In 1878, Adjara became reintegrated into Georgia, that, in turn, is under the Russian Empire. That very year marks one of the important moments in the history of Islam in this region. During this period it was in the interests of the Tsar of Russia to show tolerance towards Muslims in order to maintain relations with believers and religious figures. Officially, the goal was to ‘care’ for Muslims, although it was clear that the good relations were needed to take firm control over the religious aspects, thus reducing the influence of the clerics. In 1872, a regulation was established governing the Sunni and Shia affairs for this very purpose to gain control over the issues. The number of Muslims receiving religious education abroad was limited in order to inhibit the development of the educated religious elite locally. This regulation covered issues such as weddings, funerals and other religious activities and ceremonies. As for the construction and rehabilitation of mosques, the rules allowed the construction of numerous religious buildings. However, the regulations limited the activity of the mosques, particularly when it came to finances. The tax system of the Ottomans was left untouched while the court management again functioned based on the Sharia laws. The reintegration of Ajara into Georgia was accompanied by major immigration of its population. Muhajirs left Ajara with varying intensities up until the end of the XIX century and this process could be exemplified by religious factors as well. One of the reasons the Muhajirs felt insecure in Ajara was the attacks on their religious beliefs.

## **Руслан Барамидзе**

### **Ислам в Аджарии в 1878-1921 годы**

#### **Резюме**

С 1878 года Аджария в составе Российской империи возвращается в состав Грузии. С этого периода в истории распространения ислама в Аджарии начинается важный период -период Российской империи, в интересы которой были хорошие взаимоотношения и сотрудничество с мусульманами, благорасположение к государству и императору верующих и духовных лидеров. Данная забота при этом подразумевала контроль и подчинение государству многочисленного и влиятельного духовенства. С этой целью в 1872 году особым положением было основано духовное управление для закавказских мусульман - шиитов и суннитов. Положение приводило в единую систему деятельность мусульман во благо империи, для чего ограничивалось получение духовного образования заграницей и поддерживало обучение духовенства на месте. Положение также подразумевало внедрение контролируемой системы управления, с фиксацией рождения, брака и похорон верующих. На основе другого документа - устава о строительстве мусульманских мечетей, в регионе было построено, или отремонтировано большое количество культовых и образовательных зданий. Хотя параллельно было ограничено независимая хозяйствственно-финансовая деятельность мечетей и медресе, что привело к упразднению большинства вакфов, хотя власти в Аджарии оставили без изменения налоговую систему существующую при Османской империи. Делопроизводство в судах низшего уровня также мало изменилось и осталось на основе шариата. Параллельно с этим, возвращение Аджарии в состав Грузии, по разным причинам, привело к активному переселению населения - Мухаджирству. Мухаджирство с разной интенсивностью продолжилось до конца XIX века. Этот процесс частично был связан и с религиозным фактором. Исследователи одним из причин мухаджирства считают опасения населения в оскорблении их религиозных чувств и взглядов. Также по разным причинам в этот период в Аджарии имелись случаи выступления недовольных или оппозиционных сил.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ანდრიაშვილი რ., იხლამის დოგმატიკა და სოცილური მოძღვრება, თბილისი, 1984;
2. ბაინდურაშვილი ქ., იხლამი და მუხლიმები XIX საუკუნის თბილისში (სტაგნაციის პერიოდი), – ნოდარ შენგავლია, 75, თბილისი, 2008;
3. ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999;
4. ბარამიძე ი., ბათუმის აზიზიეს მეჩეთის სავაჭუფო მიწების საკითხებისათვის, – საისტორიო მაცნე (შრომების კრებული), XIII, ბათუმი, 2004;

5. მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუპაჯირობა 1878-1882 წწ.), თბილისი, 1964;
6. მესხე ს., წერილები აჭარაზე, შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ოსურმანიძემ, ბათუმი, 2000;
7. მესხია გ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1997;
8. ნიორაძე გ., პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბილისი, 1958;
9. სანიკიძე გ., ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 1999;
10. სახოცია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაფანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950;
11. სიორიძე გ., ცარიზმის დემოგრაფიული პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1879-1917, – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათუმი, 2002;
12. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1878-1907 წლებში), ბათუმი, 1958;
13. სურგულაძე აბ., სიორიძე გ., პირტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996;
14. Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906;
15. Климович Л., Ислам ( очерки), Москва, 1962;
16. Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очеркъ), Тифлисъ, 1887
17. Обзоръ дѣятельности общества возстановленія православнаго христіанства на Кавказе за 1860-1910 гг. Тифлисъ, 1910;
18. Отчет консула Палыгрева за лето 1872 г., ИКОИРГО, т. VII, Тифлисъ, 1882;
19. Положение объ управлениі Закавказскаго мусульманскаго духовенства Суннитскоаго ученія, от 5-го апрелья 1872 года;
20. Сайдбаев Т., Ислам и общество (Опыт историко-социологического исследования), Москва, 1984;
21. Смирнов Н., Очерк истории изучения ислама в СССР, Москва, 1954;
22. ჯაბიაშვილი ლ., სამცხე-ჯავახეთის ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნოლოგიური ასპექტები XIX საუკუნეებში, <http://srjc.iatp.ge/lavrenti>;
23. В память столетия Оренбургского Магометанского Духовного Собрания, учрежденного в г.Уфе, СПб., 1892 - <http://www.bashedu.ru>;
24. აცხა, ფ. ი-6, ან.1, ბ.238, ფ.38;
25. აცხა, ფ. ი-7, ან.1, ბ. 338. ფ 8-9;
26. აცხა, ფ. ი-81, ან.1 ბ.1. ფ. 73-87;
27. სხვა, ფ. 12, ან. 10, ბ. 2026, ფ. 1-11;
28. სხვა, ფ. 229, ან. 1, ბ. 1297, ფ. 2-8.

## მალხაზ სიორიძე

### ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს სუვერენიტეტის საპითხი ეპოქის სამრთაშორისო ორგანიზაციები **XX ს. დასაწყისი**

სსრ კავშირის დაშლის წინა პერიოდიდან დაწყებული, უკანასკნელ თვეულებულში, საზოგადოებაში გაძლიერდა ინტერესი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიისადმი. ამ პრობლემის გამოწვლილვით შესწავლისათვის ფრიად მნიშვნელოვანია XX ს. დასაწყისის და პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდის როგორც საქართველოში მიმდინარე, ისე ემიგრაციაში გაშლილი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის გამოკვლევა. ჩვენც სწორედ ამ უკანასკნელ პრობლემას შევეხებით და შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ ცდილობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია აქტიურად დაესვა საქართველოს სუვერენიტეტის ადგენის საკითხი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე იმ დროს მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, კონგრესებისა და კონფერენციების მეშვეობით.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომელთა მოღვაწეობის ასპარეზი სცილდებოდა ლიბერალურ მეთოდებს და უპირატესობას რევოლუციურ ბრძოლას ანიჭებდნენ, დევნის გამო სამშობლო დატოვეს და ემიგრაციაში წავიდნენ, ძირითადად ევროპის ქვეყნებში. ემიგრანტთა კონცენტრაცია განსაკუთრებით უწევაში იგრძნობოდა.\* ქართული ემიგრაცია პოლიტიკურად არაერთგვაროვანი იყო: თავდაპირველად ანარქისტები სჭარბობდნენ, შემდეგ, სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) და ბოლოს – ეროვნული მიმართულების სოციალისტ-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ამ ჭრელი სპექტრიდან პირველი მსოფლიო ომის წინ გამოიკვეთა ეროვნულ-მოღვაწეთა პლეადა „დამოუკიდებლობის ჯგუფის“ სახელწოდებით, რომელმაც ამოცანად დაისახა საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. სხვათა შორის, მისი ძირითადი ბირთვი ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოყალიბდა XX საუკუნის დამდეგს. მასში ერთიანდებოდნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფიანი,

ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, მიხეილ ჯავახიშვილი, პეტრე სურგულაძე, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვები. მათი ორგანო იყო „ერი“, რომელიც ცენტურისაგან დევნის გამო სხვადასხვა სახელით გამოდიოდა და გაბედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელის ცნობით, ქართველი ნაციონალისტები დიდ დევნის განიცდიდნენ. ამიტომ, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი პეტრე სურგულაძე 1910 წელს გადასახლდა ჟენევაში, სადაც მშებ გიორგი და ლეო კერესელიძებთან, მათ ნათესავ ნებტორ მადალაშვილთან ერთად განაახლა „დამოუკიდებლობის ჯგუფის“ საქმიანობა.

ჟენევის ჯგუფს დაუკავშირდა მიხეილ წერეთელი, რომელიც 1911-1914 წლებში ქ. პაიდელბერგში მოდვაწეობდა. ბერლინიდან კავშირი დაამყარა გიორგი მაჩაბელმა, რომელიც მსოფლიო ომის წინ ბელგიაში გადასახლდა და იქედან თანამშრომლობდა ჟენევის ჯგუფთან (კ.სალია, 1962:16-17). ლონდონიდან ჯგუფს დაუკავშირდა ვარლამ ჩერქეზიშვილი. სწორედ ეს ჯგუფი პეტრე სურგულაძის თავმჯდომარეობით შემდეგ გახდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დამფუძნებელი ბირთვი.

ჟენევის „დამოუკიდებლობის ჯგუფი“ გახდა ქართული ემიგრანტული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ევროპული ცენტრი. 1913 წელს ჯგუფის წევრებმა საკუთარი სახსრებით ჟენევაში დააარსეს „პატარა ქართული სტამბა“ და დაიწყეს უურნალ „თავისუფალი საქართველოს“ გამოცემა. მისი პირველი ნომერი ქართველებს მოუწოდებდა გაერთიანებისა და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. შურნ. „თავისუფალი საქართველოს“ შემდეგ ნომერში დაიწყო სახელმწიფოს არსის შესახებ თეორიული საკითხების წარმოჩენა. იგი დაუპირისპირდა ამ საკითხზე მარქსისტულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო არის პრივილეგირებული კლასების იარაღი ხალხზე ბატონობის შესანარჩუნებლად. შურნალის თვალსაზრისით კი სახელმწიფო იყო ერის არსებობის და განვითარების ქვაკუთხედი (ალ. ბენდიანიშვილი, 1980:199-201).

„თავისუფალი საქართველოს“ ჯგუფის მოწოდებებმა სათანადო გავლენა მოახდინა ინტელიგენციაზე, თვით სოციალისტ-ფედერალისტებზეც. მოქმედების პროგრამის შესამუშავებლად რუსეთის უნივერსიტეტების ქართველმა სტუდენტებმა კონფერენციის მოწვევაც კი გადაწყვიტეს, მაგრამ ეს გამჭდავნდა და ორგანიზაციურები დააპარიმრეს. ამის შემდეგ რუსეთში მოდვაწე ფედერალისტები შემოიფარგლენენ ლეგალური მუშაობით და თავიანთი იდეების მოზომილი პროპაგანდა განაგრძეს საქართველოში გამომავალი გაზეთებით („ერი“, „იმერეთი“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „ზაკავკაზისკაია რებ“, „ზაკავკაზიე“). ისინი ამხელდნენ და გმობდნენ მიწის უცხოელებზე გაყიდვის ფაქტებს, ილაშქრებდნენ კოლონიზაციის წინააღმდეგ, ასაბუთებდნენ დედაქანაზე სწავლების აუცილებლობას, მოითხოვდნენ ეკლე

სიის ავტოკეფალიის აღდგენას და ა.შ. ყოველივე ამით გარკვეულ-წილად ხელი შეუწყვეს ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების შემდგომ ამაღლებას (იქვე:202).

შენევაში პეტრე სურგულაძის ჩასვლამდე, ადრინდელ ქართველ ემიგრანტებს უკვე ჩატარებული ჰქონდათ მნიშვნელოვანი ეროვნული სამუშაოები. მათ შორის ადსანიშნავია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უძველესი წარმომადგენელი, რუსული და მსოფლიო ანარქიზმის ოვალსაჩინო მოღვაწე და თეორიტიკოსი ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925). მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტულ-კოსმოპოლიტიკური მოძღვრება არ აღიარებდა „სამშობლოს“ ცნებას, ვ. ჩერქეზიშვილი ბოლომდე „დარჩა შეურყეველი ეროვნული სულის მოღვაწედ, ქართული საქმის მოჭირნახულედ და მონაწილედ“ (დ. შველიძე).

ვ. ჩერქეზიშვილმა 1876 წელს რუსულ-ემიგრანტულ და ევროპულ პრესაში განგაში ატეხა აჯანყებული სვანეთის დასაცავად. XIX საუკუნის დამლევს საქართველოშიც ჩამოვიდა ფარულად და მალე ევროპას მოეფინა მისი „წერილი საქართველოს შესახებ“. მასში დასაბუთებული იყო ქართველი ხალხის სამართლებრივი უფლება ებრძოლა ავტონომიისათვის, რაც მას ეპუთვნოდა რუსეთის მიერ დარღვეული გეორგიევსკის ტრაქტატით.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა განს. „ივერიის“ მეშვეობით 1894 წელს პირველად გააცნო ჩვენს საზოგადოებას ქართულ ენას დაწაფებული და მისი მწერლობის თარგმნას შეჭიდებული ინგლისელი ქალიშვილი მარჯორი უორდორპი, რამაც უდავოდ მოახდინა სათანადო ზემოქმედება ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის შემდგომ გამოღვიძებაზე.

1905 წლის რევოლუციის დაწყებისთანავე ვ. ჩერქეზიშვილმა სამშობლოს მოაშურა და მხურვალედ იცავდა ავტონომიის იდეას მიტინგებსა და ხალხმრავალ კრებებზე, ლექციების დროს. „უცნაური იყო, - წერს გ. ლასხიშვილი, - რომ ეს უკიდურესი სოციალისტი საქართველოს დამოუკიდებლობის ან ავტონომიის საკითხს „იცავდა არა საერთო სამართლიანობის“ მიხედვით, არა სოციალისტური თვალსაზრისით, არამედ ქართველი ერის ისტორიული უფლებით. ყოველთვის კამათში წინ აყენებდა ჩვენი მეფეების ტრაქტატებს რუსეთის თვითმპყრობელებთან“ (გ. ლასხიშვილი, 1934:243).

1905-1906 წლების ზამთარში მეფის ჯარებმა რევოლუციური საქმიანობისათვის ააოხრა გურია-იმერეთი. ვ. ჩერქეზიშვილმა ფეხზე დააჭენა ევროპის მოწინავე საზოგადოება. ლონდონში ქართველთა დამხმარე საზოგადოებაც კი შედგა, რომლის წარმომადგენელი ქნი დრაიპორსტი 1906 წლის ნოემბერში თბილისშიც ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა პირველი ათასი მანეთი დარბულთა დასახმარებლად. საქართველოში ჩამოსულან ინგლისელი და ამერიკელი კორესპონდენტები (გ. შარაძე, 1993:115).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ჩერქეზიშვილის თანამშრომლობა პააგის საერთაშორისო კონფერენციის მუდმივმოქმედ ტრიბუ-

ნალთან. 1907 წელს, ვ. ჩერქეზიშვილის მეშვეობით პააგის მე-2 საერთაშორისო კონფერენციას\*\* წარუდგინეს თბილისში შედგენილი „საჭართველოს ხალხის მემორანდუმი“, რომელშიც დასაბუთებული იყო მისი ავტონომიური თვითმმართველობის მოთხოვნის სამართლიანობა.

ქართველთა მემორანდუმის ფრანგულ-ინგლისური თარგმანი კონფერენციის გახსნის დღეს დაურიგდა მის ორასამდე დელეგატს. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ვ. ჩერქეზიშვილის მეგობარს, პააგის სამშვიდობო კონფერენციის მუდმივმოქმედი ტრიბუნალის წევრს, ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორს ერნესტ ნისს. ქართველთა პეტიცია კონფერენციის ოქმშიც შეიტანეს, რამაც უხერხელობები შეუქმნა რუსთის დელეგაციას. თუმცა რამდენადაც სხდომათა დღის წესრიგი ადრე იყო შემუშავებული, მონაწილე სახელმწიფოთა შორის წინასწარი შეთანხმებით, ამდენად იქ ქართველთა „მემორანდუმზე“ არ უმსჯელიათ და არც რაიმე რეზოლუცია გამოუტანიათ.

ამის მიუხედავად, მემორანდუმის მოხვედრას პააგის კონფერენციაზე ჰქონდა სამომავლო მნიშვნელობა. იგი იყო გამომხატველი, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიცოცხლისუნარიანობისა და, მეორე მხრივ, მისი ეროვნული უფლების აღიარებისა. მემორანდუმი დაიბეჭდა ევროპისა და ამერიკის გაზეთებში, რითაც „ქართულ საკითხეს“ ფაქტობრივად მიეცა საერთაშორისო უდერადობა. ამის შემდეგ 1910 და 1913 წლებში ჩატარებულ დამონებულ ერთა კონგრესზე უპრობლემოდ დაუშვეს ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები. მათი მოხსენებები და სიტყვები დაიბეჭდა კიდეც ამ კონგრესთა ანგარიშებში (გ. შარამე, წ. 3, 1993:115-116).

ვ. ჩერქეზიშვილი ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაში ყოველგარი საშუალებების მომხრე იყო. მას, როგორც ბუნებით ანარქისტს, აარლამენტიც კი ბურუჟაზიული ეპოქის „კველაზე უსინდისო დაწესებულებად და დიდ სავაჭრო ბირჟად“ მიაჩნდა, „სადაც ხალხს პყიდიან, სადაც თვალთმაქცობენ და ქვეყანას ატყუებენ“. ამის მიუხედავად, რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგაც კი მოუწოდებდა სოციალისტ-ფედერალისტებს – უარი ეთქვათ არჩევნებისათვის ბოიკოტის ტაქტიკაზე და სათათბიროს ტრიბუნა გამოეყენებინათ საქართველოს ავტონომიის უფლების დეკლარაციი პროპაგანდისათვის (გ. ლასხიშვილი, 1934 : 253-254).

1913 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა გორის ჩრდილოეთ მხარეს, ტირიფონას ნაყოფიერ დაბლობებზე სამხედრო პოლიგონის მოწყობა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა 40 ათასი ქართველი მიწათმოქმედის აყრა. ამის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ჟურნ. „კლდემ“, ხოლო საზღვარგარეთ ემიგრანტებმა და გამორჩევით ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი ინგლისელი მეგობრების მეშვეობით, სათანადო „პეტიცია“ გაიტანა დიდი ბრიტანეთის სამშვიდობო საზოგადოების ლიგერპულის კონგრესზე, სადაც ერთხმად მიიღეს საწინააღმდეგო რეზოლუცია და

აცნობეს რუსეთის მთავრობას. ამის შემდეგ „გორის პოლიგონზე“ ლაპარაკი შეწყდა (ლ. სანიქიძე, 1989 : 226-229).

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურა და დაუდალავი ეროვნული მოდგაწე იყო მსოფლიო მასშტაბის ისტორიკოსი მიხაკო (მიხეილ) წერეთელი (1878-1965)<sup>2</sup>. თავიდან ისიც ანარქიზმა გაიტაცა, რისთვისაც კიევის უნივერსიტეტი მიატოვა და ლონდონს მიაშურა, სადაც დაუახლოვდა ვარლამ ჩერქეზიშვილს. 1903 წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა ა. ჯორჯაძის „საქართველოში“. 1905 წლის რევოლუციის დაწყების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, ი. ჭავჭავაძის მკვლელობამ მასზე ძლიერ იმოქმედა. ფაქტობრივად, აქტდან გამოეთხოვა ანარქიზმს და წმინდა ეროვნულ ნიადაგზე დადგა.

1910 წელს მ. წერეთელი კვლავ ევროპაში ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, ისტორიული მეცნიერების დასაუფლებლად. დაიწყო ასირიოლოგიის შესწავლა ჯერ ლონდონში, შემდეგ ლაიბციგში და დაასრულა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. ამავდროულად, მას ინტენსიური მიმოწერა პეტენდა ივ. ჯავახიშვილთან და იყო მისი ნიჭის ღირსეული დამფასებელი. მანვე თარგმნა და 1912 წელს ინგლისურ სამეცნიერო უურნალში გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის (1908 წ., გამოცემა) მესამე თავი – ქართველთა წარმართობის შესახებ.

მეცნიერული მუშაობის პარალელურად, მ.წერეთელი აქტიურად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. გახდა წევრი პეტრე სურგულაძის მიერ 1910 წელს დაარსებული ქართველ სეპარატისტთა ჯგუფისა, ხოლო შემდეგ – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაც. ევროპაში ესწრებოდა აგრეთვე მცირე და დაჩაგრულ ერთა ყრილობებს ჰააგაში, ლონდონსა და ლოზანაში.

ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ლეო კერესელიძე (1880-1944). 1904 წლიდან ისიც უცხოეთშია. მ. წერეთლის რწმუნებით, ლ. კერესელიძე სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად იყო იარაღით დატვირთულ გემ „სირიუსზე“, რომელიც გ. ლეანოზიშვილის მცდელობით 1905 წლის ნოემბერში მოადგა საქართველოს ნაპირს. მის შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დავალებით, ლეო გმირულად იბრძოდა ყველგან, სადაც ჭირდა (გ. შარაძე, წ. 3, 1993:132-133). საარქივო ცნობით: „ლ. კერესელიძე იყო ერთი მონაწილეობაგანი 1906 წელს დუშეთის ხაზინის გაძარცვისა, რომელიც მოაწყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ. ამის შემდეგ ლ. კერესელიძე გაიქცა საზღვარგარეთ, შვეიცარიაში“ (სცსსა, ფ.13, ად.27, ს.5413, ფურც.6). მალე მას იქ შეუერთდნენ ძმა გიორგი და მათი ნათესავი ნესტორ მაღალაშვილი. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ლ. კერესელიძე ხდება „საქართველოს დამოუკიდებ-

ლობის კომიტეტის“ სამხედრო ნაწილის - „ქართული ლეგიონის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი (მ.სიორიძე, 1998 : 64-89).

ლ. კერესელიძეს, ბევრ სხვა ემიგრანტივით, დრო ფუჭად არ დაუკარგავს. 1910 წელს მან ბრწყინვალედ დაამთავრა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მისმა სადიპლომო ნაშრომმა „საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა და მისი რუსეთთან შეერთება“ დიდად დააინტერესა ჟენეველი კოლეგები. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, 30 წლის ლეო კერესელიძე, კავკასიის მკვიდრთაგან პირველად, დაინიშნა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრის პრივატ-დოცენტად.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის რადიკალურ-ეროვნული ფრთის გაერთიანების სულისხამდგმელი იყო თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი პეტრე სურგულაძე (1877-1931). თავდაპირველად ის მარქსიზმა გაიტაცა, მაგრამ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ეროვნულ პოზიციებზე დადგა. შემოიკრიბა პატრიოტი მოღვაწეები და ლეგალურ ტრიბუნად აქცია გაზ. „ერი“. მთავრობამ იგი დახურა, ხოლო დევნილმა პ. სურგულაძემ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1910 წელს ჟენევას მიაშურა. იქ შექმნა „დამოუკიდებლობის ჯგუფი“, მოაწყო „პატარა ქართული სტამბა“ და 1913 წლის იანვარში გამოსცა ჟურნ. „თავისუფალი საქართველოს“ პირველი ნომერი, რომელშიც ბრძოლის მიზნად გამოცხადდა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ამის შემდეგ, სხვადასხვა ხელშემშლელი გარემოების გამო, ჟურნალის გამოცემა მოელი წლით შეწყდა. 1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყებამდე, მოესწრო მხოლოდ რამდენიმე ნომრის გამოშვება. ჟურნალი თავდაპირველ კურსს ადგა. მათში გაკრიტიკებული იყო სოციალ-დემოკრატების კულტურულ-აკტონომიური და ფედერალისტების ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიების მოთხოვნა. ხაზგასმული იყო, რომ ერის არსებობისა და მისი პროგრესული განვითარებისათვის აუცილებელი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო (რ. გრძელიძე, 1995:10-12).

ქართული ემიგრანტული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჟენევის ცენტრის მოწყობის პარალელურად, პ. სურგულაძე, ამავე მიზნით, აქტიურად იღვწოდა სტამბოლშიც და ფაქტობრივად იყო მათი საქმიანობის კორდინატორი. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, თანამებრძოლებმა პ. სურგულაძე ადიარეს “საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის” თავმჯდომარედაც.

პ. სურგულაძის დამოუკიდებლობის ჟენევის ჯგუფის წევრებისათვის აშკარა იყო, რომ მოახლოებული სამხედრო შეტაკების ეპიცენტრი იქნებოდა ევროპა და იქვე გადაწყვდებოდა მომავალი მსოფლიოს რუკაც. ამიტომ ყოველნაირად ცდილობდნენ საამისოდ ყოფილიყვნენ მზად და მეტი აქტიურობით დაესვათ ქართული საკითხი ევროპის საზოგადოებრიობის წინაშე, აღეძრათ მათში ინტერესი საქართველო-

სადმი და ამით მეარ საფუძველზე დაგენებინათ მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა.

საქართველოს სუვერენიტეტის საკითხის საერთაშორისო ასპარეზზე დასმის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არჩილ ჯორჯაძის წვლილი. რესეთის პოლიტიკური დაზვერვის ცნობით: „1912 წელს ქართველ ფედერალისტთა ლიდერის არჩილ ჯორჯაძის ინიციატივით და ცნობილი ემიგრანტის მიხეილ წერეთლის თანამშრომლობით, ფედერალისტთა წრიდან გამოიყო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელმაც დაირქვა „საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი“ (იგივე „ქართველი ხალხის უფლებების დამცველი კავშირი“). მან მიზნად დაისახა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების მიღწევა“ (სცსა, ფ.13, ად.27, ს.5412, ფურც.18-19).\*\*\*

„კავშირის“ სახელთან არის დაკავშირებული ახალი „მემორანდუმი ჰააგის კონფერენციისათვის“. ქუთაისის გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოში არსებული მასალების მიხედვით, ეს მემორანდუმი შეადგინეს 1912 წლის დამლევს და 1913 წლის დამდევს ა. ჯორჯაძის საერთო ხელმძღვანელობით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ფედერალისტების პარტიის ცენტრალური ორგანოს, გამ. „სახალხო ფურცლის“ თანამშრომლები არჩილ ჯაჯანაშვილი და გერობტი ქიქოძე. აგრეთვე ივანე (კიტა) აბაშიძე, პეტრე სურგულაძე, მიხეილ წერეთველი და სხვ. ჰააგის კონფერენციის დელეგატებად აირჩიეს ევროპული ენების მცოდნე მ. წერქეზიშვილი.

უანდარმერიის ხელთ არსებული მასალებით: „ეს მემორანდუმი არ იქნა წარდგენილი კონფერენციაზე (თუ რა მიზეზით აღნიშნული არ არის-ავტ.), მაგრამ ზემოთ დასახელებულმა დელეგატებმა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მოასწრეს ორგანიზება რიგი მიტინგებისა, რომლებზეც სცადეს ევროპის პოლიტიკური მოღვაწეებისათვის გაეცნოთ თავიანთი პროექტი, ამასთან, მემორანდუმის სხვადასხვა პუნქტებს აძლევდნენ უფრო დაწვრილებით განმარტებას.“

მემორანდუმი, შემოწმებული ცნობებით, მთლიანად დაიბეჭდა ნაციონალისტების ორგანოში კონსტანტინოპოლიში, მაგრამ თვითონ საქართველოში მის შინაარსს გაცნობილია მხოლოდ ინტელიგენციის არცოუ ისე დიდი ჯგუფი, იმდენად, რამდენადაც მემორანდუმმა გავრცელება ვერ ჰპოვა“.

მემორანდუმში მოცემულია საქართველოს მოკლე ისტორია, გადმოგვცემს ქართველი მეფეების რესეთის იმპერატორებთან მოლაპარაკებების მთელ ისტორიას, მოჰყავს ხელშეკრულებების ტექსტები, გაფორმებული იმპერატორ პავლესა და ალექსანდრე I-თან, ალექსანდრე I-ის მანიფესტი საქართველოს მიერთების შესახებ და ა.შ. (სცსა, ფ.13, ად.27, ს.5412, ფურც.18-19).

„მემორანდუმის მეორე ნაწილში, რომლის სათაურია „საქართველოში რესეთის მფლობელობის 100 წელი“, - ნათქვამია შემდეგ დოკუმენტი, - მოთხოვობით ერთის მხრივ ქართველი ხალხის ლოიალობის შესახებ და მოყვანილია (შესაბამისი) მაგალითები, ხოლო

მეორეს მხრივ დაწვრილებითაა აღნიშნული უამრავი მაგალითი (ცარიზმის) მხრივ ქართველი ხალხის უფლებების დარღვევისა: ქართული კალესის ავტოკეფალიის მოსპობა (დაწვრილებითაა აღწერილი ქუთათელი და გაენათელი ეპისკოპოსების სამწუხარო ბეჭი), ქართული ენის დევნა სკოლებიდან, სასამართლოებიდან და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან, მთავრობის საგადასახლებო პოლიტიკა, რუსეთის მთავრობის საერთო რუსიფიკატორული პოლიტიკა, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის ისტორია, რომელიც, მემორანდუმის მიხედვით, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით და ა.შ.

მემორანდუმის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია მიმართვა ევროპის სახელმწიფოებისადმი და გამოთქმულია პროტესტი რუსეთის მთავრობის მიერ ქართველი ხალხის ავტონომიური უფლებების დარღვევის გამო, აქვე გამოთქმულია თხოვნა დახმარებისა ავტონომიის აღდგენის საქმეში“ (იქვე, ფურც. 19).

საარქივო ფონდებში აგრეთვე მივაკვლიერ „საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირის“ ვრცელ მოწოდებას სათაურით – „ქართველი ერის უფლებანი“ (იხ. იქვე, ფურც. 2-4), რომელშიც ძირითადად იგივე პრინციპებია გადმოცემული, რაც ზემოაღნიშნულ „მემორანდუმში“, ოდონდ იმ განსხვავებით, რომ ეს მოწოდება ქართველი ხალხისათვის და საქართველოში გასავრცელებლად იყო განკუთვნილი. მოწოდება შედგენილი უნდა იყოს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1914 წლის მაის-ივნისში.

„ქართველებო, - ნათქვამია მოწოდების შესავალში, - ჩვენი სამშობლო განადგურებულია, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ისტორიული საუნჯები წარყვნილია, ჩვენი ხალხი, რომელიც ოცი საუკუნის განმავლობაში გმირულად, იარაღით ხელში იცავდა ეროვნულ დამოუკიდებლობას, დღეს იარაღაყრილია, როგორც დაპყრობილი მონა“ ...

მოწოდების ავტორები მოითხოვდნენ საქართველოს იმ უფლებების აღდგენას, რასაც იმპერატორი პავლე I პპირდებოდა 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით. ესენია: 1. სრული ავტონომიური შინაური მმართველობა, 2. ეკლესიის ავტოკეფალია, 3. სამართალი ქართულ ენაზე ვახტანგ VI-ის კანონებით, 4. სამხედრო ბეგარა ქართულ ერს უნდა მოეხადა ეროვნული სამხედრო სისტემის მიხედვით, ქართული ტანისამოსით, 5. ქართულ ფულზე ერთის მხრივ ამოტვიფრული უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერატორი, ხოლო მეორეს მხრივ ქართული ლერძი და სხვ. იქვე არის მოწოდება ქართველი ხალხისადმი, რათა მათ აემაღლებინათ ხმა საქართველოს უფლებების დასაცავად.

„უთხარით ხელშეკრულებაში აღქმულ ჩვენს უფლებათა შესახებ პირდაპირ და საჯაროდ რუსის მთავრობის ყოველ წარმომადგენელს, სამხედრო პირი იქნება იგი, სასულიერო თუ სამოქალაქო. დაე, გაიგოს რუსეთის საზოგადოებამ და რუსეთის ხალხმა, რომ რუსეთის მიერ საქართველოსთან შეკრული საერთაშორისო პირობანი ვერაგულად არიან დარღვეული მათი მთავრობისაგან.

უთხარით ყველას, რომ საქართველო ქართველებს ეკუთვნის, რომ ყველა მიწები საქართველოსანი მოხმარებული უნდა იყვნენ უმიწაწყლობით შევიწროებული ქართველებისათვის, რომ ყოველწლიური რვა მილიონი გადასახადი, რომელიც საქართველოს აწევს ძელზე, უნდა მოხმარდეს ქართველი ერის საჭიროებათა, თანახმად საქართველოს ამორჩეული მთავრობის დადგენილებისა; რომ ქართველებმა სამხედრო ბეგარა უნდა მოიხადონ თავიანთ სამშობლოში, რომ სამართალი და მართვა-გამგეობა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, რომ სახალხო განათლება უმდაბლესი, საშუალო და უმაღლესი უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, რომ ფული უნდა იბეჭდებოდეს ქართული. ყოველივე ესე, თანამემამულენო, არის უფლება ჩვენი, ადოქმული ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული იყო რუსეთის და საქართველოს ხელმწიფეთა შორის, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსა და ყველა ქართველის მოვალეობა არის დაიცვას ეს უფლებანი საქართველოისა. უფლებათა აღმნიშვნელი ხელშეკრულებანი, დეკლარაციანი ხალხთა დამოუკიდებლობისა, საუკუნეთა განმავლობაში არიან შეურყეველი საფუძველი თავისუფლებისა, ყველა კულტურულ სახელმწიფოთათვის (ამდენად) საქართველოს ხელშეკრულება რუსეთთან არის ქარტია ჩვენს უფლებათ. მისი დაცვა – ჩვენი უწმინდესი მოვალეობაა. მისი ნამდვილი და სწორი აღსრულების მოთხოვნა – ჩვენი ხელშეუხებელი უფლებაა.

მაშ, დავიცვათ ჩვენი ეროვნული ქარტია! ნუ გაცვლით მას რაღაც მცირეულებიან ერობაზე, ნურც რომელიმე „ნაჩუქარ“ თვითმმართველობაზე. დავაარსოთ საზოგადოებანი და კავშირი „საქართველოს ხელშეკრულების მიერ მონიჭებულ უფლებათა“ დასაცველად. ვილაპარაკოთ, ვწეროთ და ვბეჭდოთ ჩვენს უფლებათა შესახებ ყველა ევროპულ ენაზედ და განვაცხადოთ საქვეყნოდ, რომ ჩვენი უფლებანი უარყოფილი არიან. დავაგალოთ ჩვენს წარმომადგენლებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში და სახელმწიფო საბჭოში, რომ მათ პირდაპირ მოსთხოვონ რუსეთის კანონმდებლებს, მინისტრებს და რუსეთის ეკლესიის სინოდს სწორი და ნამდვილი აღსრულება 1801 წლის საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულებისა. მივცეთ წინადაღება თავად-აზნაურობას გამოიტანოს გადაწყვეტილებანი სათავადაზნაურო კრებაზე ხელშეკრულების აღსრულების შესახებ, წარუდგინონ მის წარმომადგენლებთა ხელით ეს გადაწყვეტილება რუსეთის იმპერატორს და მის მინისტრებს. ამის უფლება აქვს თავადაზნაურობას, ეს მისი მოვალეობაა სამშობლოსა და ერის წინაშე“ – ასეთია მოკლედ ამ მოწოდების შინაარსი.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ემიგრანტი ქართველები, გარდა წმინდა ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობისა, ცდილობდნენ აგრეთვე ევროპის საზოგადოებისათვის სხვა მხრივაც წარედგინათ მათთვის ნაკლებად ცნობილი უმცელესი კულტურის მქონე ქვეყანა და დაეინტერესებინათ მისით. 1913 წლის დასაწყისში ქ. ბრიუსელის (ბელგია) საერთაშორისო მუზეუმთან გაიხსნა ქართული განყოფილება,

რომელსაც ხელმძღვანელობდა ბარბარე ყიფიანი (სცსსა, ფ.13, ად.27, ს.5433, ფურც.1-2). იმავე წლის I მარტს ის ქ. უენევაში გიორგი აერესელიძეს აუწყებდა ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ და აღნიშნავდა: განყოფილების მიზანია „ვაჩვენოთ ევროპას, თუ როგორია როლი საქართველოსი მთელის ქვეყნის საეკონომიკო ცხოვრებაში, თუ რა წილი გვიდევს ქართველებს ცივილიზაციის წინსვლა-განვითარებაში, თუ რა ურთიერთობა გვაქს სხვა ხალხებთან ...“

განყოფილებაში იქმნება წიგნთსაცავი სადროგამოშვებითო გამოცემათა და თხზულებათა, რომელნიც შეეხებიან საქართველოს საზოგადოთ” (იქვე, ფურც.3).

ამრიგად, ქართულმა ეროვნულ-პოლიტიკურმა ემიგრაციამ მთელი ძალისხმევა მიმართა, რათა დასაბუთებულად და აქტიურად დაესვა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის აუცილებლობის საკითხი ევროპის საზოგადოების წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ მათ ამ ღონისძიებით გარკვეული სამომავლო საფუძვლები შეუმზადეს ქართული სახელმწიფო ეროვნული სამომავლო საფუძვლები შეუმზადეს ქართული სახელმწიფო ეროვნული სამდგომას და საერთაშორისო ასპარეზზე მის ცნობას.

#### შენიშვნები:

\* XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან შენება იყო ევროპაში უმაღლესი განათლების მოსურნე ქართველი ახალგაზრდების მიზიდულობის ცენტრი. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდგა შენება გახდა აგრეთვე „რევოლუციური“ ემიგრაციის ცენტრი“, რის გამოც იქ „ბლომად იყვნებ ქართველებიც“. ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ ერთი სწავლობდა უნივერსიტეტში, „დანარჩენები პოლიტიკურ ემიგრაციას ეკუთვნოდნენ, ნამდვილს ან მოჩვენებითს. მათი საქმიანობა საკმაოდ გაურკვეველი იყო“ (ა. ჯანელიძე, 1988:78).

\*\* პააგის I საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა 1899 წელს. მასში მონაწილეობდა 27 წამყვანი სახელმწიფო. აქ შეიქმნა მუდმივმოქმედი საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელიც საქმიანობდა ომის წარმოების საერთაშორისო ნორმების შემუშავებისა და შეიარადების ცალკეული სახელმწიფოს შეზღუდვის საკითხებზეც. 1907 წელს შეიქიმდის II კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 44 სახელმწიფო, იქ მიღებული 13 კონფენციიდან (საერთაშორისო შეტაკებების მშვიდობიანი მოწესრიგების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გალების გასანალებლად ძალის გამოყენების შეზღუდვის, სამხედრო მოქმედებათა დაწესების, ომის შემთხვევაში ნეიტრალური სახელმწიფოების და პირების უფლება-მოვალეობების და სხვ. შესახებ) ზოგიერთი დღესაც მოქმედია.

\*\*\* „ავშირისათვის“ საერთო-ეროვნული ხასიათის მისაცემად, მისმა ორგანიზაციონებმა მიმართეს ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერ ნ. ქორდანიას. თბილისში გამართულმა პარტიულმა თათბირმა უარყო მათი შემოთავაზება. უანდარმერის ცნობით, უარის მიზეზად თათბირზე ითქვა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავს თვლიდნენ რუსეთის ამავე პარტიის ნაწილად. ამდენად, ისინი მხარს ვერ დაუჭერდნენ ცალკეული ხალხების ვიწროეროვნულ ინტერესებს, რაც გამოიწვევდა რუსეთის საერთო-დემოკრატიული მოძრაობის გათოშვას (სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს.5412, ფურც.18).

## **Malkhaz Sioridze**

### **Georgian Political Emigration and the Question of Sovereignty of Georgia at the European International Organizations in the Beginning of the XX Century**

#### **Summary**

After the revolution of 1905- 1907 the Georgian revolutionists of national direction, which were under the persecution by the government went into emigration. V. Cherkezishvili, M. Tsereteli, L. Kereselidze, P. Surguladze and other political emigrants in Europe many times put the question of the restoration of the sovereignty of Georgia before different international conferences and social – political organizations, specifically on the Hague conference (1907 and 1912), at the permanently acting tribunal of the Hague conference, on the congress of the enslaved nations (1910 and 1913) and on the Liverpool conference of the peaceful society of Great Britain and so on.

With such activity Georgian political emigration prepared the foundation for the restoration of the Georgian state and its international recognition in future.

## **Малхаз Сиоридзе**

### **Грузинская политическая эмиграция и вопрос суверенитета Грузии в Европейских международных организациях в начале двадцатого столетия**

#### **Резюме**

После революции 1905 – 1907 годов, преследуемые правительством революционеры национального направления отправились в эмиграцию. В. Черкезишвили, М. Церетели, Л. Кереселидзе, П. Сургуладзе и другие политэмигранты в Европе не раз ставили вопрос о восстановлении суверенитета Грузии перед различными международными общественно – политическими организациями и конференциями, в частности на Гаагской конференции (1907 и 1912 годы) на постоянно действующем трибунале Гаагской конференции, на конгрессе порабощенных наций (1910 и 1913 годы) и на Ливерпульском конгрессе мирного общества Великобритании (1913) и т. д.

Такой деятельностью грузинская политическая эмиграция подготовила некоторую почву на будущее для восстановления грузинской государственности и ее международного признания.

### **წყაროები და ლიტერატურა:**

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ტაქსტ-ში შემოკლ. იხ. სცსსა), ფონდი № 13, აღწ. 27, საქმეები № № 5412, 5413, 5433.
2. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში, თბ., 1980.
3. რ. გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-01918 წწ.), თბ., 1995.
4. გ. ლასხიშვილი, მემუარები (1885-1915), ტფ., 1934.
5. პ. სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, ჟურნ. “ბედი ქართლისა”, №39-40, პარიზი, 1962.
6. ლ. სანიკიძე, მესამე დასის საქართველო, ნაკვ. 1, თბ., 1989.
7. მ. სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998.
8. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 3, თბ., 1993.
9. დ. შველიძე, ქართველნო ვინ იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, თბ., 2001.
10. ალ. ჯანელიძე, მოგონებები, თბ., 1988.

## ოლეგ ჯიბაშვილი ხათუნა დიასამიძე

### ნიკო გერმენიშვილის „გულუპრეზილო პატრიოტი“ და ლაზეთის პროპლემა

ბატონი ნიკო ბერძენიშვილი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. სამწუხაროდ, მოღვაწეობა მას როგორ პერიოდში, იდეოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოუხდა. ცნობილი ფაქტია, რომ უშუალოდ სტალინმა, სახელმწიფო ორგანიზაციის მოსაზრებებიდან გამომდინარე, პირადად მიუთითა მეცნიერს, როგორი კუთხით გაეშუქებინა საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები. ასეთი გარემოს მიუხედავად, დაუდალავმა მკლევარმა უდავოდ დირსეული წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში. მეცნიერულ კეთილსინდისიერებასთან ერთად აქ თავისი სიტყვა თქვა ემატვილობიდანვე ღრმად გამჯდარმა პატრიოტულმა სულისკვეთებამაც. სწორედ ამ გრძნობის შედეგი იყო ის, რომ ბატონი ნიკო თავისი კალმით სრულიად ახალგაზრდა ჩატარდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში (საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი მიზანი ხომ ესეც არის).

„მომავალმა ისტორიკოსმა კალამი პირველად სიტყვაკაზმულ მწერლობაში სცადა და საკმაოდ წარმატებითაც“ [ი. სიხარულიძე, 1989: 12]. მის ადრეულ მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში თავისებური ასახვა ჰპოვა იმდროინდელ საქართველოში არსებულმა არაჯანსაღმა სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ. გვსურს თქვენი ყურადღება მიგაპყროთ ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებს, პატარა საგაზეოთ მოთხოვთ რომელიც საკმაოდ მწვავე პრობლემატურ საკითხებს ეძღვნება.

მოთხოვთ, სათაურით „გულუპრეზილო პატრიოტი“, „ბათომის გაზეთის“ 1913 წლის მე-80 ნომერში დაიბეჭდა. უკავია 4-გვერდიანი გაზეთის მე-2 და მე-3 გვერდების სარდაფი (ქვედა ნახევარი). აქედან, მე-2 გვერდის სარდაფი მთლიანად (ანუ 6 სვეტი) და მე-3 გვერდის სარდაფის მხოლოდ 1 სვეტი. გაზეთი გამოვიდა კვირას, 3 ნოემბერს.

მოთხოვთ გამოქვეყნებულია „ანგინის“ ფსევდონიმით. პროფ. ი. სიხარულიძის განმარტებით, „ანგინი“ სამი ბათუმელი მეგობრის – ანტონ ბაკურაძის, გიორგი ხეჩინაშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის – საკუთარ სახელთა პირველი მარცვლების შეერთებითაა მიღებული [ი. სიხარულიძე, 1989: 13]. ისინი ნიკო გიმნაზიელი მეგობრები იყვნენ, ნიკოსავით სამშობლოზე შეეგვარებულები და მის ბედზე მოფიქრალნი. შემდგომში ანტონ ბაკურაძე ბრწყინვალე მათემატიკოსი დადგა. გიორგი ხეჩინაშვილს კი, რომელმაც მედიცინა აირჩია ცხოვრების ასპარეზად, მისი კაიკაცობითა და პროფესიონალიზმით აღტაცებული ილია რუსუა „ბათუმელ ექიმთა ჭეშმარიტ პატრიარქს“ უწოდებს და

დასძენს, რომ მისი ოჯახი პროფესიონალ ექიმთა ტრადიციულ ოჯახად ჩამოყალიბდა – ექიმი იყო ბატონი გიორგის მეუღლე, მათსავე გზას დაადგა ორივე შვილი, გაბრიელი და ლევანი, რომლებმაც თავისი ცხოვრება ასევე ექიმ მეუღლებს დაუკავშირეს და „როდესაც ამ დიდებულ ოჯახში პირველი შვილიშვილი გაჩნდა, მას აკვანშივე ექიმის პროფესია დაანათლეს“ [ი. რურუა, 1980: 67].

მოთხოვთ გამოქვეყნების დროისათვის ნიკო ბათუმში არალეგალურად ცხოვრობდა, ვინაიდან 1909 წელს აქტიური ანტისამთავრობო მოქმედებებისათვის გიმნაზიიდანაც გარიცხეს და ბათუმში ცხოვრებაც აუკრძალეს. მეგობართა რჩევით, იგი უნებართოდ დაბრუნდა ქალაქში და ბიძის – ექვთიმე ბერძენიშვილის ოჯახში დაიდო ბინა [მ. დუმბაძე, 1978: 14].

ნიკოს მოწინავე საზოგადოებაში ტრიალი არ შეუწყვეტია. იმ ხანებში იგი ხშირად დადიოდა თავისი ერთ-ერთი მეგობრის, ფარნავაზის მამის, ლევან მჭედლიშვილის ოჯახში, სადაც ნიკოს მეგობარი ახალგაზრდები და ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. აქ თითქმის ყოველ სადამოს იმართებოდა სჯა-ბაასი პოლიტიკურ ვითარებაზე, ხელოვნებასა და ახლად გამოსულ ლიტერატურაზე.

„ეს ოჯახი იყო ხემი ზოგადი განათლების უნივერსიტეტი, – იგონებს ნ. ბერძენიშვილი, – ოჯახის დიასახლისი, ლევან მჭედლიშვილის ქვრივი, გრაცია, გრიშა ბიძიას და იყო. ის ჩინებულად იცნობდა ქართულ და რუსულ მწერლობას, ბევრი რამ ახსოვდა ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილისა და ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. ბათუმში ჩამოსვლისას ეს მოღვაწეები თურმე ლევან მჭედლიშვილის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ“ [მ. დუმბაძე, 1978: 14].

მჭედლიშვილების ოჯახში „ნიკოსავით ხშირი სტუმრები იყვნენ გიორგი ხეჩინაშვილი და ანტონ ბაკურაძე“ [მ. დუმბაძე, 1978: 14].

ადგილი შესაძლებელია სწორედ ამ ოჯახში დაიბადა აღნიშნული მოთხოვთის დაწერის იდეა და ორიგინალური ფსევდონიმიც – ანგინი – აქ იშვა.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვთ „აღულუბრყვილო პატრიოტი“ იმდენად გაჯერებულია მტკიცნეული ეროვნული და სოციალ-პოლიტიკური პრობლემებით, ი. სიხარულიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუ არა ვინმე გავლენიანი პირის რეკომენდაცია, მისი დაბეჭდვა არ მოხერხდებოდა.“

ასეთ პიროვნებად ნიკოს „ბათომის გაზეთის“ გამომცემელი, აქტიური საზოგადო მოღვაწე ალ. ჭელიძე მოევლინა. საქმე იმაშია, რომ ნიკოს ბიძა, ექვთიმე, შეძლებული და საქმიანი კაცი იყო, იჯარით პქონდა აღებული სასტუმრო „ორიენტალი“ და თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ნაცნობ-მეგობართა დიდი წრეც გააჩნდა. პროფ. ფრ. სიხარულიძის გადმოცემით ექვთიმეს ოჯახში ხშირად იყრიდა თავს ბათუმის ინტელიგენციის ნაღები საზოგადოება და ალ. ჭელიძესთან ნიკოს დაახლოებაც აქ მომხდარა.

ერთი სიტყვით, მოთხოვთ დაიბეჭდა. გავეცნოთ მის მოკლე შინაარსს, ხოლო შემდეგ უფრო დაწვრილებით შევეხოთ მასში დასმულ ზოგიერთ საკითხს.

მოთხოვთა იწყება მშვენიერი ენით აღწერილი ბუნების სურათის გადმოცემით. ამ ლამაზი მხატვრული პასაჟის შემდეგ მოქმედება გადადის ნოვოროსიისკისაკენ მიმავალ გემზე, სადაც სხვადასხვა საზრუნვით შეპყრობილი ათასი ჯურის ხალხია თავმოყრილი. მოთხოვთაში შემოდის მთავარი პერსონაჟი პეტრე, თავის ბედკრულ ქვეყანაზე ფიქრით გულატკივებული ახალგაზრდა კაცი. მის უფრადღებას მიიპყრობს გემბაზე მოკალათებული რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაგანაც ერთი ჩონგურზე უკრავდა, მეორე მთელი გრძნობით მდეროდა, დანარჩენები კი სულგანაბული უსმენდნენ. პეტრე მათთან მივა. ისინი ლაზები აღმოჩნდებიან. მათთან შეხვედრით გახარებული და გულაზუებული პეტრე შეეცდება აუხსნას და გაახსნოს ლაზებს, რომ ისინი ქართველები არიან, დედა-სამშობლოს მკერდს მოგლეჯილი, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ღვიძლი შვილები. მისდა სამწუხაროდ, თავისი საზრუნვით შეპყრობილი და მიმდე ცხოვრებისაგან თავმობეზრებული ლაზები მისი სულის ტკივილს ვერ ჩაწვდებიან და მის აღტკინებასაც ცივად შეხვედებიან. ამ დროს პეტრეს ვიღაც „ქალაქელი“ ქართველი ახალგაზრდა მიუახლოვდება და გამოელაპარაკება. „ქალაქელი“ ნოვოროსიისკში საშოგარზე მიმავალ კაცად გააცნობს თავს პეტრეს, რომელიც გაჭირვებამ აიძულა სამშობლო მიეტოვებინა და სარჩო უცხო მხარეში ეძია. ახლა ამაზე აუკვნესდება პეტრეს გული, რომ ქართველები საქართველოდან გარბიან და მათ ადგილს სხვები ეპატრონებიან. „არ ვვარგივაროთ,“ – ამოიკვნესებს და ქართველთა ბედუკულმართობაზე გაუბამს საუბარს „ქალაქელს.“ მერე როცა შეიტყობს, „ქალაქელი“ მცირე ფულით წამოსულა ამხელა გზაზე, მაშინვე გადაწყვეტს თავისი მოკრძალებული სახსრებიდან რაღაც მაინც გაუნაწილოს, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც უმნიშვნელო თანხა აქვს და ისიც უცხო მხარეში მიდის. აქ აღმოჩნდება, რომ პეტრეს ფული დაუკარგას, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვევა, „ქალაქელს“ ამოურთმევია მისთვის, როცა იგი მთელი შთაგონებით ქართველთა ბრწყინვალე წარსულსა და სავალალო აწმეოზე მოუთხრობდა ირგვლივ მყოფო. „ქალაქელს,“ რომელიც ჩვეულებრივი ქურდბაცაცა აღმოჩნდება, გემის პერსონალი ატუსაღებს, პეტრე კი საშინელ სულიერ მდგომარეობაში ჩავარდნილი დარჩება.

დაახლოებით ასეთია მოთხოვთის მოკლე შინაარსი, რომელშიც ძნელია მთელი სისრულით გადმოვცეთ ავტორისეული ხედვა და სულისკვეთება.

ჩავუდრმავდეთ ზოგიერთ საკითხს.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ახალგაზრდა პატრიოტის, პეტრეს პროტოტიპი თავად ავტორია, მისი სახით კი ყველა ის, ვისშიც ცხოვრების სიავგარენეს პატრიოტული შემართება ვერ ჩაუკლავს და პირადულ საზრუნავს ზოგადეროვნული იდეალები ვერ დაუთრგუნავს.

ასე რომ, ტკივილითა და ცრემლით შეზავებული სიტყვები, რასაც პეტრე ქადაგებს გემბანზე, 22 წლის ნიკო ბერძენიშვილის ნააზრევნაფიქრალი და გულისხადები იყო.

პირველი, რაც თვალში გვხვდება მოთხოვნის დასაწყისშივე, არის ლაზების პრობლემა.

ლაზები, ჭანები... ძველ ხალიბთა და კოლხთა მრავალრიცხოვანი, ჯიშიერი შთამომავლობა, რომელთა ნიჭი და შემართება, მცირე გამონაკლისის გარდა, ადარ ხმარდება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და განმტკიცებას.

როგორც ცნობილია, ოსმალთა იმპერიის ფარგლებში მოქცეული ლაზები იმთავითვე იდეოლოგიური ზეწოლისა და ასიმილატორული პოლიტიკის წნევის ქვეშ მოექცნენ. საუკუნეების მანძილზე გატარებულმა ასეთმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო: ლაზთა დიდმა ნაწილმა მამაპაპისეული რელიგია დაუტევა და ისლამზე გადავიდა, რომელთაგან ბევრმა სრული ასიმილაციაც განიცადა და გათურქდა. არც ის არის საიდუმლო, რომ იყო და არის ცდები მაკმადიან ლაზებთან მიმართებაში საერთოდ ამოვარდეს ხმარებიდან ეთნონიმი „ლაზი.“

ეროვნული თვალსაზრისით უკეთესი ხვედრი არც ქრისტიანობაშენარჩუნებულ ლაზებს ხვდათ წილად. 1476 წელს მემედ II-ის მიერ გამოცემული „განუნ-ნამექ“ მიხედვით, ოსმალთა იმპერიაში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი მოიხათლა ბერძნად და დაუმორჩილდა კონსტანტინეპოლის ბერძენ პატრიარქს. მართლმადიდებლობაში დარჩენილ ლაზებს ბერძნები დაერქვათ.

შექმნილი ვითარება პერსპექტივაში შესანიშნავად გამოიყენა ბერძნულმა მხარეები.

„საბერძნეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ბერძნული ეკლესიის როლი და გავლენა პონტოში, ასევე თვალსაზინოდ გაძლიერდა ბერძნული ენა და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის ბერძნული ეროვნებისადმი კუთვნილების იდეა“ [წ. ბაწაში, 1988: 45]. ლაზეთ-ჭანეთში „იხსნებოდა უამრავი ახალი სკოლა, სადაც ბერძენი მასწავლებლები, გამოგზავნილი საბერძნეთიდან ან ათენში განათლება-მიდებული, ტვინს უჭედავდნენ ადგილობრივ მართლმადიდებელ ქრისტიანებს პანელინიზმის იდეებით“ [წ. ბაწაში, 1988: 46], უნერგავდნენ მათ, რომ ისინი არიან ბერძნები და მხოლოდ და მხოლოდ ბერძნები. საინტერესოა, რომ საბოლოოდ ქრისტიანმა ლაზებმა უფრო მეტად დაკარგეს ეროვნული თვითმყოფადობა, ვიდრე გამაჭმადიანებულებმა.

ასე რომ, ლაზები, „ჩვენი საბრალო ქართველები“ (პეტრეს სიტყვებია), ბევრისათვის გადაიქცა მადისამშლელ ლუპმად. სახელმწიფოებრიობაწართმეული ქართველების მხრიდან ეფექტური საპასუხო იარაღის უქონლობამ ასეთი ვითარება საშიშ ტენდენციად გადააქცია.

ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა მაღალ დონეზე იდგა და დღესაც დგას ნებისმიერი

სისტემის (მეფის, საბჭოთა, ფედერაციული) რუსეთშიც. ყოველთვის იყო და არის მცდელობა ქართველი ერის კუთხებიდან გათიშვისა და ისეთი ილუზიის შექმნისა, რომ ლაზები, მეგრელები, სვანები, ინგილოები, მესხები, აჭარლები, თუშ-ფშავ-ხევსურები და სხვა ქართულ კუთხეთა წარმომადგენლები ქართველები კი არა, დამოუკიდებელი ხალხებია და ქართველები (საინტერესოა, ვინდაა ეს ქართველები) ტყუილად იჩემებენ მათ ქართველობას [ვ. ითონიშვილი, 1990].

ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა ნიკოს მოთხოვნის, პეტრეს სიტყვები, მიმართული ლაზებისადმი – „ოქვენ ქართველები ხართ, როგორც მე, თქვენ ჩვენი მძები ხართ“ – არის გამოწვევა, მიმართული ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოს მძღვრი იდეოლოგიური მანქანის წინააღმდეგ.

6. ბერძენიშვილს შესანიშნავად აქვს დაჭერილი მომენტის სიმძაფრე და მიგნებულად შერჩეული ფრაზებით საოცრად ამაღლვებლად გადმოგვცემს ლაზების წინ მდგარი პეტრეს სულიერ განწყობილებას:

„ესენი ხომ მეგრელები იყვნენ – ჭანები! როგორ უყვარდა პეტრეს ამ წუთში ისინი! ის მზად იყო მოხვეოდა თითოეულს, როგორც დაკარგულ და ეხლა ნახულ ძმას. „მოგვაშორეს, სჯული შეუცვალეს, ეცადნენ გაერყყნათ, მაგრამ ბუნებას ვინ ძლევს, ხედავთ, ტიპიური ქართველებია,“ – ამბობდა აღტაცებული პეტრე თავისთვის.“

შემდგომ მოვლენებს ნიკო ძალიან საინტერესოდ წარმართავს. ნაცვლად იმისა, რომ ლაზებიც აღტაცებაში მოსულიყვნენ, ისინი ისე შეხედავენ პეტრეს, როგორც არანორმალურს. თითქოს ამ ხალხის მესიერებიდან მთლიანად გამქრალიყოს სხვნა მათი ქართველობისა. არადა ფაქტია, რომ რადაც ფორმით სამშობლოს მოწყვეტილ ლაზებში დღესაც არსებობს ზოგადქართული ცნობიერება. შეიძლება გაუცხოების ასეთ მკვეთრ გამოხატვას რაღაც მოსაზრება ედო საფუძვლად. იქნება ავტორს სურდა მკითხველის ყურადღება გაემახვილებინა ლაზოა პრობლემაზე, მიენიშნებინა მისთვის, რომ თუ არ გააქტიურდებოდა ქართული საზოგადოებრიობა, რაიმეს არ იღონებდა ლაზებში მინავლული ეროვნული ცნობიერების გასაღვივებლად, მისი სამუდამო გაქრობა იყო მოსალოდნელი.

პეტრე, რომელიც ავტორის სულისკვეთებას გამოხატავს, ცდილობს აღადგინოს სულიერი კავშირი ლაზებსა და სხვა ქართველებს შორის. იგი ვერ შეაკრთო ლაზების ცივმა დახვედრამ და კვლავ ლამობს ჩაგონოს მათ, „რომ ისინი ქართველებია, გურჯებია, რომ სჯულის გამოცვლა არაფერს არ ნიშნავს, რომ ეხლა საჭიროა მათთვის ძველი სამშობლო მოიგონონ, რომ ეხლა საჭიროა ქართულ კულტურას დაეწავონ.“ ვაქტობრივად, ეს სამოქმედო პროგრამაა, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო ლაზებში ეროვნული სულის აღორძინება, ხოლო „ექსტაზი მოსული ორატორის“ ქადაგებაზე ლაზების პასუხი – „შენ ვიდაცა ხარ, რაებს ბოდავ, მოვრალი ხომ არა ხარო?“ – გაფრთხილებაა ქართული საზოგადოებისა, რომ შემდგომი უმოქმე-

დობა საშიშია, რომ შემდეგ შეიძლება ყველაფერი დაგვიანებული დარჩეს და საბოლოოდ დაიკარგოს ჩენი ერის ღვიძლი ნაწილი.

მივყვეთ მოთხოვის სიუჟეტს.

ლაზთა არააღეპვატური რეაქციით გულნატანი პეტრეს გვერდით აღმოჩნდება „ერთი ახალგაზრდა ბლუზით, ფართე კახური შარვლით და ქუსლწათელიდი ჩუსტებით გამოწყობილი.“ იგი „ქალაქელ“ ქართველად გაეცნობა პეტრეს და მცირე გასაუბრების შემდეგ, მიანიშნებს რა ლაზებზე, შეეკითხება:

– „რას ებაასებოდით ამ თათრებს?“

აი კიდევ ერთი კატასტროფული პრობლემა, დამშლელი ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა. ქრისტიანი ქართველი ვედარ ცნობს თავის სისხლსა და ხორცს, თათარი ჰავნია და მისი ქართველობა ვერ დაუჯერებია.

მართლაც ძლიერი ფსიქოლოგიური მომენტია. ერთ მხარეს „ოსმალოს საქართველოს“ წარმომადგენლები – გამაჰმადიანებული ლაზები დაგანან, მეორე მხარეს რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული საქართველოს მკიდრი, „ქალაქელი“ ქრისტიანი ქართველი და მათ ერთმანეთი ვერ უცვნიათ, თავიანთი თავი ერთი ეროვნული სხეულის ნაწილებად ვერ წარმოუდგენიათ. პეტრე კი, რომლის სულიერი და გონებრივი სამყარო მადალი ეროვნული იდეალებით იკვებება, ჩამდგარა მათ შორის და ხიდად ქცევას ლამობს.

– „განა ესენი თათრებია?“ – ნაღვლიანად ეპასუხება „ქალაქელს“ პეტრე, – „ესენი, როგორც შენ, როგორც მე – ქართველებია. ესენი ჭანებია, სადაც ძველად ქართული აულტურა, ქრისტეს სჯული, ჩვენი ენა ჰყვაოდა.“

მარტო „ქალაქელ“ ახალგაზრდას კი არა, მთელ ქვეყანას შესტირის პეტრე მომავალი ისტორიკოსის სათქმელსა და გულისტკეფილს, მაგრამ ორივე მხარე კვლავ უგრძნობი რჩება მისი „მხურვალე ქადაგებისადმი.“ ესეც ზემოთ აღნიშნული ჩანაფიქრის გაგრძელებაა – ავტორს სურს კიდევ ერთხელ შეაფხიზდოს მკითხველი და მოქმედებისაკენ უბიძგოს მას.

მოთხოვის სხვა საკითხებიც არის წამოჭრილი. მაგ. სოციალურად შეჭირვებული ქართველების საქართველოდან იძულებითი ემიგრაციისა და მათ ადგილზე უცხო ეთნიკური ელემენტის დამკიდრების პრობლემა და სხვ. საინტერესოა მოთხოვის დასასრულიც. როგორც აღვნიშნეთ, პეტრე გაქურდული აღმოჩნდება თანამოსაუბრისაგან. ეს ირონიული მინიშნებაა იმაზე, თუ რა ბედი ელით მოუწესრიგებელ და მიზანდაკარგულ ქვეყანაში „გულუბრყვილო პატრიოტებს.“

ვფიქრობთ, დაგვეთანხმებით, რომ 22 წლის კვალობაზე ავტორი შესანიშნავად ერკვევა მრავალ საჭიროობრივ საკითხში და სათანადოაც რეაგირებს მათზე. აღსანიშნავია, რომ მოთხოვის მხატვრული თვალსაზრისითაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოკებს, რაც ნათლად მიუთითებს ნ. ბერძენიშვილის მწერლურ ნიჭზე.

ამრიგად, „გულუბრყვილო პატრიოტი“ სხვადასხვა მწვავე პრობლემისადმი მიძღვნილი მცირე ზომის, მაგრამ ფრიად აქტუალური, მხატვრულ-იდეოლოგიური ხასიათის ნაწარმოებია. ძირითადი აქცენტი მაინც ლაზთა ეროვნული იდენტიფიკაციის საკითხე, მათ პრობლემებზეა გამახვილებული. ჩანს, მომავალ ისტორიკოსს თანდაყოლილი პროფესიული ალდო გააჩნდა და ზუსტად აგნებდა საჭირო თემას.

ლაზები მართლაც განსაკუთრებული თემაა. დღეისათვის შემორჩენილი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფებიდან მათ ყველაზე ხანგრძლივად მოუხდათ ყოფნა ერთიანი ქართული პოლიტიკური სივრცის მიღმა. შესაბამისად, ყურადღებაც სათანადო დონის ესაჭიროებათ. მით უმეტეს აუცილებელია ეს დღეს, როცა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მსოფლიოში სულ უფრო აქტიურად იყენებენ იდეოლოგიური და საინფორმაციო ზემოქმედების საშუალებებს, დახვეწილი ტექნოლოგიებით ამუშავებენ ადამიანთა გონებას და სახურველი მიმართულებით წარმართავენ მას. ქართულ რეალობაშიც ხშირად პქონია და აქვს ადგილი აღნიშნული საშუალებებით ერთიან ეროვნულ ცნობიერებაზე არაკეთილმოსურნეთა მხრიდან იერიშის მოტანის შემთხვევებს. შევეხოთ ამ საკითხს ლაზების მაგალითზე.

ისტორიდან კარგად არის ცნობილი და ზემოთ ჩვენც მოკლედ მივუთითეთ აღნიშნული კუთხით თურქ-ბერძენთა ქმედებებზე ლაზების მიმართ. ამიტომ ამ საკითხზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამ-ჯერად თქვენი ყურადღება გვსურს მივაპყროთ სომხური საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელის მცდელობაზე, ეჭვეჭვეშ დააყენოს ლაზებისა და ლაზეთის ქართული სამყაროსადმი კუთვნილების უტყუარობა.

უკანაკენელ ხანებში საქმაოდ გაიზარდა სომხური საზოგადოების დაინტერესება ჰემშილებით. ამ სახელით გამაპმადიანებულ სომებთა სუბეთნიკურ ჯგუფს მოიხსენიებენ, რომელიც ისტორიული ლაზეთ-ჭანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში ჩამოყალიბდა მშობლიური მიწებიდან მტრის მოძალების გამო ლტოლვილი სომხების მიერ. მკვლევარ წ. ბაწაშის აზრით, მის ფორმირებაში თავისი წვლილი ლაზურ-ქართულმა ელემენტებიც შეიტანა და არცოუ ისე მცირე [წ. ბაწაში, 1988: 58-60]. გამაპმადიანებამდე ჰემშილებს ამშენები ერქვათ მთავარი ქალაქის – ამამშენის მიხედვით. ამშენთა ერთმა ნაწილმა ქრისტიანობა შეინარჩუნა და დღესაც ამ სახელით იწოდება. სწორედ ამ ხალხზე მსჯელობისას ზოგიერთი სომები ავტორი იგნორირებას უკეთებს ისტორიულ ჰემშარიტებას და ვითარებას დაზეთთან მიმართებაში, რომ იტყვიან, მრუდე სარკეში წარმოაჩენს. მაგალითისათვის მოვიტანთ მცირე ამონარიდს ინტერნეტში განთავსებული ერთერთი საიტიდან.

არტურ უსტიანი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (სტილი დაცულია):

„ხალდები (ამშენები) – მცირე აზიის უძველესი ეთნიკონი. იგი ცნობილია ძვ. წ. აღ. VIII-VI სს.-ის ურარტული (ხალიტუ), ასირიული

და სპარსული წყაროებით. ხალდები (ამშენები) ბიზანტიაში მოიაზრებოდნენ როგორც ბერძენთაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი. ხალდი-მეომრები იცავდნენ ტრაპეზუნდს სამხრეთიდან და თავს ესხმოდნენ სელჩუკთა ჯარს XIII საუკუნის დასაწყისში. ხალდების უმრავლესობა მართლმადიდებელი სომეხი-ქალკედონიკი იყო...

ამრიგად, ამშენი სომხები ხალდებელების (ხალიბების) შთამომავლები არიან ბალას (ბალუ, პალა) ტომიდან. ძვ. წ. აღ. VIII-V სს.-ში კიმერიელთა მოწოლის გამო ისინი აიყარნენ ძველი ადგილებიდან და განსახლდნენ ქალაქების - ორდუსა და გერასუნის მიდამოებსა და ჭოროხის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში. მეორე ნაწილი სიუნიკის სამხრეთით განსახლდა. ტრადიციული საცხოვრებელი რაიონი განვენილი იყო ტრაპეზუნტიდან აჭარამდე და ჯავახეთამდე მისი ჩათვლით“[Устян А. Р., 2009: 1-2].

სხვა საიტზე ამშენი-ჰემშილი სომხების განსახლების არეალი ისტორიული სომხეთის მიწებად არის სახელდებული [\[http://forum.hayastan.com/index.php?showtopic=18989\]](http://forum.hayastan.com/index.php?showtopic=18989). კიდევ სხვაზე დადებულია თურქეთის რესპუბლიკის აღმინისტრაციული დაყოფის რუქა, ართვინის, რიზეს, ტრაპიზონის, გირესუნის, გიუმიშხანეს, ბაიბურთის ვილაეთები გამოყოფილია განსხვავებული ფერით და გაკეთებული აქეს წარწერა - „თანამედროვე ამშენის რუქა“ (Карта Амшена современная) [ <http://mererkir.do.am/photo/6-0-7-3> ]. მსგავსი ფაქტების დაძგნა ინტერნეტში უხვად შეიძლება.

როგორც ვხედავთ, ისტორიული ჭეშმარიტების ფალსიფიცირება ლაზეთთან მიმართებაში ახალ ფაზაში შედის. ის, რაც აქტუალურად იდგა დღის წესრიგში ბაზონი ნიკოს ყმაწეილკაცობაში, აქტუალურია დღესაც. ანუ ბრძოლა ჩვენი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის პალავ გრძელდება.

ვფიქრობთ, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი დირსეულად გააგრძელებს საერთო ქართულ საქმეს და არავის მისცემს ჩვენი წარსულის დამახინჯებისა და ისტორიოგრაფიაში ფსევდომეცნიერული მოსაზრებების დამკვიდრების უფლებას.

**Oleg Djibashvili, Khatuna Diasamidze**

**“The Naïve Patriot” by Niko Berdzenishvili and the Problem of Lazeti**

**Summary**

Because of its geostrategic position, Georgia always represented the target for powerful neighbors. For that reason, certain parts of our country often were included within the borders of foreign countries. Especially it could be said on Lazeti. From existed Georgian ethnographic groups Lazians were left out of Georgian political space much longer than others were. That fact from its part caused negative influence on their self-consciousness.

In the article author discusses the story “The Naïve Patriot” by Niko Berdzenishvili published in the newspaper “Batomis Gazeti” on 3 November 1913. The acute problems related to Lazians are analyzed. The parallels are drawn with modern situation and the fact is underlined that similar difficulties are obvious now, which from their part requires special attention.

**Олег Джибашвили, Хатуна Диасамидзе**

**Повесть Нико Бердзенишвили „Наивный патриот“ и проблема Лазети**

**Резюме**

Грузия, занимающая стратегически важное географическое положение, всегда являлась объектом агрессии со стороны соседей. Вследствие этого отдельные части ее территории нередко входили в состав иностранных государств. В первую очередь, это относится к Лазети. Из существующих на сегодняшний день грузинских этнографических групп лазы дольше всех находились вне грузинского политического пространства, что, конечно же, негативно повлияло на их самосознание.

В данной статье анализируется повесть Нико Бердзенишвили „Наивный патриот“, опубликованная в газете „Батомис газети“ от 3-го ноября 1913 года. Здесь рассмотрены вопросы, связанные с лазской проблемой. Показано также отношение автора повести к лазам. Делается заключение, что и по сей день существуют определенные силы, которые целенаправленно стараются негативно воздействовать на грузинское национальное самосознание лазов. А это, со своей стороны, требует нашего особого внимания.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანგინი (ნიკო ბერძენიშვილი), გულუბრევილო პატრიოტი, გაზ. „ბათო-მის გაზეთი“, 1913, №80.
  2. წ. ბაწაში, ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბ., 1988, 80 გვ.
  3. მ. დუმბაძე, ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1978, 120 გვ.
  4. ვ. იოონიშვილი, ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში, თბ., 1990, 86 გვ.
  5. ი. რურუა, სიტყვა ბათუმელ ექიმებზე, ქურ. „ჭოროხი“, 1980, №5, გვ. 66-72.
  6. ი. სიხარულიძე, ნიკო ბერძენიშვილი, თბ. 1989, 104 გვ.
  7. უსტია А. Р., К вопросу об актуализации армяно-ромейской теории через восстановление амшеникской государственности или Амшени как правопреемник Византии в Малой Азии, 2009,
- <http://forum.vardanank.org/index.php?act=Print&client=printer&f=170&t=143760>
8. <http://forum.hayastan.com/index.php?showtopic=18989>
  9. <http://mererkir.do.am/photo/6-0-7-3>

## უჩა ოქროპირიძე

### ჩამზის საუფლისოულო მამულის ისტორიიდან

საქართველოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენება და მათი მრეწველობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ კულტურათა საქართველოში შემოტანის და მათთან დაკავშირებული დარგების განვითარების ისტორიასთან. აღნიშნულ კულტურათა, განსა-აუთორებით კი ჩაის შემოტანის, მისი დანერგვის, გავრცელებისა და განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩაქვის მეურნეობამ (1921 წლამდე ჩაქვის საუფლისწულო მამული).

საქართველოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების შემოტანასა და მის მრეწველური განვითარების ისტორიას არა ერთი ნაშრომი მიუძღვნეს ქართველმა თუ უცხოელმა ისტორიკოსებმა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოკვლევათა უმთავრესი ნაწილი საბჭოთა ისტო-რიოგრაფიას ექუთვნის. მათგან ადსანიშნავია ლ.კალანდარიშვილისა და ბ.პირადოვის დოკუმენტური მასალების კრებული «Друг из далека» [Каландаришвили, 1961], რომელიც საქართველოში ჩაის მრეწველობის განვითარებას ეხება.

მნიშვნელოვანია მ. გაბისონიას ნაშრომი «Чайная культура в Грузии и перспективы ее развития» [Габисония, 1924], რომელიც წარმოადგენს პირველ სრულყოფილ გამოკვლევას ჩაის კულტურის განვითარებისა და მისი პერსპექტივების შესახებ საქართველოში.

აკადემიკოს ტ. კვარაცხელიას ნაშრომში “ჩაის ბუჩქი და მისი თანამდებობის კულტურები” მოცემულია ჩაის კულტურის ბოტანიკური და ქიმიურ-ბიოლოგიური აღწერილობა, მისი გამრავლების მეთოდები და, საერთოდ, ჩაის წარმოების ისტორია ყოფილ საბჭოთა კავშირში, საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების საკითხი კი ამავე ავტორმა დაამუშავა ნაშრომში «История чайного растения в Грузии» [Кварацхелия, 1941].

საქართველოში ჩაის კულტურის შემოტანისა და განვითარების ისტო-რიისათვის, მისი აკლიმატიზაციის დროის დასადგენად მნიშვნელოვანია აკადემიკოს პ. გუგუშვილის გამოკვლევა “ჩაის კულტურის ისტორიისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში” [გუგუშვილი, 1954], ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩაის კულტურის ისტორიისადმია მიძღვნილი მისი მეორე ნაშრომი «К истории культуры чая в СССР» [Гугушвили, 1956].

აღსანიშნავია აკადემიკოს ქს. ბახტაძის მოღვაწეობა, რომლის ჩაის კულტურასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი და სელექციური მუშაობა ძირითადად ჩაქვში მიმდინარეობდა. მისი ნაშრომებია—“ახალი

ქართული ჩაი” [ბახტაძე, 1950], “ჩაის პლანტაციის მაღალი ხარისხისათვის” [ბახტაძე, 1954], «История культуры чая в СССР» [Бахтадзе, 1955], «Развитие культуры чая в СССР» [Бахтадзе, 1961] და სხვ. აღნიშნულ ნაშრომებში ქსენია ბახტაძე ეხება ჩაის კულტურის განვითარების ისტორიის საკითხებს არა მარტო საქართველოში, არამედ კრასნოდარის მხარეში, აზერბაიჯანში. აქვე განიხილავს აღნიშნული კულტურის განვითარებისათვის წარმოებულ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს.

საქართველოში ჩაის კულტურის მეურნეობის ეტაპობრივი განვითარების სურათს იძლევა პროფესორი ბ. ხასია ნაშრომში «Расширение воспроизводства в чайных совхозах Грузинской ССР» [Хасия, 1959], რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ჩაქვის ჩაის მეურნეობასაც.

ჩაქვის, სალიბაურის, ოჩხამურის და დიდი ჭყონის ჩაის მეურნეობის მაგალითზე აქვს განხილული აღნიშნულ მეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ჩაის მრეწველობასთან დაკავშირებული პრობლემები პ.პატარაიას ნაშრომში “ჩაის საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის საკითხი” [პატარაია, 1957] გრ. ქარჩავას წიგნი “საქართველოში ჩაის მეურნეობების რენტაბელობა და მისი გადიდების გზები [ქარჩავა, 1958], ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვის ცდები და ჩაქვის როლი და მნიშვნელობა ამ საქმეში და სხვა. მისსავე ნაშრომში „საქართველოში ჩაის წარმოების ძირითადი ფაქტორები” [ქარჩავა, 1963] იგი აშენებს საქართველოში იმ ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს აქ ჩაის კულტურის განვითარება. ამ ნაშრომის გაგრძელებად შეიძლება ჩათვალის მისივე “ჩაი, მისი წარმოება და მოხმარება” [ქარჩავა, 1963] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. ქარჩავას ნაშრომი “ჩაის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში” [ქარჩავა, 1970], სადაც ავტორი მსჯელობს ჩაის ბუჩქის დანერგვის შესახებ სოხუმის ბოტანიკურ ბაზში; აქვე მოცემულია 1972 წელს საქართველოში თითქოსდა ჩაის ამხანაგობის ჩამოყალიბების შესახებ არსებული ხმების უარყოფა და მოთხოვილია კახეთში ჩაის კულტურის გავრცელების ცდებზე.

ი.ორაგველიძის მონოგრაფიაში «Развитие чайного хозяйства в Грузии» [Орагвелидзе, 1962], მიმოხილულია დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები ჩაის კულტურის გაშენებისათვის, მასზე გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მასში ჩაქვის ჩაის მეურნეობის როლი თუ სხვა საკითხები.

საქართველოში სუბტროპიკული კულტურების დანერგვასა და განვითარებას მასში ჩაქვის მეურნეობის როლის განხილვას ეძღვნება პროფესორ შ. ჯაფარიძის ნაშრომები: “სუბტროპიკულ კულტურების განვითარება საქართველოში” [ჯაფარიძე, 1973], ”სუბტროპიკული მეურნეობის განვითარება აჭარაში” [ჯაფარიძე, 1973] და სხვა.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გავრცელებისა და განვითარების ისტორიისათვის საქართველოში მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ა.პ. სუბოტინის [Суботин, 1904], ბ.იაკობაშვილის [1958], კ.ბაბილონის [1963], ა.ბრეგვაძის [1957], მ.ერისთავის [1898], ს.როსტოვცევის [1889], ვ.პაპუნიძის [1962], მ.აფხაზავას [1957], კ. გაბუნიას [1960], ლ.ნანეიშვილის და ვ.გბრალიძის [1958] და სხვათა ნაშრომები. მოცემული ისტორიოგრაფიული მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ასევე, მოკლედ შევეხებით ჩაქვის საუფლისწულო მამულის ისტორიასაც.

როდესაც 1873 წელს ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა დიმიტრი ბაქრაძემ აჭარაში იმოგზაურა, ჩაქვში მხოლოდ ორი სახლი მდგარა, რომლებიც ადგილობრივ ბეგს ხუსეინ ბეჟანიძეს ეკუთვნოდა. ფრანგი სამხედრო კორესპონდენტი ა.ფრენკელიც [1879], რომელიც აქ 1878 წელს რუსეთის ჯარებს შემოყვა, ჩამორჩენილ, დაუსახლებელ სოფლად ახასიათებს ჩაქვს მაშინ, როცა მის ახლო მდებარე სოფლებში – სახალვაშოში, ხალაში, ჩაქვისთავში, დიდჯამეში ინტენსიური ცხოვრება იყო გაჩაღებული.

1876 წელს იაპონიაში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა პროფესორმა კოიკოვმა საკუთარი დაკვირვების საფუძველზე კუნძულ ნიპპონასა და დასავლეთ ამიერკავკასიის ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს შორის მრავალი საერთო ნიშანი დაადგინა და რეკომენდაცია გაუწია აქ ჩაის კულტურის და ბამბუკის გაშენებას [სცსია].

სამრეწველო მიზნით ჩაის გაშენების საკითხი აჭარაში უკვე მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დაისვა. ამ მიზნით 1880 წლიდან ჩაქვში თავის მეცნიერულ-პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა ფრანგი აგრონომი დალფონი. ჩვენს ქვეყანაში ჩაის კულტურის დანერგვისა და განვითარების ინიციატორები იყვნენ მეცნიერები: პროფესორები – ნ.გოიკოვი და ა.ფ.ბუტლეროვი, ბოტანიკოსი ნ.კ.ზეიდლიცი, მომდევნო პერიოდში პროფესორი ა.ნ. კლინგენი, ე.თ. სიმონსონი, ს.ნ. ტიმოფეევი და სხვები [ააცსა, ფ. ი-22].

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აჭარის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაში. ცარიზმი აქ სასტიკ კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა; 1883 წლის კანონით აჭარაში მიწები სახელმწიფოს ხელში გადავიდა და სხვადასხვა რანგის მდიდარმა რუსმა მოხელეებმა დაიწყეს ამ კუთხის იმ სანაპირო ზოდის თანდათანობითი ინტენსიური კოლონიზაცია, სადაც ბუნებრივი მონაცემების მიხედვით შეიძლებოდა სამრეწველო მიზნით ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენება.

ჩაის კულტურის მოშენება აქ თავდაპირველად სამეცნიერო-პლევითი დაკვირვების ხასიათს ატარებდა. შემდეგ პერიოდში კი მეჩაიეობას სამრეწველო მიზნით პირველად ხელი მოჰყიდა რუსმა კოლონისტმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ა.სოლოვიცოვმა, რომელმაც 1882–1884 წლებში

სოფელ ჩაქვში იყიდა 265 დესეტინა მიწა, ხოლო 1884 წელს 1,5 დესეტინა ფართობზე ჩაის პლანტაცია გააშენა. ამასთან უნდა ადინიშნოს ისიც, რომ ჩაის კულტურის გავრცელების ცდა უფრო ადრე დაიწყო საქართველოს სხვადასხვა რაიონში (ოზურეგის სახაზინო ბაღი, ზუგდიდი-დადიანის მამული, ჩოხატაური-გორაბერეულული), ვიდრე აჭარაში. მაგრამ აღნიშნულ რაიონებში მაშინ მეჩაიერების განვითარებამ სამრეწველო ხასიათი ვერ მიიღო. ა.სოლოვცოვის მიერ ჩაქვში გაშენებულ ჩაის პლანტაციის შესახებ ცნობილი აგრონომი კლინგენი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის პირველი ჩაის პლანტაცია იყო რუსეთის იმპერიაში. ჩაის კულტურისათვის მეტად ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო ა.სოლოვცოვმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მის სამრეწველო განვითარების საქმეში და რუსეთში კაპიტალიზმის აღმავლობით განვითარების პირობებში მრეწველობისა და საუფლის-წულო უწყების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

სამრეწველო მეჩაიერების განვითარების მიზნით აჭარას ეწვია ცნობილი რუსი ვაჭარი კ.ს.პოპოვი, რომელმაც აქ შეიძინა სამი ნაკვეთი 300 დესეტინა მიწით. კ.ს. პოპოვი ჩაის კულტურის განვითარებისა და გადამუშავებისათვის აუცილებელ წესებს ჩინეთში გაეცნო 1883–1891 და 1893 წლებში მოგზაურობისას. 1893 წელს მან პროფესორ ტიხომიროვის მონაწილეობით მოგზაურობა მოაწყო ჩაის კულტურის განვითარების საუკეთესო რაიონებში ჩინეთში, კუნძულ ცეილონზე და იავაზე ინდოეთში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. ამ ქვეყნებიდან მან წამოიღო ორიგინალური ჯიშის ჩაის ნერგები (მანკონი, ნინჯოუ, იანლოუდუნი და სხვა) და ჩაის თესლი, რომლებითაც იმავე წელს ჩაქვის მახლობლად სოფ. კაპრეშუმსა და სალიბაურში გააშენა ჩაის პლანტაციები. სალიბაურშივე აშენდა ინგლისური მანქანებით აღჭურვილი პირველი ჩაის ფაბრიკა [სცეია, ფ 273.]. მეჩაიერების სამრეწველო განვითარებისათვის კ.ს. პოპოვმა 1889–1895 წლებში აზიის სუბტროპიკულ ქვეყნებში კიდევ მოაწყო თხეი ექსპედიცია, რომლებშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები. 1893 წელს მანვე საქართველოში ჩამოიყვანა ჩაის ცნობილი ჩინელი ტექნოლოგი ლაუ ჯონ ჯაუ და ჩაის კიდევ სხვა ათი სპეციალისტი.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორ-აგრონომი ი.კლინგენი გაეცნო სოლოვცოვისა და ჩაქვში მოაგარაკე სხვა კოლონისტების მამულებს ჩაქვში, ციხისძირში, მწვანე კონცხევე და საუფლისწულო მამულების სამმართველოს დაუსაბუთა ჩაქვში და ჩაქვის წყლის ხეობაში სუბტროპიკულ მეურნეობის შექმნისა და განვითარების რეალური შესაძლებლობა. ამ მიზნით სოფელ ჩაქვში 1894 წელს საუფლისწულო მამულების სამმართველომ მიწათმოქმედების სამინისტროსაგან მიიღო სახელმწიფო აგარაკი, ადგილობრივი მოსახ-

ლეობისაგან შეისყიდა მიწები და შექმნა ჩაქვის საუფლისტულო მამული. იგი წარმოადგენდა ერთადერთ მსხვილ მეურნეობას, სადაც საფუძველი ჩაეყარა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის შექმნასა და განვითარებას.

ჩაქვის საუფლისტულო მამულში, მეჩაიერების განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ციტრუსების, ტუნგის, ბამბუკის, ხურმისა და სხვა სუბტროპიკული მცენარეების გაშენებას, რამაც დიდი როლი ითამაშა საქართველოში სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში. აქ გამოყვანილი ნერგები და თესლი იგზავნებოდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და საქართველოს საზღვრებს გარეთაც—კრასნოდარის (1901 წ.) მხარესა და ლენქორნის (1904 წ.) რაიონში.

ჩაქვის საუფლისტულო მამულში უმთავრესად ადგილობრივი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ხალხი მუშაობდა. მუშაობის დროს ისინი ითვისებდნენ ჩაის და სუბტროპიკული კულტურების მოვლა—პატრონობისათვის აუცილებელ უნარ—ჩვევებსა და აგრარულ ცოდნას. ჩაისა და ციტრუსების თესლი და ნერგები ჩაქვის მამულიდან ადგილობრივ მოსახლეობას ხშირ შემთხვევაში უფასოდ გაძქონდა, მათ ეძლეოდათ აგრეთვე აგრონომიული რჩევა—დარიგებები, რადგან მამულის მმართველობა ამაში მზა ჩაის წარმოებისათვის ნედლეულის მოპოვების უებარ საშუალებას ხედავდა. ამასთან, რადგანაც რუსეთის კოლონიური რეჟიმი აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლში სუბტროპიკული მეურნეობის აყვავების დიდ პერსპექტივებს სახავდა, ცდილობდა ეს ტერიტორიები თავისი ერთგული ქვეშევრდომებით დაესახლებინა [ააცსა, ფ. ი.- 22]. სოლოვცოვისა და დალივნისის გარდა აქ საკუთარი მამულები პქონდათ მეფის სამსახურში მყოფ გადამდგარ ჩინოვნიკებს, მრჩეველ სტოინოვს, ბოლკოვნიკის ქვრივ სავარვას, სამხედრო ინტენდანტ ზურაბოვს, შტაბსკაპიტან მაცეკას, ფ. სკურატოვს, კაჭესენს და სხვებს. რაც შეეხება ჩაქვის ადგილობრივ მოსახლეობას, მის შესახებ 1893 წელს გამოცემულ კრებულში «Сельскохозяйственное описание куль-турного района Чаквского бассейна», ვკითხულობთ, რომ ისინი “გურულების ერთ-ერთი შტოა, ძალიან ნიჭიერი, სრულყოფილი როგორც გონებრივად, ახევე ფიზიკურად, მაგრამ მათ ზნეობრივ აღზრდაზე უარყოფითი გავლენა იქონია თურქულმა რეჟიმმა. ჩაქვის მოსახლეობა უფრო მეტად მეომარი ხალხია, ვიდრე მიწათმოქმედი [სცსია, ფ. 273.].

საინტერესოა, თუ როგორ ახასიათებს რუსი მოხელე ფ. კრიშტოფოვიჩი თავის მოხსენებაში 1895 წელს ჩაქვის მიდამოებს: “ეს მხარე მდებარეობს ზღვის სანაპიროზე, სადაც მშენებიერი ნაგსაყუდელი უურებებია და რომელთაც მჭიდროდ გასდევს სარკინიგზო ხაზები, ე.წ. სახელმწიფოს სასიცოცხლო არტერიები.

მიუხედავად ამისა, სანაპიროზე ისედაც მეჩხრად დასახლებული მოსახლეობა კი არ მატულობს, არამედ მათი რიცხვი სწრაფად ეცემა, რუსული კოლონიები აყვავების მაგიერ ერთ ადგილზეა გაყინული, მიწის ნაყოფიერება მეტად უმნიშვნელოა... ეპალ—ბარდი განადგურებითა და მოსპობით ემუქრება ყოველგვარ კულტურას და ადამიანი, ბუნებაზე თავისი ჩვეული ზეიმის მაგიერ, უფრო და უფრო დაბლა ხრის თავს ძლიერი მეტოქის წინაშე. ბუნება აქ უსიტყვოდ ბატონობს და ადამიანი ცხოვრობს მათხოვრულად ბუნების უამრავ სიმდიდრესა და სიუხვეს შორის, კარგავს რა უკანასკნელ მხენობასა და იმედს უკეთეს მომავალზე”... [სცსია, ფ 356]. ამ მოკლე და ემოციურ დახასიათებაში კარგად არის ასახული მაშინდელ ჩაქვის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

როგორც ზემოთაც ითქვა, ჩაქვის საუფლისტულო მამულმა დიდი როლი შეასრულა საქართველოში სუბტროპიკული კულტურების დანერგვისა და განვითარების საქმეში, მაგრამ ამ რეგიონში სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე უარყოფითი გავლენა იქონია პირველმა მსოფლიო ომმა. მან არა თუ შეანელა ჩაქვის მამულის განვითარება, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუტოვა განადგურების პირას მისული მემკვიდრეობა—ადრე გაშენებული პლანტაციების დიდი ნაწილი განადგურდა. სოლოვცოვისა და პოპოვის მამულები იმდენად გაველურდა, რომ მისი აღდგენისათვის საჭირო იყო დიდი სახსრების გაღება და მძიმე, შრომატევადი სამუშაოების ჩატარება.

ჩვენ სტატიაში გამოვიყენეთ იმ ადამიანთა მოგონებები, რომელთა შრომითი გზაც ჩაქვის საუფლისტულო მამულში დაიწყო. ესენი იყვნენ პერსიონერები და შრომის ვეტერანები: ფატი გიგინეიშვილი, თამარ დისამინჯია, გრიგოლ ტიკარაძე, ნიკოლოზ ლორია და სხვები. აი, როგორ იგონებენ ისინი რევოლუციამდელ პერიოდს: “უსიხარულო იყო მიწათმოქმედთა ცხოვრება ჩაქვში ცარიზმის დროს. უმნიშვნელო გამომუშავება, კმუშაობდით აისიდან დაისამდე, ზოგჯერ დღეში 14–16 საათს; დღიურად გვაძლევდნენ 20–60 კაპიკს. ჩაქვი სავსე იყო კოლოებით. ჭაობი, უგზოვა, ირგვლივ ეკალ—ბარდი და ტყე—ბუჩქნარი, უსინათლობა; ვცხოვრობდით ხის ბარაკებში, გვეძინა ორ და სამ იარუსიან საწოლებზე. ჩვენი განუყრელი თანამგზავრი ზამთარში სიცივე, ზაფხულში სიცხვ, რწყილი და ბაღლინჯო იყო. გამეფებული იყო ავადმყოფობა და სიკვდილიანობა. არ იყო ჩაქვში არცერთი უქიმი” [ისტორიის ლაბორატორიის ექსპედიციის მასალები]

ძნელბედობის უამს, ჯერ თურქების, შემდეგ კი ინგლისელების ოკუპაციის პერიოდში ჩაქვის მეურნეობა, ისევე როგორც სხვა მეურნეობები ბათუმის ოლქში კიდევ უფრო დაეცა. ჩაქვის მამული ძლიერ დაზარალდა 1918 წელს თურქეთის სამხედრო ოკუპაციის პერიოდში. დაზიანდა

საცხოვრებელი სახლები, ოკუპანტებმა დაიტაცეს სასოფლო—სამეურნეო იარაღები, გაითელა ჩაის ბუჩქების ნაწილი და მრავალი კულტურული ნარგავი.

ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე, სანამ თურქეთის სამხედრო ნაწილები ბათუმს დაიკავებდნენ (1918 წლის 1 აპრილი) ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველობამ სოხოვა ადგილობრივ ხელისუფალთ შედოთ ღონისძიებაზე მამულიდან მომსახურეთა და მათი ქონების ნორმალური ევაკუაციისათვის [ააცსა, ფ. რ-4]; მაგრამ მისგან მიიღო მითითება, მშვიდად გაეგრძელებინათ მუშაობა და თუ საჭირო იქნებოდა, თავად შეატყობდნენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მაგრამ საჭირო მომენტში მთავრობისაგან ჩაქვის საუფლისწულო მამულმა ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო და მისი მმართველობა იძულებული გახდა საკუთარი ძალებით მოეხდინა მოსახლეობისა და მათი ქონების ევაკუაცია.

თურქეთის სამხედრო ნაწილები 2 აპრილს შემოვიდნენ მამულის ტერიტორიაზე. დაიწყო სასტიკი ძარცვა, რომლის შესაჩერებლად ოსმალთა სამხედრო ხელისუფლება არავითარ ღონისძიებას არ ღებულობდა, რის შედეგადაც მოსახლეობის ნაწილმა მთლიანად დაკარგა თავისი ქონება, ხოლო საერთო განუგითხაობის მსხვერპლი გახდა მისი დიდი უმრავლესობა [ააცსა, ფ. რ-4].

1919 წელს ინგლისელთა მმართველობის პერიოდში ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩატარებული კომისიის მონაცემებით, მარტო ჩაქვის ჩაის ფაბრიკის გამგის, ჩინელი მოქალაქის ლაუ ჯონ ჯაუს ზარალმა ვალუტით 35000 მანეთი შეადგინა ოქროთი [ააცსა, ფ. ი- 22]. 1919 წლის 1 იანვრიდან 1920 წლის 8 ივნისამდე გაგრძელდა ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდი, ხოლო ამ დროიდან ხელისუფლება გადავიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელში, რომელმაც ჩაქვის საუფლისწულო მამული თავის მმართველობაში მიიღო წინა წლების ნარჩენი 1.195.093 მანეთი და 40 კაპიკი ზარალით. მიუხედავად ამისა, 1920 წლის სამეურნეო ანგარიში ჩაქვის მეურნეობამ დაამთავრა 74, 352, 422 მანეთი და 92 კაპიკი მოგებით, რომლის უდიდესი რაოდენობა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მომგებიან შემოსავალზე მოდიოდა. 1920 წლის დეკემბრის ოქროს ვალუტის კურსით, როდესაც 1 მანეთი უდრიდა  $\frac{1}{5}$  კაპიკს, ვდებულობთ მოგებას 148. 704 მანეთს ოქროთი, რაც ჭაროს 1912, 1913, 1914 წლების საშუალო მაჩვენებელს [ააცსა, ფ. -288].

1920 წლისათვის მამულში აწარმოეს 200 000 ფუნტი ჩაის მზა პროდუქცია, რაც 18.128 ფუნტით ჩამორჩებოდა 1911 წლიდან ბოლო ათი წლის საშუალო მაჩვენებელს, ამასთან მაღალი იყო წარმოებულ პროდუქციის თვითღირებულებაც [ააცსა, ფ. ი- 22].

წესრიგი იმდენად მორყეული იყო მუშა—მოსამსახურეთა შეთხელებულ რიგებში, რომ 1920 წლის ბოლოს მეურნეობის მმართველობა იძულებული

გახდა თხოვნით მიემართა ბათუმის ციხის კომენდანტისათვის, რომ მას ნება დაერთო მამულში გამოეყენებინათ ჯარისკაცთა შრომა [ააცსა.ფ. - 288 ].1919–1920 წლებში მუშახელის უქმარისობის გამო მოსავლის მხოლოდ 60 პროცენტი იქნა აღებული, ხოლო 1918 წელს კი, მხოლოდ 35 პროცენტი. მუშახელის უქმარისობის საკითხი მეურნეობის წინაშე მკაცრად იდგა საქართველოს გასაბჭოების მომენტშიც [ააცსა.ფ-1].

1921 წლის ივლისის საქართველოს სსრ რევკომის აჭარის ასსრ მოწყობის შესახებ დეკრეტით ჩაქვის საუფლისწულო მამული გაუქმდა, ხოლო იმავე წლის აგვისტოში იგი ნაციონალიზებული იქნა და გადაეცა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ჩაქვის სახალხო მამულის სახელწოდებით.

### **Ucha Okropiridze**

#### **From the History of Chakvi Estate**

##### **Summary**

In the issue it is submitted the industrial development of tea and citrus culture in Georgia and the historiography of these questions. It is stated the meaning and the role of Chakvi estate in this business. There is the brief history of Chakvi estate as in the period of Russian Empire (1878-1917) and in the period of sojourn of Turks and Britons (April 1918-July of 1920), so in the time of Georgian democratic republic.

### **Уча Окропиридзе**

#### **Из истории Чаквинского удельного имения**

##### **Р е з ю м е**

В статье представлены данные промышленного развития чайного и субтропической культуры в Грузии и историография этих вопросов. Рассказано о значении и роли Чаквинского удельного имения в этом деле.

Дана краткая история Чаквинского удельного имения, как в период Российской империи (1878-1917 г.г.), так и в период временного пребывания в регионе турок и англичан (апрель 1918 г.- июль 1920 г.) а также и в период Грузинской демократической республики.

## გამოყენებული დიტერატურა და წყაროები

1. გ. აფხაზავა, ჩაის ბუქის გასხვლის მექანიზაციის საკითხისათვის, ბათუმი, 1957
2. ქ. ბახტაძე, ახალი ქართული ჩაი, ბათუმი, 1950.
3. ქ. ბახტაძე, ჩაის პლანტაციის მაღალი ხარისხისათვის, ბათუმი, 1954.
4. ქ. ბაბილონძე, შრომის მწარმოებლურობის გადიდების რეზერვები ჩაის ნედლეულის წარმოებაში, თბ., 1963.
5. ა. ბრეგვაძე, ჩაის წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში, უკრ., „მაცნე”, №3, გვ. 25, 1957.
6. ქ. გაბუნია, ნარკვენები სსრკ ჩაის მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1960.
7. პ. გუგუშვილი, ჩაის კულტურის ისტორიისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, , ტ. 6, ნაწ. 2, 1954.
8. ბ. იაკობაშვილი, სუბტროპიკული კულტურების სელექცია, თბ., 1958.
9. ლ. ნანეიშვილი, ვ. ებრალიძე, ჩაის ისტორია, თბ., 1958.
10. პ. პატარაია, ჩაის საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის საკითხი, ბათუმი, 1957.
11. ვ. პაპუნიძე, სუბტროპიკული მეურნეობის სიდიდისა და რენტაბელობის ამაღლების საკითხები, ბათუმი, 1962.
12. გრ. ქარჩავა, საქართველოში ჩაის საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობა და მისი გადიდების გზები, თბ., 1958.
13. გრ. ქარჩავა, საქართველოში ჩაის წარმოების ძირითადი ფაქტორები, თბ., 1963.
14. გრ. ქარჩავა, ჩაი, მისი წარმოება და მოხმარება, თბ., 1963.
15. გრ. ქარჩავა, საქართველოში ჩაის წარმოების ძირითადი ფაქტორები, თბ., 1970.
16. შ. ჯაფარიძე, სუბტროპიკული კულტურების განვითარება საქართველოში, გამომც. „საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.
17. შ. ჯაფარიძე, სუბტროპიკული მეურნეობის განვითარება აჭარაში, ბათუმი, 1972.
18. Бахтадзе К., История культуры чая в СССР, Тб., 1955.
19. Бахтадзе К., Развитие культуры чая в СССР, Тб., 1961..
20. Габисония М., Чайная культура в Грузии и перспективы ее развития, Эк. вестн. Закавказ. №3, 1924.
21. Гугушвили П., К истории культуры чая в СССР, Труды инст. экон. т. IX, 1956.
22. Еристави М., Сельскохозяйственные заметки, СПБ, 1898.
23. Каландаришвили Л., Пирадов Б., Друг из далека, Сборник документов о развитии чайного производства в Грузинской ССР, Тб., 1961.
24. Кварацхелия Т., История чайного растения в Грузии, Вестн. гос. музея, Тб., т. XI, 1941.
25. Орагвелидзе И., Развитие чайного хозяйства в Грузии, Тб., 1962.
26. Ростонцев С., Культура чая в России, журн. «Естествознание и География», , декабрь стр. 42, 1899.
27. Субботин А.П., Чай и чайная торговля, СПБ, 1904.
28. Френкель А., Очерки Чуруксу и Батума, Тиф., 1879.

29. Хасия Б., Расширенное воспроизведение в чайных совхозах Грузинский ССР, Тб., 1959.
30. სიცია, ფ. 273, ან. 7, საქმე 718, ფურც. 1–8
31. ააცხა, ფ.0–22, ბ. 24, ან. 1, ფურც. 44, გვ. 58
32. ააცხა, ფ. 273, ბ. 125, ან. 7, გვ. 243
33. სიცია, ფ. 356, ბ. 507, გვ. 26
34. 1984 წლის ნ.პ. დენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომითი კოლექტივების ისტორიის დაბორატორიის ექსპედიციის მასალები
35. ააცხა, ფ. რ-4, ან., 1, ბ. 49, გვ. 51
36. ააცხა, ფ.0–22, ბ. 502, გვ. 6–7
37. ააცხა, ფ. 288, ან. 1, ბ. 79, გვ. 49
38. ააცხა, ფ.0–22, ან. 1, ბ. 559, გვ. 45
39. ააცხა, ფ. 288. ან. 1, ბ. 306, გ. I, გვ. 3
40. ააცხა, ფ. რ-1, ან. 11, ბ. 39, გვ. 46–47.

## სიმონ გოგიტიძე

### ქაშჩები და მათი ეთნიკური პუთვენილება

ქაშქა (კასკა) ძველადმოსავლურ წყაროებში სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი (კასკა, ქაშქა, ქასქა, გაშგაშ, კაშქა, ქაშქი, კასკუ, გაშქა, კასკიფ, კასკაია). ამიტომაც როგორია ამ სატომო სახელის თუ ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინის სემანტიკის გარკვევა, მით უფრო, რომ მკვლევრები ცდილობენ ამ სახელწოდების შინაარსის ახსნა დაუკავშირონ ჩრდილ-დასავლეთ კავკასიურ ენებს. სინამდვილეში თითქმის მთელი მცირე აზია, განსაკუთრებით ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი დასახლებული უნდა ყოფილიყო ქართული წარმომავლობისა და მათი მონათესავე ეთნიკური ჯგუფებით. ამაში ნათლად დავრწმუნდით ჯერ კიდევ ჩვენი მონოგრაფიებისა და ცალკეული ნაშრომების მომზადების პროცესში (გოგიტიძე, 2002).

გ. გიორგაძის გადმოცემით, ქასქებს ხათების შთამომავლებად მიიჩნევენ, თუმცა ეს ვარაუდი დღეისათვის პიპოთეზად რჩება. ქასქებს ზოგჯერ განიხილავენ როგორც ანატოლიის ერთ-ერთ ადრეულ მკიდრო, რაც ჯერჯერობით არ მტკიცდება, თუმცა დაუსაბუთებელია მეორე ვარაუდიც, რომლის მიხედვით ქაშქები თითქოს მოგვიანო ხანებში დასახლებულან ანატოლიაში. დღეისათვის აშკარაა, რომ ისინი ხეთებისაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი იყო (გიორგაძე, 1988:42–43).

გ.გიორგაძე თავის სპეციალურ მონოგრაფიაში აღნიშნავდა, რომ ქასქური ტოპონიმები, მაგალითად: ახშარფაია, ელურია, გახარია, შარია და ა.შ. წარმოებულია იდ სუფიქსით. მსგავსი მაწარმოებელი ერთვის მეგრულ გვარებს: ქეცბაია, თოფურია, ქანთარია, გახარია, ფიფია, გამახარია და ა.შ.

პატივცემული მეცნიერის აზრით ქასქა (ქაშქა) სგა-სქა მეგრული სუფიქსებითაა გაფორმებული. სგა, შქა ნიშნავს შუა. ქაშქურ ტოპონიმებში ხუმინთიშქა, თათიშქა შეიძლება დავინახოთ მეგრული დიშქა (=შეშა). მსგავსი სუფიქსიანი ტოპონიმები შემორჩენილია სამეგრელოში დღესაც-ეირდალიშქა. მრავალ ტოპონიმებსა და საქუთარ სახელებში გამოიყოფა მეგრული სუფიქსი ვა. გ.გიორგაძე სხვა მრავალი მასალის მოტანისა და განხილვის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქასქები უფრო მეტად კოლხური წარმომავლობისანი არიან ვიდრე აფხაზურ-ადიღეური. ქასქების ენა არ იყო არც ხეთური, ხურიტული, ლუვიური და არც ფალაური (გიორგაძე, 2000:15–17, 70).

გ. მელიქიშვილი აღნიშნავდა, რომ ზოგი მკვლევარი ქაშქებს პროტოეფთებს აახლოებენ, რადგან ბევრი ქაშქური სახელი თითქოს პროტოეფთური

ენის მონაცემებით იხსნება. მაგრამ მეცნიერები ხშირად პროტოხეთურ ენასაც აფხაზურ-ადიღეურ ენებს აახლოვებენ. ამრიგად, ასკვნის პატივ-ცემული მეცნიერი იგი ქაშქებში აფხაზურ-ადიღეური თუ პროტოხეთური წარმომავლობის ტომები უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქაშქა ტერმინის ქვეშ არაერთი ქართველური ტომიც უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც იმ მხარეში მოსახლეობდნენ (მელიქიშვილი, 1973:360).

გ.მელიქიშვილი იგივეს აღნიშნავდა თავის მონოგრაფიებშიც: ქაშქა სახელი გარკვეული ეთნიკური ელემენტის სახელწოდება უნდა იყოს. გამორიცხული არა, რომ ზოგჯერ ამ სახელის, როგორც კრებითი სახელწოდების, ქვეშ ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ტომები ერთიანდებოდნენ. მაგალითად, ქაშქებთან დაკავშირებულ ონომასტიკონში თავს იჩენენ ხური-ურარტული ელემენტებიც, მაგრამ წარმოშობით, ამ სახელწოდების მატარებელი ტომები სულ სხვა ეთნიკური შედგენილობისა უნდა ყოფილიყვნენ.

ქაშქების ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის საინტერესო მასალას იძლევა თვით ამ ხალხის სახელწოდება. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელაა აღნიშნული, რომ ტერმინი ქაშქა მსგავსებას ამჟღავნებს ჩერქეზთა სახელწოდებასთან. ძველქართულ წყაროებში ჩერქეზები „ქაშაგ“ სახელით არიან ცნობილი. ძველი რუსული წყაროები კი მათ „კოსოვ“-ს ეძახიან. ამავე სახელწოდებით არიან ისინი მოხსენიებულნი სხვა უცხოურ წყაროებშიც. საქმე ეხება იმას, რომ ასურულ ძეგლებში ქაშქის ვარიანტად გვევლინება ტერმინი აბეშლა. მაგალითად ასურეთის მეფის ტიგლათოფილესერ I-თან პრიზმა-წარწერაში ისინი ქაშქიელებად არიან მოხსენიებულნი, იმავე მეფის სხვა წარწერაში ქაშქას ნაცვლად დასახელებულია აბეშლა. ისინი აქ ერთიმეორის სინონიმებად გვევლინებიან. ტერმინი აბეშლა სიახლოვეს იჩენს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე აფშილების ტომის სახელთან, რომელიც ერთ-ერთი ჩრდილო-კავკასიური, ჩერქეზულ-ადიღეური ან აფხაზური ტომი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, გადმოგვცემს პატივცემული მეცნიერი, სატომო სახელების (ქაშქა-ქაშაგი, აბეშლა-აფხსილი) მონაცემებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქაშქა და აბეშლა ჩრდილო-კავკასიურ, კერძოდ კი აფხაზურ-ადიღეური ტომები და პროტოხეთების შთამომავლები შეიძლება იყვნენ (გ. მელიქიშვილი, 1999: 93-95, 126-127; მისივე: 1960:7). მიუხედავად ამისა გ.მელიქიშვილი მაინც ფიქრობს, რომ ქაშქების მთავარი ქვეყნების (დუღუშქა, ხალილა) სახელწოდებანი თავიანთი სუფიქსებით სიახლოვეს ამჟღავნებენ ხური-ურარტულ სამყაროსთან (მელიქიშვილი, 1999:19).

თავის სხვა ნაშრომში გ. მელიქიშვილი აღნიშნავდა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქაშქები ლაპარაკობდნენ პროტოხეთურ ენაზე. ისინი ძველია ძვ.წ. III ათასწლეულში გავრცელებული იყვნენ მცირე აზიის დიდ ტერიტორიაზე: მის ცენტრსა და მდინარე ჰალისის (ყიზილ-

ირმაკი) აუზში. ამ მხარეში ხელი-ნესიტების გამოჩენის შემდეგ ძვწ. II ათასწლეულში ძველი მოსახლეობა დარჩა ძირითადად ჩრდილოეთ (ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთ) მხარეს, შავი ზღვისა და ამიერკავკასიის მომიჯნავედ. ამიტომ ქაშქებში უნდა ვიგულისხმოთ პროტოეფთებთან ეთნიკურად ახლოს მდგომი ხალხი. ხეთები ამ ტერმინში აერთიანებდნენ აქ მცხოვრებ ზოგიერთ ქართულ და ხურიტულ ტომებს. ამ მხრივ საინტერესოა აღინიშნოს ქაშქების ერთ-ერთი „მთავარი ქალაქის“ ხალილას იგივეობა ურარტუს ქვეყნის იმავე სახელობის ოლქთან, რომელსაც იხსენიებს სალმანასარ I (ძვწ. XIII ს.) (.Меликишвили, 1959:168–169).

ი.დიაკონოვის გადმოცემით, პონტოში მცხოვრებ ქასკიელებს მიიჩნევენ ხეთების მონათესავედ (იმოწმებს გ.მელიქიშვილს), დასავლეთ ქართველებთან ან აფხაზურ-აღილეურ ხალხთან (გ.მელიქიშვილი, ს.ერჭმიანი). ქასკეის ოლქი ტიბია დასახლებული იყო ტომით, რომელსაც ბერძნები ტიბარენებს უწოდებდნენ. ტაბალის სახელს ჰგავს მხოლოდ გარეგნულად და არ მტკიცდება არც გეოგრაფიულად და არც ლინგვისტურად. აბეშლა კი უკავშირდება აფხილს-აფხსუას, ე.ი. თანამედროვე აფხაზებს (.Дьяконов, 1981: 52,53).

ი. ვორონოვის აზრით, ასურულ წყაროებში მოხსენიებული ქაშქები და აბეშლაები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან მოვიდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლებიც აფხაზურ-ჩერქეზული წარმომავლობისანი იყვნენ. მათ აქ თან მოიტანეს დოლმენური კულტურა და შეერწყენ აბორიგენებს და ასე ჩამოყალიბდა აფხაზური ეთნოსი. ამას ადასტურებს არაერთი ტოპონიმიკური მასალა, რომლებიც მათ დატოვეს სამხრეთში აკამფსისი, სინოპა, აფხარეა, სუფსა, ფასისი, არიფსა და სხვა. ესენი შეიძლება დავუკავშიროთ ტომ იგანიერებულებს, რომლებიც აქ მოსახლეობდნენ (Воронов, 1969:74).

ვ. ხაჩატურიანის, ვარაუდით ხატების ადგილსაცხოვრისი, როგორც უკვე გარკვეულია მდ. ჰალისის აუზით იფარგლებოდა. მაგრამ ზოგიერთი კასკიური ტოპონიმი ხაოური მასალების მიხედვით შედარებული და გაანალიზებული, ხატების გავრცელების არეალად მიუთითებს აგრეთვე აღმოსავლურპონტოური მთების რაიონს (Хачатряն, 1971:85).

შ. ინალიფა იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თეორიებს, იმის შესახებ, რომ ძველაღმოსავლური აბეშლა უნდა შეესატყვისებოდეს აფხილებს (აბხილებს). მხოლოდ იმიტომ, რომ სახელწოდება აფხილი ახლოს დგას ტერმინი აბეშლასთან. მისივე აზრით, აბეშლა, აფხილი, აფშილი და თვითსახელწოდება აფხაზებისა აფხსუა მომდინარეობენ ერთ-ერთი ადგილობრივი ეთნონიმიდან (Инал-ипа, 1965:85).

ნ. მარის თეორიის თანახმად, სამხრეთ კავკასიაში უხსოვარ დროს ერთ-ერთი უძლიერესი ხალხი კასები იყვნენ, რომლებიც განსხვავებულად იწოდებოდნენ: ხან კას-კუ, ხან კას-ხ, ხანაც კას-პ, ხანაც კიდვე კახი

(კახელები). მათთანაა კავშირში კასპიის ზღვისა და კავკასიის სახელები (Mapp, 1916: 1392–1394).

დ.ბუდიანიძეს გ. ჭელიძისა და გ. გორგაძეზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ ქასქების კოლხურ-სვანურ წარმომავლობას ეთანხმება ენობრივი ერთგვაროვნების მაგალითები: კარდი-მკერდი, სუფი-სუფთა, ველი-ველი, დუდლუმილი-დუმილი, ვაცარ-ცხვარი (ქართ. ვაცი) და ა.შ. აქვა მოტანილი გვარწოდებათა მაგალითები : ხუცია, ფილია, მასხულივა, შუხურია, გახარია, შარია, ფასურია, ფაცაცია. ყურადღებას იქცევს ქართული გვარის მიმსგავსებული გამოთქმა ქაშქურში: თაქაშთურია-ბალათურია, ჭანტურია (დ.ბუდიანიძე, 2006, შეადარეთ გ.გორგაძე, 1999:3).

დ. მელიქესეთ-ბეგი (იმოწმებს ქ. განს, ვ. სენ-მარტინს, ვ.ბოგომოლოვსა და სხვებს) გადმოგვცემს, რომ კავკასიის სახელწოდება კასქების (კას-პ, კას-კუ) ტომის სახელწოდებას უკავშირდება. მთათა სისტემის კასპიეს დაკავშირება შეიძლება აგრეთვე ქალაქ კასპთან, კავკასიასთან (Меликсеит-беков, 1924:92–93).

გრ. დაფანციანი თავის ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ ტერმინ “კაშკა” – ში “კაშ” ძირია, იგივეა, რაც “კასიტ” – ში გამოყოფილი ფუქს “კას” khaj სომხურად ნიშნავს ხრაբრებს (Капанцян, 1956:134–135, მისივე: 1947: ქვეთავი გაშგა ანუ კაშკა).

ვ.არძინბა ჯ. მაკუინის წიგნის ბოლოსიტყვაში (იმოწმებს გ.მელიქი-შვილს, გ.გიორგაძეს, ი.დიაკონოვს) მიუთითებს, რომ ხატები და ქაშქები მონათესავე ტომები არიან., ქაშქა და აბეშლა ეკუთვნოდნენ აფხაზურ-ადიღეურ ენათა ჯგუფს (Маккуин, 1983).

ამ მიმართულებით გვინდა გამოვყოთ ს. ბადა, რომელმაც კვლევა-ძიება სხვა მიმართულებით წაიყვანა. მან არა მხოლოდ უარყო მანამდე გამოთქმული შეხედულებები, არამედ ქაშქას ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე სახელწოდება, რომლებიც ძველაღმოსავლურ წყაროებში მოიხსენიება, დაუკავშირა ქართველურ სამყაროს. ამავე დროს მოგვცა თითქოსდა ამ ტოპონიმთა და ადამიანთა საკუთარ სახელთა სემანტიკური ანალიზი. მისი აზრით, ტერმინი კაშქა უნდა დაიყოს ლაზ-მეგრულ ქა და შეა ელემენტებად. პირველი მათგანი აღნიშნავს რქას, ხოლო მეორე შუაში. საერთო ჯამში ქაშქა ნიშნავს “რქა შუაში”, ე.ი. ამ ქვეყნის “შუაში ყოფილა რქა”. მკვლევარი იქვე სვამს კითხვას რქისებრი ხომ არ იყო ამ ხალხის ტერიტორია შეჭრილი ქვეყნის სიღრმეში (ბადა, 2006:282).

მკვლევარი ნაშრომის სხვა ადგილას ქაშქაის განმარტებისას ტერმინის პირველ ნაწილს (ქაშ) ყოფს ქა-შ ელემენტებად. ქა იქნება რქა და ეს სიტყვა ბანანური ტრადიციით რქიანს ნიშნავს, ხოლო შ-არის აუთვნილების მაჩვენებელი სუფიქსი და იხმარება მის წინ დასმულ სიტყვასთან ერთად, მივიღებთ ქაშ-ს, რაც ქართულად იქნება რქიანის აუთვნილება (ბადა, 2006:327).

ს. ბადამ ქაშქას ქვეყნის ასურული ვარიანტის ეტიმოლოგიას მეგრული ენის გამოყენებით ხენის. მისი აზრით, იგი უნდა დაიყოს აბე-შ-ლა და თითოეული ნაწილის შინაარსი შემდეგია: აბე იგივე ამბე-ამბავია, შ-ახსოვს, ლ-ციდან ვარდნა. საერთო ჯამში ტერმინი ნიშნავს “მეფობა ციდან ვარდება”, ან „ვარდნის ამბავი ახსოვს”. მისივე აზრით, ქაშქა და აბეშლა მონათესავე ტომები არიან (ბადა, 2006:298–304). მკვლევარი იძლევა ქაშქას ქვეყნის ტერიტორიაზე დასახელებულ ზოგიერთი ტოპონიმის ახსნას. ესენია: გახარია, თათაშთურია, თაქაშთურია, თახანთარია, ვაშხაია, ქათხარია, ქათხაიდუა, დუდუშკა, ქაშალუვა და სხვა (ბადა, 2006:298–304), რომლებსაც სათანადო აღგილას განვიხილავთ.

კ. თოფურიას აზრით, თაქა-შ-თურია-ში თაქა-მამაკაცის სახელია, თური მეგრულად ნიშნავს გვარს ე.ი. თაქაშთურია განიმარტება, როგორც თაქას გვარისანი, შეადარეთ: ბადათურია-ბადის გვარისანი, ჭანტურია-ჭანის გვარისანი, ქუთათურია-ქუთას გვარისანი და ა.შ. მკვლევარი მიუთითებს, რომ, მართალია ჯერჯერობით არ ხერხდება განხილულ ქასქურ ტოპონიმთა და საკუთარ სახელთა მნიშვნელობის დადგენა, მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები მაინც იმსახურებენ უერადდებას თავიანთი ბგერითი შემაღებელობით, ქაშქების ეთნიკური ვინაობის დასაღებენად. ისინი მიუთითებენ უფრო მეტად ქასქების კოლხურ წარმომავლობაზე, ვიდრე აფხაზურ-ადიდეურ წარმომავლობაზე (თოფურია, 1999).

ირ.ტატიშვილის მიხედვით დღეისათვის კვლავ გადაუჭრელი რჩება საკითხი ქაშქების ვინაობისა და ენის შესახებ. ამ პრობლემის კვლევა, გარკვეულწილად გადაჯაჭვულია ქართველური ენების და ხათური ენის მიმართულების კვლევასთანაც ირ.ტატიშვილი, 2007:15). მკვლევარს იქვე მოყავს ი.ზინგერის შეხედულება, რომელიც არ უგულველყოფს გ-გიორგაძის ვარაუდს სამხრეთ კოლხურ, მეგრულ-ჭანურ ენებთან ქაშქების ენის ნათესაური კავშირის შესახებ, მაგრამ, მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში პრობლემას ქმნის ხათური ენა, რომელიც თითქოს უკავშირდება დასავლურ-კავკასიურ ენებს და ამავე დროს კავშირს ავლენს ქაშქებთანაც. ირ.ტატიშვილის აზრით საკითხების კომპლექსური კვლევა, გაამდიდრებს წვენს ცოდნას ჩვენი უძველესი წინაპრების მეზობელ თუ მონათესავე ტომებზე (იქვე).

ქაშქა ხეთურ წერილობით ძეგლებში მოიხსენიება ოდნავ სახეცვლილი ფორმებით-kaška, kašga, kašqa, gašga, gašqa, qaška და ა.შ. ეგვიპტურში-kškš, ასურეთში-kašku, kaškaia (ტატიშვილი, 14; მელიქიშვილი, 1999:84).

ერთი ქართული ლექსიკონის მიხედვით, ქასქას-ი ქაქანია (1986:453), მეორის მიხედვით ქაქანი სიცხისა და დაღლილობისაგან (1984:568), მესამეთი – ხშირი ქშენა სიცხისა და დაღლილობისაგან (1962:271). ქაშანი-შამბში ან თოვლში გაქელილი გზა (ერთომეული, 454). ქაშა-ზოგი ვაშლის ჯიშია, სხვაგან წერია, რომ ქაშა ისეთი ვაშლია, რომელიც

მეტისმეტი სიმწიფის გამო ფაშრდება; ზოგი ჯიშია ასეთი (1962:275). ქაშაგ ძველად ერქვა მოზრდილ ტყვეს (იქვე). მაგრამ არაა გამორიცხული ეს სიტყვები ქართულში ქაშქი ხალხის თვისებების მიხედვით გაჩენილიყო. აჭარულ დიალექტში ქაშა ვაშლს დაუმწიფებელ ან ბუნებრივად მაგარ ვაშლს უწოდებენ.

ქართულ ენაში კაშკაში-ძლიერი ბრწყინვა-ელვარებაა, მაგალითად ვარსკვლავების კაშკაში, მხექ კაშკაში გააქვს. კაშკაშა-რასაც კაშკაში გააქვს -ელვარე, მოკაშკაშე, კაშკაშა მოვარე (1986:261). კასკასი იგივეა, რაც კისკისი (იქვე).

სვანურ ენაში ქაშაკ-ძლიერის, შეუპოვარის (ქალის) სინონიმია, გაშ-დანა, გასკად, გასქა-ვიწრო ჩაკეტილი ადგილი, გას: 1 გოგმანი; 2 გახმა (ცეკვის ილეთი). ქაშან-საცალფეხო ბილიკი (თოფურია, ქალდანი: 2000:166,169, 779,77).

ქაშქი ზაზა ფანასკერტელთან ასეა განმარტებული: “რომელ არს წუენი ქერის კორკოტისა”, ე.ო. ქერის ღერლილის ნახარში წვენი. ძველ ქართულში დამოწმებულია ამგვარი ტერმინიც: ქაშქის წელი. სულხან-საბაორბელიანის განმარტებით, ესაა “ნადულარი ქერის წუენი”. ჯ.შარაშენიძის გადმოცემით, მოვანილი ტერმინები-ქაშქი და ქაშქის წყალი-ისმარტოდა ლუდის აღსანიშნავად. ასე იყო შუმერებშიც (შარაშენიძე, 1983:41–42).

სახელწოდება ქაშქას ახსნის რამდენიმე ვერსია ჩამოყალიბდა. ერთის მიხედვით ტერმინი უნდა დაიყოს ქა-შქა ან ქა-შქა. ამ შემთხვევაში ქა ადამიანის საკუთარი სახელია (სოლოგავა, 1988:548), შ-კუთვნილოებითი სუფიქსი, ხოლო სუფიქსი ქა (ხა) ქვეყანა. ტოპონიმის სრული შინაარსი იქნება ქა-ს კუთვნილი ქვეყანა. მეორე შემთხვევაში შქა ელემენტი იმავე მეგრულ ენაში ნიშნავს შვილს, მსგავსად პაპასშკუა, შეადარეთ: პაპასკირი, პაპავა, პაპასშვილი, პაპაძე და ა.შ. ამ ანგარიშით ტერმინის სემანტიკა იქნება ქას შვილი თუ შვილები.

შემდეგი ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ქა-ც და შკა (შკაია)-ც არის ორივე მეგრული სახელები. გვაქვს გვარი ქაშაკაია, რაც იგივეა ქაშქაია-კასკაია (ასურულწყაროში ასეა მოხსენიებული). ორივე ნაწილი დამოუკიდებელი სახელგვარებია, კერძოდ ქა და მისი ნამრსახეობანი ქაი, ქაა, დამოუკიდებელი სახელებია. ასევე დამოუკიდებელი პირსახელებია: შაკუ, შაკაია, შაკია. ხოლო ამ ორივესგან ნაწარმოები ქართული გვარები შემდეგია: ქაშაკაია, ქააიძე, ქაშაყაშვილი, ქაშაკაშვილი, შაკაია, შაკი-შვილი, ქააძე, ქაილიანი ქასძე, ჩარიქასძე და ა.შ. (მაისურაძე, 1981:169,188, 191; ცხადაია, 2007:130,131,188,231; ახუაშვილი, 1999:772; სილაგავა, 535, 554). მსგავსი სახელები (თუ სახელები და დინასტიური სახელები, იგივე გვარები) ქაშქებში იმ პერიოდში მრავლად იყო; მაგალითად: თალიფაცია, ცითახარია, ისქურუხა, თულმალია და სხვა,. ასეთივე როტული შემადგენ-

ლობის გვარები ამჟამადაც მრავლადაა საქართველოში და ეს ყველამ იცის. მაშასადამე, გამორიცხული არაა ქაშქა ორი დამოუკიდებელი პირ-სახელისაგან შედგებოდეს. ქა და შქა=შაკა ან შაკაია, ია კი ჩვეულებრივი მეგრული გვარების მაწარმოებელია.

შესაძლებელია ქაშქა=გაშქა კომპოზიტური სახელი იყოს და შედგებოდეს ორი მეგრული სიტყვისაგან გა-შქა. პირველი მათგანი გა ნიშნავდეს გორას, ბორცვს, ხოლო მეორე შქა=შუას. საბოლოოდ გაშქა-ს შინაარსი იქნება: “გორს შუა” (ადგილი), ე.ი. სადაც წარმოიშვა ასეთი სახელის მქონე დასახლება, ქალაქი. ტერმინში გამოყოფილ პირველ ელემენტს შევადაროთ უძველესი ქართული ქალაქის სახელი გა-არნი, ხოლო მეორე ელემენტს სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ასობით, მიკროტოპონიმი, ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი ზუგდიდის რაიონში: შქაშკარე, შქაშუარა, შქაშფერდი, შქაშდალე, შქაშკოკი, შქაშკოკიშ თხვამე შქადალ სკაია (სქაია) და ა.შ. (.ცხადაია, 2007:130, 131, 188,231). სამურზაყანოშია: შქატყა, შქაკონკი, შქაზენი, შქასუკი, შქაშსუკი და სხვა (.ცხადაია, ჯოზუა, 2003:91,195).

იმ შემთხვევაში თუკი ტერმინის სწორ ფორმად კასკა-ს მივიჩნევთ, მაშინ მისი ეტიმოლოგია შეიძლება გაგებული იქნას შემდეგნაირად: კა აქ უნდა იყოს ადამიანის ან ღვთაების ან ღვთაების სულიერი ორეულის სახელი (ძახიქ:135). სქა-სკა-ფუტკარი. თუკი საკვლევი ტერმინის სწორ ფორმად ქაშქას ავირჩევთ, მაშინ ქა მეგრულდად რქაა (ქართულ დიალექტებშიც ასეა) შქა=შუა, შქაშა||შკაშა შუაზე ან ქა-შ-ქა, მაშინ შ-უნდა აღნიშნავდეს კუთვნილებას, ხოლო ქი ან ხი ქვეყანას, ხალხს. აქედან გამომდინარე ტერმინის შინაარსი იქნება “კა ღვთაების კუთვნილი ხალხი,” ან ქვეყანა, ან ქა-შქა=შუა მიწა, მიწა შუა ადგილას, ან კიდევ რქიანთა ქვეყანა, რქის ქვეყანა.

ტერმინ ქაშქას წარმომავლობის სხვანაირი ახსნა ასეთია: კასკაია უნდა იყოფოდეს ორ ელემენტად კას და კაია. კას ქობულეთურ დიალექტში კარგს ნიშნავს, კაია კი აჭარულში ასევე კარგს. თუკი ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ საკვლევი სახელის სემანტიკა იქნება კარგზე კარგი, შესაძლებელია საუკეთესო.

ცნობილია, რომ ძირითადი ტომის თუ გაერთიანების სახელს სხვადასხვა წყარო (ხეთური, ეგვიპტური, ასურული) სხვადასხვა ფორმით გავწვდიან. ამ ტერმინში არსებულ აფრიკატებს კ-გ-ქ-თი გადმოსცემენ, არადა მაშინდელი მცირეაზიული სამყაროსათვის აღნიშნული ბგერები უცხო არ იყო. ამიტომ გვებადება აზრი მათ მაგიერ ხომ იგულისხმება და ან ყ ბგერები, ამ ენებისათვის უცხო აფრიკატები. ასეთ შემთხვევაში ქართული ლექსიკური მარაგის გამოყენებით ქასქების ეტიმოლოგია შეიძლება ასეც წარმოვიდგინოთ: ყაშყაში-არწივის, ორბისა და მისთანას ხმაური,

ყიფილი, დაშდაშ იგივეა, რაც დაუდაუა-წითლად ელვარება, წითლად ბრწყინვა (1962:398, 506, 515). მით უმეტეს, რომ ბოლოკიდური შ, ქაშქას, სატომო სახლს ეგვიპტურ წყაროებში თან სდეგს (კაშქაშ) (გიორგაძე, 2000:97). შეადარეთ სამეცნიერო-საგანეთოს ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები: ოდიში, ყორაში, ჩაინიში, ცაიში, აბაშა და ა.შ. თუმცა, რადგანაც ასურულ და ხეთურ წყაროებში ტერმინი შ- სუფიქსის გარეშე მოიხსენიება, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ, იგი შეიძლება კუთვნილებითი სუფიქსი იყოს და ქაშქების ტომის ქვეყანას აღნიშნავდეს. შ მაწარმოებელი, როგორც ცნობილია ამჟამადაც აწარმოებს მეგრულ-სვანურ გეოგრაფიულ ერთეულებს, ადამიანის საკუთარ სახელებსა და გვარებს: თათაში, დადაში, მარუში, ვანილიში, ბაღვაში და სხვა. მისი შემცვლელი საკუთრივ ქართულში წარმოდგენილია ს (ი) ბგერა: თბილისი, ქუთაისი, ბოლნისი, წავესი, კუმისი. სავარაუდებელია ასეთი ფორმაც ქაცქაცი-კანკალი თრთოლვა, ფანცქალი; ქაცქაცა -(დვ.) ხის ტკაცი (საბა) (ქართული... 1962:277).

შუამდინარეთში ერთ-ერთ სოციალურ ტერმინს ქაშქა მიწა ეწოდებოდა (ძახიქ, 261). შენიშვნაში, ნათქვამია, რომ ესაა მიწა, რომელიც გაუთვნოდა საზოგადოდ თვეს, ან მისი უხუცესის საკუთრება იყო (იქვე:367, შენ.11). ურარტულში ე. ი. ძველ ქართულში Kaskal ნიშნავდა გზას, ლაშქრობას (Меликишвили, 1960:378).

ხათურ ტექსტში მთვარის დვთაება წარმოდგენილია kašku სახელით (იქვე, 225, შენ.2). ხათები ქაშქები თუ არა მათი მონათესავე ტომები მაინც იყენებ. ხათი (ხართი, ქართი?) ქართველური სამყაროა, რასაც მოწმობს მრავალი ლექსიკური მასალების ერთიანობა, ამიტომ ქაშქა-კასკა ხომ არ უკავშირდება მთვარის დვთაების სახელს კაშქუ? ხათური კაშქა-ქაშქუ ასევე უკავშირდება ქართულ სიტყვას კაშქაშებს და რომელიც, როგორც მცირე აზიულ სამყაროში, ისევე ჩვენში, საქართველოში დაკავშირებულია მზესთან, მთვარესთან და იმასთან რაც კაშქაშებს (Гозалишвили, 1967:103). მაგალითად მთვარე კაშქაშებს, ე.ი. მთვარე ელვარებს, მეტისმეტად ანათებს. ასე, რომ გამორიცხული არაა ქაშქების სატომო თუ ქვეყნის სახელი დაკავშირებული იყოს მთვარის დვთაება კაშქა (თუ კაშქუ)-სთან. ქართულში კაშქაში სუფიქსი შ (ი) შეიძლება კუთვნილებითი იყოს და ნიშნავდეს იმას, რაც ეპუთვნის მთვარეს, ე.ი. კაშქუ ეპუთვნის (შ) მთვარეს (მისი დვთაებაა)-კაშქა-ში ან კაშქუ-აშ-ი.

საქართველოში გავრცელებულ გვარებში აშკარად შეინიშნება სატომო სახელ ქაშქა-კასკა-სთან კავშირები. აი ისინიც: კასაპაშვილი, ქაშაყაშვილი, ქამადაძე, ქასივაძე, ქაშიბაძე, ჭირაქაძე, ქასილაძე, კასაბიანი, კაშაშვილი, ქაშაკაშვილი, კაშია, გვაქვს სამეცნიეროში გავრცელე-

ბული სახელი ქესქია, პროტოტიპი ქასქიასი. ქესქიაშ ნაფოტნი, იქვა ტოპონიმიცაა, ქესქიაშ დალ-ჰიდრონიმი და ა.შ. (ცხადაია, 2007:65,30).

ამრიგად, ქაშქას სატომო გაერთიანების ქვეყანა, იგივე ქართველური (მეგრული) სამყაროა და არა აფხუშურ-ადიღეური. ტერმინ ქაშქას სემანტიკა ასეთია: ქა-შქა ან ქა-შ-ქა, ე.ი. ქა-ს კუთვნილი ქვეყანა ქა-ს შვილი თუ შვილები, შთამომავლები. ასევე გამორიცხული არაა სახელწოდების წარმომავლობა დაგუკავშიროთ ხათური მთვარის დავთავების სახელს კაშქა, რაც იგივე ქართული ქაშქაშია.

### **Simon Gogitidze**

#### **Kashka and their Ethnic Origin**

##### **S u m m a r y**

It is well known that Kashka tribes were living in the South-Eastern part of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Kosogi (Circassians) tribe and some scientists are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays Abkhazians). On account of our point of view Kashka tribe are not in any relation with Apsuas and Kosogs (Circassians). In contrary they were of Kartvelian origin.

Termin Kashka is connected with Kartvelian (Megrelian) personal names, surnames, toponymies and the words. It is possible to divide this word into two or three parts: Ka-shka or Ka-sh-ka. Ka-denotes the personal name of a person, Shka-shka-shkua-son, Sh-the suffix of belonging and the Ka (ki, Kha)-country, people. The content of this termin will be the next- Ka-sons or the country belonging to Ka. It is possible to connect this word Kashka with the Khattian deity by the name Kashka, Kartvelian word Kashkasha(bright) which sometimes is fixed in such form in the literature.

### **Симон Гогитидзе**

#### **Кашки и их этническая принадлежность**

##### **Р е з յ о м е**

Известно, что племена Кашки проживали на юго-восточном Причерноморье в глубине полуострова. Исследователи этот факт связывают с названием племени Косогы (Черкесы) и считают Апсуа адыгейским племенем. По нашему мнению Кашки не имели никакой связи с северо-западными народами и в том

числе с апсуйцами (т.е. с современными абхазами). Напротив, они были грузинского (мегрельского) происхождения. Эта точка зрения поддерживается хетскими источниками упомянутых личных имен и топонимов, которые на сегодняшний день являются фамилиями, личными именами, а иногда топонимами мегрелов. Напр. Малия, Хария Тулия, Фация, Фаия, Тария, Хаяя, Фамалия, Шария, Гахария, Кукава, Фифия, Тали, Дада, Ками, Мути и др.

Термин Кашка имеет связь с грузинскими (скорее всего с мегрельскими) личными именами, фамилиями, топонимами и словами. Его можно разделить на две или три части: Ка-шка или Ка-ш-ка. Ка является личным именем, шакшику-сыном, ш суффиксом принадлежности, а ка (ქი, ხი)-страна, люди. Так что этот термин означает : сыновья ка или страна принадлежащая Ка. Может быть название Кашка связано с хатским лунным божеством Кашку. Сравните с грузинским словом кашкаша (сияние звезды). Иногда в источниках встречается и в такой форме.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, II, თბ., 1999
2. ს. ბადა, ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ., 2006
3. დ. ბუდიანიძე, მითოსური პარალელები.-ლიტერატურული საქართველო, თბ., 2006
4. გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988.
5. გ. გიორგაძე, ვის ეკუთხნის ქაშქები.-გაზ. თბილისი, 1999, 9 აპრილი
6. გ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალც., 2000.
7. ს. გოგიტიძე, დაიავნი-დიაოზი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათუმი, 2006.
8. ს. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათუმი, 2002.
9. კ. თოფურია, ვის ეკუთხნიან ქაშქები, გაზ. თბილისი, 1999, 9 აპრილი
10. კ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
11. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981.
12. გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები.-საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973.
13. გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარჩეში, თბ., 1999.
14. კ. ხილოგაგა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988.
15. ირ. ტატიშვილი, ხეთები ქაშქების შესახებ,-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათუმი, 2007.
16. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962.
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, თბ., 1986.
18. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

19. ჯ. შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983.
20. პ.ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007.
21. პ.ცხადაია, ვ.ჯობეუა, სამურზავანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003
22. Дьяконов И.М. Малая Азия и Армения около 600 г. до н.э. и северные походы вавилонских царей.-Вестник древней истории, 1981, №2.
23. Гозалишвили Г. Два этюда из истории Понта и Каппадокии, Тб., 1967.
24. Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии, Сухуми., 1969.
25. Инал-ипа Ш.Д. Абхазцы, Алашара, 1965.
26. Капанцян Гр. Историко-лингвистические работы к начальной истории армян, Ереван., 1956.
27. Капанцян Гр. Хайаса- колыбель армян, Ер., 1947.
28. Маккуин Дж. Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983.
29. Марр Н. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа.-Известия Академии наук 1916 .
30. Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тб., 1959
31. Меликишвили Г.А. Население северных областей Наири-Урарту и его роль в Древне-восточной истории, М., 1960
32. Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, М., 1960
33. Меликсет-беков Л. Введение в историю государственных образований Юга Кавказа, Тиф., 1924
34. Хачатрян В.Н. Некоторые вопросы этнической географии древней Малой Азии.-Всесоюзная сессия по Древнему востоку, тезисы докладов, Тб., 1971.

აბრარული რეფორმა აჭარაში  
(1921-1928 წწ.)

გასაბჭოების შემდეგ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში კომუნისტურმა ხელისუფლებამ განახორციელდა ახალი აგრარული რეფორმა. მას საფუძველად ედო კომინისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები და სხვა. პირველი საკანონმდებლო აქტი, რითაც რესეტში დაიწყო აგრარული რეფორმა, იყო დეკრეტი მიწის შესახებ. იგი მიიღო სრულიად რესეტის საბჭოების II ყრილობამ 1917 წლის 8 ნოემბერს. მათზე დაყრდნობით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომი) 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით მიწის შესახებ განსაზღვრა აგრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები. დეკრეტის პირველ პუნქტში ნათქვამია: ”მიწა ეკუთვნის ხალხს. წყდება მიწის გაყიდვა, იჯარა და მიწის გადაცემის სხვა ფორმები” (PKA, 1963:118)

აღნიშნული დეკრეტით ქვეყნის მთლიანი მიწის ნაციონალიზაცია განხორციელდა და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. სწორედ საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 აპრილის მიწის შესახებ დეკრეტის გამოცემის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში იწყება აგრარული რეფორმა. 1921-1940 წლების აგრარული რეფორმა ორ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე (1921-1928 წწ.) მოხდა კოლონისტებისა და მემამულე-თავადაზნაურების მამულების კონფისკაცია, ხოლო მეორე ეტაპზე (1929-1940 წწ.) განხორციელდა გლეხებზე მიწების ჩამორთმევა და მათ ბაზაზე კოლექტიური მეურნეობების შექმნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემამულე-თავადაზნაურებისა და შეძლებული გლეხების სახით მტრის ხატი შექმნა და საქართველოში, კერძოდ, აჭარაში აგრარული რეფორმა ძალზე მწვავედ, დაძაბულ ვითარებაში განახორციელა. აჭარაში აგრარული რეფორმის სიმწვავე იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ რეგიონში ჭარბობდნენ წვრილი მემამულები, მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხები. სოციალური დაპირისპირება საზოგადოებრივ ფენებს შორის საკმაოდ მაღალი იყო.

ხელისუფლება დარიბ გლეხობას აქეზებდა მემამულე თავადაზნაურების წინააღმდეგ საბრძოლველად, ორგანიზაციას უკეთებდა ამ ბრძოლას. გლეხობის განწყობა აშკარად გამოვლინდა აჭარის დარიბ გლეხთა I ყრილობაზე, რომელიც 1921 წლის ნოემბერში ჩატარდა. ყრილობამ ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვა აგრარული რეფორმის დაუყონებლივ გატარება მიწის დეკრეტის საფუძველზე. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ დაუყონებლივ უნდა ჩამოერთვას აღგილ-მამულები იმათ, ვინც სხვისი შრომის ქქსპლუატაციას ეწეოდა, ე. ი. დაქირავებულ შრომას იყენებდა. და-

რიბ გლეხთა I ყრილობამ გადაჭრით მოითხოვა უფასოდ გადასცემოდა მიწები უმიწოდ და მცირებიშიან გლეხობას (ასხესმაპ, 1975: 237).

ანალოგიური დადგენილება მიიღო ე. წ. წითელი მეჯლისის I ყრილობამ, რომელიც 1921 წლის ნოემბერში გაიმართა. 25 ნოემბერს მეჯლისმა თხოვნით მიმართა ბათუმის საოლქო რევკომს, რათა გამოეცა ბრძანება მიწის ყიდვა-გაყიდვისა და იჯარით გაცემის აკრძალვის შესახებ. მართლაც, ასეთი ბრძანება გამოქვეყნდა 1921 წლის 5 დეკემბერს (ასხესმაპ, 1975: 237). მართალია, დეკრეტი მიწის შესახებ აგრარული რეფორმის განხორციელების საფუძველი იყო, მაგრამ მისი ზოგიერთი დებულება ნეპის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. საქმე ის არის, რომ საბჭოთა რუსეთში 1921 წლის გაზაფხულზე შემოიდეს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რითაც დაუშვეს კერძო საკუთრება, მიწის იჯარა, ყიდვა-გაყიდვა და დაქირავებული შრომის გამოყენება.

საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ნეპის ამ მოთხოვნებს ჯეროვანი ანგარიში არ გაუწიეს მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობასთან დაკავშირებით. მიწაზე კერძო საკუთრება, მიწის იჯარით გაცემა და დაქირავებული შრომის გამოყენება განსაკუთრებულ შემთხვევაში იყო დაშვებული, ისიც შეზღუდული სახით. მაგალითად, საქართველოს მიწათმოწყობის დებულებით (1923 წლის მაისი) და მიწის კოდექსით (1924 წლის აპრილი) მიწა იჯარით გაიცემოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მეურნე განიცდიდა ინვენტარისა და სამუშაო ძალის ნაკლებობას, არჩეული იყო ხელისუფლების ორგანოებში და ფიზიკური მუშაობისათვის დრო არ გააჩნდა, ანდა მეურნეობა დროებით დაუძლეურდებოდა (მოუსავლიანობა, სტიქიური უბედურებები და სხვა.) მიწა იჯარით გაიცემოდა საბჭოთა ხელისუფლების კონტროლით, 3-დან 6 წლამდე ვადით. მოიჯარადეს იმდენი მიწის აღება შეეძლო, რამდენსაც დაამუშავებდა საკუთარი ოჯახის ძალებით. იკრძალებოდა საიჯარო მიწის მესამე პირზე გადაცემა და სხვა.

მართალია, ნეპის პირობებში მიწაზე კერძო საკუთრება და, მათ შორის, ყიდვა-გაყიდვა ნებადართული იყო, მაგრამ პრაქტიკულად ხელისუფლება ამ პუნქტებს უგულებელყოფდა. ამის მიუხედავად, მიწის ყიდვა-გაყიდვა გრძელდებოდა. ეს პროცესი ფარულად, ხელისუფლების გვერდის ავლით მიმდინარეობდა. ამის შესახებ ინფორმაცია ხელისუფლებასაც პქონდა. აჭარის საბჭოების VI ყრილობაზე (1926წ.) აღინიშნა, რომ „...ხშირად ადგილი აქვს მიწის ფარულ ყიდვა-გაყიდვას“ (ასყ, 1971: 200).

აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის აჭარაში საყურადღებო მუშაობა ჩაატარეს. 1922 წლიდან დაიწყო სათემო, სამაზრო და საოლქო საადგილმამულო კომისიების ჩამოყალიბება. ამ კომისიებში ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გლეხებიც შეიფანება. მართალია, გასაბჭოებამდე ამ რეგიონების მიწები არაერთხელ აღწერეს, მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა ახალ რეფორმას, რომელიც

ტარდებოდა კომუნისტური პარტიის პლატფორმისა და პოლიტიკის საფუძველზე. მაშინ აჭარის საერთო მიწები (სახანგ-სათესი, საძოვრები, ტყეები) 265 ათას დესეტინას შეადგენდა. მოსახლეობის სარგებლობაში მყოფი სავარგულები (სახანგ-სათესი) საერთო ფართობის 14,4%-ს უდრიდა (24865 დესეტინა). ერთ კომლზე საშუალოდ 2,2 დესეტინა, ხოლო თითო სულზე-0,4 დესეტინა მოდიოდა. (აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 176(ა), ფურც. 44, 54)

საკომლო მიწის ეს საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე საერთოდ საქართველოში. 1923 წლის დებულებით აღმოსავლეთ საქართველოში საკომლო საარსებო მინიმუმის ნორმად დაადგინეს 4 დესეტინა, ხოლო დასავლეთ საქართველოში-2,5 დესეტინა. აჭარის მიწის კოდექსით, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკი) 1925 წელს დამტკიცა, დააწესეს მაზრების მიხედვით განსხვავებული საკომლო მიწის ნორმები. მიწები 5 კატეგორიად დაიყო. საკომლო მიწის ნორმები 1-დან 4,5 დესეტინამდე აღწევდა. (აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 19, ფურც. 6)

ცხადია, ნორმირებული მიწები არასაკმარისი იყო მოსახლეობის ცხოვრებისათვის. ეს იყო მხოლოდ საარსებო მინიმუმი. სამწუხაროდ, ხელისუფლება მიწის მცირე ნორმებითაც კი მოსახლეობას ვერ უზრუნველყოფდა. დადგენილი ნორმების ფარგლებში მოსახლეობის სავარგულებით უზრუნველსაყოფად დამატებით საჭირო იყო 14211 დესეტინა (აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 20, ფურც. 11). მთაგორიანი რელიეფის პირობებში დამატებითი სავარგულების გამოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა.

ხელისუფლების აგრარული პროგრამა პირველ ეტაპზე მიზნად ისახავდა სამ მთავარ ამოცანას: პირველი, განეხორციელებინა მემამულე-თავადაზნაურების და კოლონისტების მიწამფლობელობის ლიკვიდაცია, ხელიდან გამოეცალა მათვის ეკონომიკური ძლიერების წყარო - ადგილ-მამული. მეორე, დაეჭმაყოფილებინა უმიწოდებელი გლეხების მოთხოვნები მიწაზე, რათა ისინი ბოლომდე დარჩენილიყვნენ ხელისუფლების საიმედო დასყრდენი; მესამე, კოლონისტების კულტივირებული მამულების ნაციონალიზაციის ბაზაზე შეექმნა სახელმწიფო მეურნეობები.

აგრარული რეფორმა ტარდებოდა პრინციპით: მიწა ჩამოერთვას ყველა მიწისმფლობელს, ვინც საქუთარი შრომით არ ამჟავებს. აჭარაში მემამულე-თავადაზნაურების და კოლონისტების მიწების ნაციონალიზაცია 1922 წლიდან დაიწყო. იგი 1927 წლის ბოლომდე გაგრძელდა. თავდაპირველად მიწები უსასყიდლოდ ჩამოართვეს ქობულეთისა და ბათუმის (ჭოროხის) მაზრების მემამულებს, რომელთა საერთო ფართობი 285 დესეტინას შეადგენდა. 1922 წლის ბოლოს მემამულების კონფისკირებული მიწები 464 დესეტინას უდრიდა. აქედან კინტრიშის რაიონში ჩამოართვეს 368 დესეტინა, ჩაქის-15, კაპანდიბის-67, ხოლო ბათუმის რაიონში-14 დესეტინა. უმიწაწყლო

და მცირემიშიან გლეხებს უფასოდ გადაეცა 419 დესეტინა. დანარჩენი სახელმწიფო ფონდში გადაირიცხა. (აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 90, ფურც. 8; ფ. რ-4, ან. 1, ს. 19, ფურც. 6; ფ. რ-84, ან. 1, ს. 167, ფურც. 4)

ცხადია, ეს იყო აგრარული რეფორმის ნაწილი. რეფორმა ძირითადად განხორციელდა 1923 წელს. ამ წელს მემამულებს ჩამოართვეს 7200 პექტარი ადგილ-მამული. 1924 წელს კონფისკირებული იყო 690 პექტარი, 1925 წელს-415, 1926 წელს-660, ხოლო 1927 წელს-450 პექტარი. მთლიანობაში 1922-1927 წლებში კონფისკირებული იყო 9700 პექტარი ადგილ მამული. (აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 16, ფურც. 4).

ხიმშიაშვილებს უსასყიდლოდ ჩამოართვეს 5450 დესეტინა. მათ შორის: სახენავ-სათესი-184 დესეტინა, საძოვრები-2949, ტყე-1896, ხოლო გამოუსადეგარი მიწა-451 დესეტინა. კონფისკირებული ადგილ-მამულები გადაეცა ხულოს მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებას. შემდგომში საძოვრები და ტყეები სახელმწიფო ფონდს გადაეცა, ხოლო სახენავ-სათესი მიწები ადგილობრივ გლეხებს გაუნაწილეს. აბაშიძეების კონფისკირებული მიწები, სულ 237 დესეტინა, გაუნაწილეს ურების, კახაბრისა და გოროდოკის გლეხებს (ასხებმაპ, 1975: 267-283). ბიბინეიშვილების ადგილ-მამულები, რაც 120 დესეტინას აღემატებოდა, ნაციონალიზაციის შემდეგ, ერგეს, ხელვაჩაურისა და კახაბრის გლეხებს გადასცეს.

მსხვილი მამულები უსასყიდლოდ ჩამოართვეს არჩიდ აბაშიძეს (სოფელი ხუცუბანი), ბეჟანიძეებს (ჩაქვი), ომერ-აღა მემედ ზადეს (უსტიაშვილი კახაბერი), ყემბერ-აღა ხარახს (ჩოლოქი), სანაძეებსა და ქუთათელაძეებს (ერგე და ბათუმის შემოგარენი) და სხვა. საბჭოთა ხელისუფლებამ მემამულე-თავადაზნაურებს უსასყიდლოდ ჩამოართვეს აგრეთვე საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობანი. 1923 წელს 3 მაზრაში (ჭოროხის, ქვედისა და ხულოს) მემამულე-თავადაზნაურებს ძალით წაართვეს 24 საცხოვრებელი სახლი, სულ 99 ოთახი, 12 საცხენე და ფარდული, მეცხოველეობის ფერმა და სხვა. საცხოვრებელი სახლების, სხვა შენობა-ნაგებობათა კონფისკაცია შეეხო შერგაშიძეებს, თავდგირიძეებს, ხიმშიაშვილებს, აბაშიძეებს, ხარაზებს, წულუციძეებს და სხვა მემამულეებს (აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 199, ფურც. 481; ს. 237, ფურც. 5; ფ. რ-77, ან. 1, ს. 14, ფურც. 52-53).

აგრარული რეფორმის გატარებისას მემამულე-თავადაზნაურები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ მათი ფიზიკური არსებობა საფრთხის ქვეშ დადგა. ასეთ პირობებში ისინი იძულებული გახდნენ სამშობლო დაეტოვებინათ და თავშესაფარი უცხო ქვეყანაში ეძებნათ. ვინც ვერ მოახერხა უცხო ქვეყანაში წასვლა, იგი საბჭოთა ხელისუფლების მსხვერპლად იქცა. ასეთი დამოკიდებულება მემამულე-თავადაზნაურების მიმართ დანაშაულის ტოლფასია. მართალია, აგრარული რეფორმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განხორციელდა, მაგრამ ასეთი რადიკალიზმი და ულმობლობა იშვიათობას წარმოადგენს. აჭარის მაგალითზე საქმე გვაქვს ადამიანის სიცოცხლისა

და მინიმალური საარსებო პირობების ხელყოფის, პიროვნების ღირსების შეღასტანა.

აგრარული რეფორმა შეეხო აგრეთვე კოლონისტების მიწათმფლობელობას. გასაბჭოებამდე ნაციონალიზებული იყო მხოლოდ ჩაქვის საუფლისტულო მამული. 1921 წელს განხორციელდა კ. პოპოვის მეურნეობის ნაციონალიზაცია. კოლონისტების მამულების სრული ნაციონალიზაცია 1922 წლიდან დაიწყო. კოლონისტების ნაწილმა გასაბჭოებამდე დატოვა აჭარა, ბედისანაბარა მიატოვა ადგილ-მამული. ამ კატეგორიის მოახალ შენე 143 კაცს ითვლიდა. (აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 52, ფურც. 72-74). დანარჩენები ადგილზე დარჩნენ და შეუპოვრად იბრძოდნენ თავიანთი მამულების შენარჩუნებისათვის. ამ საქმეში ჩართული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების საკავშირო ორგანოები, საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოები და საკონსულოები. აღწერის შემდეგ კოლონისტების 289 კულტივირებული მამული აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში გადავიდა.

კოლონისტების კონფისკირებული მამულები სამ კატეგორიად დაიყო. პირველი კატეგორიის მამულები გადაეცა ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს. ამ მიწებზე საბჭოთა მეურნეობები მოეწყო, ანდა მომიჯნავე სახელმწიფო მეურნეობებს შეუერთდა. მეორე კატეგორიის მამულები იჯარით გასცეს ადგილობრივ გლეხებს. აქედან შემოსული თანხები ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხებოდა. მესამე კატეგორიის მამულები უფასო მუდმივ სარგებლობაში გადაეცა დარიბ გლეხობას (აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს.281, ფურც.84; ს.644, ფურც.214).

სპეციალურმა კომისიამ სახელმწიფო მნიშვნელობის მამულად ჩათვალი 177 კულტივირებული მეურნეობა. აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 14 აპრილის დადგენილებით განხორციელდა მათი უსასყიდლო ნაციონალიზაცია. ნაციონალიზებული მამულების საერთო ფართობი 824 დესტინას შეადგენდა. ისინი მდებარეობდა ბათუმის შემოგარენის ხოფლად (სალიბაური, კაპრეშუმი, ახალ შენი, ფერია, სოუქსეუ, განთიადი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი და სხვა (აცსა, ფ. რ-2, ან.1, ს.370, ფურც.3-8; ფ. რ-4, ან.1, ს.110, ფურც. 8-10).

კოლონისტების კონფისკირებულ მამულებს აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი იჯარით აძლევდა 1928 წლის აპრილამდე. 1924 წელს, მაგალითად, იჯარით გაიცა 124 ადგილ-მამული, ხოლო მომდევნო წლისათვის გაფორმდა 253 საიჯარო ხელშეკრულება. 1925-1926 სამეურნეო წელს იჯარიდან მიღებული თანხა 4703 მანეთს უდრიდა (აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს.644, ფურც.214). აჭარის ცაგის 1928 წლის 4 აპრილისა და სახეომსაბჭოს 12 იჯინის დადგენილებებით გაუქმდა კულტივირებული მამულების იჯარით გაცემა. ისინი გადაეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს, მოიჯარადებს კი კომპენსაცია მიეცათ.

კოლონისტების წვრილი მეურნეობები და აგარაკების ნაწილი 1925 წლის პირველ აპრილს აღრიცხვიდან მოიხსნა და მესაკუთრეულს დაუტოვეს. მათი საერთო რიცხვი 103 ერთეულს შეადგენდა, ხოლო მიწის საერთო ფართობი 340,5 ღესებინას უდრიდა (აცსა, ფ, რ-2, ან. 1, ს.370, ფურც.6-7). მოახალშენებისათვის მიწისა და შენობანაგებობათა დაბრუნების მოტივაციას საფუძვლად ედო მთავარი პრინციპი-არ გამოიყენებდნენ დაქირავებულ შრომას და დაცული იქნებოდა მიწის საკუთრების ნორმები.

ცხადია, კოლონისტების ადგილ-მამულების ნაციონალიზაცია აგრარული რეფორმის დადებით მხარედ ითვლება. საუკეთესო მიწები, რომლებიც უცხოელებმა დაიტაცეს, დაუბრუნდა რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობას. მაგრამ პრობლემას მეორე მხარეც აქვს: უცხოელი მოახალშენები იმსახურებდნენ იმ დანახარჯების ანაზღაურებას, რაც მათ ამ მხარეში გასწიეს კულტივირებული მეურნეობებისა და აგარაკების მოსაწყობად. მამულების ნაციონალიზაციის სანაცვლოდ კომპანია მხოლოდ 15 მოახალშენებ მისცეს. მათ შორის იყვნენ ლაჟ ჯინ-ჯაჟ, სტოანოვი, დიადიუში, პომორსკი და სხვა. ნაციონალიზაცია არ შეეხო იმ მოახალშენებს, რომელთა ოჯახის წევრები წითელ არმიაში მსახურობდნენ. აქაც დაცული იყო რეფორმის მთავარი მოთხოვნა-პირადი შრომით დამუშავებდნენ საკუთარ მამულებს. ამ კატეგორიის მოახალშენები თითო-ოროლა იყვნენ.

ერთი სიტყვით, აგრარული რეფორმის შედეგად აჭარაში განხორციელდა ადგილობრივი მემამულე-თავადაზნაურებისა და უცხოელი ბურჟუაზიული ელემენტების საკუთრების ლიკვიდაცია. ამის შედეგად აღარ არსებობდა მემამულური მიწათმიცვლობელობა, მოისპო ფეოდალიზმის გადმონაშობი, მოირყა სოფლად უცხოური კაპიტალიზმის განვითარების სოციალ-ეკონომიკური საფუძვლი.

მემამულე-თავადაზნაურებისა და მოახალშენებისათვის აგრარული რეფორმა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურად ძნელად ასაგანი იყო. ისინი ამ პროცესს მტკიცნეულად განიცდიდნენ. არსებულ პირობებში მათ ჰქონდათ ბრძოლის ერთადერთი საშუალება-თხოვნა-საჩივრები. ისინი სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის ინსტანციას მიმართავდნენ მაგრამ უშედეგოდ.

მართალია, აგრარული რეფორმის შედეგად 1500 გლეხურ კომლს საკუთრებაში გადაეცა მემამულე-თავადაზნაურებისა და კოლონისტებისაგან კონფისკირებული მიწები, მაგრამ ამ ლონისძიებით პრობლემა არ გადაწყვეტილა. 1923 წლისათვის სავარგულებზე დაკმაყოფილდა გლეხთა მოთხოვნების მხოლოდ 20%. (ასხესმაპ, 1975: 268). მოსახლეობის გამრავლების, ზღვისპირეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენების შედეგად სახნავ-სათესი მიწები კლებულობდა. 1928 წლის ცნობით, აჭარაში სახნავ-სათესი მიწები 12602 ჰექტარს შეადგენდა. ამ ოდენობის მიწას ამუშავებდა 13820 მეურნე. ერთ მეურნეზე საშუალოდ მოდიოდა 1,4 ჰექტარი სახნავ-სათესი, თითო სულ ზე-

0,25 პექტარი (ბსი სმკა, 1980: 341). ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 1922 წელს იყო.

ამ ვითარებიდან გამოსავალი იყო: ჭარბი მოსახლეობის ჩასახლება საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობდა. მეორე, ინდუსტრიის განვითარება და სოფლის ჭარბი მოსახლეობის ქალაქად დასაქმება. XX საუკუნის 20-იან წლებში პირველი არა-საკმარისი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. 1925 წელს ქედისა და ხულოს მაზრებიდან ზღვისპირა ზონის სოფლებში ჩამოასახლეს 83 კომლი, რომელთაც გამოუყვეს 210 დესეტინა. მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთისა და ბათუმის მაზრებში მოსახლეობას არ ჰქონდა საკმარისი მიწები, 1930 წლისათვის დაიგეგმა 400 კომლის ჩამოსახლება. ფაქტობრივად ჩამოსახლდა 200 კომლი (ასხესმაპ, 1975: 283; აცსა, ფ, რ-4, ან. 1, ს.551, ფურც.3) მოსახლეობის შიგა მიგრაციის არაერთი შემაფერხებელი ფაქტორი არსებობდა. მათ შორის აღსანიშნავია ახალ გარემო პირობებთან ადაპტაცია, აგრეთვე მიგრაციის დროს წარმოქმნილი საოჯახო და საყოფაცხოვ-რებო ხასიათის სიძნელეები.

აგრარული რეფორმა ტყისა და საზაფხულო საძოვრების საჭით-ხებსაც მოიცავდა. ამ მიმართულებით მოსახლეობის პირობები გაუარესდა. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოსახლეობას უფასოდ ეძლეოდა შეშა და სამასალე ხეტყე საოჯახო მოხმარებისათვის. ამასთან ჩაქვისწყლის ხეობის მოსახლეობას სარ-გებლობაში გადაეცა ყოფილი საუფლისწყლო მამული 4 ათასი დესეტინა ტყე. მაგრამ ამით ვითარება ძირულად არ შეცვლილა. 1928 წლის ბოლოს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტყის უფასოდ სარგებლობა გაუქმდა. მათი მოხმარება ფასიანი გახდა. ხელისუფლებისა და მოსახლეობის სერიოზული დაპირის-პირება გამოიწვია სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გა-მიჯვნამ, რომელიც აჭარის ცაკის 1926 წლის 26 მაისის დადგე-ნილებით განხორციელდა. ამ გამიჯვნის შედეგად საუკეთესო ტყის მასივები სახელმწიფოს დარჩა და მისი დაცვისათვის განსაბუთრებული კონტროლი დაწესდა, რაც მოსახლეობის სერიოზულ უკმაყო-ფილებას იწვევდა.

საზაფხულო საზოვრები ძირითადად განლაგებულია ქედის, შეახევის, ხულოს, ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონებში. XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში ითვლებოდა 47 საზაფხულო საძოვარი, რომელთა საერთო ფართობი 34552 პექტარს უდრიდა. საზაფხულო საძოვრები ვარგისიანობის მიხედვით სამ კატეგორიად იყოფილი. აჭარაში მეორე და მესამე კატეგორიის საძოვრები ჭარბობდა. საკმაოდ იყო უვარგისი საძორებიც (აცსა, ფ, რ-2, ან. 1, ს.699, ფურც.44-49).

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საზაფხულო საძოვ-რების სარგებლობა უფასო იყო. ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაეწია გლეხობის შეუპოვარი ბრძოლისათვის, ტყესთან

ერთად, საძოვრების სარგებლობის თაობაზე. აჭარის სახეომსაბჭოს 1928 წლის 12 ივნისის დადგენილებით საზაფხულო საძოვრებზე გადასახადები შემოიღეს. პირველი კატეგორიის საძოვრებზე საჰქმებრო გადასახადი 1,55 მანეთს შეაღებდა. მეორე კატეგორიის-1,05 მანეთს ხოლო მესამე ხარისხის საძოვრებზე-65 კაპიკს (აცსა, ფ, რ-2, ან. 1, ს.699, ფურც.13-14).

საბჭოთა ხელისუფლების თურქეთიან გარიგების შედეგად საქართველომ დაკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ყარსის ხელშეკრულებით (1921 წლის 13 ოქტომბერი) თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში აღმოჩნდა აგრეთვე 20 ათასი დესეტინა საზაფხულო საძოვრები. 1927 წლამდე ამ საძოვრებს აჭარის მოსახლეობა სარგებლობდა. მაგრამ 1923 წლის 20 მარტის საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული კონვენციის შედეგად გართულდა მათი გამოყენება. თურქეთის მთავრობა არ იცავდა შეთანხმების პირობებს: აჭიანურებდნენ საშვის გაცემას, მეჯოგებს ბაჟს ახდევინებდნენ, იყო გამოძალვისა და სხვა შემთხვევები. მეჯოგეთა ნაწილი უარს ამბობდა ამ საძოვრების სარგებლობაზე. საქართველოსა და თურქეთის 1927 წლის 27 მაისის შეთანხმებით საზაფხულო საძოვრებზე სპეციალური გადასახადი დაწესდა. საძოვრების სარგებლობა ფასიანი გახდა.

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს სსრ კავშირისა და თურქეთის ურთიერთობა გაუარესდა. მათ შორის სახელმწიფო საზღვარი ჩაიკეტა. ცხადია, ამის შედეგად აჭარის მოსახლეობა ვერ სარგებლობდა ისედაც გართულებულ თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეულ თავის საზაფხულო საძოვრებს. ცხადია, ამით აქაური მოსახლეობა დიდად დაზარალდა.

აგრარული რეფორმა საადგილმამულო საგადასახადო სისტემასაც შეეხო. მძიმე პირობების მიუხედავად, ძირითად გადასახადებს მაინც გლეხობა იხდიდა. 1921 წლის მეორე ნახევარში საქართველოში 11 სახის ნატურალური გადასახადი არსებობდა. 1922 წელს ნატურალური გადასახადი ნაწილობრივ ფულადით შეიცვალა. 1924 წლის პირველი იანვრიდან ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გაერთიანდა და დაწესდა ერთიანი ფულადი გადასახადი. მაგრამ მოსახლეობა ამ გადასახადებს სრულყოფილად ვერ იხდიდა. მაგალითად, 1924 წელს აჭარაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამოიღეს 35%-ით, ხოლო 1928 წელს -48%-ით (აცსა, ფ, რ-2, ან. 1, ს.187, ფურც.164; ს. 718, ფურც. 164).

ამრიგად, 1928 წელს დასრულდა აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი. ამ ეტაპზე განხორციელდა მემამულე-თავადაზნაურებისა და კოლონისტების ადგილ-მამულების ნაციონალიზაცია. ხელისუფლების სურვილის მიუხედავად, გლეხობამ საკმარისი მიწა ვერ მიიღო.

Otar Turmanidze

**Agricultural Reformation in Adjara  
(1921-1928)  
Summary**

The article considers the goal of the agricultural reformation, the ways of its accomplishment, its methods and final results. The agricultural reformation in Adjara started at the very beginning of sovietization of the region and its first stage lasted till 1929. In this period the lands and other real estate of colonists and landowner-principedom were expropriated and nationalized.

The confiscated lands of the colonists were transmitted to the Public Commissariat of Agriculture. These lands were classified and divided into three categories: the land of state significance were transmitted to the Soviet farms, the lands of the second category were being leased, and the lands of the third category were transmitted to peasantry free of charge.

Peasantry also received the lands that were confiscated from the landowner-principedom, but a great part of forests and pastures were ruled by government. At the result of agricultural reformation the farming conditions and landownership of peasants were not considerably improved.

**Отар Турманидзе**

**Аграрная реформа в Аджарии  
(1921-1928гг.)**

**Резюме**

В статье рассмотрены цель, формы и методы аграрной реформы. Отмечено, что в Аджарии новая аграрная реформа начинается в результате советизации региона и первый этап продолжается до 1929 года. На этом этапе осуществлялись конфискация и национализация земли и другого недвижимого имущества колонистов и местных помещиков.

Конфискованные земли передавали в распоряжение народного комиссариата земледелия Аджарии. После перегруппировки они делились на три категории. На землях первой категории создавались государственные хозяйства-совхозы. Остальные передавались крестьянам безвозмездно, или на условиях аренды.

Крестьянам передавались также конфискованные земли местных помещиков. Леса и пастбище переходили в государственный фонд. Несмотря на аграрную реформу, крестьянское землевладение и землепользование существенно не улучшились.

## გამოყენებული წყაროები

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი რ-2, ანაწერი 1, საქმეები 90, 176(ა), 187, 237, 281, 370, 644, 699, 718.

2. აცსა, ფ, რ-4, ან. 1, სს. 19, 110, 551,

3. აცსა, ფ, რ-77, ან. 1, ს.14.

4. აცსა, ფ, რ-84, ან. 1, სს. 52, 167.

5. აცსა, ფ, რ-178, ან. 1, ს. 20.

6. Революционные комитеты Аджарии (PKA) сборник документов и материалов.

Сухум, 1963

7. აჭარა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (ასხებამა) 1921-1925. ბათუმი, 1975.

8. აჭარის საბჭოების ყრილობები (ასყ), დოკუმენტებისა და მასალების კრებული. ბათუმი, 1971.

9. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოდექტივიზაციისათვის აჭარაში (ბსისმკა), დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1926-1932 წწ., ბათუმი, 1980.

## ვახტანგ მიქაშავიძე, ჟანი მიქაშავიძე

### ტურიზმი და მცირე მეწარმეობის განვითარების პროგლომები აჭარაში

ოცდამეტოთე საუკუნიდან ტურიზმი მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და რენტაბელური დარგი, რომელიც ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებითი განვითარების ფაქტორი გახდა. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად.

ტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვისაც, რადგანაც დღევანდელი ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას, თანამდევი დარგების აღორძინებას, სტიმულს აძლევს ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, უზრუნველყოფს უცხოური გადატის ქვეყნაში შემოდინებას, ეხმარება შედარებით ჩამორჩენილი, დეპრესიული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს ქვეყნას ტურიზმის გამოცდილება და მრავალფეროვანი პოტენციალი გააჩნია.

როგორც ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საერთოდ მთელი ეკონომიკისა და კერძოდ ტურიზმის განვითარება შეუძლებელია საბაზო ურთიერთობების წარმატებითი ფუნქციონირების გარეშე, რომელიც დაფუძნებულია მეწარმეობის გამართულ სისტემაზე. დღეს თანამედროვე ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წარმოების სხვადასხვა მასშტაბის საკმაოდ რთული შეთანაწყობა, მასში შედის მსხვილი საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ მონოპოლიური სტრუქტურებისადმი ტენდენცია, აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთა შექმნა და ფუნქციონირება განპირობებულია მრავალრიცხოვანი ფაქტორებით. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება მათი რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ეკონომიკის იმ სფეროებში, სადაც წარმოების პროცესი არ მოითხოვს დიდი მოცულობის ინვესტიციებს, მნიშვნელოვანი რაოდენობის მანქანა-მოწყობილობებსა და მრავალრიცხოვანი სამუშაო ძალის კოპაკერაციას. ეს პროცესი ყველაზე მეტად დამახასიათებელია მეცნიერებებით დარგების, სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის, მათ შორის ტურიზმისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია მცირე მეტარმეობის ადგილი და როლი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. იგი გამომდინარეობს მცირე მეტარმეობის ეფექტიანად ფუნქციონირების დიდი შესაძლებლობებიდან. მეტარმეობის მცირე ფორმების ეფექტიანობა განპირობებულია მთელი რიგი უპირატესობებით, რომელთაგან, უმნიშვნელოვანესია: წარმოების ფაქტორთა ადგილობრივ ბაზართან სიახლოვე, კლიენტთა მოთხოვნებთან ადაპტაციის მაღალი უნარი; მმართველობით რგოლებში დასაქმებულ მუშაკთა მინიმალური რაოდენობით მაქსიმალური ეფექტის მიღწევა; საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მცირე პარტიებად წარმოების შესაძლებლობები, რაც არახელსაყრელია მსხვილი საწარმოებისათვის და ა.შ. ყველა ეს უპირატესობა მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს. მცირე და საშუალო მეტარმეობის დიდი უპირატესობაა ისიც, რომ იგი ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ავითარებს რა კონკურენციულ გარემოს, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, აფართოებს სამომხმარებლო სექტორს, მცირე მეტარმეობა ამის შედეგად გარკვეულ გავლენას ახდენს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე და მთლიანად მის გაჯანსაღებაზე. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მცირე მეტარმეობას, მის სახელმწიფო მხარდაჭერას დიდი ყურადღება ექცევა განვითარებული სახელმწიფოების მხრიდან. მაგალითად, აშშ-ის მცირე და საშუალო საწარმოები აწარმოებენ შიგაეროვნული პროდუქტის 60%-ს და კერძო სექტორის მთლიანი პროდუქტის 50%-ს, მათ შორის: გადამამუშავებელ წარმოებაში 21%-ს, მშენებლობაში – 80%-ს, საბითუმო ვაჭრობაში – 86%-ს. ამ საწარმოებში მუშაობს მთლიანად კერძო სექტორში დასაქმებულ მუშაკთა ნახევარი. ისინი უზრუნველყოფენ აშშ-ის ეკონომიკაში მთელი დანერგილი სიახლეების დაახლოებით ნახევარს, რომელიც ეხება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროს. ამასთან, მცირე საწარმოები სიახლეებს ნერგავენ წარმოებაში 17-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე მსხვილი საწარმოები [ნოზდრაჩევი, პავლოვსკი, 1992: 3]. ამ ქვეყანაში მცირე მეტარმეობა და ბიზნესი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ვაჭრობისა და მომსახურების განვითარებაში.

მცირე და საშუალო საწარმოების როლის გააქტიურება განსაკუთრებით შეინიშნება ჩინეთში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის ადმინისტრაციულ სამმართველოში დარეგისტრირებულ 10 მლნ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 60%, მრეწველობაში მოგების 40%, მათი პროდუქცია შეადგენს ექსპორტის საერთო მოცულობის 60%-ს. 1990-იანი წლებიდან სამრეწველო წარმოების მთლიანი პროდუქციის დამატებული დირებულების 75%-ზე მეტი იქმნება მცირე და საშუალო საწარმოებში, ისინი უზრუნველყოფენ ქალაქებისა და სახოფლო დაბების სამუშაო ადგილების 75%-ს [ფან ჩუნ იუნი, 2002: 140].

ანალოგიური მდგრმარეობა შეინიშნება უნგრეთში. მიუხედავად იმისა, რომ აქ კანონი მცირე მეტარმეობის მხარდაჭერის შესახებ

მიღებული იქნა სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მოგვიანებით (1999 წ.), ამჟამად მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის ამ ქვეყნის მთლიანი პროდუქტის 50%, კონომიკაში დასაქმებულთა რიცხოვნობის 2/3, ექსპორტის 20% და საწარმოთა საერთო რიცხოვნობის 99% [ბუხვალდი, ვილენსკი, 2002: 110].

მცირე მეწარმეობის განვითარება როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მისი რეგიონების ცალკეულ დარგებში და კერძოდ ტურიზმში, უახლოეს წარსულში მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში გამოცდილების უქონლობამ, დაშვებულმა შეცდომებმა, ჰიპერინფლაციამ და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის მასობრივმა გადატაცებამ მეწარმეობის განვითარებას არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური ფონი შეუქმნა. რეგიონებსა და ქალაქებში ვერ ხერხდებოდა კერძო მეწარმეობის მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამების რეალიზაცია, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო საჭირო სახსრების დაგროვება სამეწარმეო საქმის დასაწყებად. შეუძლებელი გახდა მათ მიერ ინვესტიციების მოზიდვა, სახელმწიფო და კომერციული ბანკებიდან კრედიტების მიღება და აქედან გამომდინარე, ბიზნესში აქტიური მონაწილეობა. ამ ვითარების გამო შეუძლებელი გახდა მეწარმეობისათვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდების – დაკრედიტებისა და საგადასახადო პოლიტიკის შეღავათიანი სისტემის, რეგისტრაციის მარტივი პროცედურის, სამეწარმეო ხელსაყრელი გარემოს შექმნის, სახელმწიფო მხარდაჭერის და სხვა ეფექტიანი მეთოდების გამოყენება. ამან უარყოფითად იმოქმედა მეწარმეობაზე და გარკვეულწილად შეაფერხა მისი განვითარება. მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მიერ გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბიზნესის და მეწარმეობის სფეროში არსებული პრობლემების დარეგულირებაში, ხელი შეუწყო ამ სფეროში საბაზო ურთიერთობების თანდათანობით დამკვიდრებას [მიქაშავიძე, 2002: 325-326].

საინტერესო სურათს იძლევა ამ თვალსაზრისით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ეკონომიკური მახსენებლების ანალიზი საწარმოთა საქუთრების ფორმებისა და ზომების მიხედვით 2007 წელს (იხ. ცხრილი 1). ასე მაგალითად, ამ წლის სტატისტიკური მონაცემებით, რეგიონში სულ ფუნქციონირებდა 2576 საწარმო, სადაც 115 ერთეული (4,5%) სახელმწიფო სექტორს მიეკუთვნებოდა, 2461 ერთეული (95,5%) კერძოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არსებული საწარმოებიდან 138 ერთეული (5,4%) მოდიოდა მსხვილ, 310 ერთეული (12,0%) საშუალო, და 2138 ერთეული (28,6%) მცირე კატეგორიის საწარმოებზე. ამავე წელს ყველა საწარმოში გამოშვებული იქნა სულ 512210,3 ათასი ლარის პროდუქცია, აქედან სახელმწიფო საწარმოებში – 99118,2 ათასი (12,4%), კერძოში – 413292,1 ათასი (87,6%), მათ შორის მსხვილ საწარმოებში – 400556,8 ათასი (78,2%), საშუალო საწარმოებში – 70153,8 ათასი (13,7%), ხოლო მცირე

საწარმოებში – 41699,7 ათასი ლარის (8,1%) პროდუქცია. სულ მეწარმეობაში დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობაშ შეადგინა 30523 კაცი, აქედან სახელმწიფო სექტორში – 9644 კაცი (31,1%), კერძოში – 20879 კაცი (68,4%), მათ შორის მსხვილ საწარმოებში 14805 (48,5%) და საშუალო საწარმოებში – 9267 კაცი (30,4%), ხოლო მცირე საწარმოებში – 6450 კაცი (21,1%). ამ პერიოდში მოქმედ საწარმოთა ძირითადი ფონდების მოცულობაშ წლის ბოლოსათვის შეადგინა 367037,7 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო სექტორში – 113498,3 ათასი (30,9%), კერძოში – 253539,2 ათასი (69,1%), მსხვილ საწარმოებში 267326,6 ათასი (72,8%), საშუალო საწარმოებში – 53819,4 ათასი (14,7%), ხოლო მცირე საწარმოებში – 45891,7 ათასი ლარი (12,5%). აქედან გამომდინარე, ფონდადჭურვილობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი აღინიშნება მცირე საწარმოებში რაც, შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს და დაბალ საშუალო თვიურ ანაზღაურებას განაპირობებს. მაგალითად, თუ რეგიონში მოქმედი მოქლი საწარმოების მიხედვით შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენდა 270,5 ლარს, მან მცირე საწარმოების მიხედვით შეადგინა 157,3 ლარი ანუ მისი მოლიანი მოცულობის მხოლოდ 58,2% ანუ ნახევარზე ცოტა მეტი. ცხადია, მცირე საწარმოებს სადაც დაბალია ფონდადჭურვილობის, და აქედან გამომდინარე, შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო თვიური ანაზღაურების დონე, განვითარების ნაკლები პერსპექტივა გააჩნიათ, რაც მეტად დამაფიქრებელია. საინტერესო სურათს იძლევა რეგიონის საწარმოებში ინვესტიციების განაწილების ანალიზი. მცირე საწარმოებისადმი ნაკლები მხარდაჭერა ვლინდება ინვესტიციების განაწილებაშიც. ასე მაგალითად, სახელმწიფო საწარმოები, რომელთა რაოდენობა რეგიონის საწარმოთა მხოლოდ 4,5%-ს შეადგენს და უშვებს პროდუქციის საერთო მოცულობის 12,4%-ს, ღებულობს ინვესტიციების მთელი მოცულობის 20%-ს. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ის, რომ საანალიზო პერიოდში მსხვილმა საწარმოებმა მიიღეს ინვესტიციების 80%, საშუალო საწარმოებმა – 14,7% და მცირე საწარმოებმა მხოლოდ – 5,7%. როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ სურათს იძლევა რეგიონის სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი საწარმოთა საკუთრების ფორმებისა და ზომების მიხედვით ტურიზმის სფეროში განსახილეველ პერიოდში. მაგალითად, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, აღნიშნულ წელს ამ სფეროში ფუნქციონირებდა 232 ტურისტული საწარმო, სადაც 2 ერთეული (0,9%) სახელმწიფო სექტორს მიეკუთვნებოდა, 230 ერთეული (99,1%) კი კერძოს. აღსანიშნავია, რომ არსებული საწარმოებიდან 2 ერთეული (0,9%) მოდიოდა მსხვილ, 15 ერთეული (6,4%) – საშუალო და 215 ერთეული (92,7%) - მცირე კატეგორიის საწარმოებზე. ამავე წელს ყველა საწარმოში გამოშვებული იქნა სულ 19431,8 ათასი ლარის პროდუქცია. აქედან სახელმწიფო სექტორში – 32,3 ათასი ლარის (0,2%), კერძოში – 19399,5 ათასი ლარის (99,8%), მათ

შორის მსხვილ საწარმოებში გამოუშვეს 8909,9 ათასი (45,9%), საშუალოში – 4297,0 ათასი (22,1%) და მცირეში – 6224,9 ათასი (32,0%) ლარის პროდუქცია. სულ ტურისტულ საწარმოებში მთლიანად დასაქ-მებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ შეადგინა 1978 კაცი, აქედან სახელმწიფო საწარმოებში – 19 კაცი (1%), კერძოში – 1959 კაცი (99,0%), მათ შორის მსხვილ საწარმოებში – 587,0 კაცი (29,7%), საშუალოში – 479,0 კაცი (42,2%) და მცირეში – 912,0 კაცი (46,1 %). ამ პერიოდში მოქმედ საწარმოებში წლის ბოლოსათვის ფუნქციონირებდა 2965,7 ათასი ლარის მირითადი ფონდები, აქედან სახელმწიფო სექტორში 175,1 ათასი ლარის (0,6%), კერძოში – 29483,6 ათასი ლარის (99,4%), მათ შორის მსხვილ საწარმოებში მათმა მოცულობა, შეადგინა 10293,5 ათასი ლარი (34,7%), საშუალოში – 5464,6 ათასი ლარი (18,4%) და მცირეში 13900,6 ათასი ლარი (46,9%). რაც შეეხება ინვესტიციებს, იგი განსახილველ პერიოდში განხორციელდა მხოლოდ ტურიზმის კერძო სექტორში და შეადგინა მთლიანად 4202,2 ათასი ლარი, აქედან მასხვილ საწარმოებში – 2682,2 ათასი ლარი (63,8%), საშუალოში – 1297,7 ათასი (30,8%) და მცირეში – 227,3 ათასი ლარი (5,4%). როგორც ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ ტურიზმის დარგი გამოცხადებულია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტად და მცირე მეწარმოების განვითარების შესახებ მიღებულია სათანადო საკანონმდებლო აქტები, სინამდვილეში რეალური მდგომარეობა ამის საწინააღმდეგოს მეტყველებს. მართალია მცირე საწარმოთა რაოდენობა დიდია და ტურიზმის სფეროში მოქმედ საწარმოთა თითქმის 93%-ს შეადგენს, გამოშვებული პროდუქცია კი 32%-ს, მაშინ, როცა ამ ტიპის საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები მიზერულია და შეადგენს მთლიანად ტურისტულ სექტორში დაბანდებული ინვესტიციების (4202,2 ათ. ლარი) მხოლოდ 5,4%-ს. ასევე დაბალია მცირე საწარმოებში შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება. კერძოდ, თუ დარგში საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 180,5 ლარს, მცირე საწარმოებში მან შეადგინა 102,3 ლარი, რაც დარგის საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 56,7%-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში რეალურად არ არსებობს მცირე საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმი. მათ ხელი არ მიუწვდებათ საბანკო კრედიტებზე, რათა განახორციელონ ინვესტიციები, დანერგონ ახალი ტექნიკა, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გაზარდონ გამოშვებული პროდუქცია და გააუმჯობესონ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მცირე მეწარმეობა, რომელზედაც მნიშვნელოვნადა დამყარებული საბაზრო ურთიერთობების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში, თავიანთი საქმიანობისას ჯერ კიდევ დიდ სიძნელეებს აწყდება, რაც არ პასუხობს ქვეყნისა და რეგიონის უკონიმიკური განვითარების ინტერესებს.

ახლა გავაანალიზოთ მეწარმეობის განვითარების დინამიკა აჭარის რეგიონში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. აჭარის სტატისტიკური კრებულების – „მეწარმეობა აჭარაში 2005“ და „სამეწარმეო საქმიანობის მირითადი მაჩვენებლები 2007 წელს“ – მიხედვით. მონაცემებით

ირკვევა, რომ მოქმედ საწარმოთა რაოდენობა 2005–2007 წლებში 3506 ერთეულიდან 2576 ერთეულამდე, ანუ 26,7%-ით შემცირდა. რაც შეეხება მსხვილ და საშუალო საწარმოებს იგი გაიზარდა კიდევ 328 ერთეულიდან 448 ერთეულამდე ანუ 36,6%-ით, ხოლო მცირე საწარმოები შემცირდა 3178-დან 2128 ერთეულამდე, ანუ 1050 ერთეულით (33%). ამ გარემოებათა გამო, მცირე საწარმოთა ხვედრი წილი რეგიონის საწარმოთა მთელ შემადგენლობაში შემცირდა 90,7-დან 82,6%-მდე, ანუ 8 პროცენტული პუნქტით. ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საინტერესო ფაქტი, მიუხედავად საწარმოთა მთელი რაოდენობის ასეთი მკვეთრი შემცირებისა რეგიონში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 292746,5 ათასი ლარიდან 512410,3 ათას ლარამდე, ანუ 219663,8 ლარით (75%), რაც ძირითადად საწარმოების საქმიანობის მეტი გამჭვალობისა და მათი “ჩრდილიდან” გამოყვანის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით უნდა აიხსნას. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში მცირე საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შემცირდა 44227,7 ათასი ლარიდან 416997 ლარამდე, ანუ 5,7%-ით. ამასთან, შემცირდა მათი ხვედრი წილი რეგიონის მიერ გამოშვებულ მთელ პროდუქციაში 15,1%-დან 8%-მდე და სხვა. საგულისხმოა, რომ მცირე საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების დაახლოებით იგივე ტენდენცია შეინიშნება განვლილ ორწლიან პერიოდში რეგიონის ტურისტულ სექტორში, რაც სამწუხაროდ ვერ პასუხობს ქვეყნის განვითარების ინტერესებს.

მართალია, უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები საერთოდ მეწარმეობისა და, კერძოდ, მცირე მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ უმნიშვნელოვანები ღონისძიებების უფერებიანობა, როგორც მოტანილი ცხრილიდან დავინახეთ, ჯერჯერობით სათანადო შედეგებს ვერ იძლევა, რაც მრავალი მიზეზით შეიძლება აიხსნას. უპირველესად აღვნიშნავთ იმას, რომ მცირე საწარმოები საქმიანობის გაფართოებისას უმეტესწილად საკუთარი დანაზოგების იმედზე არიან, მაშინ როცა საშუალო და მსხვილი მეწარმეებისათვის საბანკო კრედიტი შედარებით ხელმისაწვდომია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დაკრედიტების სახით მცირე ბიზნესის წახალისება ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად ვერ ხორციელდება. სამწუხაროდ, საბანკო სისტემა ვერ იქცა ფინანსური რესურსების არა თუ მთავარ, არამედ არსებითი მნიშვნელობის წყაროდაც კი. ამჟამად საქართველოს ბანკებში არსებული განაკვეთები ძირითადად 20–25 პროცენტის ფარგლებში მერყეობს და ნაკლებმიმზიდველია ინგესტიციების უმეტესი პროექტებისათვის. აქედან გამომდინარე, დღევანდელ ეტაპზე საბანკო სისტემის და საერთოდ ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა ჩვენი რეგიონის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ უმთავრეს მუხრუჭად შეიძლება ჩაითვალოს [გრიგოლია, ფირცხალავა, 2008: №9, 194].

## ცხრილი 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ეპონომიკური მაჩვენებლები საწარმოთა  
საკუთრების ფორმებისა და ზომების მიხედვით 2007 წელს

№	საწარმოებრივ სამსახურის მიზანისადა კურნიოპური მაჩვენებლები	მოლინად აჭარა								მათ შორის ტურიზმის სექტორი					
		საწარმოებრივი საქმიანობის მიხედვით		საწარმოებრივი ზომების მიხედვით						საწარმოებრივი საქმიანობის მიხედვით		საწარმოებრივი ზომების მიხედვით			
		მოლინა- ნად	მათ შორის	მოლინა- ნად	მათ შორის	მოლინა- ნად	მსხვი- ლი	საშუა- ლო	მცირე	მოლინა- ნად	მათ შორის	მოლინა- ნად	მსხვი- ლი	მცირე	
1	მოქმედ საწარ- მოთა რაოდენობა, კრიტიკული % %	2576 100.0	115 4.5	2461 95.5	2576 100.0	138 5.4	310 12.0	2134 82.6	232 100.0	230 0.9	232 99.1	2 100.0	2 10.9	15 6.4	215 92.7
2	ბრუნვა სულ, ათ. ლარი %	911162.3 100.0	112867.1 12.4	79829.2 87.6	911162.3 100.0	657900.0 72.2	151085.3 16.6	102177 11.2	20177.4 100.0	32.3 0.2	20115.3 99.8	20177.4 100.0	9027.4 44.7	4809.5 23.8	6340.5 31.5
3	პროდუქციის გამ- ოშენება მიმღინარე ფასებში, დღგ-სა- და-აქციზის გარეუნი, სულ ათ. ლარი %	512410.3 100.0	99118.2 12.4	413292.1 87.6	512410.3 100.0	400556.8 78.2	70153.8 13.7	41699.7 8.1	19431.8 100.0	32.3 0.2	19399.5 99.8	19431.8 100.0	8909.9 45.9	4297.0 22.1	6224.9 32.0
4	დაბატებული დორქტულება, ათ. ლარი %	257598.0 100	66562.6 25.8	191035.4 74.2	257598.0 100.0	201788.2 78.3	33590.2 13.1	22219.6 8.6	9159.1 100.0	27.3 0.3	9131.8 99.7	9159.1 100.0	5621.6 61.4	1687.6 18.4	1850.0 20.2
5	ინკასტრუქციი სულ, ათ. ლარი %	93001.8 100.0	18627.5 20.0	74374.3 80.0	93001.8 100.0	74533.1 80	13193.4 14.3	5275.3 5.7	42022 100.0	— —	4202.2 100.0	4202.2 100.0	2682.2 63.8	1292.7 30.8	227.3 5.4
6	მორთადი ფონდების ნარჩენი დორქტულება წლის ბოლოს, ათ. ლარი %	367037.7 100.0	113498.3 30.9	253539.2 69.1	367037.7 100.0	267326.6 72.8	53819.4 14.7	45891.7 12.5	29658.7 100.0	175.1 0.6	29483.6 99.4	29658.7 100.0	10293.5 34.7	5464.6 18.4	13900.6 46.9
7	დასაქმებულთა საშუალო წლი- ური რაოდ. კაცი %	30523 100.0	9644 31.6	20879 68.4	30523 100.0	14805 48.5	9267 30.4	6450 21.1	1978 100.0	19 1.0	1959 99.0	1978.0 100.0	587.0 29.7	479.0 24.2	912.0 46.1
8	შრომის საშუალო ოფიციალური ანაზღაუ- რება, ლარი %	270.5 100.0	241.6 89.3	252.7** 92.3	270.5 100.0	381.6 141.1	158.6 58.6	157.3 50.8	180.5 100.0	69.5 38.5	178.7** 100.4	180.5 100.0	317.3 175.8	115.0 63.7	102.3 56.7

ცხრილი შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის კრებულის – სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები 2007 წელს – მიხედვით, ბათუმი, 2008.

\* აქ აღებულია მხოლოდ კერძო აღგილობრივი და/ან ფიზიკური პირების საშუალო თვიური ანაზღაურება.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში მცირე ბიზნესის მრავალი ფორმაა გავრცელებული, რომელთაგან აღსანიშნავია: “დამოუკიდებელი დასაქმებული”, “დროებითი შემოქმედებითი კოლექტივი”, “დროებითი მეწარმეობა”, მცირე მეწარმეობა “ფრანჩაიზინგის” სისტემის მეშვებით, მცირე საწარმოს “ბიზნეს-ინკუბატორები” და სხვა რომლებსაც ქვეყნის გაონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

მცირე მეწარმეობის ზემოაღნიშნული ორგანიზაციული ფორმების დამკვიდრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში, რადგან მათი ერთ-ერთი მიზანია ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის დამატებითი იმპულსების მიცემა, ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა, ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმება, ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებით კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებისა და მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა.

სამწუხაორდ, ჩვენს ქვეყანაში მცირე საწარმოები, როგორც ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ როლს ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკაში, უმნიშვნელოა მათი ხვედრი წილი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში, დაბალია მათი წარმოების ეფექტიზობა და სხვ. მცირე მეწარმეობის პერსპექტივები წარმოუდგენელია სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის პოლიტიკის განხორციელების გარეშე. სწორედ ამიტომაც არის, რომ აშშ-ში მცირე ბიზნესის შესახებ მიღებულ კანონში ჩაწერილია – **თავისუფალი კონკურენციის დაცვა და წახალისება არა მარტო კონომიკური კეთილდღეობის, არამედ ქვეყნის უშიშროების საფუძველია.** უშიშროება და კეთილდღეობა არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მცირე ბიზნესის არსებული და პოტენციური შესაძლებლობის სტიმულირების გარეშე. მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აშშ-ში ფედერალური ორგანო, „მცირე ბიზნესის აღმინისტრაცია“ შექმნილია პეტიონებინიდე, 1999: 63]. სამწუხაორდ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში თლიგარექტისა და მონოპოლისტთა ინტერესების დომინირება, ყურადღების მიღმა ტოვებს მცირე ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის საზოგადოებრივ ინტერესებს, რაც ვერ პასუხობს საქართველოს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს. თუმცადა აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეინიშნება ერთგვარი შემობრუნება მცირე ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით, მაგრამ როგორც ფაქტები მოწმობს, ამ მხრივ გატარებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ ვერ იძლევა სასურველ შედეგებს.

სამამულო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ტურისტული კომპლექსის საწარმოთა უდიდესი უმრავლესობა შეიძლება მივაკუთვნოთ მცირე

და საშუალო მეწარმების, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური საქმიანობისას მუდმივად აწყდება გარკვეულ სიძნელებსა და პრობლემებს.

ჯერ ერთი, მიუხედავად მასობრივი პრივატიზაციისა მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მაინც ვერ მიიღო შესაძლებლობა შეექმნა პირადმფლობელობაში არსებული დანაზოგი და რეზერვები, რომელიც ასე აუცილებელია საკუთარი საქმის დასაწყებად, ახალი საწარმოს შესაქმნელად. ანალოგიურად, ტურისტული კომპლექსის მოქმედ მცირე საწარმოებსაც, როგორც წესი, ასევე არ გააჩნიათ თავისუფალი სახსრები ბიზნესის არსებითი გაფართოებისათვის, მოწინავე ტექნილოგიური ხაზებისა და ძვირადღირებული იმპორტული მოწყობილობების შესაძენად. ცხადია, რომ დაძაბული სახლმწიფო ბიუჯეტის პირობებში ასეთი საშუალებების გამოყოფა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მცირე ბიზნესის საიმედო წყარო მხოლოდ საკრედიტო რესურსები შეიძლება გახდეს, მაგრამ დღეისათვის მსოფლიო საფინანსო და ეკონომიკური კრიზისისას მათი მიღება ურთიერთხელ-საყრელი პირობებით საკმაოდ მნელია.

მეორე, მნიშვნელოვან პრობლემას მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის ტურიზმში წარმოადგენს სუსტი, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. ამის შედეგად ტურისტული კომპლექსის მცირე საწარმოები არაიშვიათად ფუნქციონირებენ ისეთ პირობებში რომლებიც ძალიან შორსაა საბაზრო ურთიერთობებისაგან. მოუწესრიგებელია ტურისტული კომპლექსის მცირე საწარმოების საქმიანობის სტატისტიკა, ფინანსური აღრიცხვა და ეკონომიკური ანალიზი, მათვის შეზღუდული თანამედროვე ტექნილოგიების გამოყენების შესაძლებლობები და სხვა.

მესამე, ტურისტულ კომპლექსში მცირე მეწარმოების განვითარების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მეწარმეთა კადრების მომზადება და გადამზადება. ზოგჯერ საზოგადოებაში გაიგონებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „მეწარმეს უნარი დავთისგან აქვს ბოძებული“, რომ „მეწარმედ უნდა დაიბადო“ და სხვა. მაგრამ, ცხადია, რომ ნიჭიერ მეწარმისათვისაც კი აუცილებელია გარკვეული ცოდნის მარაგი ისე, როგორც ეს სჭირდება სპორტსმენს, ხელოვანს და ა.შ. არსებული ცოდნის განახლება და განათლების ორგანიზაციის არსებითი ცვლილება დღეს საბაზრო ურთიერთობების პირობებში ობიექტური აუცილებლობაა.

მეოთხე, მცირე მეწარმეობის განვითარებაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მცირე ბიზნესის დაცვის პრობლემა. ეს ეხება ჩინოვნიკთა თვითნებობისაგან და კრიმინალებისგან დაცვას აგრეთვე, სოციალური დაცვის საკითხებს. რაც შეეხება პირველ და მეორე შემთხვევას, ამ პრობლემის გადაწყვეტის სერხები და გარკვეული სასამართლო პრაქტიკა არსებობს. ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში, ამ მიმართულებით სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეები ამ მხრივ

თავს შედარებით დაცულიად გრძნობენ. რაც შეეხება სოციალური დაცვის პრობლემას, არსებითად ის ინსტიტუციურად ხელახლაა ჩამოსაყალიბებელი საზოგადოების სოციალური დაცვის ერთიან სისტემაში. როგორც მსოფლიომეურნეობრივი პრაქტიკა აღასტურებს, მცირე მეწარმეობის განვითარება შეუძლებელია სერიოზული სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე. რადგანაც მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო რესურსები ამ მხრივ შეზღუდულია, უაღრესად მნიშვნელოვანია შერჩევის თავისებური სისტემის შემოღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს განსაზღვრული იქნას მცირე მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. ამ თვალსაზრისით სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს: გამოკვლევები და ინოვაციები, აგრეთვე ტურიზმი. საწარმოები, რომლებიც ასტიმულიორებენ გამოკვლევებსა და ინოვაციებს წარმოებას შესაძლებლობას უქმნიან, რათა ისინი გადაყვანილი იქნენ ახალ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

განვსაზღვრეთ რა ტურიზმი, როგორც მცირე მეწარმეობის პრიორიტეტული სფერო, ეხლა განვიხილოთ მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესაძლო ვარინატები, რომლებიც გამოყენებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ მთელ რიგ ქვეყნებში მცირე პიზნებს ტურიზმი სახელმწიფოს მხრიდან აქვს სერიოზული საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა. ასე მაგალითად, უნგრეთში მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის კანონის თანახმად მცირე ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ეფუძნება საბიუჯეტო დაფინანსების შესაძლებლობების. უფრო მეტიც, კანონი მოუთითებს, კონკრეტული პროგრამისა და მხარდაჭერის ფორმებზე. ამის ნათელი მაგალითია „სეჩენის გეგმა“, რომელიც შედგება 55 საბაზო პროგრამისა და ქვეპროგრამისაგან, სადაც ძირითად პრიორიტეტად აღიარებულია გამოკვლევები და ინოვაციები, აგრეთვე ტურიზმი. აქ სახელმწიფოს მიერ სტიმულირდება პირდაპირი კერძო ინვესტიციებიც ტურიზმში, მათ შორის უცხოურიც [ტიომნი, ტიომნაია, 2003: 136-138].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ტურისტული კომპლექსის მცირე საწარმოთ შეღავათიანი დაკრედიტების სისტემა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს. ამაზე მეტყველებს ფინეთის ეროვნული ეკონომიკისა და მათ შორის ტურიზმის დინამიური განვითარების ტენდენციები. ამ წარმატების საფუძველია მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის გააზრებული, ეფექტიანი ურთიერთმოქმედება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო მხარდაჭერის გამართული და მოქნილი სისტემა. აღნიშნული სისტემის მთავრი მექანიზმებია: საკრედიტო გარანტიები, მიკროდაკრედიტება, ვენჩერული დაფინანსება, რომელიც შემუშავებულია და რეალიზდება სტრუქტურა „ფინვერას“ მიერ და წარმოადგენს პიონერულ გადაწყვეტილებას, მათ შორის ტურიზმშიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აშშ-

ში მსგავს საფინანსო-საკრედიტო დახმარებას ახორციელებს მცირე ბიზნესის საქმეების აღმინისტრაცია, იაპონიაში – მცირე ბიზნესის დაზღვევის კორპორაცია, საფრანგეთში ორგანიზაცია „კრედიტი საშუალო და მცირე ფირმებისათვის“ [ტიომნი, ტიომნაია, 2003: 138].

მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, სადაც ინვესტიციებს ახორციელებენ ტურიზმის მცირე ბიზნესში, ტურისტული კომპლექსის მცირე საწარმოებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი საგადასახადო შედაგათები. ასე მაგალითად, ჩინეთში პოლიტიკური მხარდაჭერისა და წახალისების შესაბამისად ტურიზმის სფეროს საწარმოებისა და დაწესებულებების, მათ შორის გადამზიდავთა საწარმოებისა და საგანმანათლობლო დაწესებულებების ჩათვლით, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი ანგარიშ-სწორების ანგარიში, საგადასახადო ორგანოების გადაწყვეტილებით მუშაობის დაწესებიდან ერთი წლის განმავლობაში უმცირდებათ საშემოსავლო გადასახადი ან საერთოდ თავისუფლდებიან მისგან.

მეტად საინტერესოა უნგრეთში მოქმედი კანონმდებლობა საგადასახადო შედაგათების თვალსაზრისით, სადაც გამოიყოფა 4 ჯგუფი, კერძოდ ესენია: საერთო საგადასახადო შედაგათები ინვესტიციების სტიმულირებისათვის; საგადასახადო შედაგათები, რომლებიც მიმართულია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განვითარებისათვის; საგადასახადო შედაგათები, რომლებიც სპეციალურად ორიენტირებულია მცირე ბიზნესის წარმომადგენლებზე; რეგიონული საგადასახადო შედაგათები. არსებული საგადასახადო შედაგათების სისტემაზე მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა უნგრეთში მცირე მეწარმეობის განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონში ტურიზმი შეიძლება ნამდვილად გახდეს მცირე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან სფეროდ, მაგრამ ამისათვის აუცილებელია პირველ რიგში შემუშავებული და განხორციელებული იქნას მცირე მეწარმოების განვითარების, ხელშეწყობისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უნდა მოიცავდეს: სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე მცირე ბიზნესის განვითარების და სტიმულირების ერთიანი სისტემის შექმნას და ამოქმედებას, პრიორიტეტულ მიმართულების განსაზღვრას რეგიონების სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით და მათ მიმართ პოლიტიკურ, საფინანსო-ეკონომიკურ და სოციალური მხარდაჭერას; „მცირე ბიზნესის შესახებ“ არსებული საკანონმდებლო ბაზის გადამუშავებას, განახლებებას, სრულყოფას და ინსტიტუციურ მოწესრიგებას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე; მცირე მეწარმეთა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას და შედაგათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესებას განსაკუთრებით მათოვის, ვინც დაკავებული არის საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებით, გამოკვლევებით, ინვესტიციებით, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში დანერგვით; აეთილსასურველი სამეწარმეო კლიმატის ჩამოყალიბებას, მაკონტროლებელ და შემმოწმებელ ორგანოთა რიცხვის შემცირებას, საწარმოთა

რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცედურის გამარტივებას; ბაზრის დაცვას, საბაჟო სისტემის მოწესრიგებას, დაუბეგრაფი საქონლის შემოტანისა და კორუფციული მოვლენების აღკვეთას, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციული პროდუქციის წარმოების გაფართოებას; მცირე მეწარმეობის ახალი პროგრესული ორგანიზაციული ფორმების დანერგვისადმი აქტიურ ხელშეწყობას და დახმარებას; გარანტიების (თავდებობის) სისტემის შექმნის მიზნით საფინანსო საშუალებათა კონცენტრაციას, რაც საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკებს აქტიურად იმონაწილეონ მცირე საწარმოთა დაქრედიტებაში და სხვ.

**Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze**

### **Problems of development of tourism and small business.**

#### **Summary**

The international practice indicates that small-scale business and enterprises are attached special importance in the development of national economy. Unfortunately, recent development of tourism and other branches in Georgia and its regions took place under difficult conditions, however from the second half of 1990-s, some measures conducted by the government significantly influenced the development of the business undertakings and overcoming existing in the sphere problems. Hence, in 2007, small-scale business proportion in all business mounted to 2 128 units (82.6%), volume of production – 41 699.7 GEL (12.7%), while in tourism business this figure mounted to 215 units (92.7%) and 6 224.9 GEL (32.0%) accordingly, that in several times exceeds ones of 2000. However despite the progress in the business development, economic analysis reveals existence of several problems in this sphere: weak state support of developing small-scale business, reducing number of small enterprises, decreasing of their efficiency and etc.

For the overcoming of problems in tourism business and its development, it is necessary to work out and put into practice state program supporting small-scale business and aimed at creation and brisking up the single system for the development and stimulation of small business at the state and regional levels, prioritizing the tasks with consideration of regional specificity, their political, financial and social support and etc.

**Вахтанг Микашавидзе, Жани Микашавидзе**

## **Проблемы развития туризма и малого предпринимательства в Аджарии**

### **Резюме**

Международный опыт подтверждает, что в странах переходной экономики особенное значение в развитии народного хозяйства, в том числе и туризма, придается малому бизнесу и предпринимательству. К сожалению, в недавнем прошлом, развитие туризма наряду с другими отдельными отраслями Грузии и ее регионов проходило в сложных условиях, однако со второй половины 90-х гг. прошлого столетия, мероприятия, проведенные правительством, сыграли значительную роль в развитии предпринимательства и преодолении существующих в этой сфере проблем. Таким образом, в 2007 г. в Аджарии соотношение малого предпринимательства по отношению к предпринимательству в целом составило 2 128 единиц (82.6%), выпущенная продукция – 41 699.7 тыс. лари (12.7%), в то время как в сфере туризма этот показатель составил 215 единиц (92.7%) и 6 224.9 тыс. лари (32.0%) соответственно, что в несколько раз превышает показатель 2000 г. Несмотря на прогресс в развитии предпринимательства, экономический анализ показывает наличие еще многих проблем в этой сфере: плохо действует механизм правительственной поддержки развивающегося малого предпринимательства, наблюдается тенденция количественного сокращения малых предприятий и ухудшения их эффективности и т.д.

Для развития предпринимательства и преодоления существующих в туристическом бизнесе проблем, необходимо разработать и осуществить государственную программу для поддержки малого предпринимательства направленную на создание и активизацию на государственном и региональном уровнях единой системы для развития и стимулирования малого предпринимательства, определение приоритетных направлений с учетом специфики регионов, их политическую, финансовую, экономическую и социальную поддержку и т.д.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. დ. ამაღლობელი, ა. ჩიბუხაშვილი, მცირე ბიზნესი საქართველოში. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №21, მარტი, 1999 წ. გვ. 3–16.

2. ე. ბუხვალდი, ა. ვილენსკი, განვითარება და მხარდაჭერა მცირე ბიზნესს (უნგრეთის გამოცდილება და გაპვეთილები რუსეთისათვის). „ვოპროსი გეო-ბიზინესი“, 2002, №7, (რუსულ ენაზე).

3. 6. გრიგოლია, 6. ფირცხალავა, ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა და რეგულირების სამართლებრივი სფუძვლები. ქ. „ეკონომიკა“, 2008, №9, გვ. 79-83.
4. 6. გრიგოლია, 6. ფირცხალავა, მცირე ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები. ქ. „ეკონომიკა“, 2008 წ. №9, გვ. 193-198.
5. ლ. გიგინეოშვილი, გ. აბესაძე, ი. არჩვაძე, ზ. ზურაბიშვილი, ბიზნეს-ინჯინიერი – მცირე მეწარმეების განვითარების ეფექტური ფორმა. ქ. „ეკონომიკა“, 2001 წ. №5, გვ. 131-138.
6. მეწარმეობა პჭარაში, 2005-2007 და 2008 წლები. აჭარის აგტონომიური რესპექტურის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის კრებულები, ბათუმი, 2006, 2008, 2009. 55 გვ.
7. ქ. მიქაშავიძე, მცირე მეწარმეების განვითარების საკითხები აჭარის მრეწველობაში. საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებები. ბათუმი–თბილისი, 2002. გვ. 324-330.
8. ვ. მიქაშავიძე, ჯ. გუსეინვაზა, მცირე მეწარმეობა – რეგიონის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება. აჭარის სოციალურ-კონომიკური პრობლემები – XI. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009. გვ. 31-43.
9. ლ.ვ. ნოვზდრახვი, ე.ა. პავლოვსკი, კანონმდებლობის გამოვლინება მცირე მეწარმეობაში. მ., „მეწრეპ-ინფორმი“, 1992 (რუსულ ენაზე).
10. სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, 2007 წელი. აჭარის ავტონომიური რესპექტურის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები, ბათუმი, 2008.
11. ი.გ. ტიომნი, ლ.რ. ტიომნია, ტურიზმის ეკონომიკა: სახელმძღვანელო. მ., „სოცეტის სპორტი“, 2003, 416 გვ. (რუსულ ენაზე).
12. ფან ჩუნ იუნი, მცირე და საშუალო საწარმოებს სახელმწიფო მხარდაჭერა ჩინეთში. „გოპროსი ეკონომიკი“, 2002, №7. (რუსულ ენაზე).
13. ლ. ჩუბინიძე, მცირე ბიზნესისა და სამრეწველო მეწარმეობის განვითარების რეგულირების რეგიონალური ასექტები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. IV, თბ., 1999. გვ. 633-643.

## ლამარა მიქელაიშვილი

### სასურსათო დამოკიდებულების შემცირების და ეკოლოგიური აგროჭარმოების განვითარების პროგლობები საქართველოში

“ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ  
სუფთა პრიორულები. ეს დიდ მოგებას ძოუტანს ხალხს  
და ადორდინებს ხოველებს”

სრულიად საქართველოს კათალიკოს-აღმარწინიარქი,  
უწმინდესი და უნეტარები იღია II.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა, რომლის შინაარსი საბაზრო უდტიერთობებზე გადასვლაში მდგომარეობს წარმოშობს ამ პრობლემებისადმი განსაკუთრებულ მიდგომას. ეკონომიკურ უსაფრთხოებათა გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში ჯერ არ ამოქმედებულა საბაზრო სისტემის ძირითადი ეკონომიკური მექანიზმი, ხოლო აღმინისტრაციული მბრძანებლური მართვის ბერკეტები დანგრეულია, მეცნიერულ ტექნიკური ზემოქმედება ეკონომიკაზე უფრო სუსტია.

აგროსასურსათო კრიზისი დიდი რისკფაქტორია ეროვნული უსაფრთხოება, მისი დაძლევა სახელმწიფო მარეგულირებელი პოლიტიკისა და ეკონომიკური ჩარევის სიღრმეს უკავშირდება. საქართველოსათვის არსებითია სასურსათო ოვითუზრუნველყოფის მიღწევა. ხელისუფლების და ეკონომიკის უველა რგოლი მოვალეა განუხრელად იცავდეს ამ პრინციპს. არადა ქვეყანას ჯერ კიდევ შემოაქვს საჭირო სურსათის 50%-ზე მეტი. სიახლე არ არის, რომ აგრარულ ქვეყანაში იმპორტირებულ კარტოფილს, სომხეთიდან შემოტანილ სტაფილოს და ჩინურ ნიორს და ა.შ. საკმაოდ ფართო ჩამონათვალს ინტენსიურად მოვიხმართ. ეს კულტურები ჩვენს ქვეყანაში მოჰყავთ, თანაც უფრო ხარისხიანი და გემრიელი, მაგრამ წარმოების მოცულობა საბაზრო მოთხოვნას ბევრად ჩამორჩება.

სახელმწიფო (ეროვნული) სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კრიტერიუმია ქვეყანაში მოხმარებული და წარმოებული სასურსათო პროდუქტის მოცულობების თანაფარდობა. კიდევ უფრო ზუსტ შეფასებას იძლევა მოხმარებული სურსათის მთლიან მოცულობაში ადგილობრივი წარმოების ხვედრითი წონა მაჩვენებელი.

ის რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგი-დღემდე არავისოთვის არ არის საეჭვო. იგი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დონის განმსაზღვრელია. ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და გამოყენების მდიდარი ტრადიციები ყველა ეპოქაში ქართველი ხალხის საკუთარი ოვითმყოფადობის, ეკონო-

მიკური დამოუკიდებლობის, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის, სასაქონლო ნაკადების მოძრაობის საშუალებას იძლეოდა. სწორედ ამ დარგში წყდება მირითადად სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის არის ნომერ პირველი ამოცანა და არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, იგი მხოვლიოს პრობლემას წარმოადგენს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის დღედამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა და საკმარისობის კოეფიციენტის სიდიდე უდრის 0,95, მოსახლეობის (თვიური) შემოსავლების დაბალი დონის გამო, კვების ფაქტობრივი (თვიური) რაციონის ღირებულება (42 ლარი) საგრძნობლად ჩამორჩება კვების პრდუქტების მოხმარების რაციონალური ნორმით გათვალისწინებულს (125 ლარი) ეს თანაფარდობა ნათლად მეტყველებს იმ გარემოებებზე, რომ დღეისათვის ქვეყნის მოსახლეობა გადახდისუნაროა და ვერ ახერხებს საკმარისი ოდენობით მიიღოს ყველა აუცილებელი კვების პროდუქტი და ორგანიზმისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებები. რადგან პროდუქტი ძვირადღირებული და მოსახლეობისათვის ნაკლებხელმისაწვდომია.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი 0,42 ფარგლებშია, ხოლო კალორიულობის მიხედვით იგი არ აღემატება 1350 კალ-ს რაც ფარს მიერ მოცემული კლასიფიკაციით სიცოცხლისუნარიანობის ზღვარს უახლოვდება. ანალიზით დასტურდება, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა მაჩვენებელი პრაქტიკულად გადახრილია ზღვრული მაჩვენებლისაგან. ეროვნულ დონეზე „სასურსათო უსაფრთხოების“ პირველი რიგის საკითხებია „საკმარისობა“ (შეზღუდული წარმოება) და „ხელმისაწვდომობა“ (დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა) შემდგომ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს „თვითუზრუნველყოფის“ მიღწევა. ამ შემთხვევაში „საკმარისობა“ გულისხმობს მუდმივ მზადყოფნას ექსტრემალურ პირობებში შეინარჩუნოს საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მინიმალური დონე. დაბალი ეკონომიკური დონისა და სურსათის დეფიციტის შემთხვევაში სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა სურსათზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება (ხელმისაწვდომობა) ასეთ ვითარებაში ჯერ კიდევ არ არის საუბარი „თვითუზრუნველყოფის“ შესახებ. ხოლო, როცა პირველი და მეორე ეტაპი მიღწეული იქნება, რაც გულისხმობს საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს და სურსათზე ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამის მოთხოვნას, მხოლოდ ამის შემდეგ წამოიწვევს წინა პლანზე „თვითუზრუნველყოფის“ რაც შეიძლება მაღალი დონის მიღწევა (კოდუაშვილი პ. ბენიაშვილი ს. 2002:140). ეს კი თავის მხრივ თითქმის მთლიანად უკავშირდება ქვეყნის ბიოკლიმატურ და ნიადაგობრივ რესურსებს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას და პრიორიტეტებს, ანუ რამდენად მიმართავს თავის ეკონომიკურ პოტენციალს აგრარული სექტორისადმი. რადგან სოფლის მეურნეობის არასათანადო მხარდაჭერის

შემთხვევაში შეიძლება სრულად ვერ იქნეს ათვისებული ქვეყნის ბიოპოტენციალი.

2003 წელს სიდარიბის პროგრამაში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა. სახელმწიფოს მიერ იყო მცდელობა ჩაის კულტურისა და თეორი ვაზის განვითარების მიზნით მათი დახმარება და რეგულირება, თუმცა ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. ფაქტობრივად ისე წარიმართა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება, რომ ქართველი გლეხი, ქართველი ფერმერი, ქართული პროდუქცია გამოდევნილი იქნა ბაზრიდან. საქართველოს მიმართ გატარდა ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ფაქტობრივად ქართული ბაზრის დაპყრობისა-კენ, კონტრაბანდული პროდუქციით ამან კი გააკოტრა ქართველი გლეხები. მთავარი ის არის, რომ ქართულ ბაზარზე იყიდება ნამეტი პროდუქცია კი არა, არამედ ის რაც თავის თავს მოაკლო, ჩვენ ქვეყანაში სახელმწიფო მსარდაჭერა სოფლის მეურნეობის მიმართ ნულის ტოლია. კოროკავშირის ქვეყნები მთლიანობაში სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას ახდენენ დაახლოებით 40%-ით, კაცობრიობას ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის სუბსიდირება უჯდება 360 მილიარდი ლოდარი, შეერთებულ შტატებს 162-დან-64 მილიარდამდე, ძალიან დიდია მსგავსი დახმარება ევროკავშირში. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა დანია, ნორვეგია, შვეიცარია 2500 დოლარიდან 3500 დოლარამდეა სახელმწიფო ხელშეწყობა, ჩვენთან კი ერთი დარი არ არის ერთ პეტარზე (კოდუაშვილი, 2007:13) სოფლისათვის გამოყოფილი სახსრები ბიუჯეტის 1%-საც კი არ აღემატება.

ა.შ.შ-ში 80-იანი წლების დასაწყისში წარმოიქმნა გარამეული გარემოება, რომელიც ზრდიდა რისკფაქტორს სოფლის მეურნეობაში. 1985 წელს მათ მიიღეს კანონი სასურსათო უსაფრთხოების შესახებ, შემდეგ კანონი სოფლის მეურნეობის დაცვის და მისი შემდგომი რეფორმების შესახებ, წყლის ხარისხის შესახებ, სოფლის მეურნეობის განვითარების, სრულყოფისა და კიდევ ერთხელ რეფორმებისა და სურსათით ვაჭრობის შესახებ. სწორედ მსგავსი კანონებია საჭირო ჩვენს ქვეყანაში, საუბედუროდ სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში გარკვეული პოლიტიკა დამტკიცებული და აღიარებული არ არის. თუმცა არის მცდელობა ამ საკითხებზე მუშაობის (კოდუაშვილი, 2007:13).

საქართველოს სოფლის მეურნეობის გადარჩენის ფაქტორი მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შენარჩუნებაა.

მსოფლიო კონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და მისი სტაბილიზაციისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მეურნეობის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულების სწორ განსაზღვრას და ქვეყნის საწარმოო პოენციალის რაციონალურ გამოყენებას, რაც ქვეყნის ინტეგრაციისა და მისი კონკურენტუნარიანობის რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესმა XXI საუკუნეში განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია. ქვეყნებს შორის

გეოგრაფიულმა დაშორებამ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. მთავარი კითხვა: როგორ უნდა გამოიყენოს ქვეყანამ გლობალიზაციის შესაძლებლობები ეკონომიკური ზრდისათვის ისე, რომ მის (გლობალიზაციის) ნებატიურ შედეგებს თავი აარიდოს, რომელიც დღეს ქვეყნების უმრავლესობის წინაშე დგას? ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა განსაკუთრებით მგრძნობიარეა საერთაშორისო რეევების მიმართ. აღნიშნული მდგომარეობა მეურნეობის საქმიანობის განვითარების სულ უფრო ახალი და პროპორციული ფორმების მოძიებას მოითხოვს. ლია ეკონომიკაზე გადასვლამ, ბაზრის გახსნილობამ ჩვენს ქვეყანაში უცხოური, იაფიასიანი პროდუქციის მოზღვავებას შეუწყონელი, რამაც პრაქტიკულად შეაჩერა სამამულო წარმოების განვითარება. ინტეგრაციული პროცესები კი პირდაპირ თხოვლობს ქვეყნებს შორის თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეკონომიკური კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, განსაკუთრებით რადიკალური გარდაქმნების პირობებში, აუცილებელი ხდება ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევა, რომელიც მსგავს სიტუაციაში იღებს ქვეყნის ეკონომიკის მიმზიდველ გადაწყვეტილებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკური გარდაქმნების სოციალური მხარდაჭერა. ამაღლდეს მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, მოხდეს სიღარიბისა და სოციალური თანასწორობის დაძლევა. ქვეყანაში არსებითად გატარებული იქნას ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება არა მარტივ ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებაში, არამედ მოლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის პირობების შექმნაში. ქვეყანაში დღეს არსებული სიტუაციის ანალიზმა და ეკონომიკური ზრდის ტემპებზე დაყრდნობით გაკეთებულმა გაანგარიშებამ გვიჩვენა რომ 2005 წლისათვის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური 5% ზრდა 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 434%-ს შეადგენს. ეს ფაქტობრივად ეროვნული ეკონომიკის ქრონიკული კრიზისის ფაზაში გადასვლას ნიშნავს. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1995–2000 წწ სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის მოცულობა გაიზარდა 55-ჯერ (1165 მლნ, 59,4 მლნ ლარამდე) რაც სპეციალისტების აზრით უპრეცედენტო მაგალითია თანამედროვე მსოფლიო პარამეტრებით. ეკონომიკური აღმავლობის ნაცვლად ადგილი აქვს წარმოების შემდგომ დაცემას, რაც საქართველოში განსაზღვრული აგრარული რეფორმების შედეგებს საგანგაშოს და შემაშფოთებელს ხდის (მოისწავიშვილი, 2000:127).

სირთულე მდგომარეობს ქვეყნის მეურნეობისათვის პრიორიტეტული დარღების განსაზღვრაში, რომელთა განვითარება საქართველოს ეკონომიკას მისცემს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების განვითარებას, ამასთან ხელს შეუწყობს და ბიძგს მისცემს შიგა ბაზრის გაფართოებას და სტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც თავისთავად მიიღწევა ინტელექტუალური და საწარმოო პოტენციალის ამოქმედებით, რომელიც ქვეყნის მწარმოებლურობის შესაძლებლობის განმსაზღვრელია. სოფლის მეურნეობა სწორედ ის დარგია სადაც წყდება ისეთი

მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემები. რომელიც ქვეყნის ნომერ პირველ ამოცანას წარმოადგენს და არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის. იგი მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს. ამჟამად სურსათო საკუთარ მოთხოვნილებას სრულიად იგმაყოფილებს 30-მდე ქვეყანა და მხოლოდ 8 მათგანს გააქვს იგი საექსპორტოდ, აქ გვულისხმობთ ნეტოექსპორტს. ყველაზე უფრო სტრატეგიული სურსათის, მარცვლეულის მსოფლიო მარაგის უდიდესი ნაწილი რამოდენიმე ქვეყანაშია მობილიზებული (აშშ, ევროპის ქვეყნები და კანადა), მარტო აშშ, რომლის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 5% შეადგენს, ფლობს მსოფლიო მარცვლეულის მთლიანი მარაგის დაახლოებით ნახევარს (კოლუაშვილი, ბენიაშვილი, 2002:140-143).

მარცვლეულის ექსპორტის მხრივაც ანალოგიური ვითარებაა შექმნილი. მისი მთლიანი მოცულობიდან ლომის წილი მოდის სამ ქვეყნაზე: ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ავსტრალიაზე და კანადაზე და ეს იმ დროს, როდესაც მარცვლეულის იმპორტიორი თანამედროვე მსოფლიოში 120 ქვეყანაა (კოლუაშვილი პ. ბენიაშვილი შ. 2002:140-143). ასეთ ვითარებაში მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსის დარღვევამ საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე შესაძლებელია პანიკა გამოიწვიოს, რასაც ერთვის თან ფასების ზრდაც. ცხადია, სურსათის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნები საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან მოვლენების ამგვარი განვითარებისას. ანალოგიურ მდგომარეობას რამდენჯერმე უკვე პქონდა ადგილი მსოფლიო სასურსათო ბაზარზე, რამაც უბიძგა ქვეყნებს აქტიურად შეექმნათ და განეხორციელებინათ „თვითუზრუნველყოფის“ ეროვნული კონცეფციები, რაც ძირითადად აგრარული სექტორისადმი სახელმწიფო აგრესიული მხარდაჭერის პოლიტიკაში გამოიხატება.

მსოფლიო სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაშ უარყოფითი შეფასება მისცა განვითარებადი ქვეყნების მხრივ სურსათის იმპორტის წახალისებას, ამასთან ფაოს გენერალური დირექტორის მოადგილე დე პეინმა აღნიშნა, რომ „უერმერთა სუბსიდირება სურსათის ექსპორტიორ განვითარებულ ქვეყნებში მართლა დაეხმარება დარიბ იმპორტიორ ქვეყნებს იმპორტის გაიაფებაში, მაგრამ დაბალი ფასები სურსათზე აიძულებს ბევრ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას უგულველყოს საკუთარი აგროწარმოება. ლიბერალიზაციის შედეგად თითქმის გარდამავალი იქნება ფასების ზრდა, რაც ამ ქვეყნებს დატოვებს გაუსაძლის მდგომარეობაში. ჩვენ მტკიცედ უნდა ვიდგეთ იმ აზრზე, რომ შემცირდეს იმპორტზე დამოკიდებულება (კოლუაშვილი, ბენიაშვილი, 2002:140-143).

მსოფლიო სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) დასკვნა სწორედ რომ საყურადღებოა ჩვენი ქვეყნისათვისაც.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, კაცობრიობას მოსვენებას არც გლობალური სასურსათო კრიზისი აძლევს. სურსათის ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებსაც გაუჩნდათ პრობლემები საკუთარი

მოსახლეობის გამოკვებაში. 2006 წელს დაწყებული აგლაცია (ფასების ზრდა აგრარულ პროდუქციაზე) უფრო სწრაფად ვითარდება, 2009 წლის დასაწყისში ამერიკის ბაზრებზე სიმინდის ფასი 33%-ით გაიზარდა, Morgan Stanbey -ს გლობალური ფინანსური ბაზრის კვლევის ცენტრის ვარაუდით, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში 150%-ით გაძვირდა ხორბლის ფასი, იგი მომავალშიც გაიზრდება. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიის მონაცემებით, ძირითადი საკვები პროდუქტები ჩვენთან გაძვირდა. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ მზესუმზირის ზეთის ფასი 87%-ით ექსპერტების მონაცემებით, საქართველოში საკვები ზეთის 80% იმპორტირებულია. ამიტომ საერთაშორისო ბაზარზე დაწყებული აგლაცია საქართველოშიც, ზეთის გასაყიდ ფასზე მაშინვე აისახა. 11%-ით გაიზარდა ხორბლის და პურის ფქვილის ფასი (პურის ფასი არ გაზრდილა, მაგრამ აგლაცია პურის ფასსაც მაღე შეეხება) (ჩახვაშვილი, 2008:21).

საქართველოში წარმოებული ხორბლის მოცულობა ადგილობრივი მოთხოვნილების მეხუთედსაც ვერ აკმაყოფილებს. საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად 700–750 ათასი ტონა ხორბალს მოიხმარს. 2008 წლის მოსავლის მოცულობა 150 ათას ტონას არ აჭარბებდა. სასურსათო იმპორტში ყველაზე დიდი ხვედრით წონა ხორბლის (11%), პურის ფქვილისა (8,8%) და ხორცის პროდუქტებს (12%) უკავია. ქვეყანა დიდად არის დამოკიდებული იმპორტულ შაქარზე, რძესა და რძის პროდუქტებზე, მზესუმზირის ზეთზე, ბოსტნეულზე, თევზზე, ხილსა და სხვა სურსათზე. საქართველო სურსათის ექსპორტს თავადაც ახორციელებს, თუმცა ასორტიმენტი მცირეა: ხილი, ბოსტნეული, მინერალური წყალი და ღვინო. სტატისტიკური მონაცემებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (2007 წ.) სასურსათო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 20%-ით შემცირდა. 16%-ით შემცირდა სასურსათო პროდუქტის წილი მთლიან იმპორტში, რაც ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად, მსოფლიო ბაზარზე სურსათზე ფასების ზრდამაც განაპირობა (ჩახვაშვილი, 2008:21).

ზოგიერთი ქართველი ექსპერტის აზრით, უნდა შევეგუროთ იმას, რომ XXI საუკუნეში იაფი სურსათის ცნება ადარ იარსებებს. სურსათის მოხმარება მსოფლიოში გაიზარდა, ეს ეხება პირველ რიგში ხორბალს, შაქარს, ხორცს, ზეთს. ყველა ეს პროდუქტი საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან შემოღის, ამიტომ გლობალური სასურსათო კრიზისი და აგლაცია ჩვენს ქვეყანაზე უშუალოდ აისახება და უმწვავესი პრობლემა იქნება ჩვენი მოსახლეობისათვის.

დროა საქართველოს ხელისუფლებამ ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი სოფლად არსებული საწარმოო პოტენციალის ამოქმედებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას. სასურსათო პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას, შიგა ბაზრის გაფართოებას და საექსპორტო პოტენციალის გადიდებას. ამით მოსალოდნელი მწვავე სასურსათო კრიზისის შერბილებას.

გრანტები და სესხები პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ეფექტიანად ამოქმედებისათვის. ფული გვჭირდება ქვეყნის განვითარებისათვის მაგრამ, აქ მნიშვნელოვანია თუ რა მიმართულებით გამოვიყენებთ. როგორია ქვეყნის სტრატეგიული არჩევანი, მისი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რითაც დღეს ნამდვილად ვერ ვიამაყებთ.

დღეს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია ისეთია, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად უნდა დარჩეს, რადგან ქვეყანაში პირველ რიგში აგრარულ სექტორს აქვს საქმარისი პოტენციალი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. სწორედ მან შეიძლება უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის საჭირო მოცულობის წარმოება და მოგების სწრაფი მიღება, მნიშვნელოვანი სამუშაო ადგილების შექმნა (50%) და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჩვენი ქვეყანა არ არის დიდი მასშტაბების ქვეყანა, რომ დიდი პრეტენზიები გვქონდეს წარმოების ფართო მასშტაბებზე, მაგრამ ეს ქვეყანა ისეთი მდიდარია წვრილი წყაროებით, რომ მათი ერთ კალაპოტში მოქცევა მოგვცემს უზარმაზარ ენერგიას და ამ ყველაფრის აღორძინების საშუალებას საქართველოს მთა და მთის ძირები, რომელიც ჩვენი ტერიტორიის 85%-ია, ჯერ კიდევ ასათვისებელია (კოლუაშვილი, 2007:13). ავტორების (კოლუაშვილი პ., რამიშვილი ბ., ბერია შ.) გაანგარიშება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების პერსპექტიული ბალანსები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება 2015 წლისათვის შესაძლოა მთლიანად იქნას დაკმაყოფილებული საკუთარი წარმოების ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა: კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თვეზები, რაც შეეხება ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, კვლავ იმპორტით შევსების ხარჯზე მოხდება, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდება დეფიციტი, პურპროდუქტებზე 36-დან 90%-მდე, ხორცის პროდუქტების 30-დან 90%-მდე. ამ გაანგარიშებას საფუძვლად უდევს ისეთი დონისძიებების გატარება, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო მიწების ტრანსფორმაცია დამუშავებაში მყოფი მიწების ფართობის გაზრდა 250–270 ათასი ჰექტარით, ხოლო ნათესი ფართობების 180–2000 ჰექტარით), სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა და წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლება, ყოველივე ეს კი დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში სუბსიდიების ზრდასთან და მის ეკონომიკურად გამოყენებასთან.

იმ პირობებში, რა პირობებშიც ჩვენ ვართ, იმ წარმოებით და ტექნოლოგიებით, რომელიც ამჟამად არის სოფლის მეურნეობაში, ექსპერტების თვალსაზრისით არანაირი პერსპექტივა არ გვაქვს. ერთადერთი, რითაც შეიძლება ევროპულ ბაზარზე მოვხვდეთ არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, რომლის შესანიშნავი ბაზაც გაგვჩნია მთაში და მთის ძირშიც.

ექსპერტების გაანგარიშებით, 2030 წლისათვის ჩვენი პლანეტის მოსახლეობა გაიზრდება 8 მლრდ-მდე, რომელთა გამოკვებაც სოფლის მუშაობის განვითარების არ თუ ექსტენსიური, ნაკლებად ინტენსიური გზითაც კი შეუძლებელი იქნება. ამ შემთხვევაში პრიორიტეტული მიმართულება მიეცემა ტექნოლოგიური ცივილიზაციის განვითარებას, რომელიც გზას გაუხსნის სურსათის წარმოების ზრდის ფანტასტიკურ შესაძლებლობებს.

ეს წინსვლა დღესდღეობით ხორციელდება ბიოტექნოლოგიის სფეროში, რომელიც სულ ცოტა 15 წლის წინათ ნაკლებად თუ იცოდა ვინმებ. მისი სამი მიმართულებიდან: პირველი არის ცოცხალი ორგანიზმების ფორმირებასა და განვითარებაზე აქტიური ნივთიერებების ზემოქმედება პორმონებით, მეორე ქსოვილების კულტივირება და მესამე გენური ინჟინერია (მცენარეთა და ცხოველთა გენოტიპის შეცვლა რეკომენდაციის საფუძველზე) დღეისათვის უფრო გავრცელებულია ბოლო მიმართულება, რამაც მიგვიყვანა გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათის წარმოშობასთან.

ჯერჯერობით მეცნიერებას არ შეუძლია ახსნას და გასცეს პასუხი რამდენად ნეიტრალურია ან საშიშია ადამიანთა ჯანმრთელობისათვის განეტიკურად შეცვლილი სურსათის გამოყენება. ეს პრობლემა დიდად აღელვებს მთელ კაცობრიობას, განსაკუთრებით კი განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას, რომლის მნიშვნელოვან ფენას, რომლებიც თავიანთ ჯანმრთელობას უურადღებით ექცევიან და აქვთ მატერიალური შესაძლებლობები გააკეთონ გენური ინჟინერიისა და ბუნებრივი, ტრადიციული მეთოდებით მიღებულ სურსათს შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც განუწყვეტლივ განიცდიან სურსათის უქმარისობას იძულებულნი არიან მოიხმარონ ნებისმიერი სურსათი, განსაკუთრებით ისეთი, რომელთა ფასები მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იქნება, ექსპერტები ამტკიცებენ რომ გენეტიკურად შეცვლილ პროდუქტს შესწევს უნარი დააზიანოს ადამიანის ორგანიზმში შედწევით მიკროორგანიზმთა საჭირო ბალანსი და ხელი შეუწყო ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების გააქტიურებას და მრავალი დაავადების განვითარებას. აღსანიშნულმა პრობლემამ მსოფლიო საზოგადოების დიფერენციაცია გამოიწვია. მაგალითად აშშ-ში და ინგლისში მხარს უჭერენ გენეტიკურად შეცვლილი სურსათის გამოყენებას, ბრაზილია, ინდოეთი, ჩინეთი, კენია დაბეჯითებით მოიხსოვენ ასეთი სურსათის მოხმარების უსაფრთხოების გარანტიებს. ევროპულმა ქვეყნებმა, რუსეთის ჩათვლით დაიჭირეს ლონდონის პოზიცია და ჯერჯერობით ისინი ზღუდავენ თავიანთ ბაზრებზე ასეთი სახეობის პროდუქტების შესვლას. აშშ-ი საზოგადოების ზეწოლის შედეგად მიიღეს ისეთი დონისძიებები, რომლებიც მომხმარებელთა სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეხება (ბურკაძე, ვაშაკიძე, 2005:58-60).

ამჟამად ეპოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით ლიდერობს ევროკავშირის ქვეყნები, სადაც ეპოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებაში ჩართულია 400 ათას ჰექტარზე მეტი

სასოფლო—სამეურნეო სავარგული, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე მოდის 250 ათასი ჰექტარი, საფრანგეთზე 100 ათასი, დიდ ბრიტანეთზე 40 ათასი ჰექტარი. სულ ეკოლოგიურად სუფთა აგრომრეწველობით ევროკავშირში დაპავებულია 14 ათას მეურნეობაზე მეტი. ევროკავშირის ექსპერტები ვარაუდობენ რომ ბიოპროდუქტების წარმოება კიდევ უფრო გაიზრდება. თავდაპირველად ეკოლოგიურად სუფთა სურსათის გამოყენება გაიზრდება სამკურნალო დაწესებულებებში და ბავშვთა კვებისათვის. ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო ნაეჭრი დახმარების და სხვა სახის მხარდაჭერის ძირითადი ფაქტორი თანდათანობით ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო—სამეურნეო წარმოების განვითარებისაკენ არის მიმართული. თუმცა მისი წარმოების მოცულობა სასოფლო—სამეურნეო წარმოებაში 3–5%—მდე აღწევს (კოლუმბია, ბენია, 2002:51-64).

პროდუქტების გენეტიკური მოდიფიცირება არ გვევლინება ეროვნული სოფლის მეურნეობის ალტერნატივად და პრიორიტეტით სარგებლობის ნატურალური წარმოების სასოფლო—სამეურნეო პროდუქტები, რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ თავიანთი მსყიდველობით უნარიანობით შეძლებული, მაღალი ფენების მომხმარებლები. ამ შემთხვევაში სამომხმარებლო ბაზარს მიეწოდება ეკოლოგიურად სუფთა, სერთიფიცირებული პროდუქტები, რომლის წარმოების დროსაც არ გამოიყენება დიდი დოზებით, თანამედროვე აგრო-ტექნიკის საშუალებები—შხამქიმიკატები, პორმონები, გენური ინჟინერია, მინერალური სასუქები და სხვა. დღეისათვის მეცნიერები მუშაობენ მემცნენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის, მაგნებლებთან ბრძოლის არა ქიმიური საშუალებების გამოყენებით, არამედ ბიოლოგიური მეთოდების დანერგიით (ბურკაძე, დაშაკიძე, 2005:67).

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი არის სპეციალური აგროტექნიკით მიღებული ბენებრივი პროდუქტი, რომელიც გამორიცხავს მინერალურ სასუქებს და სინთეზურ ჰესტიციდებს ანუ შხამქიმიკატებს. აქვე განსაკუთრებული როლი ენიჭება თესლბრუნვის დაცვას. დღევანდელი მსოფლიოსათვის ეს თემა რომ პრობლემურია ჩანს იქიდან, რომ მიახლოებითი მონაცემებით ამგვარი წარმოება მთლიანი მსოფლიო წარმოების მხოლოდ 2%—მდე, თუმცა არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც გაცილებით მაღალ შედეგებს მიაღწიეს, მაგალითად ავსტრიაში სადაც ეკოლოგიურად სუფთა წარმოება 10%—მდე. შემდეგ გამოირჩეონ ქვეყნები: შვეცია, შვეიცარია, გერმანია, იტალია, ფინეთი და სხვა. მაგრამ საერთო ჯამში ვარაუდობენ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბით მხოლოდ 5%—მდე მიაღწევს 2010 წლისათვის და ესეც სულ რამოდენიმე ქვეყნის სარჯოება. ამის მიზეზად ასახელებენ ეკოლოგიური წარმოების სიძვირეს.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების აუცილებლობის შესახებ, მისმა უწმინდესობამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საგანგებოდ აღნიშნა საშობაო ეპისტოლებში, მაგრამ ჯერჯერობით—საქართველოში ამგვარი საქმიანობა პირად ენთუზიამზეა დამყარებული. შეიძლება ითქვას, რომ სერიოზულ საქმიანობას ეწევა “ელკანა”, რომელიც

ქართულ ენდემური ჯიშების აღდგენა—გავრცელებითაა დაკავებული. შესაძლებელია სხვა ორგანიზაციის დასახელება, მაგრამ ისინი ძირითადად უცხოური გარანტიებით მუშაობენ და სულ ადვილია დაფინანსების შეწყვეტით მათი საქმიანობაც შეჩერდეს. ამ საქმეში აუცილებელია სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ჩართვა (ჯალაბაძე, 2007:139).

ქართულ საზოგადოებას ჯერ კიდევ კარგად არ აქვს გათვითცნობიერებული, თუ როგორი მძიმე სიტუაციაა დღევანდელ საქართველოში, დღევანდელ ბაზარზე არსებული, რომელსაც ადგილობრივი წარმოების მით უფრო უცხოური პროდუქტების დიდი ნაწილი საკვებად უვარგისია. რამდენიმე ათეული წელია ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად ყოველწლიურად შემოდის ათასობით ტონა პესტოციდი (შხამ-ქიმიკატები) რაც მთლიანობაში ათი ათასობით ტონას შეადგენს. ყოველწლიურად საქართველოს ეკოლოგიურ სისტემაში შედის დაახლოებით 500 ათასი ტონა წყალში გაზავებული შხამი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკანვე გვიპრუნდება.

მეცნიახობის აქტიურ ზონებში სპილენძის შემცველობა 30–50–ჯერ არის გაზრდილი. ნიადაგებში ხელოვნური აზოტის დონე შემაშფოთებელია. ხოლო სხვა საკვებისაგან, როგორიცაა ფოსფორი, კალიუმი და ა.შ. ნიადაგები გარეცხილია. ყოველივე ამის შედეგად ვლებულობთ ნიტრატებით და შხამებით გადატენილ საკვებს, რომელიც პირველ რიგში ადამიანის რეპროდუქციის უნარს აქვეითებს და შემდეგ ათასგარ ავადმყოფობებს იწვევს (ჯალაბაძე, 2007:184).

ქიმიის, ბიოლოგიის, სელექციის და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების კვალობაზე, კაცობრიობამ დაიწყო ფიქრი სურსათის წარმოების არატრადიციული, ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესახებ. ამჟამად ამ კუთხით უზარმაზარი ცოდნაა დაგროვილი და პრაქტიკული შედეგებიც სახეზეა, თუმცა ამ მიმართულებამ კვლევის დაწყების პერიოდში შექმნილი აზრი და პროგნოზები მნიშვნელოვან კორექტირებას განიცდიან. ცხადია, რომ სურსათის წარმოების შემდგომი ზრდა ჩვენთან შეიძლება წარიმართოს როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული მეთოდებითაც მაგრამ განსაკუთრებული უურადღება უნდა იქნას გამახვილებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების მოცულობის ზრდაზე (ბუნებრივი, ტრადიციული მეთოდები) (ბურკაძე, ვაშაკიძე, 2005:66).

ქვეყნის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მიღწეული იქნას არა მარტო “საქმარისობის” “ხელმისაწვდომობის” და “სასურსათო უსაფრთხოების” მაღალი დონე, არამედ სურსათის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელიც (ეკოლოგიურად უვნებელი, სუფთა პროდუქცია) მით უმეტეს, რომ ამ პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები არა მარტო საფრთხეს უქმნის აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმებით მოსახლეობის გამოკვების, არამედ პრაქტიკულად ხელს შეუშლის ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო კონომიკაში.

**Lamara Mikelaishvili**

**The Reduction of the Food Dependence and the development of the problems of  
the Ecological Aljarian Industry in Georgia**

**Summary**

Transition of the country to market economy has brushed against all spheres of our life-both economy and politics. In agriculture to the moment of beginning of the reforms created the critical position, which powerfully influenced upon the level of living of the populations. For great part of the population the ratio level of food accessibility constitutes 0,42 calorie content, which does not exceed 1350 kk, the ratio of self-providing country constitutes 0,45, the import of the food products in 4 times exceed than export out of the country.

The Analysis proves that all factors of economic security practically extremely low and do not be up to quality of the country.

On background of the world financial and economic crisis, the condition of the economy of the country is more and more aggravated, grow the state debts, unemployment, falls the level of living oh the populations. The crisis of the agricultural production is a great risk-factor for national security of the country.

It is necessary to realize the importance, enormous role and potential of this branches and direct all power for adjusting of its extended reproduction.

Separately it is discussed the conception of the "Ecological food safety" as the highest stage of the food safety and as the basic for the advancement and integration of the state in the world economics.

**Ламара Микелашвили**

**Уменьшение продовольственной зависимости и развитие проблем  
экономического агропроизводства в Грузии**

**Р е з ю м е**

Переход страны на риочную экономику задал все сферы нашей жизни-как экономику так и политику. В сельском хозяйстве к моменту начала реформы создалось кризисное положение, которое сильно повляли на уровень жизни населения. Для значительной части населения уровень коэффициента продовольственной доступности составляет 0,42 калорийности, которая не превышает 1350 кк, коэффициент самообеспечения страны составляет 0,45, импорт продовольственных продуктов в 4 раза больше чем экспорт из страны.

Анализ доказывает, что все показатели экономической безопасности практически крайне низкие и не соответствуют требованиям страны.

На фоне мирового финансового и экономического кризиса, состояние экономики страны всё более ещё угубляется, растут государственные долги, безработица, снижается уровень жизни населения. Агропродовольственный кризис является большим риск-фактором для национальной безопасности страны.

Созрела необходимость осознать значение, огромную роль и потенциал этой отрасли и направить все силы для урегулирования его расширенного воспроизводства.

Отдельно рассматривается концепция «экопродовольственной безопасности» как выший этап продовольственной безопасности и как основное средство продвижения и интегрирования страны в мировую экономику.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურკაძე ვ., ვაშაკიძე თ. აგროსამრეწველო კომპლექსის დაწერებული განვითარების მიმართულებები, თბ., 2005, 144 გვ.
2. მალაშვილი ვ. საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, 240 გვ.
3. მოსწრაფიშვილი ე. შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში მიმღინარე პროცესები, ეკონომიკის აქტუალური საკითხები, XII, თბ., 2000, 124 გვ.
4. ნოზაძე გ. საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი განუხერელად იზრდება, გაზ. „კვირის პალიტრა”, 2009, 19–25 იანვარი.
5. ქოდუაშვილი პ. „მ ბითმოტენციალით რომელიც გაგვაჩნია საქართველოს შექმლო 10–12 მდნ. კაცის გამოკვება, გაზ. „ბანკები და ფინანსები”, 2007, 10 აპრილი, 13 გვ.
6. ქოდუაშვილი პ., ბერია შ. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მირთადი კრიტერიუმები, უკრ. „ეკონომიკა”, №5, 140–147 გვ.
7. Шершенев Е., Продовольственная ситуация в мире и перспективы её изменения СМА ЭПИ, 1996. №8, стр. 48.
8. ჩახვაშვილი დ. სურსათი არხობისა, გაზ. „კვირის პალიტრა”, 2008, 6–12 ოქტომბერი, 21 გვ.
9. ჭითანავა ი. სოფლის მეურნეობის როლი და ამოცანები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, უკრ. „ეკონომიკა”, 2002, №8–9, 79–84 გვ.
10. ჯალაბაძე ლ. ეკოლოგიური აგროწესების საფუძვლები, თბ., გამ. „მწიგნობარი”, 2007, 39 გვ.

## ბესიკ ბოლქვაძე

### მკონიადური რეზორმები და შეხების საბაზასახადო პოლიტიკის გეზტორი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა და ცხოვრების დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ქვეყნაში მოქმედი საგადასახადო სისტემის გამართულობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადები სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური საფუძველი და ბიუჯეტის შექსების ძირითადი წყაროა. საგადასახადო პოლიტიკის, როგორც ფისკალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანები შემადგენელი ნაწილის, შემუშავებასა და მის წარმატებულ განხორციელებაზე, შესაბამისად, რაციონალური, ქვეყნის გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის თავისებურებებთან მისადაგებული საგადასახადო სისტემის ფორმირებასა და მისი თანდათანობითი სრულყოფა-გაუმჯობესების ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული არა მხოლოდ სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფის დონე, არამედ ეკონომიკური განვითარების ისეთი უმნიშვნელოვანები სფეროების ხელშეწყობა და საგადასახადო მექანიზმის მათღამი მისადაგება, რომლებიც თავად განაპირობებენ ეკონომიკის რეფორმირების მიმდინარე ებაპზე სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფის დონესა და ხარისხს. ამ მხრივ საგადასახადო პოლიტიკამ და მისი მიერ ჩამოყალიბებულმა საგადასახადო სისტემამ აქცენტი უნდა აიღოს და აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებისა და სექტორების განვითარებაზე, რეალური სექტორის სტიმულირებაზე, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მინიმუმამდე დაყვანაზე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციაზე, ქვეყნის სოციალური სფეროს განვითარების ხელშეწყობაზე, წარმოების ეფექტიანობის ზრდასა და, მთლიანობაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაზე გადამწყვეტი გავლენა აქვს საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის დონეს, რაც საგადასახადო მექანიზმის ფუნქციონირების თავისებურებებით აისხება. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ფუნქციების შესრულებაზე არის ორიენტირებული მოცემული საგადასახადო სისტემა. როგორც ცნობილია, მეცნიერ-ეკონომისტების მიერ გადასახადებისადმი მიკუთვნებული ფუნქციები მოიცავს ფისკალური, მარეგულირებელი, საკონტროლო, რესურსების განაწილების, შემოსავლების გადანაწილების, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის სხვადასხვა კომბინაციას. ჩვენი აზრით, გადასახადები და, შესაბამისად, საგადასახადო სისტემა უნდა ასრულებდეს სამ ფუძემდებლურ ფუნქციას: ფისკალურს, მასტიმულირებელს და განმანაწილებლობითს. აღნიშნული

ფუნქციების შესრულების აუცილებლობა გამომდინარეობს ეკონომიკის ძირითადი სუბიექტების – სახელმწიფოს, მეწარმეების და მომხმარებლების ინტერესთა რეალიზაციის აუცილებლობიდან და მათი სპეციფიკურობიდან. კერძოდ, საგადასახადო პოლიტიკის გატარებასთან მიმართებით, სახელმწიფოს, როგორც სპეციფიკური ეკონომიკური სუბიექტის, ინტერესები ვლინდება ორგვარად: 1. სახელმწიფო, განსხვავებით მეწარმეებისა და მომხმარებლებისაგან, თავად არის საგადასახადო პოლიტიკის გამტარებელი; 2. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით მისი დაინტერესება გამოიხატება მრავალი სახის გადასახადის და მათი ზომიერი განაკვეთების დაწესებაში, მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებაში, რათა მოახდინოს საგადასახადო შემოსავლებით ბიუჯეტის მაქსიმალური შევსება და მასზე მიკუთვნებული ფუნქციების შესრულებისთვის ფინანსური ბაზის შექმნა, თუმცა აღნიშნული ფუნქციები ვერ შესრულდება, თუკი სახელმწიფომ საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას არ გაითვალისწინა (თავის ფუძემდებლურ სახელმწიფოებრივ ინტერესებთან ერთად) კერძო სექტორის სუბიექტების – მეწარმეებისა და მომხმარებლების ინტერესები. საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით, მეწარმეების ინტერესები ფოუზირდება გადასახადების მაქსიმალურად მცირე რაოდენობაზე და, შესაბამისად, დაბალ საგადასახადო განაკვეთებზე, ასევე წარმოების სტილიზების ინტერესებიდან გამომდინარე, საგადასახადო შეღათების დაწესებაზე. ამიტომ, რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში მეწარმეები თავიანთი სამეწარმეო ინტერესების რეალიზაციის მიზნით, სხვადასხვა ლობისტური ჯგუფის მეშვეობით, მაქსიმალურად ან ნაწილობრივ, ახერხებენ საგადასახადო პოლიტიკის გატარების დროს მასში თავიანთი ინტერესების ჩადებას. რაც შეეხება მომხმარებლებს, მათი დამოკიდებულება ამ თვალსაზრისით ორგვარია: 1. მეწარმეების მსგავსად, ისინი მხარს უჭერენ გადასახადების მცირერიცხოვნებას და დაბალ გადასახადებს, საგადასახადო შეღათებებს; 2. მომხმარებლები (განსაკუთრებით მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენა) იმავდროულად არიან (ნორმალურ ეკონომიკურ ვითარებაში უნდა იყვნენ) სახელმწიფოს ინტერესების გამზიარებელი საგადასახადო დაბეგვრის თვალსაზრისით, რადგან ამ უკანასკნელზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათი ეკონომიკური კეთილდღეობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საგადასახადო სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს „ეკონომიკური სამკუთხედის“ – სახელმწიფო, მეწარმე, მომხმარებელი – ინტერესების გათვალისწინებით ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შესრულებაზე. აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სესნებული ფუნქციები ერთმანეთისაგან მოწყვეტით ან თავისთავად ხორციელდება – პირიქით, დასახული ეკონომიკური მიზნების შესრულებიდან გამომდინარე, გადასახადების ფუნქციათა დაბალანსებული შესრულება აისახება და ვლინდება კონკრეტული სახელმწიფოს კონკრეტულ საგადასახადო პოლიტიკაში [ბოლქვაძე, 2009:56]. ასეთი ფუნქ-

ციების შესრულებაზე ორიენტირებულმა საგადასახადო სისტემამ, ჩვენი აზრით, სტიმული უნდა მისცეს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას და უზრუნველყოს იმავდროულად ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლებით.

საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, პრინციპულ მნიშვნელობას იქნება გადასახადების არსის გამარტივებული დაყვანა ეკონომიკურ სუბიექტებზე არა როგორც იძულებითისა და არაეკვივალენტურისა, არამედ როგორც აუცილებელი, სავალდებულო და, თანაც, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულწილად ანაზღაურებადისა [Тадеев, 2004:7-8]. თანაფარდობის განსაზღვრა გადასახადის გადამხდელების მიერ გადახდილი გადასახადების სიდიდესა და სახელმწიფოსაგან მიღებულ სარგებლიანობას შორის პრაქტიკულად საკმარის როგორი, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანი შემუშავებისათვის (საგადასახადო განაკვეთების, შეღავათების, ადმინისტრირების წესებთან ერთად) გადასახადის მავიგალენტური ხასიათის ბუნების გაგების დაყვანას გადამხდელების ცნობიერებამდე და, შესაბამისად, საგადასახადო კულტურის დონის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, პირდაპირპორციულ კავშირშია იმასთან, თუ რამდენად აქვთ გადასახადის გადამხდელებს ხდობა სახელმწიფოსადმი, სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობისადმი, სახელმწიფო ფინანსების მართვისადმი. სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკას შორის მჟიდრო ურთიერთკავშირი და მათი მთლიანობა ფისკალური პოლიტიკის ჩარჩოებში.

საგადასახადო პოლიტიკა, თავისი ბუნებით, ავლებს საზღვარს ქვეყანაში შექმნილი კერძო და საზოგადოებრივი დოკუმენტებს და, შესაბამისად, ეკონომიკის კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის. კერძოდ, გადასახადების (განსაკუთრებით კორპორაციული ტიპის) ამოღება, ერთი მხრივ, ამცირებს კერძო სექტორის მიერ ერთობლივი შიგა პროდუქტის წარმოების შესაძლებლობებს და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში კერძო სექტორის მასშტაბებს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ფონდებში გარკვეული მოცულობით გადასახადების მობილიზება და მათი მეშვეობით საზოგადოებრივი დოკუმენტის წარმოება ნიშნავს სახელმწიფო სექტორის როლის გააქტიურებას. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ფინანსურ ბაზას (საბიუჯეტო პოლიტიკის სოციალური ორიენტაციის მაღალი ხარისხის პირობებში) სოციალური სფეროს განვითარებისა და ეწ. ეგალიტარული დოკუმენტის [პაპავა, 2005:72] ფორმირებისათვის. ამდენად, კერძო დოკუმენტის წარმოების (კერძო სექტორი) პოტენციური შესაძლებლობის გარკვეული ნაწილის „გადაქაჩვა“ საზოგადოებრივი დოკუმენტის (სახელმწიფო სექტორი) შესაქმნელად ასევე კერძო სექტორის განსაზღვრული სეგმენტის (სოციალური „სიკეთის“ ბენეფიციართა) ინტერესებშია ჩადებული. აქედან გამომდინარე, გადასახადები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკის სექტორული თანაფარდობის ფორმირების ერთერთი ქმედითი მექანიზმი.

რაციონალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ინსტიტუციური ხასიათის ასპექტებისა და ფაქტორების შესწავლასა და გამოვლენას, რომლებიც განსაზღვრავს არა მხოლოდ საგადასახადო პოტენციალის მასშტაბებს (ქვეყნის ან რეგიონის დონეზე), არამედ ეკონომიკური განვითარების საერთო დონეს. ადნიშნული ტიპის ფაქტორებს ზოგიერთი ექსპერტი მიაკუთვნებს: ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას, მოსახლეობის ეკონომიკური კულტურის საერთო დონეს, გადასახადების ამოდების მექანიზმების ტექნოლოგიურ სრულყოფას, გადასახადების გადახდის სფეროში მოსახლეობის კანონმორჩილების ტრადიციას და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის ტიპს [Занадворов, Колосницына, 2006:142]. ზემოქსენებულ ფაქტორებს შეიძლება დავამატოთ ასევე საგადასახადო დისციპლინის დონე, საგადასახადო ორგანოებსა და გადასახადის გადამხდელებს შორის არსებული თანამშრომლობის (პარტნიორული ურთიერთობის) ხარისხი, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის მოწესრიგებულობის დონე, ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის არჩებული კურსი და სხვა, ვინაიდან საგადასახადო განაკვეთების, შედავათებისა და სანქციების დაწესება-ფუნქციონირება მხოლოდ მაშინ არის ეფექტური და ახდენს პოზიტიურ ზეგავლენას ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების პროცესის სწორ ორგანიზაციაზე, როდესაც უზრუნველყოფილია გადასახადების მობილიზების სწორი და ქმედითი მექანიზმის შემუშავება-გამოყენება.

ადსანიშნავია, რომ საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია, რაც ვლინდება კონკრეტულ საგადასახადო პოლიტიკაში, საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდან იგი უნდა შეესაბამებოდეს დროის მოცემულ მონაკვეთში არსებულ საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას და ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ტენდენციებს. საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაციას, რაც საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან ასოცირდება, ართულებს ის გარემოება, რომ საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების დროს არ ხორციელდება მინიმუმ ორი უმთავრესი მომენტის მხედველობაში მიღება და გათვალისწინება: 1. საგადასახადო პოლიტიკა და მისი შესაბამისი საგადასახადო სისტემა უნდა აიგოს არა ქვეყნის მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის გარეშე, გარდამავალი ეკონომიკის მოცემული ეტაპის თავისებურებების გაუთვალისწინებლად და განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემების „გადმოღებით“, არამედ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების მაქსიმალური გათვალისწინებით; 2. საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და შემდგომში მისი წარმატებით განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას და ტაქტიკას. საგადასახადო სისტემა ყოველთვის განწირებული იქნება წარუმატებლობისათვის და შეწონასწორებულად ვერ შეასრულებს ჩვენს მიერ ზემოთ დეფინირე-

ბულ ფისკალურ, განმანაწილებლობით და, განსაკუთრებით, მასტიმულირებელ ფუნქციებს, თუკი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება არ იქნება შესაბამისობაში ქვეყნის არა მარტო მიმდინარე, არამედ საშუალო- და გრძელვადიანი განვითარების პროგრამასთან. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სწორედ ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკისა და პროგრამის ჩარჩოებში უნდა განისაზღვროს საგადასახადო პოლიტიკისა და, მთლიანობაში, საგადასახადო სისტემის როლი და ადგილი. სხვაგვარად თუ ვიტყვით, საგადასახადო სისტემა უნდა ემყარებოდეს რაციონალურობის და სტაბილურობის ფულემდებლურ პრინციპებს. საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების კონტექსტში რაციონალურობა და სტაბილურობა უნდა გავიგოთ არა იმდენად როგორც საგადასახადო შემოსავლებით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და საზოგადოებრივი სექტორის ფინანსური უზრუნველყოფა თუნდაც დინამიკაში, არამედ როგორც ქვეყნის მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკის მაკრო- და მიკრო დონეებზე ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპის თავისებურებების გათვალისწინება და ადეკვატური საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციებისა და მთელი რიგი პარამეტრების მხედველობაში მიღებით.

მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, უპირატესად რომელი პრინციპის – ეფექტურობის თუ სამართლიანობის – რეალიზაციაზე იღებს აქცენტს ქვეყნის საგადასახადო სისტემა. სწორედ აღნიშნული პოსტულარიზან უნდა გამომდინარეობდეს საგადასახადო პოლიტიკის აგების პრიორიტეტები და მიმართულებები, აღნიშნული უნდა იყოს დაბეგვრის სისტემის ფორმირების საფუძველი.

სამართლიანობა-ეფექტურობის პრობლემა, საგადასახადო პოლიტიკის პრიორიტეტების აგების თვალსაზრისით, თავისთვად ძნელად რეალიზებადია მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, მით უფრო გარდამავალი ეკონომიკის ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ორი მთავარი თავისებურების გათვალისწინება: 1. საგადასახადო პოლიტიკას და, შესაბამისად, სისტემას თავისთვად არ შეუძლია გადაწყვიტოს სოციალური სამართლიანობის ან ეკონომიკური ეფექტური ურთულესი პრობლემები, თუ არ ავამოქმედებთ შესაბამის საბიუჯეტო მექანიზმებს და, მთლიანობაში, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას არ „დავახმარო“ ფულად-საქრედიტო სფეროს რეგულირების მექანიზმებს [ბოლქვაძე, 2009:189-212], განსაკუთრებით წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის სტაბილურებისათვის; 2. საგადასახადო სისტემის აგება უნდა მოხდეს კომპლექსურად, მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ზემოქმედებენ და მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკის ფუნქციონირების ხარისხს ქვეყანაში, რომელთაგანაც აღსანიშნავია: ა) ეკონომიკის სფეროს საკანონმდებლო უზრუნველყოფის ხარისხი; ბ) ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანაფარდობა და ქვეყნის საპრივატაციო კურსი;

გ) ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები; დ) მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნის დამოკიდებულება შიგა წარმოებასა და, შესაბამისად, იმპორტზე; ე) საინვესტიციო-სამეწარმეო გარემოს რისკების თავისებურებები; ვ) საკრედიტო რესურსებზე და ფინანსური ბაზრის სხვა სეგმენტების რესურსებზე მოსახლეობის და ბიზნესსტრუქტურების ხელმისაწვდომობა; ზ) ეკონომიკის დარგობრივი (სექტორული) განვითარების პრიორიტეტები; თ) არაფინანსური და ფინანსური სამეწარმეო სექტორების თანაფარდობა და განვითარების ღონის და მრავალი სხვა.

საგადასახადო პოლიტიკის გატარება უნდა გამომდინარეობდეს, პირველ რიგში, იმ უპირატესობიდან, რომელიც ენიჭება მოცემულ კონკრეტულ პერიოდში სამართლიანობის ან ეფექტიანობის პრინციპის რეალიზაციას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გამოვყოთ ორი ძირითადი ვარიანტი: 1. თუ აქცენტი კეთდება ეფექტიანობაზე, როგორც პრიმატზე, მაშინ თავის გამართლებას პოულობს დაბეგვრის პროპრიეტეტიული სისტემის არსებობა, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის მასტიმულირებელი მოდელი, რაც, როგორც ცნობილია, გამორიცხავს სამართლიანობის პრინციპის აღიარებას. ამ უკანასკნელის კომპენსირებისთვის მიზანშეწონილია ისევ საგადასახადო პოლიტიკის ჩარჩოებში: ა) ე.წ. სელექციური საგადასახადო შედაგათების შემოღება, რაც ფართოდაა დაწესებული მსოფლიო პრაქტიკაში და აღნიშნული ბერკეტის გამოყენებით სამართლიანობის მიღწევა; ბ) ყველა არაეფექტიანი საგადასახადო შედაგათის ანულირება, გადასახადის ყველა გადამხდელის თანაბარ პირობებში ჩაიწენება, ხოლო სამართლიანობის საკომპენსაციოდ აუცილებელი შედაგათებისთვის საჭირო თანხების ბიუჯეტიდან გადება, ე.ი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საგადასახადო პოლიტიკის აქცენტირება კეთდება ეფექტიანობაზე, ხოლო სამართლიანობის უზრუნველყოფა ჩადგებულია ფისკალურ პოლიტიკაში, კერძოდ, ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურირების პოლიტიკაში (შემოსავლების დისტრიბუცია-რედისტრიბუცია ისედაც ბიუჯეტის მაგისტრალური ფუნქციაა). მაგრამ, ვინაიდან ყველა საგადასახადო შედაგათის გაუქმება და მისი კომპენსირების გადაკისრება ბიუჯეტისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია და რომც განხორციელდეს ასე, ეს უფრო როგორც პროცენტურის პროგროზირებადს გახდის ბიუჯეტს, ამიტომ ასეთი მიღებობა ნაკლებად ეფექტიანია; 2. თუ აქცენტი კეთდება სამართლიანობის პრინციპის რეალიზაციის უპირეტესობაზე ეფექტიანობასთან შედარებით, მაშინ, თავისთავად ცხადია, ეკონომიკურად გამართლებულია დაბეგვრის პროგრესული, მრავალდონიანი, დიფერენცირებული სისტემის უპირატესობის აღიარება ცალკეულ (ზოგიერთ) გადასახადთან მიმართებით. პროგრესული დაბეგვრა, საბოლოო ჯამში, ამცირებს ეკონომიკურ სტიმულებს, ე.ი. ეწინააღმდეგება ეფექტიანობის პრინციპს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ გადასახადის მრავალდონიანი დაბეგვრის პირობებშიც კი, გამართულ საგადასახადო პოლიტიკას სავსებით შეუძლია შემცირებული ეფექტიანობის განეიტრალება, თუკი გამოყენებული

იქნება ეკონომიკურად დასაბუთებული და მეცნიერულად არგუმენტირებული, ეფექტიანი მასტიმულირებელი საგადასახადო შედავათები, რომელთა გამოყენება ფართოდაა აპრობირებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საგადასახადო სისტემაში. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ წარმოების სტიმულირებისათვის საინვესტიციო-საგადასახადო კრედიტის მექანიზმის ფართოდ გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული საგადასახადო რეფორმა ზოგიერთი გადასახადის განაკვეთების შემცირების მიმართულებით თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, არ არსებობს იმის ერთმნიშვნელოვანი დადასტურება, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირებას მოყლევადიან პერიოდში აუცილებლად მოჰყვება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. ამასთანავე, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით მიღებული ფისკალური უფასები განსაკუთრებით გამოკვეთილად შეიძლება გამოჩნდეს საგადასახადო რეფორმის გატარებიდან არა მოკლევადიანი პერიოდის, არამედ დროის შედარებით დიდი ინტერვალის გასვლის შემდეგ. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ განაკვეთების შემცირებით მიღებული წმინდა უფასები, აუცილებელია გამოვრიცხოთ სულ მცირე ორ ძირითადი მომენტი – ეკონომიკური ზრდის ფაქტორი და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების ფაქტორი [პაპავა, 2005:382-384]. ამასთან ერთად, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის ტენდენციის პარალელურად, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ქვეყანაში შესაბამისი ეკონომიკური გარემოს (როგორც მაკრო-, ასევე მიკროდონებები) შექმნას. იმისათვის, რომ მოხდეს კერძო სექტორის ეკონომიკური სუბიექტების რეალურ გადამხდელებად გადაქცევა, მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებაზე არანაკლებ აუცილებელი და მნიშვნელოვანია: 1. კანონით მათი ქონების დაცვა; 2. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამოყენების გაძლიერებით კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა; 3. ოფიციალური კრედიტებისა და ფინანსური ბაზრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (რაც პრაქტიკულად არ არსებობს ჩვენთან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფინანსური ბაზრის საკრედიტო სეგმენტს); 4. სახელმწიფო ფინანსების გამოყენების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება და სხვა.

საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის სისტემის საკითხი, რომლის შესახებაც არსებობს ორგარი, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება: ა) საგადასახადო ცვლილებების განხორციელება არ უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს, იგი უნდა იყოს მყარი დროის თვალსაზრისით, რაც იქნება გარანტი საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის და, რაც ყველაზე მთავარია, დაცული იქნება გადამხდელთა (მათ შორის, უცხოელი ინვესტორების) ინტერესები; ბ) გარდამავალი ეკონომიკის იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე, საგადასახადო კანონმდებლობის არასტაბილურობა, რაც მასში ხშირი ცვლილებების განხორციელებაში ვლინდება, ბუნებრივი

პროცესია, რაც საგადასახადო სისტემის პერმანენტული სრულყოფის აუცილებლობით არის ნაკარნახევი. ჩვენ ვიზიარებთ ამ უკანასკნელ მოსაზრებას თრი აუცილებელი პირობის გათვალისწინებით: 1. ნებისმიერი საგადასახადო ნორმის ცვლილება უნდა იყოს რაციონალური, ეკონომიკურად დასაბუთებული და გამომდინარეობდეს ეკონომიკის მიმდინარე ეტაპის თავისებურებების გათვალისწინებით საგადასახადო სისტემის განვითარებისა და სრულყოფის ამოცანებიდან; 2. ყველა არსებითი და მნიშვნელოვანი ცვლილების გატარება მოქმედებაში უნდა შევიდეს ფისკალური წლის დასაწყისიდან, რათა მას პქონდეს საპროგნოზო ხასიათი როგორც გადასახადის გადამხდელების საქმიანობის, ასევე სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანი იმპლემენტირების თვალსაზრისით.

საგადასახადო სისტემის გამართული მუშაობისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში საგადასახადო ცნობიერებისა და კულტურის ღონეს, რაც პირდაპირ კავშირშია საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების არა ვერტიკალურ, არამედ პარტნიორულ ურთიერთობასთან, ამ უკანასკნელთა საიმედო საინფორმაციო უზრუნველყოფასთან ამა თუ იმ საგადასახადო ნორმის სწორი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. აღნიშნული კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. საგადასახადო „ლია კარის დღეების“ ხშირად მოწყობას, საგადასახადო მომსახურების სფეროს მუდმივ დახვეწის, საქმიანი ატმოსფეროს შექმნას გადამხდელებსა და საგადასახადო სამსახურის მუშაკებს შორის, გადამხდელთა მხრიდან იმის სწორად გააზრებას, რომ გადასახადების გადაუხდელობის დანაკარგი არგადამხდელთათვის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ამ გზით მიღებული „ეკონომია“. საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობას, რომელსაც, ერთი მხრივ, გადამხდელთა ცნობიერება, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო ადმინისტრირების ხარისხი განსაზღვრავს, შეუძლია ნებატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გამოწვევა, კერძოდ: 1. შეფერხება აუცილებელი საგადასახადო შემოსავლების მობილიზებაში, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაზე ყველა მიმართულებით და, მათ შორის, სოციალური კუთხითაც; 2. გადამხდელთა მისწრაფება, დამალონ გადასახადები, არყევს ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს – თავისუფალი კონკურენციის პრინციპს, რადგან გადასახადის არგადამხდელი, საბაზრო კონკურენციის თვალსაზრისით, კანონმორჩილ გადამხდელთან შედარებით აღმოჩნდებოდა უკეთეს პირობებში.

რაციონალური საგადასახადო სისტემის აგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა, ამიტომ განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს მხრიდან არაპირდაპირი გადასახადების წილის შემცირების პარალელურად პირდაპირი გადასახადების ხვედრითი წონის ზრდის ტენდენციას მთლიან გადასახადებში, რისი მიღწევაც

პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ არ მოხდა ეროვნული ეკონომიკის რეალური სამეწარმეო სექტორის განვითარებისათვის მხარდამჭერი ზომების გატარება საგადასახადო, საინვესტიციო, საამორტიზაციო, საგარეო ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კომპლექსური გამოყენების გზით.

საგადასახადო სისტემის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიღვაჩნია მრავალდონიანი პროგრესული დაბეგვრის (დიფერენცირებული განაკვეთების) სისტემის შემოღება მოგების გადასახადთან მიმართებით, რაც, ჩვენი აზრით, უფლებით საგადასახადო ადმინისტრირების პირობებში უზრუნველყოფს საგადასახადო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპის რეალიზებას, როგორიცაა სამართლიანობა. დაბეგვრის ასეთმა დიფერენციაციამ შესაძლებელია გამოიწვიოს წარმოების ეფექტიანობის სტიმულების რამდენადმე შემცირება, მაგრამ აღნიშნულის საკომპენსაციოდ ასევე აუცილებლად მიგვაჩნია ფართოდ იქნეს შემოღებული ისეთი უმნიშვნელოვანები მასტიმულირებელი საგადასახადო შედავათი, როგორიცაა საინვესტიციო-საგადასახადო კრედიტი, ანუ მოგების იმ ნაწილის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება, რომელიც განკუთვნილი იქნება რეინვესტირებისათვის. ასეთი სარეინვესტიციო რეზერვის გამოყენება სტიმულს მისცემს წარმოების გაფართოებას და გაზრდის მოგების გადასახადით დასაბეგრ ბაზას.

საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვნად „იკვებება“ არაპირდაპირი გადასახადებით, რომლებშიც ყველაზე მაღალი ხედრითი წონით, წარმოდგენილია დამატებული ღირებულების გადასახადი. ამდენად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული გადასახადით დაბეგვრის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცივილიზებულ საგადასახადო სამყაროში კარგად აპრობირებული დამატებული ღირებულების გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთების ქვეყნის პრაქტიკაში დანერგვა. მნიშვნელოვანია არსებული 18-პროცენტიანი განაკვეთის აღება სტანდარტულ განაკვეთად და საქონლის ან მომსახურების ტიპის შესაბამისად შემცირებული და გაზრდილი გადასახადის განაკვეთების შემოღება. აღნიშნული მიღომა საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, შევამციროთ აღნიშნულ გადასახადთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი (და მრავალგვარი) შეღავათები, მეორე მხრივ კი გავზარდოთ დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ბაზა. ამასთან, დამატებული ღირებულების გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთების შემოღება ეკონომიკაში დელიკატური საკითხია, რადგან აღნიშნული ცვლილებების სპონტანურად განხორციელებას შეიძლება პქონდეს თავისი ნეგატიური ასპექტები. კერძოდ: 1. დიფერენციაციამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნულ გადასახადთან მიმართებით საგადასახადო ადმინისტრირების გართულება; 2. ცალკეულ შემთხვევებში ხელი შეუწყოს კონკურენციის შეზღუდვას; 3. საქონლისა და მომსახურების არასწორი შერჩევის პირობებში ადგილი პქონდეს საბიუჯეტო შემოსავ-

ლების მნიშვნელოვან შემცირებას. ამიტომ, აღნიშნული უარყოფითი ზეგავლენის განეიტრალების მიზნით, ზუსტად უნდა შეირჩეს ის საქონელი ან მომსახურება, რომელსაც მიეყენება სტანდარტულისაგან ამაღლებული და დადაბლებული განაკვეთები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგაჩნია დამატებული ღირებულების გადასახადის „ამაღლებული“ განაკვეთების დაწესება საკოლექციო საგნების, ახტიკ-ვარული ნივთების, ძვირფასი ნაკეთობების მიმართ, ხოლო „დადაბლებული“ განაკვეთების – ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საბოლოო მომსმარებელზე მიწოდების მიმართ, რასაც, იმავდროულად, აქნება მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია.

ეკონომიკის რეფორმირების მიმდინარე ეტაპზე კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, პრივატიზაციის ფორსირებული განხორციელების პირობებში, პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ბიზნესის დაწყება მთელი რიგი ფაქტორების გამო არის გართულებული (მაღალი სამეწარმეო რისკი, ჯერ კიდევ არაჯანსაღი კონკურენტული გარემო, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და სხვა), დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო პოლიტიკის გამოყენებით პოტენციური ბიზნესსუბიექტების ბაზარზე გამოსვლის სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ახლად ფორმირებული სამეწარმეო სექტორის გადასახადებისაგან მთლიანი ან ნაწილობრივი გათავისუფლება გარკვეული პერიოდით ისე, რომ პარალელურად ადიკვეთოს ახალი ფირმების მრავალჯერადი დაფუძნების შემთხვევები შესაბამისი ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებით. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესსუბიექტების კანონმდებლობის ღონებები გამიჯვნა და შესაბამისი საგადასახადო რეჟიმების გამოყენება მათი საქმიანობის (განსაკუთრებით მცირე მეწარმეობის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.

## Besik Bolkvadze

### Economic Reforms and the Country's Taxation Direction

#### Summary

At the modern stage of the country's social-economic development and current reforms - specific to transitional economy requires the existence of an efficient taxation mechanism. In order to provide regulation of macro-economic processes, it is essential that the role and significance of taxation policy have to be raised. Elaboration of arrangements of its normal functioning and their practical realization is indispensable, since the country's financial-economic situation depends on it.

Perfection of the taxation system is important for perfection of the whole economic system because neither budgetary nor monetary mechanism separately is capable of solving major macroeconomic problems for sustainable functioning of economy. In order to implement a right taxation policy in times of transition to the market economy, it is inevitable to analyze subjective and objective factors and to meet the requirements of transitional economy. This is the most complicated fundamental issue, which affects the formation of right strategy of the country's economic development a great deal.

### **Бесик Болквадзе**

#### **Экономические реформы и вектор налоговой политики страны**

#### **Резюме**

На современном этапе социально-экономическое развитие страны и текущие реформы характерные для переходной экономики требуют существование эффективных налоговых механизмов. Для обеспечения эффективного регулирования макроэкономических процессов большое значение имеет роль налоговой политики. Улучшение его функционирования обязательно, поскольку от него зависит социально-экономическое состояние страны. Совершенствование налоговой системы многозначимо для совершенствования экономической системы в целом. Так как, не налоговые и не монетарные механизмы по отдельности не могут решить основные макроэкономические проблемы. При переходе на рыночную экономику проведение правильной налоговой политики требуют анализ действующих на нее субъективных и объективных факторов, что способствует формированию правильной экономической политики страны.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბ. ბოლქვაძე. ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი, „უნივერსიტეტი”, 2009. 255 გვ.
2. თ. გამსახურდია. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2003. 286 გვ.
3. თ. მაღლაკელიძე. გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება. თბილისი, „სიახლე”, 1999. 185 გვ.

4. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა). თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2005. 326 გვ.
5. ქ. ხმალაძე, ი. შავიშვილი, დ. ხატიაშვილი. საქართველოს საგადასახალო კოდექსის კომენტარები. თბილისი, 2005. 735 გვ.
6. Занадворов В.С., Колосницына М.Г. Экономическая теория государственных финансов. Москва, ГУ ВШЕ, 2006. 391с.
7. Тадеев А.А. Налоги и налогообложение. Москва, „Приор-издат”, 2004. 492с.
8. Улюкаев А.В. Проблемы государственной бюджетной политики. Москва, „Дело”, 2004. 543с.
9. Финансовая система и экономика. Под. ред. В.В. Несторова и Н.С. Желтова. Москва, „Финансы и статистика”, 2004. 420с.

## კონსტანტინე ლლონტი

### შრომის სოციოლოგიის ფარმაცოგისა და აქტუალობისათვის

იმის მიუხედავად, რომ შრომის სოციოლოგია ახალგაზრდა მეცნიერებაა, მას საკუთარი ისტორიული განვითარება და აქტუალობა გააჩნია, რომლის შესწავლა აუცილებელია მისი მნიშვნელობისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ შრომასა და შრომით ურთიერთობებზე გარკვეული წარმოდგენა ადამიანებს დიდი ხნით ადრე პქონდათ და მოპოვებული ცოდნა, თუმცა მარტივი, მაგრამ მაინც ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად იყო აღიარებული (მარქსი, 1954:227). ეს ის პერიოდია, როცა სოციოლოგიაზე და, მთ უმეტეს, შრომის სოციოლოგიაზე, ადამიანებს ჯერ კიდევ არავითარი წარმოდგენა არ აქვთ.

შრომასა და მასთან დაკავშირებულ პროცესებზე შეხედულებები (ისევე როგორც საზოგადოებასა და საზოგადოებრივ მოვლენათა კანონზომიერებებზე) თანდათან ყალიბდებოდა, მაგრამ შრომის სოციოლოგიის, როგორც სრულიად ახალი სამეცნიერო მიმართულებების ჩასახვისა და წარმოშობის შემდეგ უფრო მეტი სიზუსტე შეიძინა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევამ (სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან შედარებით), რომელიც თავისთვად გულისხმობდა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის, კლასთა შორის ურთიერთობის, სხვადასხვა სოციალურ ფენებსა და ჯგუფებს შორის დამოკიდებულების და სხვა უმნიშვნელოვანების საკითხების მეცნიერებულ ფიქსაციას.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მუდამ იყო სწრაფვა (ცხადია, არსებული ცოდნის შესაბამისად) შრომა, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი მოვლენა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ფონზე აქციათ, ამ პროცესში ადამიანის გამორჩეულ როლზე ხაზგასმით (მარქსი, 1953:314). ხანგრძლივი დროის მანძილზე, საწარმოო ძალთა განვითარებლობის პირობებში, ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები ურთიერთსაპირისპიროც იყო და ბევრ რაიმეში ნებატიურიც. მხოლოდ ახალ დროში შეიცვალა შრომასთან დაკავშირებული შეხედულებები პოზიტიურად, ამავე დროს, იგი „ბევრიერების ნამდვილ წყაროდაც“ კი იქნა აღიარებული.

უნდა აღინიშნოს: ანალოგიურ საკითხებზე სხვადასხვა ასპექტით მსჯელობას წინა ეტაპებზეც ვხვდებით, მაგრამ შრომის სოციოლოგიური კვლევა მხოლოდ საზოგადოების განვითარების საფეხურების შესა-

ბამისად სრულყოფდა თავის შესაძლებლობას და უზრუნველყოფდა მეცნიერული ძიების წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებთან მიახლოებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს (ლუტიძე, 2002:9; 165).

საკითხის სიცხადისათვის აუცილებელია შრომის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგნის და მეცნიერების სხვა დარგებთან მისი დამოკიდებულების გარკვევა (ზდრავომისლოვი, 1975:25-32; 32-44).

შრომის სოციოლოგია რომ სპეციალური მეცნიერებაა, ეს ეჭვს უკვე ადარ იწვევს, მაგრამ მისი კვლევის საგნის შესახებ არსებული მოსაზრებები ჯერ კიდევ არ ემთხვევა ერთმანეთს და ხშირად მწვავე დისკუსიებსაც იწვევს. ცნობილი სოციოლოგის დანილო მარკოვიჩის აზრით შრომის სოციოლოგია იკვლევს შრომას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ყველა მისი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით (რასაც ვერ ახერხებენ სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი თავიანთი სპეციფიურობის გამო). მას აინტერესებს ის საზოგადოებრივი ურთიერთობები რომლებშიც ადამიანები შედიან როგორც შრომის პროცესის აქტიური მონაწილეები და ხელს უწყობენ ამ ურთიერთობათა მიზეზ-შედეგობრივი კაგშირების გამოვლენას, საწარმოო ძალთა განვითარების დონის, შრომითი კოლექტივების საწარმოო ურთიერთობების, მათი მოქმედების უფექტიანობის და სხვა მომენტების გათვალისწინებით (Маркович, 1988:26). ამ განმარტების მიხედვით საკითხები, რომლებიც შრომის სოციოლოგიის კვლევის სფეროში შემოდის დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა, ხოლო მათი შესწავლა და სათანადო ანალიზი დარგის, როგორც სამეცნიერო მიმართულების, შესაძლებლობების დადასტურებაც, რაც ბუნებრივია გარკვეულ სიმელეებსაც არ გამორიცხავს.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სოციოლოგიური კვლევის სფეროში ორი ტენდენცია გამოიკვეთა. მათ შორის, პირველი მდგრადიანობის იმაში, რომ ადამიანთა საზოგადოების მეცნიერული შესწავლა უნდა განხორციელდეს ყოვლისმომცველი მასშტაბით (არსება, მოვლენა, სტრუქტურა, კანონზომიერება, განვითარების ფაზები და სხვ.). ასეთი გამოკვლევების შედეგები იძლევიან სხვადასხვა თეორიებს, ამავე დროს, მათში ნათლად იკვეთება სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგნის მნიშვნელობაც.

მეორე ტენდენციის მიხედვით აუცილებელი ამოცანაა უმნიშვნელოვანების საზოგადოებრივი მოვლენების დრმამეცნიერული შესწავლა, ე.ი. სოციალური ცხოვრების ცალკეული სფეროს დეტალური ანალიზი. ამას შედეგად უნდა მოჰყვეს (და მოჰყვება კიდევ) სპეციალური სოციოლოგიების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინების წარმოშობა და დაფუძნება, რაც თავისთავად გულისხმობს ახალი სოციოლოგიური თეორიების ჩასახვისა და განვითარების პროცესს (Маркович, 1988:26).

სპეციალური სოციოლოგიების წარმოშობა და განვითარება არ ნიშნავს სოციოლოგიის მხრივ ემპირიულად ზუსტ მეცნიერებად დარჩენას. მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი მოვლენების სოციოლოგიური თვალსაზრისით კვლევის გაღრმავებას, თეორიული და აბსტრაქტული წარმოდგენების შეერთებას პრაქტიკული საზოგადოებრივი მოქმედების შედეგებთან.

სპეციალური სოციოლოგიური მეცნიერებები, ცხადია, ერთბაშად არ წარმოშობილან და არც მათი განვითარების პროცესშიც იყო დაცული სავალდებულო თანაბარზომიერება. აღსანიშნავია ისიც, რომ მე-19 საუკუნეში დაწყებულმა ამ პროცესმა (იგულისხმება სპეციალური სოციოლოგების წარმოშობა და განვითარება) ჩვენს დრომდე მოაღწია და კვლავაც გრძელდება. ამ მხრივ არსებული მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად ზოგიერთი სპეციალური სოციოლოგიის საგანი დღესაც არ არის ზუსტად განსაზღვრული. ბუნებრივია, ეს ხელს უშლის მონათესავე საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან მათი გამოყოფის შესაძლებლობას და საბაბს იძლევა ამ მიმართულებებზე გარკვეული ეჭვის არსებობისათვის. ცხადია, მეცნიერების რომელიმე დარგის მეტისმეტი დანაწევრება გაუმართდებელია და თვით დარგისათვისაც საზიანო, მაგრამ, დღეს, სპეციალური სოციოლოგიების აუცილებლობისადმი გულგრილობა განვითარების საწინააღმდეგო პოზიციაზე დგომა იქნებოდა.

არსებული პრობლემების მიუხედავად, შრომის სოციოლოგია დღეს ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული სპეციალური დარგია. თუმცა, როგორც აღინიშნა, მისი დიდი მნიშვნელობისა და მეცნიერული აუცილებლობის აღიარებასთან ერთად, ამ მიმართულების საგანზე ერთიანი აზრი ჯენ კიდევ არაა საბოლოოდ დაზუსტებული. ეს მას ხელს არ უშლის ადამიანურ შრომას, როგორც განსაკუთრებულ ფენომენს, განიხილავდეს გამოვლენის სხვადასხვა ფორმაში, საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებისა და შრომის პროცესში ჩაბმული ადამიანების ადგილის მაქსიმალურად გათვალისწინების აუცილებლობასთან კავშირში. ამავე დროს, შრომის სოციოლოგია ვალდებულია (დაინტერესებულიც) გაარკვიოს არაშრომითი ცხოვრების გავლენა ადამიანის შრომითი მოვაწეობის სხვადასხვა მხარეზე მისი ზემოქმედების შედეგების მიხედვით და ა.შ. ახლა უკვე ცხადია, რომ მეცნიერების ამ დარგის წარმოშობა მჯიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანური შრომის კომპლექსური შესწავლის მზარდ მოთხოვნილებასთან, ისევე როგორც, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო მასშტაბით დანერგვის აუცილებლობასა და ამით ადამიანური შრომისა და სამუშაო დროის გამოყენების პროცესში მომხდარ დიდ ცვლილებებთან. (Маркович, 1988:26).

ფაქტია, რომ შრომის სოციოლოგია წარმოიშვა, როგორც კონკრეტული პასუხი საზოგადოებრივ მოთხოვნილებაზე-გამოიკვლიოს და მეცნიერულად დაისაბუთოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასა და სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ მოვლენებს შორის არსებული

სპეციფიკური კავშირები, შრომის პროცესში ადამიანის შრომასა და მის მდგომარეობასთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი მოვლენები, შრომის საშუალებებსა და მისი გამოყენების პირობებს შორის არსებული დამოკიდებულებები და სხვ. (მეგრელიძე, 1990: 178,180).

შრომის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების აუცილებლობის დასაბუთების სტიმულს აძლევდა არა მხოლოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა რიგი დარგების მიერ შრომის პროცესის სათანადოდ შეუსწავლელობა, არამედ, როგორც წარმოებით ურთიერთობებში ისე საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა ასპექტებში ადამიანის ფაქტორის სათანადოდ გაუთვალისწინებლობა და მრავალი სხვა. ყველა ეს მომენტი ერთად აღებული, ცხადია, ხელს უშლიდა სოციალური განვითარების პროცესის სათანადოდ გააზრებას და სრულყოფილად წარმოდგენას.

ახლა უმჯე დასაბუთებულია, რომ შრომის სოციოლოგია აღმოცენდა იმ დისციპლინათა შესაყარზე, რომლებიც თავიანთ კვლევებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ საზოგადოებრივი შრომისა და მისი შემოქმედის-ადამიანის პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტას და ამ ორ მხარეს შორის არსებული მრავალმხრივი ურთიერთობის ყოველმხრივი ანალიზის მეცნიერების ახალი დარგის სპეციალური კვლევის საგნად ქცევას. და ეს ასეც მოხდა.

ცალკეულ ქვეყნებში შრომის სოციოლოგის წარმოშობასა და განვითარებაზე გავლენას ახდენდა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, მეცნიერული აზრისა და სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა განვითარების დონე და სხვა სპეციფიკური პირობები. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთის ქვეყნებში სამრეწველო და შრომის სოციოლოგიის წარმოშობა დროში არ ემთხვევა ერთმანეთს. პირველი დაკავშირებული იყო მაღალ სამრეწველო მოგებასთან და იმ ფაქტორების მოქმედებასთან, რომლებიც ხელს უწყობდნენ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და გავლენას ახდენდნენ ადამიანური შრომის სხვადასხვა ასპექტზე. აქ სხვა მომენტებიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული: მუშათა კლასის მზარდ დარაზმულობაზე ზეწოლა, კლასობრივი ზავის პროპაგანდა და სხვა არანაკლებ საგულისხმო მოვლენები, რასაც უნდა უზრუნველეყო წარმოების საშუალებებზე მმართველი კლასის მონოკოლიის შენარჩუნება მაღალი მოგების უზრუნველყოფის ინტერესებთან ერთად. აღსანიშნავია, ისიც რომ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციოლოგიურ კვლევებში, ისევე როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ზოგადთეორიულ საფუძვლებს და მათი შედეგების სისტემატურ გამოყენებას ყველაზე მნიშვნელოვან მეცნიერულ განზოგადოებებში. ისინი ძირითადად ემსახურებოდნენ წარმოებაში სოციალური კლიმატის „გაუმჯობესებას“, „უკონფლიქტო სიტუაციების“ შექმნას და სხვა პრაქტიკული საკითხების მოგვარებას. ასეთი პოზიცია კი შორსაა იმისაგან რასაც შრომის სოციოლოგია ისახავს მიზნად: კონკრეტულ გამოკვლევათა შედეგებში არა მხოლოდ კონკრეტულ-შრომით პროცესებში ჩაბმულ

ადამიანთა მდგომარეობაზე აქცენტირება, არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტისათვის პირობის მომზადება.

ფაქტია, რომ შრომის სოციოლოგიურ გამოკვლევათა შედეგები ხელს უწყობენ შრომითი პროცესების რაციონალურ ორგანიზაციას, ადამიანთა ბუნებრივ არსებასთან თანხმობას, კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადამიანთა საზოგადოებრივ შრომასთან დაკავშირებული თეორიული მოსაზრებების შემოქმედებით სრულყოფას.

შრომის სოციოლოგიის წარმოშობასა და სწრაფ განვითარებას მრეწველობის სფეროში ჩაბმულ ადამიანთა მდგომარეობაში მომხდარმა ცვლილებებმაც მისცა ბიძგი. მრეწველობის განვითარებასთან ერთად წინა პლანზე წამოიწია სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, მორალურ-ფიქოლოგიური და სხვა საკითხები, რომელთა შესაბამისი აღეკვაზურობით გადაწყვეტა, თეორიულთან ერთად ემპირიული კვლევის ფარგლებში იყო შესაძლებელი. ამიტომ, ამ ახალ ებაზე, სოციოლოგიას ხელი უნდა მოეკიდა ისეთი საკითხებისათვის, რომელთა კვლევა თავისი წარმოშობის დასაწყისში არ ჰქონდა განსაზღვრული.

ახლა მისი კვლევის სფეროს შეემატა ადამიანთა შრომითი რეზერვებისა და პროფესიული ორიენტაციის პრობლემების შესწავლა, ადამიანთა პროფესიებსა და საზოგადოებრივ მოვლენებს (ურთიერთობებს) შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებები, არაშრომითი ცხოვრების გავლენა შრომით დაკავებულ ადამიანთა ქცევაზე, შრომისადმი დამოკიდებულებაზე და სხვ.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად საწარმოო ძალთა დონეში და ადამიანური შრომის სტრუქტურაში დიდი ცვლილებები მოხდა. აგტომატიზაციით გამოწვეულმა ცვლილებებმა (სიახლეებმა) ადამიანი უფრო მჭიდროდ დაუკავშირა წარმოებას. ადამიანის შრომითი საქმიანობის შინაარსში მომხდარი ცვლილებები ამ ცვლილებების საფუძველსაც შეეხო. ეს ეხება არა მხოლოდ შრომის ორგანიზაციის, არამედ, უპირველესად, შრომის პროცესი მონაწილეობით სოციალურ-ეკონომიკურ მიდგომარეობას, შრომის კულტურას, სამუშაო და არასამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, სოციალურ სფეროში დასაქმებულთა სამართლებრივ მხარეს და მრავალ სხვას. ამ საკითხების შესწავლით სოციოლოგიას შეუძლია დაადგინოს, თუ როგორ და რა ფორმით ახდენენ ეს ცვლილებები გავლენას ადამიანთა მდგომარეობასა და შრომით მოღვაწეობაზე (Маркович, 1988:9).

შრომის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის შესწავლას, წინ უნდა უსწრებდეს როგორც თეორიული მნიშვნელობის, ისე პრაქტიკული საკითხების კრიტიკული მიმოხილვა. შრომის სოციოლოგიის მიერ გაწეული ამ მასშტაბის სამუშაოს შესრულების შემდეგ იქმნება მეცნიერული კატეგორიები, რომელთა სისტემატიზაცია რეალურ პო-

რობებს ამზადებს შრომით განსაზღვრული სოციალური ასპექტების რაციონალურად გააზრებისათვის.

შრომის სოციოლოგიის კატეგორიები ამ ამოცანას წყვეტენ არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული საწარმოს (ან ორგანიზაციის) მაგალითზე, არამედ ისტორიის მთელს მანძილზე შრომის პროცესში მომხდარი ცვლილების ანალიზის საფუძველზე.

კატეგორიები, რომელთაც შრომის სოციოლოგია ემყარება შრომის პროცესში, შემდეგია: საკუთრივ შრომა, შრომის ხასიათი, შრომის შინაარსი, შრომის ფორმა, შრომის ფუნქცია, შრომის განაწილება, შრომის სტრუქტურა, შრომითი გარემო, შრომის გასხვისება, შრომის განთავისუფლება და ა.შ.

თუ კატეგორიათა სისტემა მოლიანობაში შესაძლებლობას იძლევა მთელი სისრულით გავერკვეთ მათ მიერ ასახული მოვლენების არსში, მაშინ ისინი ემსახურებიან საზოგადოებრივი მოვლენების ყოველმხრივ შესწავლას, რაც, ამავე დროს, არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს გარეკვეული წინააღმდეგობის (სიძნელეების) არსებობას კვლევის პროცესში.

მეცნიერული კვლევის სერიოზული შედეგების მოლოდინი მოპოვებული მასალების კრიტიკულ განსჯაზეა დამოკიდებული, თეორიული და ემპირიული კვლევა, ხელს უნდა უწყობდეს ასეთ დამოკიდებულებას და ამ გზით შრომის სოციოლოგიის წინაშე დასმული ძირითადი პრობლემების შესაბამის დონეზე გადაწყვეტას.

ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ შექმნილია სოციოლოგიური კვლევის სრულყოფილი სისტემა, მაგრამ სისტემატიზებული და თანმიმდევრული კვლევა იქნება ის ქაცუთხედი, რომელიც მეცნიერების საგნისა და მეცნიერების საზოგადოებრივი როლის ყოველმხრივ გააზრებას სოციოლოგიური პრობლემების ახალ მოთხოვნათა შესაბამისად რეალიზაციის საფუძვლად აქცევს.

## Constantine Glonti

### The Question of Origin and Relevance of the Sociology of the Labour

#### Summary

In the issue is investigated the sociology of the labour as the new scientific direction, the questions of the origin and the relevance with the consideration of its meaning and the prospects.

**Константин Глонти**

**Вопрос происхождения и актуальности социологии труда**

**Резюме**

В работе изучены вопросы происхождения и актуальности социологии труда, как нового научного направления, с учетом ее значения и перспектив.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ქ. მარქსი, კაპიტალი, ტ.1, თბ., 1954;
2. ქ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომის კრიტიკისათვის, თბ., 1953;
3. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია. ნაკვეთი I, თბ., 2002;
4. ა. ზდრამომისლოვი, სოციოლოგიურ გამოკვლევათა მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1975;
5. Данило Миркович, Социология труда, М., 1988;
6. ქ. მეგრელიძე, აზრის სოციალური ფენომენლოგია, თბ., 1990.

გურამ ჩაგანავა

## დერეალიზაციის ფენომენლოგია

ფსიქოლოგიაში ცნობიერება ინტენსიურად შეისწავლებოდა მეცნიერამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში (Ярошевский, Анцыферова, 1974:207-216; Джемс, 1902:114-166; Штеринг, 1903:165-174). შემდგომში ასეთი ინტერესი შემცირდა და ცნობიერების პრობლემების შესწავლა ძირითადად ფსიქოპათოლოგიაში შენარჩუნდა (ზურაბაშვილი, 1958:132-137; ბჟალავა, 1968:215-263; 273-289; კერბიკოვ, 1968:62-89; ვეიგარნიკ, 1986:49-57). ბოლო დროს ცნობიერებისა (იმედაძე, 2008:105-146; მაიერს, 2001: 282-329) და განსაკუთრებით ცნობიერების აშლილობებისადმი (Дмитриева, 1999:75-109; Radovic, Radovic, 2002: 271-279; Sierra, Lopera, Lambert, Phillips, David, 2002:530-532; Hunter, Sierra, David, 2004:9-18; Lambert, Sierra, Phillips, David, 2002:141-154; Mintzer, Stoller, Griffiths, 1999:200-209; Simeon, Knutelska, Nelson, Guralnik, 2003:990-997; Lickel, Nelson, Lickel, Deacon, 2008:4) მიძღვნილი გამოკვლევების რაოდენობა ძლიერ გაიზარდა. ზემოთ მოყვანილი ლიტერატურის შესაბამისადნ დერეალიზაცია ცნობიერების აშლილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა, რომელიც ზოგჯერ დეპერსონალიზაციასთან ერთ კონტექსტში განიხილება. დერეალიზაცია გაიგივებულია გარე სამყაროს აღქმაში ისეთ ცვლილებებთან, როდესაც ის არარეალური და უცანური ჩანს. ამ შემთხვევაში გარე სამყარო გაბუნდოვანებულია, ემოციების გამოწვევის ძალა დაკარგული აქვს, მას უშუალობა აკლია. ეს მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იქნას წარმაგალი გვერდითი ეფექტით, რომელიც წამლებით, მწვავე ინტოქსიკაციით, უძილობით, სტრესით არის გამოწვეული. დერეალიზაცია არის გარე სამყაროს არარეალობის სუბიექტური გამოცდილება, იმ დროს როდესაც დეპერსონალიზაცია არის საკუთარი ფსიქიკის, საკუთარი “შე”-ს ერთგვარი არარეალობის განცდა. ამჟამად გაგრცელებული აზრის თანახმად გარემოს დერეალიზაცია და საკუთარი თავის დეპერსონალიზაცია დამოუკიდებელი ცნებებია. მთავარი მიზეზი აქ ნოზოლოგიაშია, მათი მრავალი სიმპტომი თანაბრსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ საკუთარი თავის ფენომენოლოგიური გამოცდილება სულ სხვაა, ხოლო სამყარო სულ სხვაა. დერეალიზაციის დროს გარემოს აკლია სიცხადე, ემოციური შეფერადებულობა, ის დაშორებულია, გაურკვეველია, გაშეშებულია, სილუეტურია. ყველაფერი ირგვლივ გაურკვევლობასთან არის დაკავშირებული, გარემოს აკლია გამოკვეთილობა, თოთქოს ის

დაფარულია ვუალით. ადამიანს ეჭვება გარემოს საგნების, ადამიანების, საერთოდ გარე სამყაროს რეალური არსებობა. დერეალიზაციის აფექტს უკავშირებენ უსულო საგნების გასულიერების ეფექტის დაკარგვას, რადგან ჩვეულებრივ ადამიანები გარემოს საგნებს და ბუნებას მიაკუთვნებენ საქუთარ გრძნობებს, გუნება-განწყობილებას, ხოლო ამ აფექტის დროს გარემო ხდება უსიცოცხლო, მკვდარი, ემოციური უკავშირისაგან დაცლილი. გარემო შეიძლება გადაიქცეს რაღაც ავის მომასწავებელ, მისტიკურ სიტუაციად. ჩვეულებრივ – ამ აფექტს უკავშირებენ “დეჭავიუ”-ს – უკე ნანახის განცდას, და “ჟამევიუ”-ს – უნახავის, არ გაგონილის განცდას, როდესაც ადქმა უცხოვდება და კარგად ნაცნობი გარემო პირველად ადქმულად ეჩენება ადამიანს. ყურადღებას იწვევს აგრეთვე ე.წ. დაბნეულობის, დაფანტულობის (გაოცება, გაცბუნება) განცდა, რომელიც წარმოიშვება ფსიქიკური აშლილობის მწვავე განვითარების დროს და იწვევს თვითცნობიერების, შემეცნებისა და გარემოსთან შეგუების სწრაფ დარღვევას. ასეთი აშლილობის დროს ადამიანს საკუთარი ცნობიერება წარმოუდგება როგორც უცნაური, აუხსნელი, რომელიც აგრეთვე შეიძლება დაკავშირებული იქნეს გარემოს ისეთ ახალ, უცნაურ ცვლილებებთან, რომლის აზრი გაურკვეველია ადამიანისათვის. ადამიანი უსუსურად გამოიყერება, მისი გამომეტყველება გაოცებას, მზერა კი შეწუხებულობის, არამყარობის, რაღაცის ძიების გამომხატველია. ასეთ შემთხვევაში ადამიანის მოძრაობები და პასუხები დაურწმუნებლობასთან არის დაკავშირებული, მეტყველებას აკლია თანმიმდევრობა, გამართულობა, ის ხშირი წყვეტილობით ხასითდება. ადამიანი მის საუბარში მრავალ შეკითხვას სვამს. დაბნეულობას არცთუ იშვიათად თან ახლავს ე.წ. “ჰიპერმეტამორფოზი”, ანუ მეხსიერების ზეცვლილება, როდესაც ადამიანი გადამეტებულ ყურადღებას აქცევს ისეთ დეტალებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაგალითად, ლაქას კედელზე, ვიღაცის შემთხვევით მოძრაობას, ოთახის განათებაში ცვლილებას და ა.შ. ამ მდგომარეობის სიმტკმებად ასახელებენ მუდმივ წუხილს ან უცნაურ ფიქრებს, როდესაც ადამიანს უჭირს მათგან თავის დაღწევა.

დერეალიზაცია ნელ-ნელა ყალიბდება წუხილის გრძნობის ზრდასთან ერთად, მაგრამ ის შეიძლება უცებ გამოვლინდეს პანიკური შიშის შეტევის დროს, როდესაც შეუძლებელია ან რთულია მისი იგნორირება. ხშირად ადამიანს მიაჩნია, რომ ასეთი შემაწუხებელი სიმპტომი უბრალოდ შეშფოთების შედეგია და ის ფიქრობს, რომ მიზეზი რაღაც უფრო სერიოზული უნდა იყოს. ასეთ ფიქრებს კი თავის მხრივ შეუძლია გამოიწვიოს უფრო მეტი წუხილი, რაც გააუარესებს დერეალიზაციას. დერეალიზაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ეპილეფსიასთან, მიგრენთან და თავის დაზიანებასთან, როდესაც სუსტდება გარემოს ემოციური შემეცნება და როგორც შედეგი ვდებულობთ ისეთ გარემოს, რომელიც უსიცოცხლო, ემოციების გამოწვევის უნარმოკლებულ სამყაროდ წარმოგვიდგება. დერეალიზა-

ცია შეიძლება გამოწვეული იყოს ვესტიბულარული დარღვევებით, ინფექციის ზემოქმედებით, როდესაც ტვინი დებულობს არათანმიმდევრულ სიგნალებს, რაც ხელს უშლის გარე სამყაროს ობიექტური სურათის შემეცნებას და ადამიანს უვითარდება დერეალიზაციის განცდა.

ჰალუცინოგენები, მესკალინი, კანიბასისი, ანტიდეპრესანტები, კოფეინი და სხვა იწვევენ ისეთ გრძნობებს, რომლებიც წააგავენ დერეალიზაციას განსაკუთრებით ამ ნივთიერებათა გადამეტებით გამოყენების შემთხვევაში. დერეალიზაციის სიმტომები დასტურდება ძილის ძლიერი დარღვევების, დეპერსონალიზაციის, პიროვნული აშლილობების, ბიპოლარული აშლილობების, შიზოფრენიისა და შფოთიანობის დროს. საყურადღებოა, რომ დერეალიზაციის მსუბუქი ფორმა წარმოიშვება მაშინაც კი, როდესაც იძულებით გათავისებულია უცხო ფენომენოლოგიური კონსტრუქტი. ჩვეულებრივ, ადამიანი საკუთარი მიღრეკილების შესაბამისად ცდილობს დაეუფლოს გარე ფიზიკურ, სოციალურ თუ ფენომენოლოგიურ სამყაროში არსებულ დირებულებებს. დირებულებების ასეთი გათავისება იძულებითი წესის შესაბამისადაც არის შესაძლებელი. მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანში ასეთი იძულება ორგვარ მდგომარეობას იწვევს: 1. ბლოკირდება გარემოს დირებულებების დაუფლების ტენდენცია; 2. გარემოს დირებულებების დაუფლების ტენდენცია ტრანსფორმირდება საკუთარ ფსიქიკაში და სხეულში განლაგებულ ფსიქიკური თუ ფიზიოლოგიური თვისებების დაუფლებაზე, რაც, ერთის მხრივ, იწვევს საკუთარი ფსიქიკისა და სომატური სტრუქტურის მართვის შესაძლებლობების დაუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, გარე იძულების საფუძველზე ზიანდება ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური კონსტრუქტები. გამოყოფენ კ. წ. განვითარების ფსიქოპათოლოგის მოდელებს: ნიშნების მოდელი, გარემოს მოდელი და ინტერაქციული მოდელი (გაგოშიძე, 2007:15-20). ამტკიცებენ, რომ ნიშნების მოდელის შესაბამისად ნიშანი შეიძლება კიდევ ურთიერთქმედებდეს გარემოსთან, მაგრამ იგი გარემოს გავლენით არ იცვლებოდეს (გაგოშიძე, 2007:15). გავლენაზე დაუქვმდებარებულობა მხოლოდ რაღაც პერიოდის ფარგლებში და რაღაც ვითარებაში შეიძლება იყოს მართებული. მაგალითად, “შე”-ს თვითშეფასება მნიშვნელოვანწილად გარემოს ზემოქმედებით ყალიბდება და თუმცა გარევეული მდგრადობით ხასიათდება, მაინც სისტემატური წარუმატებლობის შემთხვევაში იცვლება (Рубинштейн, 1970:185). მაგალითად, მ.-ს დეპერსონალიზაციის შემთხვევაში ობიექტურ ვითარებაში წარუმატებლობამ გააუცხოვა მისთვის ჩვეულებრივი თვითშეფასების განცდა. ამრიგად გარემოში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია საკუთარი პიროვნების ძალიან მნიშვნელოვანი ნიშნის შეცვლა. პერსონოფიკაციის (პერსონალიზაცია) დროს “ ჩვენს განცდას თან ახლავს ცოდნა იმისა, რომ თვითონ ეს განცდა მე მეკუთვნის, ის ჩემი განცდის შინაარსია. განცდა ყოველთვის ჩემბან მომდინარეობს, ის ჩ ე მ თ ბ ი ს დაღით აღბეჭდილია და ამდენად ჩემი პიროვნების

კუთვნილებაცაა... ავადმყოფობის დროს ადამიანის განცდას სწორედ მისთვის დამახასიათებელი ეს ნიშანი ჩამოშორდება. ამ თავისებურ განცდათა გამაერთიანებელი სახელია დეპერსონალიზაცია” (ბჟალავა, 1968:117-118).

ბუნებრივია, რომ ეს ე. წ. ჩ ე მ ო ბ ი ს განცდა სხვა არაფერია, თუ არა გარემოს მიმართ ადამიანის **აპროპრიაციული** დამოკიდებულება, როდესაც გარემოს საგნები, მოვლენები თუ ნიშნები გათავისდება და ჩვენი პიროვნების **კუთვნილება** ხდება, ანუ გარემოს **პერსონალიზაცია** ხორციელდება (ჩაგანავა, 2004:5-42; 2009:2-78; Чаганава, 1978:5-14; 1995:3-20; 2004: 15-68). გარემოს **გათავისება – აპროპრიაცია** მრავალწახნაგოვანი პროცესია და ამ პროცესისა თუ შედეგების ცვალებადობა თავისებურად აისახება ადამიანის ფსიქიკაში. ნებისმიერი აშლილობა მისი სიძლიერის შესაბამისად უპირველეს ყოვლისა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე, რაც ცნობიერების დაბინძებით, გრძნობის დაკარგვით, გაფანგულობით, დაბნეულობით გამოიხატება. ცნობიერების აბნევაში გამოიყოფა ასოციაციური, პალუ-ცინაციური და ბოდვითი, რაც ხშირად გვხდება შიზოფრენიის დროს. ავადმყოფები სწორად აღიქვამენ, მაგრამ აღქმული მასალის გადამუშავებისა და გარემოში ორიენტაციის უნარი დაზიანებული აქვთ გაფხვიერებული, წყვეტილი ასოციაციების შედეგად ან ჰალუცინაციებისა და ბოდვების გამო. მანიაკალური აბნევა გვხდება ციკლოფრენიის დროს. ის თან სდევს ავადმყოფთა აგზებას და აზრთა აჩქარებას. **აფექტური აბნევა** გვხვდება ეპილეფსიის, მელანქოლიის, ოლიგოფრენიისა და სხვა ფსიქოზთა შემთხვევებში. ავადმყოფები დაბაბულნი არიან და გარკვეულ აფექტზე კონცენტრირდებიან, რის გამოც ვერ ასახავენ შთაბეჭდილებებს. **ამნეზიური და დემენციური აბნევა** გვხდება ორგანულ ფსიქოზთა დროს და ჰერიულუსტრობით ან მეხსიერების მკვეთრი დაწევით აიხსნება. საინტერესოა ცნობიერების აშლის შემდეგი სახეები: **გაბრუება, დელირიოზული, ამენციური და ბინდისებრი ცნობიერება.** (ზურაბაშვილი, 1959:134). ცნობიერების გაბრუებულ მდგომარეობას ადგილი აქვს თავის ტვინის ორგანულ დაზიანებათა შემთხვევებში, აგრეთვე შიზოფრენიის, თეთრი ცხელების, ინფექციათა და ინტრასიკაციათა დროს და სხვა. გაბრუებული ავადმყოფების აღქმა მოკლებულია სიზუსტეს და სიცხადეს, რის გამოც დაკარგული აქვთ ორიენტაციის შესაძლებლობა. ღრმა გაბრუებას შესაძლებელია მოჰყვეს **სომნოლენცია, სოპორი** ან კომა. **სომნოლენციის** დროს ავადმყოფი ძილად არის მივარდნილი. **სოპორი** უფრო ღრმა მდგომარეობაა და წარმოადგენს პათოლოგიური ძილის შემთხვევას. **კომა** წარმოადგენს სრულ უგონობას, რომლის დროსაც უკელა რეფლექსი დაკარგულია. **კომას** დროს ადგილი აქვს ცნობიერების სრულ დაკარგვას. **დელირიოზული ცნობიერება** გვხვდება სხვადასხვა ინტრასიკაციების და ინფექციების დროს. ავადმყოფები ძლიერ მოუსვენარნი და აგზებულნი არიან. ამასთან ერთად მათ შენახული აქვთ თვითცნობიერება და

წარმოდგენა თავიანთ “მე”-ზე. **ამენციური აშლა** წარმოადგენს ყველაზე ღრმად შეცვლილ ცნობიერებას. ამ დროს ავადმყოფს დაკარგული აქტს თვითცნობიერება; ვერ იგებს მისდამი მიმართულ უბრალო კითხვებს, ვერ ერკვევა საგნებში, გაფანტულია, წარმოდგენათა და ემოციურ გაცდათა შორის დარღვეულია კოორდინაცია. **ბინდისებრი ცნობიერება** ანუ ეპილეფსიური ცნობიერება თავდება ძილით და ფსიქოზის შესახებ არავითარი მოგონება არ რჩება. ამ დროს გარემოს აღქმა ხდება ჰალუცინაციურად და ილუზორულად. ცნობიერების ბინდისებრ შევიწროებას ეკუთვნის ე.წ. ეპილეფსიური ტრანსი. ავადმყოფი გარეგნულად სწორად იქცევა, მაგრამ ყველა მისი ქცევა და მოქმედება ჩამოცილებულია მის “მე”-ს. **სომნამბულური, ანუ ისტერიული ცნობიერების** დროს ავადმყოფი ახდენს გადატანილი ფსიქიკური ტრამვის გულყრით განმეორებას; ის ვერ ხედავს რეალურ სინამდვილეს და ყველაფერს აღიქვამს კომპლექსურად. **ონეიროიდული ანუ სიზმრისებული ცნობიერების** დროს ავადმყოფები გარემოს აღიქვამენ ჰალუცინაციურად და ილუზორულად, ისე, როგორც სიზმარში, შეცვლილია წარმოდგენა საკუთარ თავზე, დაკარგულია ლოგიკური მსჯელობისა და განცდათა კრიტიკული შეფასების უნარი, წარმოდგენა დროსა და სივრცეზე (ზურაბაშვილი, 1959:134-137).

როგორც ვხედავთ, ცნობიერების შეცვლა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია გარემოს აღქმაში წარმოქმნილ პრობლემებთან, რაც გარემოს შეცვლილ აღქმას განაპირობებს. ეს ყველაფერი კი გარემოს რეალისტურად შემეცნების გართულებაში გამოიხატება. გარემო კი ადამინისათვის თავისთავად ფიზიკური სივრცის ფსიქოლოგიურ ათვისებულობის პრობლემებთან უნდა იყოს დაკავშირებული. სივრცის სამი განზომილება სიმაღლე, სიგანე, სიგრძე თანმიმდევრულად გაიგივდება ისეთ ფენომენოლოგიურ პარამეტრებთან, როგორიცაა – ღირებულება, სიახლოვე-დაშორებულობა და კუთვნილება (ჩაგანავა, 2001:175-195). ბუნებრივია, რომ ფიზიკური სივრცე დროსთან არის დაკავშირებული, რომლის შემადგენელი ნაწილები-წარსული, აწმეო და მომავალი თანმიმდევრულად, ფენომენოლოგიურად გაიგივდებიან არაცნობიერთან, აწმეო ცნობიერთან, ხოლო მომავალი კი რწმენასთან (ჩაგანავა, 2009:144-171). მაგრერის მესამე მახასიათებელი – მასა ფენომენოლოგიურად წარმოგვიდგება ფსიქოლოგიური სიმბიმის სახით, რაც ემოციური “წუხილის” ტოლფას ეკვივალენტად წარმოგვიდგება (ჩაგანავა, 2009:147). ამრიგად ადამიანის ფსიქიკაზე ნებისმიერი ნეგატიური ზემოქმედების (ფილოგენეტიკური, ონტოგენეტიკური, ფიზიკური, ქიმიური, სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური) დროს იცვლება ფიზიკური სამყაროს ფენომენოლოგიური ეკვივალენტების გამოვლენის თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ფსიქიკურ აშლილობებში პოვოს გამოსავალი ფსიქოლოგიური პრობლემების განვითარებაზე მოქმედ პრედისპოზიციურ, დამაჩქარებელ, ხელშემწყობი ფაქტორებისა და პერსონალური დამცავი ფაქტორების ფონზე (გაგოშიძე, 2007:6-12).

ცნობიერების ცვლილებები ძირითადად სინათლისა და სიბნელის შენარჩუნება, დაკლება, ზრდასთან არის დაკავშირებული. როგორც ჩანს, იმის მიუხედავად, თუ რა ადგილი გვიჭირავს ჩვენ ფენომენოლოგიზირებულ სამყაროში, სულ ერთია, მაგალითად, ვერტიკალურ ღირებულებით განხომილებაში, ეს ადგილი მაინც იქნება რომელიმე ადგილზე უფრო ქვემოთ მყოფი და რომელიმე ადგილზე უფრო ზემოთ მყოფი. ამრიგად ჩვენი სურვილის მიუხედავად ჩვენ უვალოვის, რეალურად შეა ადგილი გვიკავია და აქედან გამომდინარე ზუსტად ეს ადგილი გვაქვს გაიგივებული ცხად, მკაფიო, ნათელ, გამოკვეთილ, გარკვეული კუთვნილების, განსაზღვრულობის, დამოკიდებულების მაჩვენებლებთან. ამიტომ კი ნებისმიერი ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე მაშინვე იწვევს ცვლილებებს და ამიტომ სტაბილურობის შენარჩუნება სიცხადის შენარჩუნებასთან, გარემოს საზღვრების მკაფიობის ხარისხის უზრუნველყოფაში, ნებატიური და პოზიტიური ზემოქმედების ისეთი პროპორციების უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომელიც განაპირობებს სიფხოზლის მდგომარეობის დაცულობას, საკუთარი სხეულის, ფსიქიკის, ფიზიკურ და სოციალურ გარემოსადმი დამოკიდებულების მართვას, რაც საშუალებას გვაძლევს აწმყოს ზემოქმედება შევათანხმოთ წარსულის გამოცდილებასთან და მომავლის პერსპექტივებთან, წარსულის გაუცნობიერებელი (ბნელი) ტენდენციები შევუხამოთ აწმყოს გაცნობიერებულ (ნათელ) მდგომარეობას, ხოლო მომავალი განვამტკიცოთ რწმენის საფუძველზე და მას მივაკუთვნოთ აწმყოს თვისებები, რაც მის სიცხადეს და ჩვენდამი დამორჩილების განცდის უზრუნველყოფები იქნება. აქ საყურადღებო უნდა იყოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ წუხილის გაცდა, რომელიც სიმძიმის აღქმასთან არის გაიგივებული, ჩვეულებრივ ცნობიერების საზღვრების მიღმა იმყოფება და ადამიანი შედარებით სიმსუბუქის პირობებში ცხოვრობს, რომელიც რეალურად სიმძიმის განუცდელობის ტოლფასია და საკუთარი არსებობის მნიშვნელოვანი პრობლემების გარეშე წარმართვის მაჩვენებელია, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის აშკარა დიაგნოსტიკური ფაქტორია. ცნობიერების დაბინდვა ვერტიკალურ ღირებულებით სკალაზე ცვლის გარემოსადმი პირვენების ღირებულებითი დამოკიდებულების ჩვეულებრივ, გათავისებულ საზღვრებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებითი სისტემის დარღვევაში, სიტუაციის თავისად მიჩნევის ხარისხის შეცვლაში, ფენომენოლოგიზირებული ობიექტების მიზიდულობის ძალის შემცირებაში, საკუთრივ ფენომენოლოგიზაციის პროცესის შეჩერებაში, ბლოკირებაში ან წარმოსახვის საფუძველზე გაუმართლებლად გაზვიადებაში გამოიხატება.

პირვენების ცნობიერება უთუოდ შეაღედურ ადგილს ათავისებს, რაც პირვენების არსებობის მიზანშეწონილობის პრინციპების გათვალისწინებით ხორციელდება და ამიტომ არსებობის უზრუნველყოფებული აქტივობით განისაზღვრება, რაც, ერთის მხრივ, მოიცავს ფსიქიკის საკუთარი ნების, მეტყველების, აზროვნებისადმი და წარმოსახვისადმი დამორჩილებას, ანუ ფსიქიკის ათვისებას და, მეორე მხრივ, ფიზიკური

გარემოს, როგორც ფიზიკურ ისე ფსიქოლოგიურ ათვისებას. გარემოს ფიზიკურ ათვისებას ფაქტობრივად ნებისმიერი ცოცხალი არსება ახორციელებს, მაგრამ გარემოს ფსიქოლოგიური ათვისების უნარი რეალურად მხოლოდ ადამიანს გააჩნია, რაც ფიზიკური სამყაროს მავიგალენტური ფენომენოლოგიური სამყაროს შექმნით ხორციელდება, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ადამიანისათვის გარე სამყაროს დამორჩილებას და გარემოს მიმართ ფსიქოლოგიური ათვისებულობის განცდის ჩამოყალიბებას, რომელიც ფსიქოლოგიური კომფორტულობის გრძნობას აყალიბებს და ფიზიკური სამყაროს პიროვნებისადმი კუთვნილების გრძნობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ამავე დროს ასეთი ფენომენოლოგიური სამყარო ადამიანთა საერთო კუთვნილებაა, რადგან მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში შექუმავებული ნიშანთა სისტემის (მეტყველებას) მეშვეობით ეძლევა ადამიანს შესაძლებლობა მისი თვალსაზრისით სრულყოფილად აითვისოს გარე ფიზიკური სამყარო. ამრიგად წარმოქმნილი ფენომენოლოგიური სამყარო მედიატორის როლის შემსრულებელია ადამიანსა და ფიზიკურ სამყაროს შორის. მედიატორისა კი სამედიატორო ობიექტებს შორის კომუნიკაციის დამყარების, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების, ნეიტრალური როლის შესრულებისა და ამავე დროს ორივე მხარეზე ზემოქმედების მოხდების საშუალებად უნდა იქნეს წარმოდგენილი. ფენომენოლოგიური სამყარო თვითონ არის ცნობიერების უშუალო შემადგენელი ნაწილი, რომელიც განაპირობებს მთლიანად ცნობიერების მდგრადობას, სტაბილურობას და ერთდღოულად ფიზიკური და პიროვნული სამყაროების ერთ საზემოქმედო კონსტრუქტში გაერთიანებას. აქ მაინც მთავარი ის არის, რომ ფიზიკური გარემოს ფენომენოლოგიური ეკვივალენტი ამავე დროს განაპირობებს ფიზიკური გარემოს მოთავსებას ფენომენოლოგიური ეკვივალენტის ფარგლებში. მაგალითად, ხე-მცენარეები არა მხოლოდ სახელდებიან, არამედ, აგრეთვე თავსდებიან ფენომენოლოგიურ დირექტულებით სკალაზე, ანუ ფენომენოლოგიურად იცვლებიან და ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მატარებლები ხდებიან. ადამიანის ცნობიერება რეალურად შეუძლებელს ფენომენოლოგიურად შესაძლებლად გადააქცევს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა უბრალოდ გრძნობის ორგანოების საშუალებით გარემოს ასახვას, რაც, რა თქმა უნდა, გარემოს მარტივი ათვისების ფსიქოლოგიური მაჩვენებელია, როდესაც გარემო მაინც რჩება ცოცხალ არსებასთან დაპირისპირებულ სიტუაციად, რომელზეც აწყოს მიღმა წინმსწრები სავარაუდო ზემოქმედებისა და დაქვემდებარების, პიროვნებისადმი მისი მართვის ფარგლებში მოქცევის არანაირი საშუალება ცოცხალ არსებას, გარდა ადამიანისა, არა აქვს. ამრიგად გარემოს ადამიანის ფენომენოლოგიურ სივრცეში მოთავსება ნიშნავს, რომ აღქმული ფიზიკური გარემო გამოდის კონკრეტული ამწამიერი დროის ფარგლებიდან და მთლიანად, დროის ყველა მონაკვეთების პოზიციებიდან განიხილება, რაც ბუნებას ადამიანის კონკრეტული (აწმყოს) აღქმის ფარგლებს მიღმა აყენებს და ეს იმ

დორს, როდესაც ადამიანი თვითონ აწმუოს აღმნიშვნელი ტერმინებით (ახლა, ამჟამად, ამ დორს და სხვა) სინამდვილეში აფართოებს აწმუოს ფარგლებს წარსულისა და მომავლის ხარჯზე. ამრიგად, ადამიანი მისი აწმუო არსებობის ფარგლებს ცნობიერების მეშვეობით აფართოებს წარსულისა და მომავლის ხარჯზე, ხოლო გარემოს არსებობის ფარგლებს, ცნობიერების მეშვეობით ფაქტიურად კონკრეტული აწმუოს მიღმა განიხილავს, რადგან ერთიანი ცნობიერების სივრცეში გარემო ცალკე არ განიხილება და ადამიანის მიერ განიცდება როგორც მისი ფენომენოლოგიური ველის კომპონენტი.

ნებისმიერი ზემოქმედების შედეგად ცნობიერების სიცხადის დაკარგვა მისი სხვადასხვა ხარისხით დაბინდვას იწვევს, რაც გარემოს შემეცნებაში ცვლილებების განმაპირობებელია. მაგალითად, ვერტიკალურ, სიმაღლის განზომილებაში, რომელიც ფენომენოლოგიურად დორებულებასთან არის გაიგვებული ასეთი ცვლილებები შემდეგი სახის განცდების გამოწვევია.

ლირებულებითი (სიმაღლის განზომილების ეკვივალენტი) პარამეტრი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვეულებრივ, ადამიანი ფსიქოლოგიურ ვერტიკალზე, იერარქიაში იკავებს ისეთ პოზიციას, რომელიც ძირითადად საშუალო სტატუსის (მდგომარეობის, ადგილის, პრეტეზიულობის, თვითშეფასების) ამსახველია. ამ პოზიციაში ადამიანი ანიჭებს უპირატესობას კონტაქტურობას, გულდიობას, სიახლოვის განცდას, თანასწორობას, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, გახსნილობას. ამიტომ ცნობიერების “ჩაბნელება” იწვევს შემდეგ ცვლილებებს: იზღუდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება, რადგან ისინი ცნობიერ სინათლესთან არიან დაკავშირებული, სუსტდება სიახლოვის განცდა, რადგან გარემო არ შეესატყვისება ჩვენს მოლოდინებს, ის იცვლება ანუ კარგავს ჩვეულებრიობას და ამიტომ ასეთი გარემო კარგავს აგრეთვე ჩვენი პიროვნებისადმი გარემოს მიკუთვნებულობის განცდის გამომწვევის შესაძლებლობას. უეჭველია, რომ არ არის საკმარისი, რომ ჩვენ ვიყოთ განწყობილი გარემოს ჩვენი პიროვნებისადმი კუთვნილად განცდისათვის, საჭირო აგრეთვე, რათა ეს გარემოც იმდენად ათვისებული გვქონდეს ჩვენ ანდა შეესატყვისებოდეს ჩვენს წარმოდგენებს საგუთარი გარემოს შესახებ, რომ მას გააჩნდეს ისეთი ფენომენოლოგიური მახსაითვალები, რომლებიც განაპირობენ პიროვნებისათვის მიზიდულობის ძალის არსებობას.

პიროვნება კარგავს აგრეთვე თანასწორობის განცდას, რაც აგრეთვე გარემოს პიროვნებისადმი მიღუთვნებულობის განცდის დაკარგვის არაპირდაპირი გამოძახილი უნდა იყოს, რადგან თანასწორად ყოფნის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ზუსტად, ის არის, რომ ადამიანები იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ მათ შეუძლიათ უკუაგდონ უპირატესობა – დამცრობის პირობითობები და კომფორტულად იგრძნონ თავი ერთმანეთთან ურთიერთობაში. “ჩაბნელების” შემთხვევაში კი, თუ ადამიანი კონცენტრირებულია საკუთარ სტატუს-

**ზე.** მაშინ ის ინარჩუნებს საკუთარი სტატუსის შეალედურ მდგომარეობას, მაგრამ, რადგან გარე ფენომენოლოგიური სამყარო გაუფასურებულია, ამიტომ პიროვნება თვითონ ქმნის ახალ ფსევდოფენომენოლოგიურ სამყაროს, რომელიც არ არის შეთანხმებული და აპრობირებული სხვებთან, საზოგადოებასთან და ამიტომ ეს ინდივიდუალიზებული სამყარო მხოლოდ საკუთარი გამოყენებისათვის შეიძლება იყოს განკუთვნილი. ამის გამო ადამიანის წარმოსახვით შექმნილი ფენომენოლოგიური ფსევდოსამყარო გათავისდება მის მიერ, მაგრამ უცხო რჩება საზოგადოებისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ კონკრეტულ ადამიანსა და საზოგადოებას შორის გაუგებრობის კედელი აღიმართება, რომლის დაძლევა ასეთი მდგომარეობის უკიდურესი ფორმის შემთხვევაში, მხოლოდ პიროვნების მხრიდან არის შესაძლებელი. მაგრამ, რადგან პიროვნება დარწმუნებულია იმაში, რომ ის “ჭეშმარიტად” ასახავს ფენომენოლოგიურად გარე სამყაროს, მას არ შეუძლია შეეგუოს საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ ფენომენოლოგიურ სამყაროს. პიროვნების დარწმუნებულობის განცდის არსებობა კი იმით არის განპირობებული, რომ მის მიერ შექმნილი ფსევდოფენომენოლოგიური სამყარო იმდენად ძლიერად არის გათავისებული მის მიერ, რომ მას არ ეპარება ეჭვი ამ წარმოსახული სამყაროს ჭეშმარიტებაში. ასეთი პიროვნების მიერ გარე რეალური სამყაროს დერეალიზაცია იმაში გამოიხატება, რომ ის, ერთ შემთხვევაში, გაზვიადებისაკენ მიიღების, რაც ექსპანსიურ (განდიდების, გამოგონებისა და აღმოჩენის) ბოდვებში გამოიხატება, ხოლო მეორე შემთხვევაში დამცრობისაკენ მიიღების, რაც დეპრესიულ (თვითდამცირების, თვითბრალდების, ცოდვიანობის, გაძარცვის, განადგურების, ჰიპოქონდრიის, ნიაპილიზმის) ბოდვებში რეალიზდება. მიაჩნიათ, რომ ბოდვების საფუძვლად შეიძლება მიღებული იქნეს აფექტური ანუ კათათიმიური აზროვნება. ამ შემთხვევაში ბოდვითი მასალა უფარდდება არსებულ ძირითად აფექტურ ტონს. ექსპანსიური, ანუ აწეული გუნება-განწყობილება წარმოშობს განდიდების ბოდვით იდეებს, ხოლო დაწეული გუნება-განწყობილება წარმოშობს თვითბრალდების და ცოდვიანობის ბოდვით იდეებს (ზურაბაშვილი, 1959:119-120).

ცნობირების ჩაბნელების” შემთხვევაში, რადგან ბლოკირებულია სიახლოვის განცდა, როდესაც გარემო არ შეესატყვისება ჩვენს მოლოდინებს, ვითარდება აგორაფობია, სოციოფობია, როგორც გულდიობისა და კონტაქტურობის ბლოკირებულობის შედეგი.

როდესაც ადამიანს აქვს მაღალი სტატუსის განცდა, ხოლო მისი მდგომარეობა არ შეესატყვისება ამ სტატუსით განპირობებულ ვითარებას, მაშინ ფსიქიკაზე ამა თუ იმ ძლიერი ზემოქმედების პირობებში, რომელიც ცნობიერების დაბინდვასაც იწვევს, შედეგად ვლებულობთ იმას, რომ ადამიანს უცხოვდება მისი ამაღლებულობის განცდა, ის საკუთარ თავში იკეტება, რადგან არ უნდა, რათა მისი დადაბლება შეამჩნიონ მისი თვალსაზრისით მის დაბლა მდგომმა ადამიანებმა,

რომლებთანაც “გათანაბრება” მისთვის ძალიან შემაწუხებელია და რადგან სოციალურ გარემოში არ არსებობს მისი პრეტენზიების და-მაქმაყოფილებელი პირობები, ის იძულებულია მიმართოს გვერდით, არაპირდაპირ საშუალებებს, რომლებიც როგორდაც დააკომპენსირებენ მის მიღრეკილებებს, რაც ზოგჯერ დისოციაციური ტენდენციების, მაგალითად, დეპერსონალიზაციის (გამყრელიძე, 2006:41-50) საფუძველ-ზე ხორციელდება, როდესაც თითქოსდა ხდება საკუთარი ‘შე’-ს გაორება, საკუთარი სხეულის ნაწილების გაუცხოება, გრძნობებისა და აზრების ცვლილება, რომელიც, როგორც წესი შეთანაწყობილია დე-რეალიზაციასთან (Дмитриева, 1999:203). სხვა შემთხვევაში, ასეთი ადა-მიანი პიროვნების ისტერიული აშლილობების ნიშნებს ავლენს, როდე-საც ის დისკომფორტს გრძნობს, თუ ის არ არის ყურადღების ცენტრ-ში, ასესიათებს ემოციური განცდების ზედაპირებულობა, საკუთარი გარეგნობის ყურადღების მოპყრობისათვის გამოყენება, თეატრალუ-რობა, დრამატიზირებისადმი მიღრეკილება და ა.შ. (Дмитриева, 1999:280). ასეთ მდგომარეობას თან სდევს “დაბლებთან”, “ჰუჭყიანებთან” იძუ-ლებითი კონტაქტების გამო გაჭუჭყიანების (მიზოფობის) შიში.

დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პიროვნებაზე ძლიერი ფსი-ქოლოგიური ზემოქმედების შემთხვევაში, რაც ცნობიერების დაბინდ-ვას იწვევს, ადამიანი ფსევდოამაღლებულობის, ზედირებულ მდგომა-რეობაში ვარდება, რადგან რეალობის შეფასების უნარი ძალიან შემცირებული აქვს. მისი ემოციური სფერო უცებ განიცდის გაუმართ-ლებელ ცვლილებას. ის ჩვეულებრივ თუ ნეგატიური ემოციების ტყვეო-ბაში იყო, ახლა, უცებ, მის წინაშე პოზიტიური ემოციების (პიკერთი-მია) ფართო საქქრო გადაიშლება, რომლებიც მისთვის აქმდე უცხო იყო და ახლა მათი მოზღვავება აგრეთვე შემაწუხებელია მისთვის. აქ შეიძლება ადგილი პქონდეს აგრეთვე ჩვეულებრივი წუხილის განცდის დაქვეითებას, ანუ ჩვეულებრივზე უფრო გამოხატულ სიმსუბუქეს. ეს კი იმ დროს, როდესაც წნეადობის განცდა და შესატყვისი წუხილის გრძნობა ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის აუცილებელი კომპონენ-ტია. ამავე დროს ადამიანი გამოდის მისთვის ჩვეულებრივი აზროვ-ნების შებოჭილობის მდგომარეობიდან და მსჯელობის ფართო ასპარეზი იშლება, რომლის გამოცდილება მას არა აქვს და ამიტომ ასეთი მსჯელობა აშკარად ტენდენციურია, უფრო მეტად სატოვანია, წარმოსახვითი სფეროს კანონზომიერებათა მოჭარბებით, მიზეზშედე-გობრივი კანონების უგულებელყოფით და როგორც წესი, სულაც არ არის გამორიცხული შიზოაფექტური აშლილობების ჩამოყალიბება.

ფიზიკური სიგრძის განზომილების ფსიქოლოგიური ეპივალენტი სიახლოვე-დაშორებულობა ცნობიერების დაბინდვის შემთხვევაში შემ-დებ ცვლილებებს განიცდის. ახლობელი სივრცე უცხოვდება, ის უც-ხობ, არასდროს ნანას, შეუჩვეველ შეუგუბად გარემოდ წარმოგვიდ-გება, რაც ფსიქოლოგიაში “არასდროს ნანახის” (Jamais vu) სახელწო-დებით არის ცნობილი. ამავე დროს ჩვეულებრივ დაშორებული, უცხო

სივრცე ასეთ შემთხვევაში ახლობელ, ჩვეულებრივ, ნაცნობ, განმეორებად, შეგუებულ სივრცედ წარმოგვიდგება. ადამიანს ამ სივრცის მიმართ “უკვე ნახულის” შთაბეჭდილება (Déjà vu) უქმნება.

ცნობიერება, როგორც ცნობილია, სინათლის, სიფხოზლის, სიცხადის, ანუ აწმყოს თვალსაჩინო გამოვლენია და ამიტომ ცნობიერების დაბინძვა არცოუ იშვიათად იწვევს აწმყოს ამნეზიას, ანუ ანტეროგრადულ ამნეზიას, ”როდესაც ადამიანს ძველი მოგონებები შერჩენილი აქს, მაგრამ ახალი არაფერი ამასსოვრდება” (უზნაძე, 1964:421). აქ საყურადღებოა მომავლის შიშის გაძლიერება, რადგან, ჩვეულებრივ, “უშა მეხსიერება ცნობიერების უშუალო მოცულობის შემადგენელი ნაწილი” არის და ის თავისთავად მოიცავს წარსულს, რომელიც ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია. გაკირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ასეთ დროს ჩვენ ძალიან ხშირად, განსაკუთრებით, მოხუცებულობაში განვიცდით მომავლის შიშის, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ სინამდვილეში ცნობიერება არა მხოლოდ მუშა მეხსიერებას და ამგარად წარსულს მოიცავს, არამედ აგრეთვე მომავალსაც, უშუალო მომავალსაც მოიცავს და ნორმალური ცნობიერების ფუნქციონირება ამგვარად, წარმოუდგენელია უშუალო მომავლის ცნობიერების სტრუქტურაში ჩართვის გარეშე. მართლაც, აწმყოს საზღვრების გაფართოება და დროის ყველა შემადგენელი ნაწილის ერთდროული დაუფლება უშუალო წარსულის, მომავლისა და აწმყოს ხარჯზე უზრუნველყოფს ცნობიერებისათვის ფუნქციონირების შესაძლებლობებს, რადგან ყველა, სხვა შემთხვევაში აწმყო დროის ძალიან დიდი შეზღუდულობის გამო საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ცნობიერების ფუნქციონირება.

ამრიგად, რადგან მომავალი ცნობიერი აწმყოს უშუალო შემადგენელი ნაწილია, ცნობიერების დაბინძვის შემთხვევაში უფრო მეტად ზუსტად მომავალი ზარალდება, ხოლო არაუშუალო წარსული, როგორც ცალკე წარმოდგენილი მეხსიერების ნაწილი არ განიცდის ცვლილებებს და მთლიანად ნარჩუნდება.

ფიზიკური სიგანის განზომილება პპროპრიაციის ფსიქოლოგიაში საკუთრების პარამეტრთან არის გაიგივებული, რომელიც ორ ნაწილად იყოფა. ეს არის საკუთარ თავზე, ნივთზე, სივრცეზე, მოვლენაზე პიროვნების უფლებამოსილების გავრცელება, რაც ადამიანთა მიერ ამ უფლებამოსილების ცნობა-აღიარებას ნიშნავს, საზოგადოებრივი შეთანხმების ანდა წესის საფუძველზე. საკუთრების პარამეტრიც საზღვრის გავლებასთან, განსაზღვრასთან, გაპიროვნებასთან, მიკუთვნებასთან შეიძლება იქნეს გაიგივებული. საკუთრება ყოველთვის ორ ან უფრო მეტ ადამიანს შორის უფლებამოსილების განაწილებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, საკუთრების პარამეტრიც სივრცისეულად მხოლოდ განივ, შემზღვდავ, საზღვრის დამდებ ხაზთან შეიძლება იქნეს გაიგივებული. საკუთარი თავისთავად გულისხმობს, რომ არსებობს არასაკუთარი სამყარო, ანუ სამყარო, რომელიც ჩვენს უფლებამოსილებაში არ შემოდის. გასაგებია, რომ ასეთი მდგომარეობა

თავისთავად ცნობიერების **ჩაბნელების** შემთხვევაში იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რადგან ყველაფერი, რაც კი საკუთარ თავთან, საკუთრების განცდასთან არის დაკავშირებული, იკარგება ანდა იცვლება და შედეგად გვაქვს პიროვნების გაორება, დისოციაცია, შიზოიდური მოვლენები, შფოთიანობა, მძიმე დანაბარგების განცდები და სხვა. ივარაუდება, რომ დაუფლება – მითვისების შესაძლებლობები განპირობებულია პიროვნეული და საზოგადოებრივი ტენდენციების პარმონიული, შუალედური მდგომარეობით, როდესაც საკუთრება განისაზღვრება, როგორც საკუთარი ნების თავისუფალი გამოვლენა იმ საზღვრებში, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებრივი შეთანხმებით და ამრიგად, თვით დაუფლების ტენდენციის რეგულირებადობა განაპირობებს ცნობიერების რეგულირებადობას, რაც თავისთავად ცნობიერების ინტელექტისადმი დამორჩილებულობის მაჩვენებელია.

## Guram Chaganava

### Phenomenology of Derealization

#### Summary

In the essay of the author it is submitted the results of the clinical observation on the basis of which is done the conclusion about the connection between the phenomenological world, which is the psychological equivalent of the physical world, with the psychological disorder determined by depersonalization and derealization. Specifically it is considered that the phenomenological world is performing the functions of mediator between physical world and the inner psychics of a person, that is determining the existing of an entity of the consciousness in the structure of the psychics and the phenomenological world, which is not simply reflecting the physical world, but it is its psychological equivalent and therefore is uniting the real world and the inner (subjective) world into entity of the consciousness. So the consciousness is keeping the middle position, which gives to person the possibilities to retain the behavior, psychics, human values, the system of proximity-remoteness, the principles of the property in the bounds of the possibilities of the managing, submission, systematic influence, control and the preservation of the psychological health. Therefore darkening of the consciousness obligatory is provoking the quite a number of psychological disorders, which are determined by the reasons of the peculiar reflection in the consciousness the real and the psychological changings of the outer world, that is provoking the conformable changings of the psychics, because at this event are disturbing not only the middle position of the consciousness as the phenomenological world, but also the middle position of the consciousness as the enlarged present time by owing to the working memory and also immediate future, the middle position of the consciousness on the

vertical line of the hierarchical scale and the determination of the seizure-appropriation by harmonious middle taking into account the personal and social tendencies, when the property is determined as the possibilities to express own will in the limits determined by the social agreement. Therefore the adjustment of the appropriation tendency is determining the adjustment of the consciousness, that is the index of the subordination of the consciousness to the intellection.

**Гурам Чаганава**

**Феноменология дереализации**

**Резюме**

В статье представлены итоги клинических наблюдений автора, по которым делается заключение о взаимосвязи феноменологического мира являющимся психологическим эквивалентом физического мира с психическими нарушениями, опосредованными дереализацией и деперсонализацией. В частности утверждается, что феноменологический мир выполняет посреднические, медиатористические функции между физическим миром и внутренней психикой человека, что и определяет существование единого сознания в составе психики и феноменологического мира не просто отражающего физический мир а являющийся его психологическим эквивалентом и поэтому объединяющим объективный и субъективный миры в единое целое в виде сознания . Таким образом сознание занимает срединное положение, которое дает личности возможность удерживать поведение, психику, человеческие ценности, систему близости-удаленности, принципы собственности в пределах возможности управления, подчинения, систематического воздействия, контроля и сохранения психического здоровья. Поэтому, затемнения сознания с обязательностью вызывают целый ряд психических отклонений, которые опосредуются тем, что в сознании своеобразно отражаются реальные и психологические изменения внешнего мира, что и ведет к соответствующему изменению психики, так как нарушается не только срединная составляющая сознания в виде феноменологического мира, но также срединная составляющая сознания в виде расширенного настоящего за счет рабочей памяти а также непосредственного будущего, срединности положения сознания на вертикальной иерархической шкале и опосредованности возможностей владения – присвоения гармоничным, срединным учетом личных и общественных тенденций, когда собственность определяется, как возможность свободного проявления своей воли в пределах опосредованного общественным соглашением. Таким образом регулируемость самой тенденции владения опосредует регулируемость сознания, что является показателем подчиненности сознания интеллекту.

## გამოყენებული ლიტერატურა

- o. ბერძნოვა, ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია, თბ., მეცნიერება, 1968,  
304 გვ.
1. თ. გაგოშიძე, ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები, თბ., 2007,  
334 გვ.
  2. შ. გამყრელიძე, დეპერსონალიზაციური აშლილობა და მისი მეცნიერების საკითხები, თბ., აიდიო, 2006, 119 გვ.
  3. დ. ზურაბაშვილი, ფსიქიატრია, თბ., ცოდნა, 1959, 443 გვ.
  4. ი. იმედაძე, ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., მწიგნობარი, 2008, 428 გვ.
  5. დ. უჩხაძე, შრომები III–IV (ზოგადი ფსიქოლოგია), თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომ-ბა, 1964, 636 გვ.
  6. გ. ჩაგანავა განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები (მონოგრაფია), აჭარა, ბათუმი, 2001, 223 გვ.
  7. გ. ჩაგანავა, ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები (მონოგრაფია), გამომცემლობა ბათუმის „უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2004, 254 გვ.
  8. გ. ჩაგანავა, მუშა მეხსიერება და ცნობიერების ჩამოყალიბება, ქრ.: რსუს შრომები, IX,(ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პედაგოგია), ბათუმი, გამომცემლობა ‘ათუმის „უნივერსიტეტი“’, 2007, გვ. 61-65.
  9. Джемс В., Научные основы психологии, СПб, Электропечатня, 1902, 375 с.
  10. Дмитриева Т. Б.(Гл.ред.) Клиническая психиатрия, М., ГЭОТАР МЕДИЦИНА, 1999, 602 с.
  11. Зейгарник Б. В., Патопсихология, М., МГУ, 1986, 288 с.
  12. Кербиков О.В., Коркина М.В., Наджаров Р.А., Снежневский А. В. Психиатрия, М., Медицина, 1968, 448 с.
  13. Маейрс Д., Психология, Минск, Попурри, 2001, 848 с.
  14. Рубинштейн С.Я., Экспериментальные методики патопсихологии и опыт применения их в клинике, М.. Медицина. 1970, 215 с.
  15. Чаганава Г. Влияние фактора «свой» на процесс восприятия и оценки действий человека. Автореферат кандидатской диссертации, Издательство Института психологии АН Грузии, Тбилиси, 1978, 28 с.
  16. Чаганава Г. Проблемы психологии апpropriации, Диссертационный вестник на соискание ученой степени доктора психологических наук, Издательство Института психологии АН Грузии, Тбилиси, 1995, 32 с.
  17. Чаганава Г. Психология страха. Энциклопедический словарь (Монография), Издательство Аджара, Батуми, 2004, 255 с.
  18. Штерринг, Психопатология, СПб, Знание, 1903, 277 с.
  19. Ярошевский М.Г., Анцыферова Л.И. Развитие и современное состояние зарубежной психологии, М., Педагогика, 1974, 304 с.
  20. ^ Radovic, F., Radovic, S., "Feelings of Unreality: A Conceptual and Phenomenological Analysis of the Language of Depersonalization". Philosophy, Psychiatry, & Psychology 9, 2002, 271–279p.
  21. ^ Sierra M, Lopera F, Lambert MV, Phillips ML, David AS "Separating depersonalisation and derealisation: the relevance of the "lesion method"". J. Neurol. Neurosurg. Psychiatr. 72 (4), 2002, 530–532 p.

22. ^ Hunter EC, Sierra M, David AS, "The epidemiology of depersonalisation and derealisation. A systematic review". Social psychiatry and psychiatric epidemiology 39 (1),2004, 9–18 p.
23. ^ Lambert MV, Sierra M, Phillips ML, David AS, "The spectrum of organic depersonalization: a review plus four new cases". The Journal of neuropsychiatry and clinical neurosciences 14 (2) ,2002, 141–154 p.
24. ^ Mintzer MZ; Stoller KB, Griffiths RR .., "A controlled study of flumazenil-precipitated withdrawal in chronic low-dose benzodiazepine users". Psychopharmacology (Berl) 147 (2),1999, 200–209 p.
25. ^ Simeon D, Knutelska M, Nelson D & Guralnik O., Feeling unreal: a depersonalization disorder update of 117 cases. 'Journal of Clinical Psychiatry 64 (9),2003, 990-997 p.
26. ^ Lickel J, Nelson E, Lickel A H, Deacon Brett "Interoceptive Exposure Exercises for Evoking Depersonalization and Derealization: A Pilot Study". Journal of Cognitive Psychotherapy: An International Quarterly 22, 2008, 4 p.

როინ მალაშვილე, ვახტანგ შამილაძე,  
გურამ ჩაგანავა

პროფესორი ნოდარ კახიძე – 80

**თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნოდარ კახიძე  
(დაბადების 80 წლისთაგის გამო)**

ქართული ეთნოგრაფიული სკოლის აღზრდილსა და ამ სკოლის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, ეთნოგრაფსა და ისტორიკოსს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების უფროსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ კახიძეს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

ნოდარ კახიძე დაიბადა 1929 წლის 25 დეკემბერს, ბათუმის (ამჟამად ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ ზედა ჩხეტებულეთში. 1941 წელს წარმატებით დაამთავრა ზედა ჩხეტებულეთის ორასრული საშუალო სკოლა, 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიური სახსავლებელი, ხოლო 1954 წელს – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის სპეციალობით. სტუდენტობის წლებშივე ჩაება სამეცნიერო მუშაობაში, 1952-1954 წლებში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს პედაგინისტიების სტუდენტთა V-VI რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა გორისა და ქუთაისში. პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ხელმძღვანელობდა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეს.

1954 – 1962 წლებში მუშაობდა ჩხეტებულეთის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. პარალელურად ასრულებდა საზოგადოებრივ და სხვა სახის დავალებებს.

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა. მისმა ხელმძღვანელობამ ბატონი ნოდარ კახიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში მიავლინა ეთნოგრაფიის განხრით, სადაც ამ საინტერესო სპეციალობას ეუფლებოდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლისა და მეთაურის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და მისი მოწაფის, პროფესორ მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით.

1965 წელს ნოდარ კახიძემ დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა ეთნოგრაფიის სპეციალობით. 1966 წლის სექტემბრამდე ხელშექრულებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქო-

ლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასთან დაკავშირებული ლიტერატურული მასალების დამუშავებაზე.

1967 წელს 24 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი თემაზე “აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა)”. 1966 წლიდან დღემდე ბატონი ნოდარი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში მუშაობს ჯერ უმცროს, შემდგენ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1979 წლიდან კი – განყოფილების გამგედ.

ინსტიტუტში მუშაობის დღიდან იწყება მისი ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობა. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათგან სამი მონოგრაფია “მაჭახლის ხეობა”, 1974; “ხელოსნობა აჭარაში”, 1990; “ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში”, 2004; მეცნიერული და სხვა ხასიათის მრავალი საგაზეოთო სტატია. პროფესორ ნოდარ კახიძემ პროფესორ ა. რობაქიძესთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ოცდასამი ეთნოლოგიური კულტულის კორექტირება-რედაქტირებასა და გამოსაცემად მომზადებაში.

6. კახიძე სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს საქართველოს ეთნოგრაფთა სამეცნიერო სესიებზე, რომლებიც იმართებოდა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, ახალციხეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და ჩატარდა განყოფილების ოცზე მეტი ეთნოგრაფიული ექსპედიცია აჭარაში, საქართველოს სხვა რეგიონებში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი).

6. კახიძემ, როგორც მაჭახლის ხეობის მკვიდრმა, პირველად შეისწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფიულად მაჭახლის ხეობა, რომელმაც წარსულში ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში ხელოსნობით, კერძოდ, ცეცხლსასროლი (კაუჩახმახიანი თოფები და დამბახები), აგრეთვე ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებით. 6. კახიძემ პირველმა აჩვენა ხეობის როლი და მნიშვნელობა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში. მეორე ნაშრომში მკვლევარმა დეტალურად შეისწავლა ხელოსნობის ჩასახვა-განვითარების ისტორია აჭარის მაგალითზე, ხოლო მესამე ნაშრომში მოცემულია ვრცელი მონაცემები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის განვითარების შესახებ.

2000 წლის 16 ნოემბერს საქართველოს ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 6. კახიძემ წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დისერტაციაზე “ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ – ეთნოლოგიური გამოკვლევა)” და მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დისერტაციაში შესწავლილია სამხრეთ-

დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალურ-ეკონომიკური და პულტურულ-ისტორიული პრობლემები. ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია მრავალდარგოვანი ქართული ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლაში.

პროფესორ ნოდარ კახიძის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ხელოსნობის საკითხები მთავარი პრობლემაა, რომელსაც იგი ოთხ ათეულ წელზე მეტხანს სწავლობს. ამავდროულად, სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხების შესწავლითაცაა დაინტერესებული. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო და საგაზირო სტატიები აჭარაში გავრცელებულ ხალხურ დღესასწაულებზე, გვარსახელებზე, ტოპონიმებაზე, აჭარაში მოგზაურ მკვლევრებზე და ა.შ. მან ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი და შეიმუშავა წინადადება-რეკომენდაციები ზემო აჭარაში გავრცელებული ტრადიციული ხალხური დღესასწაულის-შუამთობის, აგრეთვე ხალხური ხელოსნობისა და შინამრეწველობის საკითხებზე, რამაც თავის დროზე დადგებითი ნაყოფი გამოიღო.

6. კახიძის მონაწილეობდა დიდ კომპლექსურ ეთნოგრაფიულ აქსპერიციებში, რომლებიც გ. ჩიტაიას, გ. ბარდაველიძის, გ. გეგეშიძისა და ა. რობაქიძის ხელმძღვანელობით ეწყობოდა ფშავ-ხევსურეთში, იმერეთში, აჭარასა და გურიაში.

ბატონ 6. კახიძის მეცნიერულ საქმიანობაზე საუბრისას არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ მის ნაყოფიერ მონაწილეობაზე აჭარის ისტორიის ნარკვევების შექმნაში. იგი თავად არის “ნარკვევების” ოთხეტომულის მეორე ტომის რედაქტორი, რომელსაც მიმდინარე წელს იხილავს მკითხველი.

ბატონი ნოდარ კახიძე სამეცნიერო და მეცნიერულ-ორგანიზაციულ საქმიანობას ჩინებულად უხამებს პედაგოგიურ მოდვაწეობას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობს ლექციებს ისტორიულ მხარეთმცოდნეობასა და სპეციალისტი, ეთნოგრაფიის განხრით ხელმძღვანელობს სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნაშრომების მოზადებას, ასპირანტთა და ხარისხის მასიებელთა მუშაობას. 6. კახიძე სისტემატურად ეხმარება სტუდენტებს ლიტერატურის, თემების შერჩევასა და დამუშავებაში. სხვადასხვა დროს 6. კახიძე არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ეთნოგრაფიულ კომისიაში, ამავე პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანი რეგიონების კომპლექსური შესწავლის კომისიის აჭარის ქვეკომისიის სწავლულ მდივნად, საქართველოს საისტორიო საზოგადოების აჭარის განყოფილების სამეცნიერო საბჭოსა და ამ საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარედ, იყო საზოგადოების რამდენიმე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატი.

პროფესორ ნოდარ კახიძის მეცნიერული მოდვაწეობა სათანადოდ დაფასდა. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1983), ხოლო ნაშრომისათვის “ხელოსნობა აჭარაში” – მიენიჭა აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებული თედო სახოკიას სახელმწიფო პრემია (1995).

ბატონი ნოდარი არა მარტო კარგი მეცნიერ-მკვლევარია, არამედ შესანიშნავი, დიდი ოჯახის მამა და ბაბუა. მხურვალედ ვულოცავთ ბატონ ნოდარ კახიძეს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ სარბიელზე.

## როინ მალაუმაძე, გახტანგ შამილაძე, მალხაზ სიორიძე

### პროცესორი ოთარ თურმანიძე – 75

#### **ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი**

75 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერისა და ღვაწლმოსილი პედაგოგის – ოთარ თურმანიძის დაბადებიდან. დაიბადა 1934 წლის 15 ნოემბერს ხულოს რაიონის (ამჟამად შუახევის) სოფელ სამოლეთში. პატარაობიდანვე ჩაექა შრომაში, რადგან მამა ადრე გარდაეცვალა (ოთარი მაშინ რვა წლისაც არ იყო).

სკოლაში წარჩინებული მოსწავლე იყო და 1953 წელს ვერცხლის მედალზე დამთავრა შუახევის რაიონის უჩამბის საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) ისტორიის ფაკულტეტზე. აქაც სამაგალითო სტუდენტი იყო და 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი.

ო.თურმანიძე 1957–1960 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონის წაბლიანის რვაწლიან და უჩამბის საშუალო სკოლებში ისტორიისა და უცხო (გერმანული) ენის მასწავლებლად. 1960 წელს დააწინაურეს ცინარეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორად, სადაც 1972 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა. სკოლაში გამორჩეული პედაგოგი და საჩვენებელი სკოლის დირექტორი იყო. ნაყოფიერი მუშაობისათვის 1962 წელს დააჯილდოვეს სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით, ხოლო 1970 წელს – სახელმწიფო ჯილდოთი – მედლით.

ინტერესი მეცნიერების მიმართ სტუდენტობის წლებში აღეძრა. ინსტიტუტში სწავლის დროს მაღალ დონეზე ამზადებდა სამეცნიერო რეფერატებს და საჯაროდ გამოჰქონდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. ამ რეფერატებმა საჭირო პირობები შეამზადა მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. სკოლაში მუშაობის პარალელურად საკანდიდატო მინიმუმი ჩააბარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ-ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში და დაწერა საკვალიფიკაციო ნაშრომი თემაზე “პაპიტალიზმის განვითარება, აჭარის სოფლის მეურნეობა”, რომელიც წარმატებით დაიცვა 1972 წელს და მიანიჭეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1972 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა ქბათუმში და მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც

მიჰყავდა სალექციო კურსი “საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები”. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წლების განმავლობაში კოთხელობდა საქართველოს ისტორიას, საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიას, წყარო-მცოდნეობას, სახელმწიფო და მუნიციპალურ მართვას, სახელმწიფო მართვის თეორიას, კადრების მენეჯმენტს, პოლიტიკურ დისციპლინებს და სხვა.

ო.თურმანიძე 1974 წელს დანიშნეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებლად, 1975 წელს აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო ორი წლის შემდეგ დოცენტის წოდებაც მიანიჭეს. 1981–1990 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დოცენტი, 1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1991 წელს მიანიჭეს პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1990–2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგედ. ო.თურმანიძე ასევე წლების განმავლობაში ღიაქციებს კითხულობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ტექნიკური უნივერსიტეტი) ფოთის, ჭიათურისა და ტყიბულის ფაკულტეტებზე. ერთი სიტყვით, 53 წლის განმავლობაში პედაგოგიური მუშაობის მდიდარი გამოცდილება დააგროვა, რომლის განზოგადებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ ო. თურმანიძის ღიაქციები გამორჩეოდა მაღალი აკადემიური დონით. რთულ საკითხებს სტუდენტ-ახალგაზრდობას მარტივად და გასაგებად აწვდიდა. თანამშრომლებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობაში სიყვარულითა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

პედაგოგიური მუშაობის პარალელურად, პროფესორი ო. თურმანიძე ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. მისი მეცნიერული კვლევის ობიექტია საქართველოს ისტორია XVI საუკუნიდან XXI საუკუნემდე. დღემდე 80–მდე შრომა გამოაქვეყნა, მათ შორის 8 მონოგრაფია. არის ათობით საგაზეთო სტატიის ავტორი.

ო.თურმანიძის შრომები გამოირჩევა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზით. მან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ასობით პირველწყარო, რომელიც გამოავლინა მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, თბილისის, ქუთაისის, აჭარის სახელმწიფო და საუწყებო არქივებში, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ფონდებში. ცხადია, მის შრომებში განვითარებულ დებულებებსა და დასკვნებს მეტი დამაჯერებლობა აქვს.

ო.თურმანიძე ძირითადად იკვლევს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიას. ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად მან ქართულ საისტორიო მეცნიერებაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-მკონომიკური ისტორიის კვლევის სპეციალური მიმართულება შექმნა.

ო.თურმანიძის პირველ მონოგრაფიაში, რომელიც 1973 წელს გამოქვეყნდა, შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილის (ბათუმის ოლქი) სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ისეთი საკითხები, როგორიცაა სავაჭრო მიწათმოქმედება, აგრარული მოძრაობა და ცარიზმის აგრარული პოლიტიკის თავისებურებანი ამ რეგიონთან მიმართებაში.

პროფესორი ო.თურმანიძემ მომდევნო მონოგრაფიაში ახალი ხედვით გააშუქა გლეხთა მოძრაობა ბათუმის ოლქში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში პირველად განიხილა გლეხთა მოძრაობის მარტივი ფორმები (თხოვნა-საჩივრები, ურჩობა, აურა-გაქცევა და სხვა).

ო.თურმანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ისეთ საკითხებს, როგორიცაა საადგილმამულო ურთიერთობანი, აგრარული მოძრაობა, ოსმალური დოკუმენტური წყაროებით შეისწავლის საადგილმამულო ურთიერთობებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე 1878 წლამდე. მონოგრაფიაში გაშუქებულია მიწისმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემა, საადგილმამულო გადასახადები და საგადასახადო სისტემა, დადგენილია მესაკუთრული ჯგუფები, კერძოდ, მემამულეთა (აღა-ბეგების) კატეგორიები, გაანალიზებულია აგრარული რეფორმის მიზანი და შედეგები.

მეცნიერებისათვის სიახლეა ო.თურმანიძის ნაშრომები “სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1878–1990 წლებში” და “საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1878–1928 წლებში”. პირველ მონოგრაფიაში, რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა, შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები, აგროტექნიკა და ხალხური აგროტექნოლოგია, მეურნეობის დარგები, კაპიტალისტური საწარმოები სოფლად და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. მეორე მონოგრაფიაში (დაიბეჭდა 2009 წელს) ახლებური ხედვითაა გაშუქებული აგრარული ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა 1878–1928 წლებში. შრომაში გაანალიზებულია ცარიზმის, თურქი და ინგლისელი ოკუპანტების, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში.

პროფესორ ო.თურმანიძეს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს უახლესი ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. მან არაერთი მეცნიერული შრომა გამოაქვეყნა საქართველოს, კერძოდ, აჭარის უახლესი ისტორიის შესახებ. მათში განხილულია პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულ-

ტურის ისტორიის საკვანძო საკითხები. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფუნდამენტური გამოკვლევა “სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში (1946–1990 წწ.). ამ სქელტანიან წიგნში ახლებურადა გამუქებული აჭარის ეკონომიკის საკვანძო საკითხები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კაპიტალური მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა), მეცნიერება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, დემოგრაფიული და სოციალური საკითხები და სხვა. ობიექტურადაა შეფასებული ის ცვლილებები, რაც მოხდა აჭარის მოსახლეობის სოციალურ და ყოფით მდგომარეობაში ომისშემდგომ პერიოდში.

საერთო აღიარება მოიპოვა პროფესორ ო.თურმანიძის შრომებმა საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმისა და მასობრივი რეპრესიების შესახებ. მან აჭარის მაგალითზე შეისწავლა XX საუკუნის 30–იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები, შეაფასა ის, როგორც უდიდესი საკაცობრიო დანაშაული, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა ჩაიდინა უდანაშაულო ადამიანების მიმართ. დიფერენციულად გამოიკვლია მოსახლეობის დეპორტაცია საქართველოში რუსეთ-გერმანიის 1941–1945 წლების ომის, აჭარაში 1946–1949 და 1951 წლებში.

ო.თურმანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ოთხობრივის შექმნაში. ნარკვევების III ტომში, რომელიც 2009 წელს გამოქვენდა, მის კალამს ექუთვნის 10–მდე სტატია. ნარკვევების IV ტომის რედაქტორი თვითონ ბატონი ოთარი გახდავთ. იგი დასრულებულია და მისი გამოცემა გათვალისწინებულია მომავალი წლისათვის.

ბატონი ოთარი დიდებული ოჯახის პატრონია. მას ჰყავს 3 შვილი და 6 შვილიშვილი. მეუღლე თინა ირემაძე, სპეციალობით ფილოლოგი, ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის N1 საჯარო საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელია. ქალიშვილი ნინო პროვიზორია, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობს ქალაქის ერთ-ერთი აფთიაქის გამგედ, ვაჟიშვილი მერაბი, უმაღლესი განათლებით, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკია, მუშაობს საკუთრების დაცვის პოლიციის აჭარის სამმართველოში ქავერნიკოლების უფროსად. მეორე ვაჟიშვილი თემური, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

75 წლის მიუხედავად, ბატონი ოთარი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს. გამოსაცემად მომზადებული აქვს თრი წიგნი: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აჭარაში XX საუკუნის 20–30–იან წლებში“ და „მანქანათმშენებლობა და ლითონედამუშავებითი მრეწველობა აჭარაში 1921–1990 წლებში“.

ვუსურვებთ ბატონ ოთარს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა კვლავაც მუხლჩაუხელები ეშრომოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუბაიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბუჭიდად 15.04.2010  
ქაღალდის ზომა 70X108 1/16  
ფიზიკური თაბახი 15.5  
ტირაჟი 100

ვასი სახელშეპრელებო

---

დაიბუჭიდა უნივერსიტეტის სტამბაში  
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35